

ლია ახალაძე

საქართველოს განათლებისა და
კულტურის ისტორიის ნაკვრები –
აფხაზეთი (XIX-XX სს.)

Lia Akhaladze

**STUDIES ON THE HISTORY OF EDUCATION
AND CULTURE OF GEORGIA - ABKHAZIA
(XIX-XX CENTURIES)**

ლია ახალაძე

საქართველოს განათლებისა და
კულტურის ისტორიის ნარკვევები -
აფხაზეთი (XIX-XX სს)

Lia Akhaladze

Studies on the History of Education and Culture of Georgia
Abkhazia (XIX-XX centuries)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ახალაძე

საქართველოს განათლებისა და
კულტურის ისტორიის ნარკვევები
აფხაზეთი (XIX-XX სს)

Lia Akhaladze

**Studies on the History of Education and Culture of Georgia
Abkhazia (XIX-XX centuries)**

თბილისი 2021

მონოგრაფიაში გაანალიზებულია XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის პრობლემები, ასახულია ამ დარგების განვითარების ორსაუკუნოვან ისტორიულ პროცესში მიმდინარე ძირითადი მოვლენები. სახელს იცვლიდა იმპერიული რეჟიმები და მათი პოლიტიკა, მაგრამ არ იცვლებოდა კონცეპტუალური მიდგომები და დამოკიდებულებები, რომლებიც კარდინალურად ცვლიდნენ ამ ორი დარგის განვითარებას. ნაშრომში ისტორიულ კონტექსტში განხილულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომლის საფუძველზე გადაფასებულია აფხაზეთში ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის კორელაციის პრობლემები. კვლევის საფუძველზე მოხდა ახალი პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც დასმული საკითხების ირგვლივ მომავალი კვლევების, დაკვირვებებისა და არსებულ შეხედულებათა გადაფასების შესაძლებლობებს იძლევა.

ნაშრომი განკუთვნილია განათლებისა და კულტურის ისტორიის სპეციალისტების, სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

რედაქტორი: **ზურაბ პაპასქირი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტი: **დავით მალაზონია**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

წიგნი გამოიცა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს
„მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში

DOI: <https://doi.org/10.52340/9789941493904>

ISBN 978-9941-493-90-4

© ლია ახალაძე -2021

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა „საარი“, თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 57. ტელ: (577) 50 62 27
ელ. ფოსტა: saari.ltd@gmail.com.

The monograph explores the problems of the development of the history of education and culture of Abkhazia in the XIX-XX centuries, reflects the main events in the two-century historical process of development of these fields. Imperial regimes and their policies changed, but not the conceptual approaches and attitudes that radically changed the development of these two spheres. Rich factual material is analyzed in the historical context, on the basis of which the problems of correlation of collective historical memory and cultural identity in Abkhazia are re-evaluated. New problems were identified on the basis of the research, which provide opportunities for future research, observations and reassessment of existing views on the issues raised.

The work is intended for specialists in the history of education and culture, students and the public interested in the subject.

Editor: **Zurab Papaskiri**
Doctor of Historical Sciences
Professor at Sokhumi State University

Reviewer: **David Malazonia**
Doctor of Historical Sciences
Professor at Ilia State University

The book is published within the framework of the "Scientists' Support Program" of the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia

DOI: <https://doi.org/10.52340/9789941493904>

ISBN 978-9941-493-90-4

© Lia Akhaladze - 2021

© Copyright is protected

Publishing House - „Saari“, Tbilisi, Tevdore Mghvdli St. 57. Tel: (577) 50 62 27
E-mail: saari.ltd@gmail.com.

ს ა რ ზ ე ვ ი

შესავალი -----	7
თავი I. XIX-XX სს. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის -----	12
თავი II. კულტურული ცხოვრება აფხაზეთში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს -----	43
თავი III. აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ- საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიიდან -----	109
თავი IV. განათლება და კულტურა საბჭოთა ეპოქის აფხაზეთში (1921-1991 წწ.) -----	122
დასკვნის მაგიერ -----	172
ბიბლიოგრაფია -----	174
Problems of the History of Education and Culture 1810-1918. In Abkhazia -----	188
Education and Culture in Abkhazia During the Soviet Period (1921-1991) -----	198
References -----	216

შესავალი

კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი კატეგორიებია პიროვნული და კოლექტიური იდენტობა, რომელთა ჩამოყალიბება ტერიტორიულ, ენობრივ, ეროვნულ და რელიგიურ ფაქტორებს უკავშირდება. ამ ფაქტორებს მივაკუთვნებდით საგანმანათლებლო სისტემასაც, რომელიც ადამიანის პიროვნული და კოლექტიური იდენტობების ფუნდამენტს ქმნის. საგანმანათლებლო სისტემები გარკვეულ ღირებულებით კონცეფციებს ეფუძნებიან და ადამიანებში ფასეულობათა ჩამოყალიბებას უწყობენ ხელს. მათი ერთიანობისა და მსგავსების მიხედვით ინდივიდები საკუთარ „მე“-ს მიაკუთვნებენ ამა თუ იმ საზოგადოებასა და კულტურას. თუ გავითვალისწინებთ შუა საუკუნეების აფხაზეთში მძლავრი საგანმანათლებლო ცენტრების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ თვლიდა ამ ეპოქის აფხაზეთის საზოგადოება საკუთარ თავს ქართული კულტურული სივრცის ნაწილად. კულტურულ - ისტორიული იდენტობა და კოლექტიური ისტორიული მეხსიერება შენარჩუნებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაშლის, აფხაზეთში კავკასიის მთის მოსახლეობის ეტაპობრივი მოწოლისა და ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური გავლენის დამყარების შემდეგაც, როცა მკვეთრად შეიცვალა თანამედროვე აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ეთნოპოლიტიკური სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ სამთავროს სათავეში კვლავ შარვაშიძეთა ქართული ფეოდალური სახლი იდგა, XVII ს. მიწურულიდან აფხაზეთში ადგილობრივი ქრისტიანული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები - ბიჭვინთა, ლიხნი, მოქვი, ბედია, აფხაზვი, დრანდა და ა. შ., მოიშალა. აქაურობა ქრისტიანი მოსახლეობისა და სასულიერო პირებისგან თითქმის დაიცალა, შედეგად კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ფაქტობრივად ჩაკვდა. აფხაზეთი და განსაკუთრებით სამურზაყანო გვიანფეოდალურ ხანაშიც ინარჩუნებდა პოლიტიკურ და კულტურულ - ისტორიულ იდენტობას დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ კულტურისა და სულიერების განადგურებული კერები ვერ ჩაანაცვლა სხვა, ახალმა ცენტრებმა. ვერც ოსმალეთის იმპერიამ და, მით უფრო, მთის მოსახლეობის მიგრაციამ ვერ შეძლო შეექმნა ახალი ისტორიული ნარატივი, თუნდაც ლეგენდებისა და თქმულებების სახით, ვერ შეძლო შეექმნა სულიერი განვითარების ახალი საზრდო, რომელიც ხელს შეუწყობდა და ჩაანაცვლებდა ადრე არსებულ კოლექტიურ ისტორიულ მეხსიერებას, შეცვლიდა კულტურული იდენტობის ტრადიციულ ნიშნებს. ადგილობრივი წარჩინებული ფენა, შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, მარღანიები, მარშანიები, ჩქოტუები, ემხვარები და სხვა, მისდევდნენ საოჯახო განათლებას, ქართულად ეუფლენ

ბოდნენ მწიგნობრობას, სამეგრელო - გურია - იმერეთთან შენარჩუნებული ჰქონდათ გაძიძავებისა და მამამშობეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია. ეს კავშირები აისახა მატრიანეებში, ხელოვნების ძეგლებში, ფოლკლორში, ლეგენდებსა და თქმულებებში, ტრადიციულ ხალხურ ურთიერთობებში, ყოფასა და ურთიერთ-პატივისცემის ეტიკეტში.

ამის ერთ-ერთი, ნათელი დადასტურებაა, შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდი სოხუმთან ახლოს, რომლის ქართულ წარწერაში ბაგრატ მეფეა დასახელებული, მაგრამ მოსახლეობა საუკუნეების მანძილზე „თამარის ხიდს“ უწოდებდა. ცნობილი დამოკიდებულებაა - აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, თამარის სახე მითიურად არის გაიდევალებული და დაკავშირებულია ამქვეყნიურ ყველა სიკეთესთან, რომელიც საქართველოს ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში იქმნებოდა. ამის დასტურია უძველესი ქართული წარწერებით შემორჩენილი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, საკულტო ნაგებობები და ციხე-კოშკები, რომლებსაც მიუხედავად მრავალი ქარტახილებისა, სახელდება დღესაც არ შეცვლია. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა, ისტორიული მოვლენები, მაგალითად, აფხაზეთში ოსმალთა მძლავრობისას, ხუტუნია შარვაშიძის და მისი რაზმის თავგანწირვა 1757 წელს, ხრესილთან გამართულ ბრძოლაში, როცა ყველა ქართული სამეფო-სამთავრო ერთიანი სამხედრო ძალით გამოვიდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის (1752-1784) მხარდასაჭერად და კოლექტიური ისტორიული მეხსიერების მორიგი ფურცელი შექმნა.

XIX საუკუნეში, საქართველოს და მათ შორის, აფხაზეთის ისტორიაში ჩნდება ახალი პოლიტიკური კონცეპტი - კავკასიის არენაზე შემოდის ქრისტიანული, მაგრამ განსხვავებული კულტურის მატარებელი რუსეთის იმპერია, რომელიც აფხაზეთში XVII - XVIII საუკუნეებში მოშლილი ძველი საგანმანათლებლო ცენტრების ნაცვლად ქმნის ახალ სასწავლო ცენტრებს, არცთუ ახლობელი ფასეულობებითა და ღირებულებებით, მაგრამ ქრისტიანული ნარატივით. რუსეთის იმპერიამ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს ყველა მხარის ეტაპობრივი მიერთება/ოკუპაცია მოახდინა, მაგრამ კავკასიაში მის დამკვიდრებას ყველაზე ხანგრძლივი წინააღმდეგობა, სწორედ აფხაზეთის სამთავრომ გაუწია.

საქართველოს სხვა რეგიონებშიც მსგავსი ვითარება იყო - აწ, უკვე რუსეთის იმპერიის მიერ გაუქმებული ქართული საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრების, საერო და სასულიერო სკოლების ადგილზე, ბუნებრივია, იმპერია ქმნიდა მის დასაყრდენ სასკოლო სისტემას, რომლის მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის კოლექტიური ისტორიული მეხსიერების შეცვლა, კულტურული იდენტობის მოშლა, მორჩილი მოხელეებისა და მოქალაქეების აღზრდა უნდა ყოფილიყო. მიუხედავად აფხაზეთა ყველაზე ხანგრძლივი წინააღმდეგობებისა, რუსეთის იმპერიამ, ლამის ორსაუკუნოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ვაკუუ-

მის შევსება და აფხაზთა ისტორიული მეხსიერების ცვლილება - კულტურული იდენტობის მოშლა, გაცილებით მარტივად შეძლო, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ისტორიულ მხარეებში.

საგანმანათლებლო სისტემები და კულტურული იდენტობები ეფუძნება ერების კულტურული თვითმყოფადობის ფილოსოფიურ კონცეფციას. უცხო იდეოლოგიებთან ჭიდილში იმარჯვებდა ის, ვისაც გაცილებით მდგრადი, წარსულის გამოცდილებით გაჯერებული, ნაცადი და მებრძოლი კულტურული თვითმყოფადობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა და ქართველთა საერთო კულტურული იდენტობის ფესვები საუკუნეებს ითვლიდა, კულტურული ექსპანსიის პირობებში, ეს ერთობა შეირყა და მას საგანმანათლებლო სისტემებში მომხდარი ცვლილებები დაედო საფუძვლად.

ეტაპობრივად, ცალ-ცალკე გაუქმებულ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის აფხაზეთი კულტურული ექსპანსიისთვის, განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა. ამას ხელს უწყობდა XVII საუკუნის 70-80- იანი წლებიდან დაწყებული პოლიტიკური და კულტურულ - ისტორიული პროცესის შედეგად გაჩენილი გარკვეული ვაკუუმი განათლების, კულტურის, ეროვნული იდენტობის, საერთო ისტორიული წარსულის გააზრებაში.

აფხაზეთში რუსეთის იმპერიის ეტაპობრივი დამკვიდრების შემდეგ, განსაკუთრებით მუჰაჯირობით დათრგუნულ საზოგადოებაში, ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმპერიის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო სისტემისა და იდეოლოგიური კონცეფციის საფუძველზე შეცვლილიყო ისტორიული და კულტურული იდენტობის სიმბოლოები და საფუძველი ჩაყროდა რუსეთის იმპერიის დასაყრდენი საზოგადოებრივი ფენის ჩამოყალიბებას. საბოლოოდ, კოლექტიური ისტორიული მეხსიერების ცვლილებას და კულტურული იდენტობის კორელაციას რუსეთის იმპერიამ და საბჭოთა კავშირმა ერთ საუკუნეზე მეტი დრო მოანდომა.

ეს პროცესი XIX საუკუნის II ნახევრიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა, რაც ქართული საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა. ამან განაპირობა, ქართველთა მოძრაობა მთელი XIX -XX საუკუნეების მანძილზე, აფხაზთა კულტურული იდენტობის შენარჩუნებისათვის. თითქოს შეუმჩნეველი პროცესი, კარგად იგრძნობა რუსი მოხელეების, გენერლების, ისტორიკოსების, მოგზაურების ჩანაწერებში, ეს ჩანს ქართველი მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, სასულიერო პირების, სამხედრო მოსამსახურეების და მეცნატების საქმიანობაში, წერილებსა და მოგონებებში, საგაზეთო პუბლიკაციებში. პროცესი იყო ზოგჯერ ღია, ზოგჯერ ფარული, მაგრამ ბრძოლა იყო უთანასწორო - ერთი მხრივ, იდგა იმპერია თავისი ძლევამოსილების პიკზე, მკაცრად კონტროლირებადი ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრუქტურებით, რკინისებური დისციპლინითა და

იდეოლოგიით, მეორე მხრივ, იყო საქართველო, რომელიც თავად იყო ამ იმპერიის მარწუხებში და ფიზიკური გადარჩენის სანაცვლოდ, კულტურული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემის წინაშე იდგა. მიუხედავად ამისა, თუ გადავხედავთ და გავანალიზებთ XIX –XX სს. ისტორიულ დოკუმენტებს, პრესის მასალებს, მოგონებებსა და სხვა წყაროებს - ეს უჩინარი და უთანასწორო დიდი ყველგან იგრძნობა. ძირითადი საბრძოლა არენა ორი მსხვილი დარგობრივი სფერო - განათლება და კულტურა იყო. ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის ხანგრძლივი და ამორფული ვაკუუმი, რომელიც XVII - XVIII საუკუნეებმა მოიტანა, უნდა შევსებულიყო, ამას ბევრი განათლებული ქართველი და აფხაზი ხედავდა და ცდილობდა ხელი შეეწყო მისი ბუნებრივი ისტორიული განვითარებისთვის.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი აზრი, აფხაზეთს დანარჩენ ქართულ მხარეებთან ერთად - „ერთობილ საქართველოს“ ნაწილად განიხილავდა. მაგრამ დაიწყო ახალი ეპოქა, ცვლილებების ხანა, როცა კოლექტიური მეხსიერების ნარატივის სხვა ქვეყანა ქმნიდა ჩვენთვისაც და აფხაზეთისთვისაც. ახალი ეპოქის დაწყება ძველის განადგურებასაც გულისხმობს, სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი იდენტობის სიმბოლური ტრანსფორმაცია. ისტორიული არაგანგრძობითობის შეგრძნების გასამძაფრებლად საჭირო ხდება წარსულთან დამაკავშირებელი ხიდების განადგურება¹. ამ ხიდების ნგრევა იწყება ახალი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებით, რომელიც ახალი კოლექტიური მეხსიერებისა და იდენტობის შესაქმნელად, ახალ ისტორიულ ნარატივს ქმნის. ამ გამოწვევას, ძირითადად, ილიას გუნდმა და მისმა მიმდევარმა ქართველებმა და აფხაზეთმა² უპასუხეს, რაც კარგად არის ასახული მათ წერილობით მემკვიდრეობასა და პრაქტიკულ საქმიანობაში, ასახულია იმდროინდელი პრესის, განსაკუთრებით „ივერიის“ ფურცლებზე, რომელიც ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე სანდო და რეალურ ისტორიულ ანარეკლს წარმოგვიდგენს.

დაპყრობილი ხალხების კოლექტიური ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობის შეცვლა, არ არის მხოლოდ რუსეთის იმპერიის დამახასიათებელი ნიშანი. იმპერიული ბუნების ყველა სახელმწიფო დამორჩილებულ ქვეყნებში გარდაქმნებს საგანმანათლებლო სისტემის ფუნდამენტალური ცვლილებებით იწყებს, ქმნის ახალ იდეოლოგიურ ნარატივს, რომლითაც ცვლის წარსულის შესახებ საერთო შეხედულებებსა და ფასეულობებს, შლის იდენტობის

¹Eviatar Zerubavel, Time Maps. Collective Memory and the Social Shape of the Past, The University of Chicago, 2003, გვ. 89-90 <http://kulturriskvleebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/eviatar-zerubavel-time-maps-collective-memory-and-the-social-shape-of-the-past-2003-university-of-chicago-press.pdf>

² ამ მოღვაწეთა შორის უნდა დავასახელოთ იაკობ გოგებაშვილი, გიორგი შარვაშიძე, პეტრე ჭარაია, თედო სახოკია, ალექსანდრე შარვაშიძე, ივანე გეგია და მრავალი სხვა.

ძირითად მარკერებს, რაც ეხმარება მიაღწიოს დასახულ მიზანს - აღზარდოს იმპერიის საჭიროებებზე ორიენტირებული, ერთგული, უფრო მეტიც, ზოგჯერ აგრესიულად მორჩილი ადამიანი. კულტურული ექსპანსიის შედეგები, პირველ რიგში აისახება დამორჩილებულ ერებში ფასეულობათა, ღირებულებათა გადაფასებასა და კულტურულ იდენტობათა ცვლილებებში. ეს იმპერიის ბუნებაა და ვერ იქნება მხოლოდ რუსული მოვლენა. სხვებისგან განსხვავებით, რუსეთის იმპერიამ მორჩილების ეს ეფექტური საშუალება ქრისტიან ქართველებსა და აფხაზებთან ერთმორწმუნოებით, ხოლო მუსლიმ აფხაზებსა და ქართველებთან ხისტი პოლიტიკის საფუძველზე განახორციელა. სწორედ, ამ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ვსაუბრობთ აფხაზთა კოლექტიური კულტურული იდენტობის ცვლილების შესახებ. XVII-XVIII საუკუნეების აფხაზეთში დანგრეული და გაჩანაგებული ძველი ქართული საგანმანათლებლო ცენტრების ჩანაცვლებას ვერ ახდენს ვერცერთი სხვა სისტემა და იდეოლოგია, გარდა რუსულისა, რომელმაც ლამის ორი საუკუნე გაატარა აფხაზთა ტრადიციულ ღირებულებებთან და იდენტობებთან ჭიდილში.

მონოგრაფიულ კვლევაში თვალი გავადევნეთ ორი საუკუნის მანძილზე აფხაზეთში მიმდინარე კულტურულ - საგანმანათლებლო პროცესს, რომელმაც ჯერ XX საუკუნის II ნახევრის კულტურულ დიფუზიას, ხოლო შემდეგ აფხაზური საზოგადოების კულტურულ - ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტას, კოლექტიური ისტორიული მეხსიერებისა და კულტურული იდენტობისა ცვლილებას შეუწყო ხელი. ამ პროცესს ეტაპობრივად კვებავდა და დღემდე ხელს უწყობს რუსული ისტორიული ნარატივი წახალისებული მითოლოგიზირებული წარსულით, რომელიც თანამედროვე აფხაზური კულტურული იდენტობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა. არც ეს არის ექსპანსიის ახალი მეთოდი, არც რუსული - იგი ნაცადი იმპერიული მეთოდია, კარგად შეფუთული და გამოყენებული ჩვენს ისტორიულ კონტექსტში.

თავი I . XIX-XX სს. აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის

XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხების შესწავლა ეფუძნება ეპოქის მრავალრიცხოვან საარქივო, დოკუმენტურ, ნარატიულ, პრესისა და სხვა სახის საისტორიო წყაროებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია და შემოტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში, ნაწილი პირველად ექცევა აკადემიური კვლევის ინტერესებში. აღნიშნული წყაროების ციკლური შესწავლა, მრავალი საგულისხმო დასკვნების საფუძველს იძლევა. კვლევის პროცესში გავეცანით სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ სხვადასხვა შეხედულებებს, დაკვირვებებს, დებულებებსა და ჰიპოთეზებს, რომელთა ჭეშმარიტების დადგენა ცდება ჩვენი კვლევის საგანს. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ყურადღებას იქცევს ფაქტოლოგიური მასალის სიუხვით, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ცალკეული ეპოქების საზოგადოებრივი აზროვნების, ისტორიული მეხსიერების, კულტურული იდენტობისა და განათლებისა და კულტურის პოლიტიკის ისტორიის გააზრებაში.

საკითხის წყაროთმცოდნეობითი ბაზა ეფუძნება საარქივო დოკუმენტებს, ქართულ და უცხოენოვან პრესას, ბიოგრაფიულ და ეპისტოლარულ მასალებს, მოგზაურთა და მოხელეთა ჩანაწერებს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია, მათ შორის *ადოლფ ბერჟეს* ცნობილ გამოცემაში: *Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею*, სხვადასხვა სამართლებრივ და დოკუმენტურ კრებულებში, დადგენილებათა მასალებსა და პუბლიკაციებში.³

³ Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. I-XII. Тифлис, 1866 – 1904; **ირაკლი ანთელავა, გიორგი ძიძარია**, მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისთვის, საისტორიო მოამბე, N 7, 1953 გვ. 229-308; **შალვა ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისთვის, საისტორიო მოამბე, N 15-16, 1963, გვ. 129- 263; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი - 14 სექტემბერი), გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა **ნინო შიოლაშვილმა** და **ირინა არაბიძემ**, თბილისი 2016; ქართული პერიოდული პრესის მასალები მასალები 1900-1921 წლებში (აფხაზეთი-რელიგია, განათლება, კულტურა) შემდგენელ რედაქტორი **ირაკლი გელენავა**, თბილისი. 2014. Документы по истории Абхазии XIX –начало XX века, Над изданием работали: **Георгий Анчабадзе, Марина Пагава, Ия Туташвили**, Тбилиси, 2018; ცალკე აღნიშვნის ღირსია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ჯემალ გამახარია**ს პუბლიკაციები ქართველ სასულიერო პირთა აფხაზეთში მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც ფაქტობრივად ისტორიული დოკუმენტების კრებულებია. თითოეული მათგანი შესაბამისი საკითხის განხილვისას იქნება დამოწმებული. იგივე შეიძლება ითქვას **ჯემალ გამახარია**ს და **ბადრი გოგია**ს დო-

საოცრად მრავალფეროვან ცნობებს იძლევა ქართული პრესის მასალები, XIX და XX საუკუნის დამდეგის აფხაზეთის ცხოვრების შესახებ ვერსად ვერ ვიპოვით ისეთ მრავალფეროვან და მდიდარ ინფორმაციას, როგორც მაშინდელი საქართველოს გაზეთების ფურცლებზე. ამ დროს აფხაზეთში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული საგაზეთო კულტურა და რეგიონის კულტურულ - ისტორიულ მოვლენებს „ივერია“, „დროება“, მწყემსი“, „კვალი“, „სახალხო გაზეთი“, „ცნობის ფურცელი“, თბილისში გამომავალი რუსულენოვანი „Кавказ“-ი და სხვა ქართული გაზეთები ამუქებდნენ. კორესპონდენციების ავტორები, ამბის თვითმხილველი ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეები ან უბრალო ადამიანები იყვნენ, რომლებიც ადგილზე იცნობდნენ ვითარებას და აღწერდნენ რეალურ ისტორიულ ფაქტებს. კორესპონდენტთა შორისაა ისეთი ცნობილი ისტორიული პირები, როგორცაა პეტრე ჭარია, დავით მაჭავარიანი, კონსტანტინე მაჭავარიანი, ანთიმოზ ჯუღელი, გ. მაჭავარიანი, თედო სახოკია, მიხეილ ლოლუა და სხვები. გვაქვს ფსევდონიმებით გამოქვეყნებული წერილები, რომელთა შორის ცნობების სიმრავლით გამოირჩევა „სამურზაყანოელი მისიონერი“ და სსვ. მოკლე კორესპონდენციების უმრავლესობაზე სახელი და გვარი არ არის მითითებული, მიუხედავად ამისა, ისინი პირველხარისხოვანი წყაროა ეპოქის რეალური ისტორიული სურათის აღდგენისას.

კორესპონდენციებში კარგადაა წარმოდგენილი აფხაზეთის მაშინდელი ყოფა - ცხოვრება, ქალაქებსა და სოფლებში მიმდინარე ამბები, პირველი სამეცნიერო ინტერესები აფხაზეთის ბუნების, ფლორის, ფაუნის, კლიმატური პირობების, კულტურის ძეგლებისა და ისტორიისადმი. ასახულია ვაჭრობის, ყიდვა-გაყიდვის, მეურნეობის დარგების განვითარების, მოსავლისა და მოუსავლიანობის, თვით ამინდის მდგომარეობაც კი. ვხვდებით ინფორმაციას რეგიონის სოციალური ფენების ცხოვრების, წარჩინებული და დაბალი წარმომავლობის ადამიანთა ყოფის, ახალი ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საკუთრივ აფხაზეთა ყოფა - ცხოვრებას, მათ ეკონომიკურ მდგომარეობას, ჩვეულებებსა და ტრადიციებს. პირველად სწორედ ამ გაზეთებში ქვეყნდება აფხაზური ანდაზები, ფოლკლორული მასალა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. უფრო მეტიც, ზოგიერთი კორესპონდენცია დეტალურად აღწერს აფხაზური სოფლის ყოფით ფაქტებს. ბუნებრივია, გასაკვირი არაა, რომ ამ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ინფორმაციაში ვხვდებით მაშინდელი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ცხოვრებაში მიმდინარე ამბებს, განათლების ხელმისაწვდომობისა და კულტურული ცხოვრებისადმი ინტერესების ნელ-ნელა და

კუმენტების კრებულზე, რომელიც 1997 წელს გამოქვეყნებული **Джемал Гамахария, Бадри Гогия.** Абхазия Историческая область Грузии (Историография документы и материалы комертарии) с древнейших времен до 30-х годов XX века Тбилиси 1997.

ეტაპობრივ ზრდას. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული პრესა, გაზეთ „Кавказ“- თან ერთად, აფხაზეთის ისტორიის მდიდარ და მრავალფეროვან მოზაიკურ სურათს ქმნის. ეს ფაქტი, ზრდის XIX_XX სს. მიჯნის ქართული პრესის, როგორც პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობას მოცემული ეპოქის აფხაზეთის ისტორიული სურათის რეკონსტრუქციის დროს.

XIX-XX საუკუნეების საქართველოს, განსაკუთრებით აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაკვირვება ცხადყოფს საკვლევი საკითხის აქტუალობას. ამ პრობლემებს სხვადასხვა დროს როგორც ისტორიკოსები, ასევე განათლების ისტორიის სპეციალისტები იკვლევდნენ. ცალკეულ საკითხებზე არსებობს რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი, სამეცნიერო სტატია და პუბლიცისტური წერილი, მაგრამ ერთიან კონცეპტუალურ ხედვაზე აგებული მონოგრაფიული კვლევა არ გვაქვს. თავის დროზე, საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მოახერხა ამ სფეროში მკვეთრად იდეოლოგიზირებული ხასიათის საბჭოთა ნარატივის შექმნა, რომელიც კონკრეტულ თემებს განიხილავს და მარქსიზმ - ლენინიზმის პრინციპებს ეფუძნება. მართალია, ეს ნაშრომები მდიდარი ფაქტოლოგიური მასალითაა წარმოდგენილი, მაგრამ საისტორიო აზროვნების განვითარების ამ ეტაპზე, მათ ვალიდურობაზე საუბარი რთულია. აღნიშნულ პრობლემას ვერც წინამდებარე მონოგრაფია გადაწყვეტს - ეს უფრო ფართო და ინტერდისციპლინარული კვლევის საგანია, რაც მრავალი დარგის სპეციალისტის ჩართულობას მოითხოვს. ჩვენი მიზანია თვალი გავადევნოთ XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიაში მომხდარ ძირითად ისტორიულ მოვლენებს, ეპოქებისა და რეჟიმების ცვლილების ფონზე ავსახოთ ამ ორი დარგის განვითარებაში მიმდინარე პროცესები, რომლებმაც ხელი შეუწყო თანამედროვე აფხაზეთში კულტურულ-ისტორიული იდენტობის ცვლილებას. მონოგრაფიაში საკითხის დასმის წესით, წამოწეულია მრავალი თემა, რომელთა სიღრმისეული კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

ჩვენს მიერ შესწავლილი საისტორიო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა სასკოლო განათლების სისტემის, სასულიერო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო კურსების ჩამოყალიბებას, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებასა და აფხაზეთში ინტელიგენციის ფორმირებას ეხება. როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურის უმრავლესობა, საბჭოთა წლებშია გამოქვეყნებული და ამ ნაშრომთა თეორიული ჩარჩო მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ეფუძნება. ბუნებრივია, მათში ეპოქის კვალი და იდეოლოგიური განწყობა ძალუმად იგრძნობა, მიუხედავად ამისა, აქ თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა ობიექტური ანალიზის საფუძველს გვაძლევს.

XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის მკვლევართაგან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თვალსაჩინო აფხაზი ისტორიკოსის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გიორგი ძიძარიას *დამსახურება*.⁴

გიორგი ძიძარია ფართო პროფილის მეცნიერი იყო, მისი შრომები მთლიან-

⁴ **გიორგი ძიძარია** (1914-1988) - აფხაზი ისტორიკოსი, მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა 1914 წლის 23 აპრილს ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილში, სოფელ ლიხნში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლობდა მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, პარალელურად, 1936-1938 წლებში ისტორიას ასწავლიდა მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1939 წელს, დაბრუნდა აფხაზეთში და სამეცნიერო - კვლევით საქმიანობას ეწეოდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა კათედრის მასწავლებლიდან ინსტიტუტის რექტორობამდე. 1957 -1966 წლებში იყო ამ ინსტიტუტის რექტორი და სსრკ ისტორიის კათედრის პროფესორი. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის შემდეგ, 1979-1988 წლებში კითხულობდა ლექციებს აფხაზეთის XIX-XX საუკუნეების ისტორიის სასწავლო კურსში, ხელმძღვანელობდა ამ უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრას. 1953-57 წლებში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობასთან ერთად იყო აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (შემდეგში დ. გულიას სახელობის აფხაზეთის, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, ახლა დ. გულიას სახელობის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი-ლ.ა.) დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ხოლო 1966-1988 წლებში ამ ინსტიტუტის დირექტორი. 1946 წელს გიორგი ძიძარიამ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო 1958 წელს - სადოქტორო დისერტაცია, 1960 წელს მიენიჭა პროფესორის აკადემიური წოდება, 1974 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. გიორგი ძიძარია იდგა აფხაზური ისტორიული სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების სათავეებთან, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ისტორიოგრაფიული ტრადიციის, პროფესიონალი ეროვნული მეცნიერ-ისტორიკოსებისა და წყაროთმცოდნეობითი ბაზის არარსებობის პირობებში. გიორგი ძიძარიას 1979 წელს მონოგრაფიისთვის „მუჰაჯირობა და აფხაზეთის XIX საუკუნის ისტორიის პრობლემები“ მიენიჭა საქართველოს სსრ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის) სახელმწიფო პრემია. 1980 წელს მონოგრაფიული კვლევისთვის „რევოლუციამდელი აფხაზური ინტელიგენციის ფორმირება“ დაჯილდოვდა დიმიტრი გულის სახელობის აფხაზეთის ასსრ (აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) სახელმწიფო პრემიით. მისი თაოსნობით მომზადდა და გამოქვეყნდა „ნარკვევები აფხაზეთის ასსრ ისტორიის შესახებ“ (სოხუმი, 1960, 1964). ეს არის პირველი განზოგადებული კვლევა აფხაზეთის ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან მეოცე საუკუნის შუა ხანებამდე. გიორგი ძიძარია არის თანაავტორი წიგნისა „აფხაზეთის ისტორია“ (სოხუმი, 1986), რომელიც არის პირველი სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. გიორგი ძიძარიას ბიოგრაფია ეფუძნება ცნობილი აფხაზი ისტორიკოსის **არველოდ კუპრავას** მონოგრაფიებს: **А. Э. Куправа, Б. Е. Сагария**. Дзидзария Г. А. Сухуми, 1984; **А. Э. Куправа**. Георгий Алексеевич Дзидзария. Сухум, 2006; **А. Э. Куправа**. Георгий Алексеевич Дзидзария. (К 100-летию со дня рождения). Сухум, 2014; ასევე გამოცემას: Абхазский биографический словарь, Под. ред. **В. Ш. Авидзба**. Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа АН Абхазии. Москва – Сухум, 2015. გვ. 303 – 304.

ნად მშობლიური მხარის პოლიტიკის, კულტურისა და განათლების ისტორიას ეხება. ავტორი იკვლევდა აფხაზეთის ისტორიის ისეთ მტკივნეულ თემებს, როგორცაა „მუჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“ (1982), „აფხაზეთის რუსეთთან შეერთება და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ (1960), „1866 წლის აჯანყება აფხაზეთში“ (1955), „დეკაბრისტები აფხაზეთში“ (1970), „ლიხნი: ნარკვევი სოფლის რევოლუციამდელ წარსულზე“ (1986), „სახალხო ეკონომიკა და სოციალური ურთიერთობები XX საუკუნის აფხაზეთში (1870 წლის გლეხთა რეფორმამდე)“, „1910-1921 წლების აფხაზეთის ისტორია“ (1963)⁵ და მრავალი სხვა. საბჭოთა რეჟიმის ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია, გიორგი ძიძარია ბოლშევიზმის იდეოლოგიურ კონცეპტებს გვერდს ვერ აუვლიდა. მიუხედავად ამისა, მისი კვლევები მეტწილად წყაროების ობიექტურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ეყრდნობა და ძვირფასი შენამენია საქართველოს ისტორიისთვის. გიორგი ძიძარიას შრომები აფხაზი ხალხის ტრაგიკული ისტორიის ერთი დიდი თავგადასავალია, ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ნაშრომი „მუჰაჯირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, რომელშიც ავტორმა ობიექტურად და შეულამაზებლად აღწერა ის დიდი ტრაგედია, რომელიც რუსეთის იმპერიის მიერ დაატყდა თავს აფხაზ და არამარტო აფხაზ ხალხს.

გიორგი ძიძარიამ მრავალფეროვან დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული ვრცელი მონოგრაფიული კვლევა მიუძღვნა რუსი ოფიცრის, დიპლომატისა და მწერლის ბარონ ფიოდორ ტორნაუს ნაშრომის – „კავკასიელი ოფიცრის მოგონებები“- წყაროთმცოდნეობით კვლევას, რომელიც 1976 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა სათაურით: „ფ. ფ. ტორნაუ და მისი XIX საუკუნის კავკასიური მასალები“⁶. ტორნაუს წიგნში დაცულია მრავალრიცხოვანი მასალა დასავლეთ კავკასიის ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიის, ყოფისა და ტრადიციების შესახებ⁷. ნაწილი მასალებისა მან ხელნაწერის სახით დატოვა, რომელთა ანალიზი და შეფასება წარმოდგენილია გიორგი ძიძარიას ნაშრომში. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, ტორნაუს ლიტერატურულ, სამხედრო, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობაზე, იმ მრავალრიცხოვან მასალაზე დასავლეთ კავკასიის ისტორიის შესახებ, რომელიც ეთნოგრაფიის, ისტორიული გეოგრაფიისა და პოლიტიკური ისტო-

⁵ **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухум, „Алашара“, 1982; **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России и его историческое значение, Сухуми, 1960; **Г. А. Дзидзария.** Восстание 1866 года в Абхазии. Сухуми, Абгосиздат, 1955; **Г. А. Дзидзария.** Декабристы в Абхазии, Сухуми, Алашара, 1970; **Г. А. Дзидзария.** Лыхны Очерк дореволюционного прошлого села, Сухуми: Алашара, 1986; **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX веке (До крестьянской реформы 1870 г.) Сухуми, Абгосиздат, 1958; **Г. А. Дзидзария.** Очерки истории Абхазии. 1910 - 1921. Государственное издательство «Сабчота Сакартвело» Тбилиси -1963;

⁶ **Г. А. Дзидзария.** Ф. Ф. Торнау и его кавказские материалы XIX века, Главная редакция восточной литературы издательства „Наука“, Москва. 1976.

⁷ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания кавказского офицера. Москва – «АИРО–XXI» - 2008;

რის საკითხებს ეხება. გიორგი ძიძარას აზრით, ფ. ტორნაუ ფართო სურათს იძლევა XIX საუკუნის პირველი მესამედის დასავლეთ კავკასიის ხალხების ცხოვრების შესახებ და მოცემული ეპოქის ამსახველი სხვა სანდო მასალების არარსებობის პირობებში, ეს ცნობები პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროა XIX საუკუნის პირველი მესამედში კავკასიელთა ეთნოგრაფიული ყოფისა და პოლიტიკური ცხოვრების შესასწავლად.

ჩვენთვის საინტერესო თემას მკვლევარმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის მრავალრიცხოვან დოკუმენტურ და საარქივო მასალებს ეფუძნება მონოგრაფია „რევოლუციამდელი აფხაზური ინტელიგენციის ფორმირება“⁸. მართალია, ნაშრომი კონკრეტულად აფხაზური ინტელიგენციის ჩამოყალიბების ისტორიას ასახავს და არ ჩანს ადგილობრივი ქართველი მოღვაწეების როლი აფხაზეთში განათლებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების განვითარების საქმეში, მაგრამ ნაშრომი მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავს ქართველთა მხრიდან აფხაზი ერისადმი გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომის შესახებ. წიგნში ცალკე თავები ეძღვნება აფხაზეთის რუსეთთან შეერთების საკითხს, აფხაზური ინტელიგენციის ფორმირებას XIX საუკუნის მიწურულს და აფხაზური ინტელიგენციის მოღვაწეობის ისტორიას რუსეთის ორ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას შორის. ბუნებრივია, ვერც ეს მონოგრაფია აცდა საბჭოთა ეპოქის თეორიულ იდეოლოგიურ ჩარჩოს, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით წარმოდგენილი ფაქტოლოგიური მასალაა, რომელიც ობიექტური ანალიზის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მონოგრაფია კონკრეტული ჩასწორებებით 2014 წელს გიორგი ძიძარას „შრომების“ პირველ ტომში გამოქვეყნდა.⁹

აფხაზეთში სამეცნიერო კადრების აღზრდისა და სამეცნიერო კვლევა-ძიების მოკლე ისტორიას ეხება ცალკე მონოგრაფია - „მეცნიერების აყვავება“.¹⁰ ეპოქის იდეოლოგიური კონცეპტებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, გიორგი ძიძარიამ აქაც გვერდი ვერ აუარა ეპოქისთვის დამახასიათებელ საბჭოურ ნარატივს, მაგრამ ეს ნაშრომიც საისტორიო წყაროების მრავალფეროვან ბაზას ეყრდნობა და გამოირჩევა მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის გამოყენებით. აფხაზეთში მეცნიერული აზროვნების განვითარების საქმეში, ავტორი ხაზს უსვამს იმ მხარდაჭერას, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის კვლევითი დაწესებულებები იღებდნენ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებიდან და საქართველოს

⁸ **Г. А. Дзидзария.** Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, Издательство „Алашара“. Сухуми, 1979;

⁹ **Г. А. Дзидзария.** Развитие культуры и просвещения, Труды, I Том, Научный редактор: Салакая С. Ш. Сухум: АБИГИ, 2014, გვ. 396 - 426;

¹⁰ **Г. А. Дзидзария.** Расцвет науки. – Абхазская АССР в братской семье советских народов. Сухуми: издательство «Алашара», 1972.

მეცნიერებათა აკადემიიდან. ავტორის ღრმა რწმენით, აფხაზეთმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში საწარმოო ძალების ძლიერი აღმავლობა, უპრეცედენტო სოციალური და პოლიტიკური პროგრესი და ხალხის სულიერი ცხოვრების აყვავება განიცადა. გიორგი ძიძარია იზიარებდა, რომ საბჭოთა კავშირში, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან, დაიწყო „კულტურული რევოლუცია“, შედეგად მთლიანად აღმოიფხვრა საბჭოთა კავშირის ხალხთა ჩამორჩენილობა, რომელთაგან ბევრი განწირული იყო გადაშენებისთვის. ამის ნათელ მაგალითად მიაჩნდა აფხაზი ხალხი, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, მიაღწია ეკონომიკურ აღმავლობას და განვითარებულ ეროვნულ კულტურას. ამ ეპოქის აფხაზეთის ასსრ-ს ერთ-ერთ გამორჩეულ მიღწევად გიორგი ძიძარიას „მეცნიერული აზრის ნამდვილი აყვავება“ მიაჩნდა. ავტორის მონაცემებით, 1972 წლისთვის აფხაზეთის ასსრ-ში 17 სამეცნიერო დაწესებულება იყო და კვლევით ორგანიზაციებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 800-ზე მეტი მეცნიერი იყო დასაქმებული. მათ შორის 42 დოქტორი და 373 მეცნიერებათა კანდიდატი მუშაობდა ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა პრობლემა-ზე. საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება 1972 წლისთვის უკვე 30 აფხაზეთელს ჰქონდა მიანიჭებული¹¹. აფხაზეთის მეცნიერთა დიდი მიღწევების დასტურად, გიორგი ძიძარიას მოჰყავს მათი ნაშრომების გამოქვეყნება არა მხოლოდ სოხუმში, არამედ თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადსა (ახლა სანქტ პეტერბურგი) და ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებში, მათი მონაწილეობა სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში, მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფორუმებსა და საკოორდინაციო და პრობლემურ საბჭოებში და ა.შ.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზი ეროვნების იმ მკვლევრების საქმიანობას, რომლებმაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში. მათ შორისაა მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: *ზურაბ ანჩაბაძე, სოკრატ არშბა, შალვა ინალ-იფა, იური ქირთბაია*; ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები *კონსტანტინე შაკრილი, ხუხუტი ბლაჟბა, ლილია ჭკადუა*; ისტორიკოსი *ანტონინა ხაშბა*, არქეოლოგი *მიხეილ ტრაპში*, ეთნოგრაფი *ივანე აგინჯალი* და სხვა. ავტორს არ დავიწყებია ქართველი მეცნიერები, აკადემიკოსები *სიმონ ჯანაშია* და *ილია ვეკუა*. ასევე არ ივიწყებს აფხაზეთში მეცნიერების განვითარებაში *ნიკო მარის* ღვაწლს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების პროფესორების *ანატოლი ფადეევის, ირაკლი ანთელავას* და სხვათა დამსახურებას. ნაშრომში, აღიარებულია 1972 წლისთვის, აფხაზეთში მო-

¹¹ Г. А. Дзидзария. Расцвет науки. Абхазская АССР в братской семье советских народов. Сухуми: издательство «Алашара», 1972. იხილეთ ლინკზე: http://apsnyteka.org/1035-dzidzariya_rastsvet_nauki.html

ღვაწე მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მიღწევები. გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ალფრედ კოლაკოვსკის, ბორის ლაპინის, ფილიპე მამფორიას, ირაკლი ახალაიას, შოთა მისაბიშვილის, არველოდ კუპრავას, რაჩია დემირხანოვის, თორნიკე ყიფიანის, გ.ი. გოლეთიანის, ნ. ა. გიორგბერიძისა და სხვათა საქმიანობას

მიუხედავად არსებული მიღწევებისა, გიორგი ძიძარიას მიაჩნია, რომ მეცნიერების დაჩქარებული განვითარების აუცილებელი პირობა უნდა იყოს სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესება, მისი დაგეგმვა, ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერების სწორი განათლება, შემოქმედებითი ძიება და სამეცნიერო დისკუსიები, კვლევისთვის საჭირო მატერიალური, ტექნიკური და ექსპერიმენტული ბაზის გაუმჯობესება¹².

განათლებისა და მეცნიერების განვითარებას ეხება 2014 წელს, გიორგი ძიძარიას „შრომების“ პირველ ტომში გამოქვეყნებული ნაშრომი „კულტურისა და განათლების განვითარება“,¹³ რომელიც ავტორის გარდაცვალებიდან 26 წლის შემდეგ გამოქვეყნდა და მასში გაერთიანებულია, ავტორის ადრე გამოქვეყნებული შრომები, მათ შორის ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული პუბლიკაციები. დასანანია, რომ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ნაშრომებს ეტყობა რედაქტორის ხელი და თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისა და განწყობის კვალი. გარდა აღნიშნული კვლევებისა, განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხებს გიორგი ძიძარიამ რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა კრებულებში, ჟურნალებსა და გაზეთებში.

XIX საუკუნის აფხაზეთის სასკოლო განათლების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო ქართველი პედაგოგი და მასწავლებელი *ნიკოლოზ ვეკუა*¹⁴. მისი მონოგრაფია „*სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში (1851-1917 წწ)*“ ერთ-ერთი პირველი ნაშრომია, რომელშიც დოკუმენტურად არის ასახული აფხაზეთში საგანმანათლებლო სისტემის ინსტიტუციური განვითარების ისტორია. როგორც საბჭოთა ეპოქის კვლევების უმრავლესობას, ამ ნაშრომსაც თეორიულ საფუძვლად მარქსისტულ-ლენინური თეორია დაედო, თუმცა ავტორის მიერ მიკვლეული საკმაოდ მდიდარი ფაქტობრივი მასალა ახლებური განსჯის საფუძველს იძლევა.

¹² Г. А. Дзидзария. Расцвет науки. Абхазская АССР в братской семье советских народов. იხილეთ ლინკზე: http://apsnyteka.org/1035-dzidzariya_rastsvet_nauki.html

¹³ Г. А. Дзидзария. Развитие культуры и просвещения, Труды, I Том. გვ. 396 - 426;

¹⁴ *ნიკოლოზ ვეკუა* (1881-1967) - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე: წლების მანძილზე მუშაობდა სკოლის დირექტორის თანამდებობაზე, იყო განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორი, მას ეკუთვნის მეთოდური სახელმძღვანელოები რუსულისა და გეოგრაფიის სასკოლო საგნებში.

აფხაზეთში სახალხო განათლების პირველი დაწყებითი სასწავლებლები შესწავლილია *ნიკოლოზ ვეკუას წიგნში* „სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში (1851-1917 წწ.)“. მიუხედავად ნაშრომის საბჭოური ნარატივისა, ავტორი აფხაზური ინტელიგენციის პირველ თვალსაჩინო წარმომადგენლებად გიორგი შარვაშიძეს და დავით ჩქოტუას მიიჩნევს, მხოლოდ მათ შემდეგ აღიარებს დიმიტრი გულიას და ანდრია ჭოჭუას დამსახურებას.¹⁵

აფხაზეთში სასკოლო განათლების ისტორიის შესწავლა დაკავშირებულია აფხაზეთში ცნობილი პედაგოგისა და მეცნიერის *ალექსანდრ დუდკოს*¹⁶ სახელთან, რომლის შრომები: „რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან აფხაზეთში (1851-1917 წწ.)“ (1956) და „პედაგოგიური განათლების ისტორიიდან აფხაზეთში“ (1961)¹⁷ მდიდარია დოკუმენტური მასალებით, მაგრამ გაჯერებულია საბჭოთა იდეოლოგიური პროპაგანდით. მიუხედავად ამისა, ა. დუდკოს შრომებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს აფხაზეთში დაწყებითი სკოლების ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლის საქმეში. *ნიკოლოზ ვეკუას* მონოგრაფიასთან ერთად, ისინი აფხაზეთში სკოლის ინსტიტუციური ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ პირველი მონოგრაფიული კვლევებია, რომლებიც მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტურ წყაროებს ეყრდნობა. ეს წიგნები აფხაზეთში სკოლის ისტორიის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით ნამდვილი გზამკვლევებია. ორივე ავტორს დამუშავებული აქვს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ფონდები, ოსეთის სასულიერო კომისიის ოქმები და სხვა ისტორიული საბუთები, რომელთა ანალიზის საფუძველზე დაზუსტებული აქვთ აფხაზეთის სკოლებისა და მასწავლებლების რაოდენობა, კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინური თეორიული ჩარჩოს საფუძველზე გაანალიზებული აქვთ

¹⁵ **ნიკოლოზ ვეკუა**. სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში (1851-1917 წწ.), სოხუმი, 1959. გვ. 9.

¹⁶ **ალექსანდრე დუდკო** (1909 – 1965) პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1952), სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1955) აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი. ნიჟინის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის სახალხო განათლების სისტემაში სკოლის მასწავლებლად, შემდეგ პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებლად, დირექტორის მოადგილედ და აფხაზეთის ასსრ პედაგოგიური კაბინეტის დირექტორად. 1955 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგის კათედრაზე დოცენტად. მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო „ნარკვევები აფხაზეთის საჯარო განათლების ისტორიის შესახებ“. იყო 37-მდე სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის ავტორი. **А. М. Касландзия**, Дудко Александр Пименович, Абхазский биографический словарь, Под. ред. В. Ш. Авидзба, Москва – Сухум, 2015, гв. 313-314.

¹⁷ **А. П. Дудко**. Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), Издание Абгиза. Сухуми, 1956; **А. П. Дудко**. Из истории педагогического образования в Абхазии. Сухуми, 1961.

სასკოლო განათლების მდგომარეობა 1851-1917 წლებში.

ალექსანდრ დუდკოს პირველ მონოგრაფიაში, „რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან აფხაზეთში (1851-1917 წწ.)“, შესწავლილია მხოლოდ ორი ტიპის სკოლა: კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლები (1860-1885) და სამრევლო სკოლები (1884-1917), მაგრამ არ ეხება რუსეთის განათლების სამინისტროს ეგიდით დაარსებულ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით გახსნილ სკოლებსა და სახელობო სასწავლებლებს. ალექსანდრ დუდკოს და ნიკოლოზ ვეკუას მოსაზრებით, აფხაზეთში პირველი ოფიციალური სკოლა ოქტომბერში, 1851 წელს უნდა გახსნილიყო¹⁸. ეს მოსაზრება გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში, მაგრამ არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აფხაზეთში დაწყებითი სკოლების დაარსების ისტორიის შემდეგ, ალექსანდრ დუდკომ მეორე მონოგრაფია პედაგოგიური სასწავლებლების ჩამოყალიბების ისტორიას მიუძღვნა. პირველ რიგში, განხილული აქვს სოხუმის მასწავლებელთა სემინარიის შექმნის ისტორია, რომელშიც სათანადო ადგილი დაუთმო ქართველი მასწავლებლების აქტიურობას სასწავლებლის გახსნისა და განვითარების საქმეში. ამავე დროს, არ იცნობს ან გვერდს უვლის სემინარიის 1919-1921 წლების ისტორიას, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერის შედეგად სოხუმის სასწავლებელი გაძლიერდა და გაფართოვდა, გაიზარდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა კონტინგენტი. შესაბამისად, გაიზარდა სასწავლებლის ფინანსური მხარდაჭერა. სამწუხაროდ, სოხუმის სამასწავლებლო სემინარია საბჭოთა ხელისუფლებამ დახურა და მის ადგილზე, 1921 წელს, სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმი გახსნა, რომელმაც 1931 წლამდე იარსება, 1932-1941 წლებში მას აფხაზეთის პედაგოგიური ტექნიკუმი, ხოლო 1941-1960 წლებში აფხაზეთის პედაგოგიური სასწავლებელი ერქვა.

აფხაზეთში განათლების ისტორიის თემატიკას გვერდი ვერ აუარა აფხაზური ლიტერატურის პატრიარქმა დიმიტრი გულიამ¹⁹, რომლის ნაშრომი „მთიე-

¹⁸ А. П. Дудко. Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), გვ. 18-20.

¹⁹ დიმიტრი გულია (1874-1860) - აფხაზი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, აფხაზური ლიტერატურის პატრიარქი, თანამედროვე აფხაზური ანბანის ავტორი; დიმიტრი გულიას შემოქმედებაზე, ქვემოთ შედარებით ფართოდ გვექნება საუბარი, აქ მკითხველს მხოლოდ იმას შევასხენებთ, რომ დიმიტრი გულია, არამარტო აფხაზური ლიტერატურის პატრიარქია, არამედ მას აქვს ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის დაკვირვებები აფხაზეთზე. მაგ. „აფხაზეთის ისტორია“. ტომი I (1925), „ნადირობის ღვთაება და ნადირობის ენა აფხაზებში“ (1926), „თხის კულტი აფხაზებში“ (1928), „ჩემი წიგნის შესახებ „აფხაზეთის ისტორია“ (1951) და ა.შ. საგულისხმოა, რომ ბევრი საკითხი სამეცნიერო დაკვი-

ლთა სკოლის ისტორია“²⁰ მისი დაარსებისა და განვითარების მოკლე თავგადასავალზე, რუსეთის იმპერიის დროს არსებულ პრობლემებზე და სასწავლებლისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს. დიმიტრი გულიამ ერთ-ერთმა პირველმა უწოდა ამ სკოლას „აფხაზური სკოლა“, მაშინ, როცა სკოლა რეალურად რუსულენოვანი იყო და იმპერიული საგანმანათლებლო პოლიტიკის მნიშვნელოვან იდეოლოგიურ დასაყრდენს წარმოადგენდა აფხაზეთში.

მთიელთა სკოლის ისტორია შედარებით ფართოდაა განხილული ცნობილი აფხაზი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ბორის თარბას²¹ მცირე მონოგრაფიულ კვლევაში „სოხუმის აფხაზური სკოლის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით“²². ავტორი პირადი ემოციების ფონზე, ძირითადად, გადმოცემებისა და მისი თანამედროვეების მონათხრობის საფუძველზე ცდილობს ამ საგანმანათლებლო დაწესებულების დაარსების და ეტაპობრივი განვითარების ისტორიის აღდგენას. როგორც ბორის თარბა აღნიშნავს, აქ ცოდნა შეიძინეს აფხაზთა თაობებმა, ჩამოყალიბდა „აფხაზთა ხასიათი“ და „ამ სკოლის ბედი ყოველთვის დაკავშირებული იყო სამშობლოს და, კერძოდ, აფხაზი ხალხის ცხოვრებასთან“²³. ნა-შრო-

რებისა და შესწავლის ობიექტი, სწორედ დიმიტრი გულიას შემდეგ გახდა.

²⁰ Д. Гулия. История горской школы. Сочинения, т. IV. Сухуми. 1962.

²¹ ბორის თარბა (1927-1990) - გამოჩენილი აფხაზი მეცნიერი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული და საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ლიხნში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სწავლობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბომბორის საშუალო სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას. რსფსრ - ს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1960 წელს ბორის თარბა დაინიშნა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრად. პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტთან არის დაკავშირებული მისი კარიერული წინსვლა, სადაც გაიარა გზა მასწავლებლიდან, კათედრის გამგის, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის და ბოლოს ინსტიტუტის რექტორობამდე - 1965-1973 წლებში იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. 1973 წლიდან ხელმძღვანელობდა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას. მან შეიმუშავა დიდაქტიკური პრინციპი, რომელიც საფუძვლად დაედო, სასკოლო სახელმძღვანელოების, მათ შორის აფხაზეთში რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენას. ბორის თარბას ეკუთვნის გახმაურებული ნაშრომი „რუსული ენის შესწავლის თავისებურებების შესახებ აფხაზურ სკოლაში“. თარბას ნაშრომები იბეჭდებოდა თბილისსა და მოსკოვში, ერთი გამოქვეყნებულია ერევანშიც. ბორის თარბა არჩეული იყო აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. განსაკუთრებული და თბილი ურთიერთობები ჰქონდა ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

²² Б. Г. Тарба. К 100-летию Сухумской абхазской школы. Издательство „Алашара“. Сухуми, 1964. ითვლის 78 გვერდს.

²³ Б. Г. Тарба. К 100-летию Сухумской абхазской школы. გვ. 3.

მის დასაწყისში მოკლედ არის მოთხრობილი სოხუმის მთის სკოლის გახსნის ამბავი, აღწერილია ისტორიული დრო და სასწავლებლის დანიშნულება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების, სკოლის მატერიალური პირობებისა და სასწავლო პროცესის მდგომარეობა. ავტორი უჩივის წყაროების სიმცირეს, საარქივო მასალების ნაკლებობასა და ლიტერატურის არარსებობას, რადგან სკოლის არქივი რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს დაიწვა. შესაბამისად, იმ პერიოდის საარქივო მასალები არ იყო შემონახული და ავტორი იძულებლი გახდა ცოცხალი მოწმეების, ამ სკოლის კურსდამთავრებულებისა და მათი შთამომავლების მონათხრობით აღედგინა სკოლის ისტორია. აქედან გამომდინარე, ავტორის შეხედულებები ძირითადად, ზეპირ ისტორიებს ეფუძნება. აღნიშნული ნაშრომი მცირე შესწორებებითა და რედაქტირებით 1988 წელს მეორედ გამოქვეყნდა.²⁴ როგორც ჩანს, ავტორის მთავარი სამეცნიერო ამოცანა იყო დაესაბუთებინა „მთიელთა სკოლის“ როლი და მნიშვნელობა თანამედროვე აფხაზური სკოლის ჩამოყალიბებაში.

აფხაზური ეროვნული სკოლის განვითარების ისტორიას იკვლევდა ვალერი ყურასკუა²⁵ ნაშრომში „აფხაზური ნაციონალური სკოლა (1921-1958)“.²⁶ ავტორმა მკითხველს ფართო მონოგრაფიული კვლევა შესთავაზა საბჭოთა ეპოქის აფხაზური სკოლის ანუ თანამედროვე აფხაზური სკოლის ფორმირებისა და განვითარების ისტორიის შესახებ. როგორ და როდის გახდა შესაძლებელი მშობლიურ, აფხაზურ ენაზე სწავლების შემოღება სკოლებში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვალერი ყურასკუა უხვად იყენებს საბჭოთა პერიოდის საარქივო დოკუმენტებს, პრესას, ოფიციალური დაწესებულებების მასალებსა და საჯარო მოხელეების ჩა-

²⁴ **Б. Г. Тарба.** Кузница национальных кадров. Сухуми, „Алашара“, 1988. 87 გვერდზე.

²⁵ **ვალერი ყურასკუა** (1935-1999) - აფხაზი მეცნიერი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი 1973 წლიდან, 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური განყოფილება, მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, 1962-1965 წლებში სწავლობდა რსფსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და სამეცნიერო საქმიანობა ამ დარგში გააგრძელა. 1965 წლიდან იყო მასწავლებელი სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე, 1967-1976 წლებში იყო დაუსწრებელი განყოფილების დეკანის მოადგილე, 1978-1989 წლებში პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, 1989-1992 წლებში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, 1993-1999 წლებში-პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, 1993-1999 წლებში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. 1965 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „აფხაზური ეროვნული სკოლის ფორმირება და განვითარება საბჭოთა აფხაზეთში“ **А. М. Касландзия.** Кураскуа Валерий Борисович. Абхазский биографический словарь, Под. ред. В. Ш. Авидзба, Москва - Сухум, 2015. გვ. 441.

²⁶ **В. Б. Кураскуа.** Абхазская национальная школа (1921-1958), Абхазский государственный университет, Сухум, 2003.

ნაწერებსა და პუბლიკაციებს. ნაშრომი შედგება სამი თავის, შესავლის და რეცენზენტთა წინასიტყვაობისგან. ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება 1921- 1931 წლებში აფხაზეთში ეროვნული სკოლის ფორმირების და მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხებს. მეორე თავი მოგვითხრობს სავალდებულო დაწყებითი განათლების შემოღებასა და აფხაზური სკოლის განვითარებაზე 1931 - 1941 წლებში, აფხაზური სკოლისთვის სახელმძღვანელოების შექმნის სიძნელებზე და მასწავლებელთა კადრების მომზადების პრობლემებზე. ვ. ყურასკუა აფხაზური სკოლის ჩამოყალიბებას საბჭოთა ხელისუფლებას უმაძღვს და აცხადებს, რომ აფხაზეთის გასაბჭოებამდე (4.03.1921) არ არსებობდა აფხაზური ნაციონალური სკოლა და მისი ჩამოყალიბება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან არის დაკავშირებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დიმიტრი გულია და ბორის თარბა აფხაზური ნაციონალური სკოლის ჩამოყალიბებას „მთიელთა სკოლას“ უკავშირებენ.

მონოგრაფიაში, ავტორი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალური პოლიტიკას და ძალისხმევას აფხაზეთის სკოლებში აფხაზური ენის სწავლებისა და აფხაზური სექტორის განვითარების ხელშემწყობი ნაბიჯების შესახებ. ვალერი ყურასკუას აფხაზური სკოლის ყველაზე წარმატებულ პერიოდად 1921 წლის მომდევნო 15 წელიწადი მიაჩნდა, როდესაც, ავტორის აზრით, აფხაზურ სკოლებში მოხდა განათლებისა და აღზრდის პროცესის ორგანიზაცია - დაგეგმვა და განხორციელება. მონოგრაფიის მესამე თავი მთლიანად ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის დროს აფხაზური სკოლის მდგომარეობას: აფხაზური სკოლის ლიკვიდაციას, მისი აღდგენის სამართლებრივი ბაზის მომზადებასა და სკოლის რეანიმაციას 1958 წელს.

ვ. ყურასკუას მონოგრაფიაში სადავო დებულებად უნდა ჩაითვალოს მოსაზრებები აფხაზური სკოლის ფორმირების ქრონოლოგიის, ასევე მისი ლიკვიდაციისა და აღდგენის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ სიძნელებებსა და პრობლემებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში ზოგადად ნაციონალური სკოლის ჩამოყალიბებას ახლდა თან (სასწავლო გეგმების ფორმირება და გამართვა, დარგობრივი სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა, ცალკეულ საგნებისთვის დარგობრივი ლექსიკის ჩამოყალიბება ეროვნულ ენებზე, სასკოლო აკადემიური სტილის შემუშავება და მრავალი სხვა) ეს პრობლემები დღესაც არის აფხაზურ სკოლაში (და არამარტო აფხაზურ სკოლაში). განსაკუთრებით თვალშისაცემია მაღალი კლასების სხვადასხვა დარგის სასკოლო სახელმძღვანელოების უქონლობა, დარგობრივი ტერმინოლოგიის არარსებობა ისეთ საგნებში როგორცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, თვით ისტორიაც კი. ასეთ ვითარებაში აფხაზური სკოლის სრულყოფილ ფორმირებაზე საუბარი დღესაც სათუთაა. ეს მტკივნეული საკითხია, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, როცა

ვსაუბრობთ, აფხაზური სკოლის გაუქმებასა და აღდგენაზე, ლოგიკურად უნდა დავსვათ კითხვა - რა გაუქმდა? აფხაზური სკოლა თუ რუსული სკოლა? და რა აღდგა 1958 წელს? რეალურად ჩამოყალიბდა რუსული სასკოლო განათლების დანამატი, რომელსაც აფხაზურ სკოლას იმიტომ უწოდებდნენ, რომ I-IV კლასებში აფხაზურ ენაზე მხოლოდ აფხაზურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდნენ. ჩავეხედოთ „აღდგენილი სკოლის“ პირველი წლების სასკოლო პროგრამების ცალკეულ საგნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამები გაწერილი და დამტკიცებული იყო, სახელმძღვანელოების არარსებობის, ან მათი მეთოდური გაუმართაობის გამო, I-IV კლასში სწავლა, ფაქტობრივად, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მოგვიანებით, ვითარება შედარებით გამოსწორდა და აფხაზურ ენაზე დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები ეტაპობრივად, XX საუკუნის 70 - 80-იან წლებში შეიქმნა. მომდევნო წლებში, საგანი „აფხაზური ენა და ლიტერატურა“ აფხაზური სექტორის მაღალი კლასების სასწავლო გეგმებსაც დაემატა და ეს, ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯები იყო აფხაზური საგანმანათლებლო სექტორისა და აფხაზური ეროვნული სკოლის განვითარების ისტორიისთვის. ამ ტიპის „აფხაზური სკოლის“ ჩამოყალიბება, სადაც ყველა საგანი, გარდა აფხაზური ენისა და ლიტერატურისა, რუსულ ენაზე ისწავლებოდა აფხაზთა გარუსების პოლიტიკის ნაწილი იყო და, პირველ რიგში, მათი ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტას ემსახურებოდა.

აფხაზური სკოლის აღდგენის ერთ-ერთ მთავარ საკვანძო საკითხად *ვ. ყურასკუა* და აფხაზი მკვლევრების უმრავლესობა აფხაზური ანბანის ქართული საანბანო სისტემიდან რუსულ გრაფიკაზე გადასვლას განიხილავენ. ვფიქრობთ, ეს სწორი იქნებოდა თუ შეიქმნებოდა ორიგინალური აფხაზური საანბანო გრაფიკული სისტემა, მაგრამ ქართული გრაფიკის რუსულით ჩანაცვლება, როგორც შემდეგში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა გვიჩვენა, იმპერიის ინტერესებში უფრო შედიოდა. ჩვენი დაკვირვებით, 1958 წელს „აღდგენილი აფხაზური სკოლა“, შინაარსით იყო რუსული სკოლა, დაწყებით კლასებში აფხაზური ლიტერატურის სწავლებით. რეალურად, 1958 წლიდან შემოღებული იქნა სავალდებულო რუსული სასკოლო განათლება, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ აფხაზური სკოლა უწოდა. *იმპერიამ ასე მარტივად გაუკაფა გზა რუსულ ენასა და კულტურას აფხაზური მოსახლეობის ეროვნულ იდენტობაში და ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად აქცია ისინი ამ კულტურის ნაწილად.* მსგავსი პოლიტიკის განხორციელების მცდელობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყო, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დასრულდა.

ვალერი ყურასკუას ნაშრომის თეორიული ჩარჩო დამახასიათებელია იმ ეპოქის სამეცნიერო ლიტერატურისთვის. ავტორი ეყრდნობა საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიისთვის მისაღებ კლასობრივი ბრძოლის თეორიას და მარქსისტულ-

ლენინურ მეთოდოლოგიას. ავტორის თეორიები, დებულებები და დასკვნების დიდი ნაწილი კრიტიკულად საყურადღებოა, მაგრამ ეს სხვა, უფრო ფართო, მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

აფხაზი ავტორებიდან საყურადღებოა *შოთა სალაყაია*²⁷ წიგნი „აფხაზმცოდნეობის ცენტრი,“ რომელიც მიემდვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლის იუბილეს.²⁸ წიგნი დაბეჭდილია ბროშურის სახით, რომელშიც გაშუქებულია ინსტიტუტის ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპები. ნაშრომი ეფუძნება საარქივო მასალებს, ნიკო მარის, გიორგი ძიძარიას, არსენი ხაშბას²⁹ და თვით ლეონიდ ბრეჟნევისა და ედუარდ შევარდნაძის წერილებსაც კი. ინსტიტუტის ცხოვრებაში სხვადასხვა ეტაპზე მომხდარ ცვლილებებს შოთა სალაყაია განიხილავს როგორც ახალ ეტაპს კვლევითი დაწე-

²⁷ **შოთა სალაყაია** (1933-2021) - აფხაზი ლიტერატურათმცოდნე, აფხაზური ლიტერატურის, ზეპირსიტყვიერებისა და კავკასიური ნართიადას სპეციალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ითვლება პირველ აფხაზ პროფესიონალ ფოლკლორისტად. დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობა, სწავლა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1959 წლიდან მუშაობდა დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, 1977 -1988 წლებში იყო ამ ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1980 წელს მიენიჭა დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია, 1999 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის წოდება. მისი პირველი მონოგრაფია დაეფუძნა საკანდიდატო დისერტაციას, რომელიც თბილისში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ცნობილი ქართველი ფოლკლორისტის *ელენე ვირსალაძის* ხელმძღვანელობით დაიცვა. მონოგრაფია „აფხაზური ხალხური საგმირო ეპოსი“ გამოქვეყნდა თბილისში 1966 წელს (*Абхазский народный героический эпос*), თბილისშივე გამოიცა მის მიერ შედგენილი „აფხაზური ზეპირი ხალხური ხელოვნება“, ქრესტომათია, სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის (შემდგენელი, წინასიტყვაობა განმარტებები და შენიშვნები დაურთო *შოთა სალაყაიამ*, თბილისი 1975) ქართულ და რუსულ ენებზე. ამ წიგნის მეორე შევსებული გამოცემა გამოქვეყნდა 2009 წელს, სოხუმში. საგულისხმოა, რომ შოთა სალაყაია 1968-1978 წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს აფხაზურ ლიტერატურაში. 2008-2019 წლებში გამოქვეყნდა მისი რჩეული ნაწერები სამ ტომად. ტომი I: აფხაზთა ეპიკური შემოქმედება, 2008 (რუსულ ენაზე); ტომი II: ფოლკლორი. ლიტერატურა. ხელოვნება. მეცნიერება, 2019 (აფხაზურ ენაზე); ტომი III: ლიტერატურა. ფოლკლორი. ხელოვნება. მეცნიერება, 2019 (რუსულ ენაზე); ბიოგრაფიული ცნობების ნაწილი აღებულია წიგნიდან: *Абхазский биографический словарь*, Под. ред. В. Ш. Авидзба, Москва – Сухум, 2015. გვ. 596-597.

²⁸ **Ш. Х. Салакья.** Центр абхазоведения. К 50-летию Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа Академии наук Грузинской ССР. Издат. „Алашара“. Сухуми, 1982.

²⁹ **არსენი ხაშბა** (1902-1937) - სწავლული ენათმეცნიერი, აფხაზოლოგი. XX საუკუნის 30-იან წლებში იყო აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი დირექტორი. რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

სებულების ცხოვრებაში, რაც აისახა, როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის გაფართოებაში, ასევე ამ ინსტიტუციის სახელწოდების ცვლილებებშიც. ავტორი მიუთითებს, რომ ინსტიტუტს სახელი ბევრჯერ შეეცვალა და დაარსების პირველ ეტაპზე, მწირი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში, ის ვერ აკმაყოფილებდა აფხაზეთის ასსრ-ს კულტურული განვითარების მზარდ საჭიროებებს,³⁰ მაგრამ მოგვიანებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების შემდეგ, აკადემიამ თავის სისტემაში გააერთიანა საქართველოში არსებული ყველა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, მათ შორის დ. გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც საკუთარ საბიუჯეტო ბალანსზე აიყვანა და დაფინანსებაც გაზარდა. *შოთა სალაყაიას* ნაშრომი ასახავს ინსტიტუტის მკვლევართა საქმიანობას აფხაზოლოგიის სხვადასხვა მიმართულებით: აფხაზური ენისა და ლიტერატურის, აფხაზეთის ისტორიის, აფხაზური ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების კუთხით. ინსტიტუტის საქმიანობა ავტორს შეფასებული აქვს მაშინდელი საქართველოს სსრ კპ ცკ პირველი მდივნის *ედუარდ შევარდნაძის* სიტყვებით: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში ავტონომიური რესპუბლიკისთვის მნიშვნელოვანი კვლევები ტარდება ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ენისა და ლიტერატურის, ეკონომიკის სფეროში.³¹

აფხაზეთში სახვითი ხელოვნების განვითარებას იკვლევდა ცნობილი აფხაზი მეცნიერი, შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის მკვლევარი, ხელოვნებათმცოდნე *ლეო შერვაშიძე*³², რომელმაც რამდენიმე ნაშრომი მი-

³⁰ **Ш. Х. Салакая.** Центр абхазоведения. გვ. 11.

³¹ **Э. А. Шеварднадзе.** Улучшить организаторскую и политическую работу в свете решений XXV съезда КПСС, газ. «Советская Абхазия», 20 января 1979 г. შდრ. **Ш. Х. Салакая.** Центр абхазоведения. გვ. 37.

³² **ლეონიდე (ლეო) შერვაშიძე** (1911-2003) - აფხაზი ხელოვნებათმცოდნე, ხელოვნების ისტორიკოსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთიკისა და ესთეტიკის პროფესორი. 1961 წელს მიენიჭა აფხაზეთის, ხოლო 1983 წელს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტიტული. ფლობდა აფხაზურ, ქართულ, ფრანგულ, რუსულ ენებს. სწავლობდა თბილისის ფრანგულ ლიცეუმში, შემდეგ სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, 1942-44 წლებში მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1945 წელს დაასრულა თბილისის ტრანსპორტის ინსტიტუტი, რომლის პარალელურად მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილებაში. 1948-1951 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით. 1951 წლიდან ლ. შერვაშიძე ამავე ინსტიტუტის თანამშრომელია. პარალელურად მუშაობდა დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიის, ხელოვნებისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ. კითხულობდა ლექციებს სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ლეონ შერვაშიძე 1963 წლიდან არჩეული იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად, ლეონ შერვაშიძე იკვლევდა შუა საუკუნეების საქართვე-

უძღვნა XIX-XX საუკუნეების აფხაზეთში ფერწერისა და გრაფიკის განვითარების ისტორიას, დარგის სწავლების ინსტიტუციურ განვითარებას, აფხაზეთში პირველი სამხატვრო სასწავლებლის დამფუძნებლის და სულისჩამდგმელის ნიკოლოზ თაბუკაშვილის მოღვაწეობას³³ და ა.შ. *ლეო შერვაშიძე* დაინტერესებული იყო არამარტო დარგის განვითარების ისტორიის კვლევით, არამედ თავად იყო შემოქმედი - ხატავდა, ქმნიდა გრაფიკულ სურათებს, მონაწილეობდა გამოფენებში და იყო არაერთი წიგნის ილუსტრაციის ავტორი. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და სოხუმში, დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

XX საუკუნის აფხაზეთში ფერწერისა და გრაფიკის განვითარებას ავტორი სამართლიანად უკავშირებს ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელს, რომლის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მის პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მეცნიერის შეფასებით, „გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების შემდეგ, ნ. თაბუკაშვილამდე აქ არც ერთ ხელოვანს არ გაუკეთებია იმდენი ადგილობრივი კადრების აღსაზრდელად, რამდენიც მან გააკეთა“³⁴. სამწუხაროდ, ნიკოლოზ თაბუკაშვილის დამსახურება (აფხაზეთში პირველი სამხატვრო სტუდიის, პირველი სამხატვრო სკოლისა და პირველი სამხატვრო სასწავლებლის დაარსება) დღეს სრულიად მივიწყებულია აფხაზეთში.

XX საუკუნის საბჭოთა აფხაზეთის კულტურას ცალკე მონოგრაფია მიუძღ-

ლოს მონუმენტურ და მინიატურულ ფერწერას, აფხაზეთის არქიტექტურის, არქეოლოგიის ახალი და თანამედროვე ხელოვნების საკითხებს. მონაწილეობდა მრავალ სამეცნიერო სესიასა და საერთაშორისო სიმპოზიუმში. არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მათ შორის აღსანიშნავია „XVI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის მინიატურების თავისებურებათა შესახებ“ (1956), „კედლის მოხატულობანი „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტით სვანეთში“ (1956), „შუა საუკუნეების ქართული საერო მინიატურის საკითხისათვის“ (1964), მონოგრაფია „შუა საუკუნეების მონუმენტური ფერწერა აფხაზეთში“ (1980), „სოფელ აკაპას (ოდიშის) ტაძარი სოხუმთან ახლოს“ (1959), „ნ. თაბუკაშვილი, ქართველი მხატვარი 1915-1981 წწ“ (1987) და მრავალი სხვა. *ბიოგრაფიული მონაცემები შევსებულია* გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და მეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის *საიტიდან*: <http://www.gch-centre.ge/2018-04/03/შერვაშიძე-ლეონიდე-ლეო/>.

³³ **Л. А. Шервашидзе.** Изобразительное искусство в Абхазии за 40 лет Советской власти. – Труды Абхазского института языка, литературы и истории имени Д. И. Гулиа, XXXII. Издательство Академии наук Грузинской ССР. Сухуми, 1961. გვ. 77-94; **Л. А. Шервашидзе.** Николай Онуфриевич Табукашвили. Его творчество, педагогическая и общественная деятельность. – *Ars Georgica*. 1987. იხილეთ ჟურნალის ლინკი: http://georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=133%3A2012-09-09-13-42-43&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka

³⁴ **Леонид Шервашидзе.** Николай Онуфриевич Табукашвили. Его творчество, педагогическая и общественная деятельность, http://georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=133%3A2012-09-09-13-42-43&catid=42%3A2010-12-03-16-05-33&Itemid=91&lang=ka

ვნა აფხაზმა ისტორიკოსმა, პროფესორმა *არველოდ კუპრავა*.³⁵ 1981 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „საბჭოთა აფხაზეთის კულტურა 60 წლის განმავლობაში“,³⁶ რომელიც საქართველოს (აფხაზეთის) გასაბჭოების 60 წლის იუბილეს მიეძღვნა. ნაშრომი წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურაში მიმდინარე მოვლენების მოკლე მიმოხილვას და ასახავს საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეცნიერების, ლიტერატურის ხელოვნების, სახალხო განათლების სხვადასხვა დარგებში არსებულ მდგომარეობას. მეცნიერის აზრით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 60 წლისთავზე აფხაზეთის ასსრ-ში ჩამოყალიბდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური აფხაზური კულტურა, რომლის ფორმირების პროცესში ავტორმა ოთხი ეტაპი გამოყო: 1. საბჭოთა კულტურის მშენებლობის დასაწყისი 1921-1927 წწ. 2. კულტურული რევოლუციის წლები 1928-1941 წწ. 3. დიდი სამამულო ომის წლების კულტურა 1941-1945 წლებში, 4. კულტურული მშენებლობა ომის შემდგომ წლებში (1945-1960 წწ.) 5. განვითარებული სოციალიზმის პერიოდის (1961-1980 წწ.) აფხაზეთის კულტურა. საგულისხმოა, რომ იმავე თეზას იმეორებს ავტორი „შრომების“ IV ტომში, რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა. ავტორის ნარატივს შეიძლება დავეთანხმოთ ცალკეული ისტორიულ მოვლენების შეფასებისას, მაგრამ 1928-1941 წლები, საბჭოთა კავშირის ისტორიაში არის რეპრესიებისა და გადასახლებების ხანა, სტალინური ეპოქა, რომელსაც არაერთი გამოჩენილი და ნიჭიერი ადამიანი ემსხვერპლა. ამ მოვლენას აპროტესტებენ თავად აფხაზი ისტორიკოსები. თუ ეს ასეა, საბჭოთა ეპოქის ყველაზე მძიმე წლები როგორ შეიძლება შეფასდეს აფხაზეთში კულტურული რევოლუციის ხანად? ვფიქრობთ, ეს თეზა საეჭვოა, ან კონტექსტის სხვა გააზრებასთან გვაქვს საქმე.

არველოდ კუპრავა კულტურის ისტორიის საკითხებს ეხება სხვა ნაშრომებ-

³⁵ *არველოდ კუპრავა* (1924 -2019) - აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე. 1948 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა საშუალო სკოლაში, 1951 -1956 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, 1956 -1987 წლებში დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, 2004 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. 1953 წლიდან პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა უმაღლეს სასწავლებელში. 1983-1994 წლებში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის კათედრას. იყო ამ კათედრის პროფესორი. *არველოდ კუპრავა* არის 460-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორის 180 სამეცნიერო კვლევის, 25 მონოგრაფიის. მისი მთავარი სამეცნიერო ინტერესები იყო აფხაზეთის ასსრ - ში აგრარული ისტორიისა და კულტურის ისტორიის პრობლემები. ტრადიციული აფხაზური კულტურის საკითხები და ა. შ. ბიოგრაფიული ცნობების ნაწილი შევსებულია წიგნიდან: **О. Х. Бгажба**. Куправа, Арвелод Эрастович. Абхазский биографический словарь, Под. ред. В. Ш. Авидзба, Москва – Сухум, 2015. გვ. 439-440.

³⁶ **А. Э. Куправа**. Культура Советской Абхазии за 60 лет. Изд. „*Алашара*“. Сухуми, 1981.

შიც: „მოსახლეობის უწიგნურობის აღმოფხვრა აფხაზეთის ასსრ-ში“, „აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება“ (აფხაზურ ენაზე), „აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავება“, რომლის მეორე შევსებული გამოცემა 1971 წელს განხორციელდა, „კულტურული მშენებლობა აფხაზურ სოფელში (1921-1929 წწ.)“ და სხვა.³⁷ ავტორს ეკუთვნის ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომები, სადაც შეფასებული ჰყავს გამოჩენილი ქართველი და აფხაზი მეცნიერების სიმონ ჯანაშიას, ზურაბ ანჩაბაძის, გიორგი ძიძარას, ხუხუტი ბლაჟბას და სხვათა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.³⁸

აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენელთა კულტურული იდენტობის საკითხის შესწავლას *სიმონ ჯანაშიამ* დაუდო სათავე. მისი ნაშრომი „გიორგი შარვაშიძე, კულტურულ - ისტორიული ნარკვევი“,³⁹ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ობიექტურ სურათს იძლევა. ავტორს მდიდარი ფაქტოლოგიური მასალა შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში, რომლის საფუძველზე, გაანალიზებულია XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან აფხაზეთის სამთავროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესები და სამთავრო მმართველი დინასტიის კულტურულ-სა-

³⁷ კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილი შრომები: **А. Э. Куправа, Б. Е. Сагария.** Расцвет экономики и культуры Абхазии, Алашара, Сухум, 1967; **А. Э. Куправа, Б. Е. Сагария.** Расцвет экономики и культуры Абхазии. 2-е дополненное издание, Алашара, Сухум, 1971; **А. Э. Куправа.** Культурное строительство в абхазской деревне (1921—1929 гг.), Алашара, Сухум, 1973; **А. Э. Куправа.** Культурное строительство в абхазской деревне (1921—1929 гг.), Алашара, Сухум, 1973; **А. Э. Куправа, Б. Е. Сагария.** Расцвет экономики и культуры Абхазии. 3-ье дополненное и переработанное издание. *Алашара, Сухум, 1977*; **А. Э. Куправа. Б. Е. Сагария.** Культура Советской Абхазии за 60 лет. *Алашара, Сухум, 1981*; **А. Э. Куправа.** Из истории абхазской традиционной культуры. Книга первая. Москва, 1998; **А. Э. Куправа.** Культура Советской Абхазии. Труды IV. АБИГИ им. Д. И. Гулия АН Абхазии, Сухум, 2016. **არველოდ კუპრავა.** აფხაზეთში კულტურული მშენებლობის ისტორიიდან, „ლიტერატურული აფხაზეთი“, № 11, 1958, გვ. 193—199.

³⁸ **А. Э. Куправа.** Георгий Алексеевич Дзидзария. К 70-летию со дня рождения, Алашара, Сухум, 1984; **А. Э. Куправа.** Георгий Алексеевич Дзидзария. К 90-летию со дня рождения, Сухум, 2006; **А. Э. Куправа.** Зураб Вианорович Анчабадзе. К 90-летию со дня рождения, Сухум, 2010; **А. Э. Куправа.** Хухут Соломонович Бгажба. К 100-летию со дня рождения, Сухум 2014; **А. Э. Куправа.** Видный ученый и общественный деятель (к 60-летию со дня рождения и 35-летию научно-педагогической деятельности Г. А. Дзидзария). Известия АИЯЛИ, т. III., Тбилиси, 1974; **А. Э. Куправа.** Жизнь и деятельность З.В. Анчабадзе. В сб.: Актуальные проблемы истории народов Кавказа. Материалы научной конференции, посвященной 70-летию со дня рождения З.В. Анчабадзе. Сухум, 1996; **А. Э. Куправа.** Вопросы абхазской культуры в трудах профессора Г. А. Дзидзария. Труды Абхазского государственного университета (ч. II), Сухум, 2003; **А. Э. Куправа.** Хухут Соломонович Бгажба: отдельные эпизоды из моих впечатлений. Абхазоведение. История. Культурная жизнь в Советской Абхазии (1921—1980 годы). Хроника. Абхазоведение. Труды АБИГИ. Археология. История. Этнология. Выпуск VII. Сухум, 2012; **А. Э. Куправа.** З. В. Анчабадзе - выдающийся абхазский историк-кавказовед. История и историки. 2009-2010. Историографический вестник. Москва, 2012. с. 287-297.

³⁹ **სიმონ ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. შრომები, ტ. VI. თბილისი, 1988. გვ. 5-72.

ზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია. სიმონ ჯანაშიას მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში შემოტანილი არგუმენტაცია: ისტორიული დოკუმენტები - უკანასკნელი მთავრის რუსი მოხელეებისადმი ქართულ ენაზე გაგზავნილი წერილები, სამთავრო სახლის წევრთა შორის მიმოწერა, გიორგი შარვაშიძის შემოქმედება, მისი ლექსები და რაც მთავარია, პუბლიცისტიკა, ნათლად მიუთითებს შარვაშიძეთა სამთავრო სახლის კულტურულ იდენტობაზე. არსებული საისტორიო წყაროები ფართო მსჯელობის საგანს იძლევა, მაგრამ მათ ერთი შეხედულებისკენ მივყავართ - ეს იყო ქართული ფეოდალური ოჯახი, ტრადიციული კულტურითა და იმავე სოციალური გამოცდილებით, როგორც სხვა ფეოდალური ოჯახები დანარჩენ საქართველოში. ჩვეულებრივ, ქართულ ფეოდალურ ოჯახებში სწავლა-განათლებისა და აღზრდის საკითხები ოჯახის ქალბატონს ევალებოდა. მიხეილ შარვაშიძის შვილების აღზრდაში, სიმონ ჯანაშიას აზრით, მეუღლე კნეინა ალექსანდრა დადიანი და მისი ნათესავი, კნეინა კესარია დადიანი შარვაშიძისა განაგებდნენ. ეს უკანასკნელი აფხაზეთში „აბჟუის“, ანუ შუა სოფლის მფლობელ ალექსანდრე შარვაშიძეზე იყო გათხოვილი. კესარია გიორგის ძიძა იყო, რაზეც მიუთითებს დიმიტრი ყიფიანის მიერ შედგენილი ერთი დოკუმენტი, რომელშიც ალექსანდრას სიტყვები მოჰყავს: „მინდა შვილი (გიორგი) სასწავლებელში გავაგზავნო, მაგრამ ჯერ ყმაწვილია და თავის აღმზრდელს, კნეინა კესარიას, ვერ შორდებიაო“⁴⁰. თანამედროვეთა (დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ სელეზნევი, კორნელი ბოროზდინი) გადმოცემით, ალექსანდრა და კესარია დადიანებს კარგი ქართული აღზრდა ჰქონდათ მიღებული, გამოირჩეოდნენ ქვეშევრდომი აფხაზების მიმართ საერთო სიყვარულით, კეთილშობილებითა და ნატიფი ზრდილობით. დიმიტრი ყიფიანი ალექსანდრას „მშვენიერს, ჭკვიანს, ღვთისმოსავსა და მოყვარულ ადამიანს უწოდებს.“⁴¹ ცხადია, ასეთ საოჯახო ვითარებაში აღზრდილი გიორგი შარვაშიძე იმავე კულტურულ-ისტორიული გარემოს ნაწილია, რომელმაც წინარე საუკუნეებში შვა სახელოვანი შარვაშიძეები. ისტორიულად, თავისი წარმოშობიდან გამომდინარე, შარვაშიძეთა სამთავრო სახლი ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ქართულ კულტურულ - ცივილიზაციურ პროცესებთან, უფრო მეტიც, მონაწილეობდა ამ პროცესში და ქმნიდა იმ საერთო ღირებულებებს, რომელსაც ქართული კულტურა ჰქვია.

შარვაშიძეთა ფეოდალური სახლის კულტურულ - ეროვნული იდენტობის საკითხი შეისწავლა *ზურაბ პაპასქირმა* ნაშრომში: „შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მენტალობის საკითხისათვის“.⁴² სამთა-

⁴⁰ სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. გვ. 44.

⁴¹ სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. გვ. 44-45.

⁴² *ზურაბ პაპასქირი*. შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობის საკითხისათვის, წიგნში: საქართველო - ისტორიული წარსული და თანამედ-

ვრო სახლის შესახებ არსებული ისტორიული წყაროების ანალიზის, გიორგი შარვაშიძის შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილების განხილვის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და მოგვიანებით (აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე და შემდგომაც) ერთმნიშვნელოვნად ანსახიერებენ საერთოქართულ ეროვნულ - სახელმწიფოებრივ და კულტურულ -პოლიტიკურ სამყაროს და თავიანთ თავს მოიაზრებდნენ ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილად“⁴³.

ზურაბ პაპასქირის სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთი მიმართულებაა XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის გამოჩენილი ადამიანებისა და სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის კვლევა. სოხუმის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიულ ფაქტს მიუძღვნა ავტორმა ნაშრომი „20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში“⁴⁴, რომელშიც შეფასებულია უნივერსიტეტის განვითარების, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის კათედრის ამსახველი საქმიანობის 20 წლიანი ისტორია. გარდა ამისა, *ზურაბ პაპასქირს* ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო პუბლიკაციები, მოგონებები და პუბლიცისტური ხასიათის წერილები, რომლებიც ჩვენს საკვლევ საკითხს ეხება. მათ შორის აღსანიშნავია, წერილები გიორგი შარვაშიძის⁴⁵, *ზურაბ ანჩაბაძის*⁴⁶, ირაკლი ახალაიას⁴⁷, მურმან ბერიას⁴⁸, ვლადიმერ ქარჩავას⁴⁹ და სხვათა შესახებ. საკვლევ საკითხს *ზურაბ პაპასქირი* სხვა პუბლიკაციებშიც ეხება. მაგ. „მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ.

როვეობა, თბილისი, „მერიდიანი“, 2016. გვ. 408-422.

⁴³ *ზურაბ პაპასქირი*. შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ - სახელმწიფოებრივი მენტალობის საკითხისათვის, წიგნში: საქართველო - ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, გვ. 422.

⁴⁴ *ზურაბ პაპასქირი*. 20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“, ტ. IV. თბილისი, 2001. გვ. 3-47. ასევე იხილეთ: *ზურაბ პაპასქირი*. 20 წელი ეროვნული ისტორიის სამსახურში, წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009. გვ. 323-360;

⁴⁵ *ზურაბ პაპასქირი*. ღვაწლი დიდი მამულიშვილისა. გიორგი შარვაშიძე, წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 552-573;

⁴⁶ *ზურაბ პაპასქირი*. გამოჩენილი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი *ზურაბ ანჩაბაძე*, წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 587-595.

⁴⁷ *ზურაბ პაპასქირი*. იშვიათი შემართებისა და ბოზოქარი სულის ადამიანი. პროფესორი ირაკლი ახალაია. კრებული, ირაკლი ახალაია -100, თბილისი 2016. გვ.14-27.

⁴⁸ *ზურაბ პაპასქირი*. მურმან ბერია წავიდა, წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 621-624.

⁴⁹ *ზურაბ პაპასქირი*. კეთილად მოსაგონარი კაცი. ვლადიმერ ქარჩავა, წიგნში: და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 627-629.

„მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში“⁵⁰ და მრავალი სხვა.

XIX-XX სს. ქართულ - აფხაზური კულტურული ურთიერთობების მონოგრაფიული კვლევა პროფესორ *ოთარ ჭურღულიას*⁵¹ სახელთან არის დაკავშირებული. ეს თემა მეცნიერის მთავარი კვლევითი მიმართულებაა, რომელსაც მრავალ-

⁵⁰ **ზურაბ პაპასკირი.** მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში, წელიწადული „საისტორიო მივანი“ N6, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, თბილისი, 2003. გვ. 3-31.

⁵¹ **ოთარ ჭურღულია** (1926-2006) - ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა 1926 წელს 1945-1949 წლებში სწავლობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1949-1952 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1957-1960 წლებში იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანი. 1969 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1979 წლიდან, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ, *ოთარ ჭურღულია* კვლავ აღნიშნული კათედრის გამგეა. 1982-1988 წლებში *ოთარ ჭურღულია* აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობას იკავებდა. აფხაზეთის ტრაგიკული ამბების შემდეგ, დევნილობაში 1993 წელს პროფ. *ოთარ ჭურღულიას* თანადასთან ერთად ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის აღდგენას თბილისში. 1993-2004 წლებში, იყო ამ უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო დარგში. პარალელურად, სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად *ოთარ ჭურღულია* აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა: 1959 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, 1975-1982 წლებში რედაქტორობდა აფხაზეთის ლიტერატურულ ალმანახ „რიწას“, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რედაქტორი თავად იყო. *ოთარ ჭურღულიას* ეკუთვნის 17 მონოგრაფია და 400-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და ესე. აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით გამოცემებთან, იკვლევდა ქართული ლიტერატურის, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობების საკითხებს. მას ეკუთვნის ცნობილი შრომები: „კრიტიკული წერილები“ ორ წიგნად (1958), „დავით ჩქოტუა“ (1969), „მიხეილ ჩუბინიძე“ (1970), „დიმიტრი გულია“ (1974), „აფხაზეთი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში“ (1980), „ივანე გეგია“, „ნარკვევები - ქართველი და აფხაზი მწერლები“ (1966), ორტომეული ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების ისტორიიდან“ (1983), „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (1992), „მარვაშიძეები“ (2004) და მრავალი სხვა. აფხაზეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში *ოთარ ჭურღულია* იყო ერთ-ერთი გამორჩეული, კოლორიტული და საინტერესო პიროვნება, რომლის სამეცნიერო აზრს პატივს სცემდა ქართული ლიტერატურული კრიტიკა, ქართული და აფხაზური სამეცნიერო საზოგადოება. მან აღზარდა და გზა გაუკვალა პედაგოგთა და მეცნიერთა არაერთ თაობას, რომლებიც დღესაც მოღვაწეობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. *ოთარ ჭურღულია* არის გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი.

ვალი ნაშრომი მიუძღვნა. ძირითადად, იკვლევდა XIX-XX საუკუნეების ქართული და აფხაზური კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებს. ჯერ კიდევ 1958 წელს გამოქვეყნებულ „კრიტიკული წერილებში“⁵² მკვლევარი წერდა აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალმხრივი ურთიერთობების შესახებ. ნაშრომში, XIX საუკუნის პრესის მასალების საფუძველზე, შესწავლილია ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველი მოღვაწეების, ურთიერთობები აფხაზეთთან, გიორგი შარვაშიძის, დავით ჩქოტუას და დიმიტრი გულიას კავშირები თერგდალეულებთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან. ავტორი ქართველ მკითხველს აცნობს აფხაზი პოეტებისა და მწერლების, მიხეილ ლაკერბაის, ივანე თარბას, ბაგრატ შინქუბას, ივანე პაპასქირის, კონსტანტინე ლომიას და სხვათა შემოქმედებას.

1966 წელს გამოქვეყნდა ოთარ ჭურღულიას მორიგი ნაშრომი „ნარკვევები“⁵³ რომელშიც გაანალიზებულია აფხაზი და ქართველი მწერლების შემოქმედება და მკითხველი ეცნობა ივანე გეგიას, პლატონ შაყრილის, თომა ეშბას საგანმანათლებლო საქმიანობას აფხაზეთში. მომდევნო ნაშრომში - „დავით ჩქოტუა“⁵⁴ - მეცნიერმა, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, გააცოცხლა რუსეთის იმპერიის მიერ დაუსაბუთებლად შერისხული ახალგაზრდა, ნიჭიერი აფხაზი მკვლევარი დავით ჩქოტუა. მკვლევარმა მკითხველს პირველად გააცნო მისი პუბლიცისტური და სამეცნიერო საქმიანობის დეტალები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დავით ჩქოტუას თანამშრომლობას „ივერიასთან“ და სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან. დავით ჩქოტუა იყო აფხაზ სწავლულთაგან ერთ-ერთი პირველი, რომელიც რუსთველოლოგიური კვლევებით დაინტერესდა.

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას 100 წლის იუბილეს ეძღვნება ოთარ ჭურღულიას ნაშრომი „დიმიტრი გულია“⁵⁵ რომელშიც ავტორი ქართველ მკითხველს დიმიტრი გულიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითად ეპიზოდებს აცნობს: მიუხედავად მძიმე ბავშვობისა და სიყრმის წლებისა, დიმიტრი გულიას ბიოგრაფია, ახალგაზრდობა და მომდევნო წლები სავსეა საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო მაგალითებით. მეცნიერი გულწრფელად გაოცებულია დიმიტრი გულიას მრავალმხრივი ინტერესებით: აფხაზური ლიტერატურა და პოეზია, ეთნოგრაფია და ფოლკლორი, თეატრი და დრამატურგია, ისტორიული მეცნიერება და ა.შ.. ავტორი განსაკუთრებულ შეფასებას აძ-

⁵² ოთარ ჭურღულია. აფხაზი და ქართველი ხალხების კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის ისტორიიდან, კრიტიკული შენიშვნები, თბილისი, 1958. გვ. 154-167.

⁵³ ოთარ ჭურღულია. ნარკვევები - ქართველი და აფხაზი მწერლები, გამომცემლობა „ალაშარა“ სოხუმი, 1966.

⁵⁴ ოთარ ჭურღულია. დავით ჩქოტუა - საზოგადო მოღვაწე, გამომცემლობა „ალაშარა“ სოხუმი, 1969.

⁵⁵ ოთარ ჭურღულია. დიმიტრი გულია, (დაბადების 100 წლისთავის გამო), საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, თბილისი. 1974.

ლევს დიმიტრი გულიას მიერ გამოქვეყნებულ აფხაზური ლიტერატურის პირველ ნიმუშებს, ხაზს უსვამს დიმიტრი გულიას დამსახურებას აფხაზური ანბანის შექმნისა და ზოგადად აფხაზოლოგიის განვითარებაში⁵⁶. მართლაც, დიმიტრი გულიამ საკუთარი ერისადმი თავდადებული, უპრეტენზიო საქმიანობითა და განუზომლად დიდი პასუხისმგებლობის აღებით, საფუძველი ჩაუყარა არამარტო აფხაზოლოგიას, როგორც მეცნიერებას, არამედ მრავალი მკვლევარი (განსაკუთრებით ადგილობრივი ქართველები) დააინტერესა აფხაზოლოგიით, აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის კვლევებით.

ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ - კულტურული ურთიერთობების ისტორიის ერთგვარ შემაჯამებელ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს ოთარ ჭურღულიას მონოგრაფია - „ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ - ლიტერატურული ურთიერთობიდან“, რომელიც 1983 წელს გამოქვეყნდა და ავტორის პირველი მონოგრაფიის „ნარკვევების“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს. თუ პირველი წიგნი XIX საუკუნის ქართულ-აფხაზურ კულტურულ - ლიტერატურულ ურთიერთობებს მიეძღვნა, მეორე წიგნში, საკითხი XX საუკუნის ისტორიული მაგალითებით არის შესწავლილი, გაანალიზებული და დასაბუთებული. ავტორი მკითხველისთვის ფართოდ აღებს ქართველთა და აფხაზთა ტრადიციული ურთიერთობების ესთეტიკური სამყაროს კარს, რომელსაც ეფუძნება ქართველი და აფხაზი მწერლების მხატვრული ნააზრევი, ლიტერატურული კრიტიკა და რაც მთავარია, ერთმანეთის მიმართ მიძღვნილი ლირიკული სიტბოთი აღსავსე პოეზიის შედეგები. ოთარ ჭურღულიას ღრმად სწამდა, რომ ქართველი და აფხაზი მწერლების ძმადნაფიცობაზე⁵⁷ აგებული შემოქმედება ყველა განსაცდელს გაუძლებდა და არ დაარღვევდა ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის არსებულ იმ უხილავ ძაფებს, „რაც გამოკვეთილად ჩანს მწერლურ მოღვაწეობაში, რამეთუ მწერალი ხალხის სულიერი მოძღვარია, ხოლო მისი შემოქმედება - გზა და ხიდი

⁵⁶ **ოთარ ჭურღულია.** დიმიტრი გულია, (დაბადების 100 წლისთავის გამო), გვ. 27-41.

⁵⁷ ქართველი და აფხაზი მწერლების ძმადნაფიცობის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად ავტორს მოჰყავს ივანე თარბას და კარლო კალამის ურთიერთობა. ისინი ერთმანეთთან 1948 წლიდან მეგობრობდნენ. ივანე თარბას სიტყვებით, პირველი ნაცნობობიდანვე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელმაც გაუძლო დროის გამოცდას და ძმობაში გადაიზარდა, სწორედ ძმობაში. *ჩვენ მამაჩემმა გვაკურთხა ძმებად* - წერდა ივანე თარბა. ერთხელ კარლო კალამე ოჩამჩირეში წავიყვანე, მამაჩემთან, საღამო იყო, ბუხართან ვისხედით და ვმასლაათობდით. მამამ ჩემი გარდაცვლილი ძმა მოიგონა, დიდხანს საუბრობდა მასზე, მერე ანაზდად საზეიმო იერი გადაეფინა სახეზე და კარლო კალამეს მიუბრუნდა: შვილო, კარლო, შენ გაუწიეო ჩემს ივანეს ძმობა, შენ იყავიო უფროსი ვაჟის მაგიერ ჩემს იჯახში... იმ დღიდან ძმური ამბორით განვიმტკიცეთ ძმადნაფიცებმა მამის სურვილი. მას შემდეგ უმწიკვლოდ ვატარებთ ძმობის საამო უღელს. **ივანე თარბა.** ჭაბუკური სულით. გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, N63. 1982. შდრ. **ოთარ ჭურღულია.** ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ - ლიტერატურული ურთიერთობიდან, გვ. 125-126.

ხალხებს შორის ძმობისა და სიყვარულის, მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის განსამტკიცებლად.⁵⁸ ასეთ მწერლებად მიაჩნდა ავტორს კონსტანტინე გამსახურდია და პლატონ შაკრილი, ივანე თარბა და კარლო კალაძე, ლეო ქიჩელი და ივანე პაპასკირი, გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ ლაკერბაი, გიორგი ლეონიძე და ბაგრატ შინქუბა, იოსებ გრიშაშვილი და სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და რევაზ მარგიანი⁵⁹.

მონოგრაფიაში ავტორი, წინა გამოცემასთან შედარებით, ფართოდ ეხება აფხაზი მწერლისა და მეცნიერის დავით ჩქოტუას როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პირველი მკვლევრის დამსახურებას, განიხილავს ავტორის ნაშრომს „რუსთაველის გმირები და მათი მსოფლმხედველობა“, რომელზეც დავით ჩქოტუა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მუშაობდა⁶⁰. ოთარ ჭურღულიამ, პირველმა წამოიწია და ფართოდ გააცნო მკითხველ საზოგადოებას დავით ჩქოტუას რუსთაველოლოგიური შეხედულებები, დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, გმირებისა და პოემის ისტორიული ეპოქისადმი.

ოთარ ჭურღულიას სამეცნიერო ინტერესები, ქართულ-აფხაზურ კულტურულ ურთიერთობებში მხოლოდ ლიტერატურის შესწავლით არ შემოფარგლება. მას ეკუთვნის კვლევები აფხაზეთში თეატრის წარმოშობის ისტორიის, სოხუმსა და ოჩამჩირეში პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენების დათარიღების შესახებ, რომელშიც გაცოცხლებულია სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდაუთასა და ოქუშში სცენისმოყვარეთა პროფესიული საქმიანობის ისტორია. მკვლევარმა სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის მსახიობს, საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, მიხეილ ჩუბინიძეს, ის ქართულ დასთან ერთად აფხაზურ თეატრთანაც თანამშრომლობდა და გარდა სცენური სახეებისა, ფილმოგრაფიაშიც საინტერესო კინოსახეები შექმნა.⁶¹

აფხაზეთში სასულიერო და საერო საგანმანათლებლო სკოლების დაარსებისა და ქართველ სასულიერო პირთა სამისიონერო საქმიანობის ისტორიას რამდენიმე მონოგრაფიული კვლევა მიუძღვნა პროფ. *ჯემალ გამახარამ*, რომლის წყაროთმცოდნეობითი ძიებანი ახალ ფურცელს შლის აფხაზეთის ისტორიაში. *ჯემალ გამახარამს* მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „აფხაზეთი და მართლმადიდებლობა“, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო I-XX საუკუ-

⁵⁸ **ოთარ ჭურღულია.** ნარკვევები ქართულ-აფხაზურ კულტურულ - ლიტერატურული ურთიერთობიდან, გამომცემლობა „ალაშარა“, სოხუმი, 1983. გვ. 3.

⁵⁹ **ოთარ ჭურღულია.** ნარკვევები ქართულ-აფხაზურ კულტურულ - ლიტერატურული ურთიერთობიდან“ გვ. 5-191.

⁶⁰ **ოთარ ჭურღულია.** ნარკვევები ქართულ-აფხაზური ... გვ.192-202.

⁶¹ **ოთარ ჭურღულია.** მიხეილ ჩუბინიძე - სოხუმის თეატრის ქართული დასის მსახიობი საქართველოს თეატრალური საზოგადოება. გამომცემ. „ალაშარა“, სოხუმი, 1970. გვ. 5.

ნებს მოიცავს, მაგრამ ავტორი გამორჩეულ ყურადღებას საკვლევი საკითხის ყველაზე რთულ პერიოდს - XIX საუკუნის ისტორიულ ამბებს უთმობს. XIX საუკუნის I ნახევრის აფხაზეთში საეკლესიო და საერო სკოლები არ არსებობდა, ამდროს გავრცელებული ტრადიცია იყო საოჯახო აღზრდა - განათლება, ისიც მთავრისა და მსხვილი თავადების ოჯახებში. *ჯემალ გამახარია* მდიდარი ფაქტოლოგიური მასალის - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის, საქართველოს საპატრიარქოს არქივის, აფხაზეთის სახელმწიფო არქივისა და სხვა სიძველეთსაცავებში დაცული ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე აღადგენს XIX ს. 30-იანი წლებიდან ქართველ მისიონერთა მიერ დაწყებულ მოძრაობას აფხაზეთში სასულიერო - საგანმანათლებლო ცენტრების დაარსების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველი სასულიერო მისიის დაარსებას, რომელიც აფხაზეთის მთავრის *მიხეილ შარვაშიძის* და ადგილობრივი აფხაზი და ქართველი მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა⁶². ნაშრომში აღწერილია ის სიძნელეები, რომლებიც რუსეთის იმპერიის მოხელეთა მხრიდან შეექმნა მისიის ხელმძღვანელს, ანტონ დადიანს და მის მომხრეებს. მკითხველი ეტაპობრივად ეცნობა პირველი სასულიერო მისიის საქმიანობის შედეგებს და შემდეგ განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს, ქართველ მღვდელმთავართა დამსახურებას და ძალისხმევას, შეემსუბუქებინათ აფხაზ მუჰაჯირთა ტრაგიკული ხვედრი და როგორმე შეემცირობინათ ძალდატანებით გადასახლებისთვის გამზადებულ აფხაზთა რაოდენობა. მონოგრაფიაში, სრულიად სამართლიანად წამოწყებულია იმ ქართველი სასულიერო პირების სახეები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს აფხაზთა განათლებისა და ფიზიკური გადარჩენის საქმეში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ავტორი ეყრდნობა წარმოუდგენლად მრავალრიცხოვან დოკუმენტურ მასალას, რომელთა დიდი ნაწილი პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ფაქტობრივად, ეს არის დოკუმენტური წყაროების კრებული, რომელიც არამარტო აფხაზეთის, არამედ საქართველოს ისტორიის მრავალ საინტერესო კვლევას შეიძლება დაედოს საფუძველად.

XIX საუკუნის აფხაზეთის საეკლესიო ცხოვრების ისტორია და სასულიერო სასწავლებლების დაარსების ამბები ასახულია ისტორიული ხასიათის დოკუმენტური წყაროების სხვა კრებულებში, რომლებიც *ჯემალ გამახარია*მ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა. ავტორმა აღადგინა და მკითხველის წინაშე განსასჯელად გამოიტანა აფხაზეთში მოღვაწე ქართველ მღვდელმთავართა საქმიანობის ისტორია, მათი დამსახურება აქ მცხოვრები სხვადასხვა ერების, განსაკუთრებით აფხაზი ხალხის წინაშე. წმინდა მღვდელმოწამე *კირიონ II* (სამაგლიშვილი), წმინდა აღმსარებელი *ამბროსი* (ხელაია), წმინდა მღვდელმთავარი *ალექსნ-*

⁶² *ჯემალ გამახარია*. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. - 1921 წ), თბილისი. 2005. გვ. 377-397.

დრე (ოქროპირიძე), წმინდა მღვდელმთავარი *გაბრიელი* (ქიქოძე) და მრავალი სხვა - ეს არის არასრული სია იმ სასულიერო პირებისა, რომლებმაც, XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთის სასულიერო და საერო ცხოვრებას განუზომლად დიდი ღვაწლი და ამაგი დასდეს - საფუძველი ჩაუყარეს განათლებისა და კულტურის კერებს, გახსნეს სასულიერო და საერო სასწავლებლები, ხელი შეუწყვეს წერა-კითხვის გავრცელებას და წიგნიერების დამკვიდრებას, აფხაზეთის მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და სასოფლო - სამეურნეო დარგების განვითარების მიზნით დააარსეს სასოფლო - სამეურნეო სკოლები და ა.შ.⁶³

აფხაზეთში სასწავლებლების გახსნას, ადგილობრივი მოსახლეობის განათლებითა და კულტურით დაინტერესებას დიდ ყურადღებას უთმობდა წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), რომელიც პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, მაღალი სასულიერო პირებისადმი მიწერილ ოფიციალურ და კერძო ეპისტოლარულ მასალებსა და მიმართებებში, აღწერდა განათლებისა და კულტურის მიმართულელებით რეგიონში არსებულ ფაქტობრივ მდგომარეობას, ითხოვდა მხარდაჭერას და ეძებდა შექმნილი პრობლემების გამოსწორების გზებს. კათოლიკოს ამბროსის კეთილმსახურება და მოღვაწეობა აფხაზეთში შესწავლილია *ჯემალ გამახარაის* მონოგრაფიაში „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)“.⁶⁴

XIX- XX საუკუნეების მიჯნის აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში ფასდაუდებელია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, სახალხო მასწავლებლის, ეთნოგრაფისა და მხარეთმცოდნის *ნიკო ჯანაშიას* დამსახურება. მისი ცხოვრების, საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობა შეისწავლა პროფ. *ბორის კვარაცხელია* ნაშრომში - „ნიკო ჯანაშიას კულტურულ - საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოღვაწეობა“. ფაქტობრივად, ეს არის ნიკო ჯანაშიას მრვალმხრივი საქმიანობის ამსახველი პირველი, შედარებით სრულყოფილი მონოგრაფიული კვლევა, რომელიც ეყრდნობა მდიდარ საარქივო მასალას, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს პერიოდულ

⁶³ აღნიშნულ თემებზე იხილეთ *ჯემალ გამახარაის* გამოცემები: წმინდა მღვდელმოწამე *კირიონ II (საბაგლიშვილი)* და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ჯემალ გამახარაიმ*, თბილისი, 2006; წმინდა აღმსარებელი *ამბროსი (ხელაია)* და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ჯემალ გამახარაიმ*, თბილისი, 2006; წმინდა მღვდელმთავარი *ალექსანდრე (ოქროპირიძე)* და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ჯემალ გამახარაიმ*, თბილისი, 2006; წმინდა მღვდელმთავარი *გაბრიელი (ქიქოძე)* და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ჯემალ გამახარაიმ*, თბილისი, 2007.

⁶⁴ *ჯემალ გამახარია*. წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) 150-ე წლისთავისათვის, თბილისი, 2012.

პრესას, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურას. დოკუმენტების ერთი ნაწილი ავტორმა პირველად შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, ხოლო სახალხო განათლების მოღვაწეთა წერილები და მოგონებები ავტორს დაეხმარა უკეთ წარმოეჩინა ნიკო ჯანაშიას, როგორც საზოგადო მოღვაწისა და მკვლევრის სახე.⁶⁵ ნაშრომში, ნიკო ჯანაშიას პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შესწავლის პარალელურად, ასახულია აფხაზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.

საბჭოთა ეპოქის ადრეული ეტაპის - 1921-1950 წლების აფხაზეთის კულტურის ისტორიის შესწავლის მონგრავიულ ცდას წარმოადგენ *ბორის კვარაცხელიას* კიდე ერთი ნაშრომი „ნარკვევები აფხაზეთის კულტურის ისტორიიდან, ნაკვეთი I (1921-1950)“. ავტორის სიტყვებით, „ეს არის საკითხის კომპლექსური შესწავლის პირველი ცდა, რადგან ამ თემაზე განმარტებული ხასიათის ნაშრომი მანამდე არ არსებობდა. გარდა ამისა, დღემდე ჯეროვნად არ არის წარმოჩენილი ის დიდი წვლილი, რომელიც ქართულმა ინტელიგენციამ აფხაზეთის კულტურის, განსაკუთრებით აფხაზური ეროვნული ინტელიგენციის ფორმირების საქმეში შეიტანა. მართალია, ზოგიერთი აფხაზი მოღვაწე გულწრფელად აღიარებდა ქართველ მოღვაწეთა დიდ ამაგს და უანგარო დახმარებას, მაგრამ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ აფხაზთა ერთმა ნაწილმა, სამწუხაროდ, დავიწყებას მისცა ეს ძმური თანადგომა.“⁶⁶ ნაშრომში სამ ეტაპად არის წარმოდგენილი აფხაზეთის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხები: *პირველი*, აფხაზეთის კულტურა 1921-1932 წლებში; *მეორე*, 30-იანი წლების აფხაზეთის კულტურა და *მესამე*, 1941-1950 წლების აფხაზეთის კულტურული ცხოვრება. ავტორი მეტწილად საარქივო და დოკუმენტურ წყაროთა კრებულებს ეყრდნობა, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია. განიხილავს კულტურის ყველა სფეროს მდგომარეობას, აფხაზური ენის შესწავლის, საბჭოთა სკოლის ჩამოყალიბების პროცესს, მეცნიერების, ლიტერატურის, თეატრისა და მუსიკალური ხელოვნების განვითარებას, საბჭოთა ხელისუფლების ტოტალურ იდეოლოგიურ გავლენას კულტურის სფეროზე.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიაში გამორჩეულია ცნობილი განმანათლებლის, პედაგოგისა და პოეტის *ივანე გეგას ღვაწლი*. მისი ცხოვრება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა შესწავლილია *სოლომონ ცაიშვილის*, *ოთარ ჭურღულიას*, *ვლადიმერ ალფენიძის*, *ვალერიან ზუხბაიას* და სხვათა

⁶⁵ **ბორის კვარაცხელია**. ნიკო ჯანაშიას კულტურულ - საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოღვაწეობა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2012. გვ. 6.

⁶⁶ **ბორის კვარაცხელია**. ნარკვევები აფხაზეთის კულტურის ისტორიიდან, ნაკვეთი I (1921-1950), გამომცემლობა „ლეგა“, თბილისი, 2006. გვ. 3.

შრომებში.⁶⁷ ივანე გეგიას მრავალფეროვანი (მასწავლებელი, პოეტი, ჟურნალისტი, თეატრის გულშემმატკივარი, მეურნე და განმანათლებელი) საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობის შედარებით სრულყოფილი ანალიზი ეკუთვნის *ოთარ ჟორდანას*, რომელმაც ივანე გეგიას ორი ნაშრომი მიუძღვნა: „*ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან (ივანე გეგიას დაბადების 150 წლისთავის გამო)*“⁶⁸ და „*ივანე გეგია - პოეტი და საზოგადო მოღვაწე*“ - ეს უკანასკნელი თან ერთვის ივანე გეგიას ლექსების კრებულს „*გაზაფხულის მოლოდინში*“⁶⁹.

XIX-XX სს. აფხაზეთის კულტურისა და განათლების ისტორიის ცალკეულ პრობლემებს, ეპოქის ცნობილ მოღვაწეთა შემოქმედებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დამსახურებასა და კავშირებს, კონკრეტული დარგის განვითარების ისტორიას, აფხაზეთში ქართული იდენტობის საკითხს და ა. შ., არაერთი ქართველი და აფხაზი მეცნიერის შრომებში ვხვდებით. მათ შორის საყურადღებოა *თეიმურაზ მიბზუანის*, *ვალერიან ზუხზაიას*, *ტიტე მოსიას*, *დოდო ჭუმბურიძის*, *ეთერ ქაჯაიას*, *მარინე ჯაიანის*, *ნატო სონღულაშვილის*, *ანზორ აგუმაშას*, *ქეთევან მანიას* და სხვათა შრომები⁷⁰.

⁶⁷ **სოლომონ ცაიშვილი.** ივანე გეგია, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული I, ვ. ქაჯაიას რედაქციით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, 1953; **სოლომონ ცაიშვილი.** სახალხო განათლების მოღვაწეები, თბილისი, 1954; **ოთარ ჭურდულია.** ივანე გეგია. ნარკვევები, თბილისი, 1966; **ვლადიმერ ალფენიძე.** მივიწყებული სამურზაყანოელი პედაგოგი და მგოსანი, წიგნში: ფიქრიანი გზები, თბილისი, 1973; **ვლადიმერ ალფენიძე.** სამურზაყანოს თეატრალური აწმყოსა და წარსულის ფურცლები, გალის რაიონის გაზეთი „*ლენინელი*“, N106, 1972, 5 სექტემბერი. **ვალერიან ზუხზაია,** ივანე გეგია, გაზეთი „*აფხაზეთის ხმა*“, 1998, N 33. 14 აგვისტო; შდრ. **ოთარ ჟორდანია.** „*ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან (ივანე გეგიას დაბადების 150 წლისთავის გამო)*“, წიგნში: **ივანე გეგია.** გაზაფხულის მოლოდინში. თბილისი, 2011. გვ. 8.

⁶⁸ **ოთარ ჟორდანია.** ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან (ივანე გეგიას დაბადების 150 წლისთავის გამო). ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები I, თბილისი, 2011.

⁶⁹ **ოთარ ჟორდანია.** ივანე გეგიას საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან (ივანე გეგიას დაბადების 150 წლისთავის გამო), წიგნში: გაზაფხულის მოლოდინში, გვ. 3-32.

⁷⁰ **თეიმურაზ მიბზუანი,** აფხაზეთი, II ნაწილი (XVI-XX საუკუნეები), თბილისი, 2006; **ვალერიან ზუხზაია.** სოხუმი. ნარკვევი, თბილისი, 1997; **ვალერიან ზუხზაია,** გალი, რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. თბილისი, 2002; **ტიტე მოსია.** გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი, 2012; **ტიტე მოსია.** წერილები ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე, თბილისი, 2012; **დოდო ჭუმბურიძე.** განათლება 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000; **ეთერ ქაჯაია.** ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940 წწ). თბილისი, 2006; **მარინე ჯაიანი.** დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი, 2005; **ნატო სონღულაშვილი.** საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბილისი, 2021; **ქეთევან მანია.** აფხაზეთი და ქართული იდენტობა ივერიის პუბლიკაციების მიხედვით. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. IX-X.

საგანგებოდ შევჩერდებით, აწ გარდაცვლილი აფხაზი მეცნიერის, *ანზორ აგუმაას (აგუმავას)* 2016 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაზე „განათლება აფხაზეთში XIX - XX საუკუნის დასაწყისში“⁷¹. ნარკვევში ავტორი ცდილობს გააგრძელოს *ალექსანდრ დუდკოს* დაწყებული საქმე და აფხაზეთში 1917 წლამდე არსებული სკოლების ისტორია, არამარტო სასულიერო სასწავლებლების, არამედ საერო და კერძოს სასწავლებლების ისტორიითაც შეავსოს. პუბლიკაციაში გადმოცემულია რუსეთის იმპერიის სამინისტრო სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსების ამბავი, მოკლედ აღწერილია დაწყებითი საგანმანათლებლო სკოლების, მასწავლებელთა კურსებისა და მასწავლებელთა სემინარიის, საეკლესიო ხელისუფლებაზე დაქვემდებარებული სკოლების, კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოზრდილთა სადამოს სკოლების საქმიანობის არასრული სურათი. ავტორი მცირე კვლევას უძღვნის აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921-1924 წლებში, განათლების დარგში არსებულ ვითარებას. მონოგრაფიის ბოლოს წარმოდგენილია აფხაზ მასწავლებელთა სია, რომელიც ასევე არ ასახავს აფხაზეთის მასწავლებელთა სრულყოფილ სურათს. სამწუხაროდ, ავტორი თავს ვერ აღწევს სეპარატისტული ისტორიოგრაფიის იდეოლოგიურ გავლენას და არსად ახსენებს ქართველ მისიონერთა და მასწავლებელთა ღვაწლს.

როგორც არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, XIX – XX საუკუნეების აფხაზეთში მიმდინარე კულტურულ - საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორია ცალკეულ, კონკრეტულ კვლევებს ეფუძნება და წარმოდგენს სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კვლევის ინტერესების სფეროს, შესაბამისად არ არსებობს ერთიან კონცეპტუალურ ხედვაზე დაფუძნებული XIX-XX საუკუნეების აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორია. რაც შეეხება სეპარატისტულ ისტორიოგრაფიას, მათ ნარატივში რეგიონში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესები იმთავითვე საქართველოსგან მოწყვეტილადაა წარმოდგე-

თბილისი, 2015. გვ. 97-129.

⁷¹ *ანზორ აგუმაა (აგუმავა)* (1958-2012) - აფხაზი მხატვარი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქიტექტორი. ხელმძღვანელობდა აფხაზეთის აკადემიის ჰუმანიტარულ კვლევათა ინსტიტუტის (ადრე დ. გულიას სახელობის ენის ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტი) არქივის განყოფილებას. ასევე აფხაზეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფოტოფონდს. გარდაცვალებამდე გამოაქვეყნა ნაშრომი „სოხუმის არქიტექტურა“ (1999), მასვე ეკუთვნის სტატია „ვილა ალიოზის“ შესახებ. გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა საინტერესო კვლევები: აფხაზეთის განმანათლებლობა XIX - XX საუკუნის დასაწყისში (სოხუმი, 2016 წ.) და ძველი სოხუმი: სოხუმის არქიტექტურა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (სოხუმი, 2016 წ.); **Анзор Агумаа**, Вилла Алоизи, Эхо Абхазии, № 45, 1996; **Анзор Агумаа**, Старый Сухум: архитектура Сухума на рубеже XIX—XX вв. Сухуми, 2016.

ნილი. უფრო მეტიც, არსად ჩანს ადგილობრივი ქართველი პოეტების, მწერლების, მუსიკოსების, მსახიობების, პედაგოგების, მეცნიერების და ა. შ. დამსახურება ორივე სფეროს განვითარებაში. საბჭოთა პერიოდის კვლევებში, ამ თემების განხილვა, ძირითადად, აფხაზური ინტელიგენციის ჩამოყალიბების, აფხაზური სკოლის დაარსების ან აფხაზური ანბანის შექმნის საკითხებით შემოიფარგლება. პოსტსაბჭოთა კვლევების ნარატივში კი, სრულიად უგულვებელყოფილი და ამოვარდნილია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის, აფხაზეთის სამთავრო სახლის, ქართველ მისიონერთა, კულტურისა და განათლების დარგის წარმომადგენელთა ღვაწლი, არამარტო ზოგადად აფხაზეთის კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და განვითარების საქმეში, არამედ საკუთრივ თანამედროვე აფხაზური ნაციონალური კულტურის ფორმირებაში.

ამის ნათელი მაგალითია 2016 წელს გამოქვეყნებული აფხაზეთის ბიოგრაფიული ლექსიკონი⁷², რომელიც ჩვენი აზრით, არამარტო აფხაზოლოგიის არამედ მთლიანად აფხაზეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია. ეს არის აფხაზეთის ისტორიულ წარსულსა და აწმყოში მოღვაწეთა ბიოგრაფიების სისტემური ენციკლოპედიის პრეზენტაციის პირველი მცდელობა. მიუხედავად ამისა, ენციკლოპედია ნაკლულია, ავტორებს არ აქვს გათვალისწინებული აფხაზეთის ისტორიის მთელი რიგი სფეროები, მათ შორის განათლებისა და კულტურის მიმართულებით მოღვაწე ადამიანები, რომლებმაც აფხაზეთში საფუძველი ჩაუყარეს და განავითარეს ცალკეული დარგები. ენციკლოპედიურ ნაშრომში ყურადღების მიღმაა დარჩენილი აფხაზეთის მკვიდრ, გამოჩენილ ქართველთა და აფხაზთა საქმიანობა და დამსახურება რეგიონის პოლიტიკური, სამეურნეო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების დაწინაურებაში. როგორც ჩანს, განათლებისა და კულტურის სფეროს მოღვაწეთა გალერეაც შერჩეულია სეპარატისტული ნომენკლატურის სურვილის გათვალისწინებით.

ბუნებრივია, ჩვენს მოკლე მიმოხილვაში ვერ მოხვდა ყველა ნაშრომი, რომლებიც კონკრეტული დარგების - განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების განვითარებას ეხება - ეს არის სამეცნიერო და საგაზეთო პუბლიკაციები, მონოგრაფიები, ენციკლოპედიური ხასიათის შრომები თუ ფერადი ილუსტრირებული ალბომები. ქვემოთ, შესაბამის ადგილზე ამ გამოცემებს დავიმოწმებთ.

⁷² Абхазский биографический словарь, Под. ред. **В. Ш. Авидзба** Абхазский институт гуманитарных исследований им. Д. И. Гулиа АН Абхазии. Москва – Сухум, 2015, 832 გვერდზე.

თავი II. კულტურული ცხოვრება აფხაზეთში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დამდეგს

XIX საუკუნე საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიაში თვისებრივად განსხვავებული ეპოქაა. სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქართული საზოგადოებისთვის დადგა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით განსხვავებული ისტორიული დრო - რადიკალურად შეიცვალა როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების კულტურული ცხოვრება.

XVII ს. 80-იანი წლებიდან აფხაზეთში შექმნილი რთული ეთნოპოლიტიკური ვითარების შემდეგ, აფხაზეთის კულტურული ცხოვრების იმპულსების შენარჩუნება მთლიანად სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს და დასავლეთ საქართველოს სხვა საეკლესიო ცენტრებს დაეკისრათ. ამ დროს მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა აფხაზ და ქართველ წარჩინებულ ფენებს შორის ტრადიციადქცეული გაძიძავებისა და ძუძუმტეობის ინსტიტუტმა. სამურზაყანოში, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში გაძიძავებული აფხაზეთის მკვიდრნი (აფხაზები და ქართველები) აქაურ საეკლესიო ცენტრებში ეუფლებოდნენ წერა-კითხვას, ეწაფებოდნენ წმინდა წერილს, გეოგრაფიას, ვარსკვლავთმრიცხველობას (ასტრონომიას), არითმეტიკას, ჰაგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიას, ქართულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს და ა. შ.⁷³

⁷³ საგულისხმოა, რომ აფხაზეთიდან საქართველოს სხვა მხარეებში გაძიძავების ტრადიცია დამახასიათებელი და შემორჩენილი იყო XIX საუკუნის აფხაზეთის ყოფაშიც. ამ თემაზე, გაზეთ „დროებაში“, საინტერესო პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული კონსტანტინე მაჭავარიანს, რომლის მიხედვით, „აფხაზეთის თავადნი, მათის გავლენის განსაზღვრელებლად საზღვარს გარეთ მათთა სამფლობელთა, მისცემდენ ხოლმე თავიანთ შვილთა აღსაზრდელად, მაგალითებრ, *სამურზაყანოში, სამეგრელოში, გურიაში* და *იმერეთშიაც*, რომ იქაც ჰყოლოდათ ერთგულნი კაცნი და მიეღოთ შემწეობა თავიანთ უკიდურესს მდგომარეობაში მდაბალი წოდებაც, რასაკვირველია, მოხარული იყო, ნათესაობა ჩამოეგდო თავადებთან და მათ შორის მოეპოვა შემწენი და მფარველნი. არა თუ ძველ დროში, არამედ დღესაც მთელი სახლეულობა, მთელი სოფელი, როდესაც მოისურვებს მტკიცე ფიცი მიიღოს დასარწმუნებლად რომლისაზე გარემოებისა, მოიხსენებს თავის გაზრდილის სახელს შემდეგის სიტყვით: ვიფიცავ ბატონსა, ანუ ვიფიცავ იმის ძესა, ანუ ასულსა, რომ მართალს ვამბობ. ამგვარადვე ფიცულობენ იგინი თითქმის ყოველთვის. გაზრდილნიც განსაკუთრებულის სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ გამზრდელთა, იმათ ქმართა და შვილთა; ეკიდებიან ისე, როგორც თავიანთ დედ-მამას და და-ძმას. მათის გულისათვის იგინი მზად არიან შესწირონ თვით თავიანთი სიცოცხლეც და სამაგიეროდ არა თუ გამზრდელი, არამედ მთელი სოფელი მარადის მზადაა შეეწიოს თავის გაზრდილს ფულითა და ქონებით“. **კოწია მაჭავარიანი**. ეთნოგრაფიული წერილები - აფხაზეთი (წერილი მეორე), გაზეთი „დროება“, N275, 1884 წელი.

ეს კულტურული ერთიანობა ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ ქართულ-აფხაზური ისტორიული თანაცხოვრების ტრადიციებს, რომელიც, მთის ძლიერი მოწოდებისა და ოსმალეთის გავლენის გაძლიერების მიუხედავად ბოლომდე არ მოშლილა. ამ ფაქტმა განაპირობა აფხაზეთის ერთიანი ქართული კულტურულ-ისტორიული სივრცის ნაწილად დარჩენა, რაზეც მიუთითებს მხარის მოსახლეობის: აფხაზეთის მთავრების, აფხაზი და ქართველი წარჩინებულებისა და მოსახლეობის სხვა სოციალური ფენების დღემდე შემორჩენილი წერილობითი ძეგლები – ოფიციალური დოკუმენტები, ეპისტოლარული მასალა, შეწირულობანი, საჩივრები და განჩინებები, საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომლებიც ქართულ ენაზეა შესრულებული. ეს არტეფაქტები მიუთითებენ, რომ კულტურისა და სწავლა-განათლების ენა, ისევე როგორც შუა საუკუნეების აფხაზეთში, ახლაც ქართული იყო. მართალია, უკვე აღარ არსებობს და იავარქმნილია გვიანი შუა საუკუნეების ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია საეკლესიო (ილორის ტაძართან) და საოჯახო სკოლები, სადაც ქართულად წერა-კითხვასა და მწიგნობრობის სხვა დარგებს ასწავლიდნენ.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე, აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ცენტრს აფხაზეთის სამთავრო სახლი წარმოადგენდა, ხოლო 1864 წელს მისი გაუქმების შემდეგ, სამთავრო სახლის წარმომადგენლების, ან მათთან დაახლოებული პირების მხრიდან მოდიოდა საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების განვითარებისთვის აუცილებელი ძირითადი იმპულსები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის, მიხეილ, კონსტანტინე, გიორგი შარვაშიძეების, სოლომონ ზვანბას, დიმიტრი მაჭავარიანის, საეკლესიო პირების იოანე იოსელიანის, ალექსანდრე ოქროპირიძის, გაბრიელ ქიქოძის, ამბროსი ხელაიას, კირიონ II სამაგლიშვილის, დავით მაჭავარიანის, ივანე გეგიას, კონსტანტინე მაჭავარიანის პეტრე ჭარაიას, და სხვათა მოღვაწეობა. ფასდაუდებელია ამ ადამიანების ღვაწლი აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის - ქართველთა და აფხაზთა კულტურული ცხოვრების აღორძინებისა და გამოცოცხლების საქმეში.

აფხაზეთის სამთავრო სახლის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება შეუძლებელი იყო განათლების გარეშე, აუცილებელი იყო სკოლების გახსნა და განათლების გავრცელება მოსახლეობაში. აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 1810 წელს, სამთავროს ცენტრში, სოფელ ლიხნში, ზუგდიდის ტაძრის დეკანოზმა და აფხაზეთის მთავრის კარის მღვდელმა იოანე იოსელიანმა სცადა ლიხნის ტაძართან ოფიციალურად დაეკანონებინა, უკვე არსებული არაფორმალური სკოლა. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში შემორჩენილია 1810 წლის 26 ნოემბრით დათარიღებული მისი წერილის თარგმანი

ქართულიდან რუსულ ენაზე. წერილი აფხაზეთის⁷⁴ მაშინდელი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა საინტერესო ცნობებს იძლევა, მაგრამ შევჩერდებით, აფხაზეთის განათლებაში ამ დროს არსებულ ვითარებაზე. ავტორი ჩამოთვლის იმ საეკლესიო - საგანმანათლებლო ცენტრებს-ბიჭვინთა, მოქვი, ბედია, დრანდა, რომლებმაც გვიან შუა საუკუნეებში მხარის კულტურულ დაწინაურებას შეუწყო ხელი, მაგრამ ამ კერების მოშლამ გამოიწვია აფხაზეთის მცხოვრებთა მდგომარეობის შეცვლა, რომელსაც შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „აფხაზეთის მცხოვრებნი უწიგნური და გაუნათლებლნი არიან“ („Жительствующие въ Абхазіи безграмотны и необразованы“).⁷⁵ იოანე იოსელიანმა, ამ ვითარების გამოსასწორებლად, ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, ორი მღვდელი იოანე ქავთარაძე და სიმეონი აკურთხა, რომლებიც მაშინვე შეუდგნენ საქმიანობას და ერთმა 20, ხოლო მეორემ 10 აფხაზი გააქრისტიანა და მათ ქართული წერა - კითხვა ასწავლა⁷⁶. ფაქტობრივად, წერილში აღწერილია აფხაზეთში, ლიხნის ეკლესიასთან პირველი არაფორმალური სკოლის დაარსების ისტორია. წერილის ავტორის მთავარი იდეა იყო ამ სკოლისთვის ოფიციალური სახელმწიფო სტატუსის მინიჭება და დაფინანსების მიღება. წერილიდან ჩანს, რომ სკოლა ერთკლასიანი იყო და წერა-კითხვის სწავლების, საეკლესიო გალობის, საღმრთო წერილისა და სასულიერო ლიტურგიის გაცნობით შემოიფარგლებოდა, შესაბამისად, ამ ბავშვებს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ, მაღალ საფეხურზე, სხვა სკოლებში გაეგრძელებინათ სწავლა. ვფიქრობთ, იოანე იოსელიანი ამიტომ ცდილობს დაასაბუთოს ლიხნში სკოლის ოფიციალური გახსნის საჭიროება და დააკანონოს სკოლის არსებობა. ავტორი ასახელებს აფხაზური თემის იმ 12 ყმაწვილს, რომელთაც ქართული წერა-კითხვა და გალობა უკვე ასწავლა. კეთილშობილი სასულიერო პირის აზრით, ეს ხელს შეუწყობდა აფხაზთა შორის საეკლესიო წიგნიერების გავრცელებას, ხოლო ერთი წლის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა რუსულის ენის მასწავლებლის მოწვევაც. წერილის ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის მთავარი გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძე (1810-1821) თავად გააქრისტიანა და სკოლის გახსნის საკითხშიც მისი მხარდაჭერა აქვს. სასულიერო პირი დარწმუნებულია, რომ სკოლის გახსნას გადამდები ეფექტი ექნებოდა და მალე ამ 12 ყმაწვილის ნათესავებსაც მოუწოდებოდათ წერა-კითხვის სწავლა, ნელ-ნელა აფხაზები ისევ მიუბრუნდებოდნენ ქრისტიანობას და თათართაგან სიბნელეში ჩაძირული აფხაზე-

⁷⁴ წერილის ავტორი აფხაზეთს სამურზაყანოს იქით არსებულ ტერიტორიას უწოდებს.

⁷⁵ АКАК, VI, 1875: Акты, собранные Кавказскою археографической комиссией. Издан под редакцией председателя комиссии Ад. Берже, т. VI, ч. II. Издательство: Типография Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис, 1875. გვ. 850;

⁷⁶ АКАК, VI, 1875: Акты, собранные Кавказскою археографической комиссией. Издан под редакцией председателя комиссии Ад. Берже, т. VI, ч. II. гв. 850;

თი კვლავ განათლებოდა⁷⁷.

იოანე იოსელიანის წერილი მრავალმხრივი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა: ავტორი არაპირდაპირ მიუთითებს აფხაზეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილის უწიგნურობისა და გაუნათლებლობის მიზეზებზე: ოსმალეთის გავლენის გაძლიერება, ძველი საეკლესიო-საგანმანათლებლო ცენტრების გავერანება - მოშლა, რასაც მოჰყვა აფხაზეთა მიდრეკილება წარმართობისკენ და ა. შ. თავის დროზე, ლიხნიც (ავტორი მას ლუხუნის ტაძარს უწოდებს-ლ.ა.) გავერანებული ყოფილა, მაგრამ იოანეს ინიციატივით, ლიხნიშიც და ბედიის ტაძარშიც წირვალოცვა აღუდგენიათ⁷⁸. წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ლიხნიში წერა-კითხვისა და საღვთო სჯულის სწავლება აფხაზეთის მთავრის სურვილით მიმდინარეობს და ავტორს იმის დაკანონება სურს, რაც უკვე რეალობაა. ფაქტობრივად, ეს არის საეკლესიო სკოლის ინსტიტუციური დაფუძნების პირველი მცდელობა XIX საუკუნის აფხაზეთში.

ლიხნიში საეკლესიო სკოლის ოფიციალური დაარსების სურვილი იოანე იოსელიანის მხრიდან გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ლიხნი, XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო. რაც შეეხება სოხუმს, ამ დროს ის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და ქალაქი მუდმივი მღელვარების ქვეშ ცხოვრობდა. ამას ზედ ერთვოდა მძიმე კლიმატური პირობები, რომელიც არაერთ მოგზაურს და მწერალს, მათ შორის გიორგი ავალიშვილს, ჟაკ ფრანსუა გამბას, ედმუნდ სპენსერს, კარლ კოხს, რუს მოხელეებს, ევროპელ სიძველეთმცოდნეებსა და სხვებს აქვთ აღწერილი. სოხუმის გადაქცევა აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად XIX საუკუნის შუახანებიდან იწყება, მას შემდეგ რაც აქ ქალაქის ირგვლივ არსებული ჭაობების ამოშრობა დაიწყო, გაიყვანეს გზები, დაარსდა საბაჟო, სამოქალაქო მმართველობა, აგურის ორი პატარა ქარხანა, დაიწყო საზღვაო ნავსადგურის მშენებლობა, გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა და დაარსდა პირველი სასულიერო და საერო სასწავლებლები.

XIX საუკუნის I ნახევრის აფხაზეთში კულტურული სიახლეები მთავრის სახლის მხარდაჭერითა და ინიციატივით მიმდინარეობდა. დიდი იყო მათი გავლენა სამთავროში მიმდინარე საგანმანათლებლო ცხოვრებაზეც. გიორგი (საფარბეი) შარვაშიძის შვილებს, მიხეილს, კონსტანტინეს და ალექსანდრეს ოჯახში კარგი ქართული განათლება ჰქონდათ მიღებული. ამას ხელმძღვანელობდა მათი დედა *თამარ დადიანი* (სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის და). ეს ტრადიცია მიხეილის ოჯახშიც გაგრძელდა, რომლის თანამეცხედრე, ასევე სამეგრელოს

⁷⁷ АКАК, VI, 1875: Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. VI, ч. II. გვ. 851;

⁷⁸ Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. VI, ч. II. გვ. 850-851;

სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, დიდი ნიკოს სახელით ცნობილი მოღვაწის – ნიკო დადიანის (1764-1834) შვილიშვილი – ალექსანდრა (ცუცა) დადიანი იყო.

ამ ეპოქის აფხაზეთის კულტურისა და განათლების ძირითადი ენა ქართულია, რასაც ისტორიული ფაქტები და დოკუმენტები ადასტურებენ. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ აფხაზეთის სამთავრო სახლის – შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა ოფიციალური საბუთები და ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მათ მიერ გაცემული დოკუმენტების, საოჯახო მიმოწერისა და პოლიტიკური ხასიათის წერილების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ ენაზეა დაწერილი.

მთავართა მიერ გაცემული ისტორიული საბუთებიდან ყურადღებას იქცევს ქელემ-ბეი შარვაშიძის (XVIII ს. 80-იანი - 1808წწ.) 1806 წლის 20 მაისით დათარიღებული ორი ქართულენოვანი დოკუმენტი, რომლებშიც საინტერესო ცნობებია დაცული. პირველი დოკუმენტი მიმართულია სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ქვრივის ნინო ბაგრატიონ - დადიანისადმი: *„ესე მტკიცე ხელის-წერილი მოგართვი თქვენ, ბატონს, საქართველოს მეფის ასულს, დედოფალს ნინოს და თქვენს ძეს დადიანს ლევანს, მე შარვაშიძე ქელემ აჰმად-ბეგმან, - ასე რომ ჩვენსა და თქვენს შუა ცუდის კაცის ენით გულ-ძვირობა მოხდა და შეგულძვირებული ვიყავით და ისევ გარიგება ვინებეთ, ლენერალ - მაიორის რიქხოვისა და უფლის პოდპოლკოვნიკის ტარასოვის შუამავლობით გავრიგდით, ასე რომ თქვენ თუ ჩვენს დასამდაბლებელ საქმეშიდ არ შეხვიდეთ, ჩვენ შენი კარგის მდომი ვიქმნეთ და თქვენს საზიანოსა და დასამდაბლებელს საქმეშიდ არ შევიდეთ და არც შემედლოს; შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრის მტერი ვიქმნე, მოყვარისა მოყვარე ვიქმნე. არის ამის მოწამე ლენერალ - მაიორი რიქხოვი, პოდპოლკოვნიკი ტარასოვი, თავადი პარუთჩიკი სტეფანე მელიქის-ძე, თავადი პრაპორჩიკი ადილ-ბეგ. თუ ამ წერილზედ გარდავხდეთ და გავმტყუნდეთ, ლენერალ-მაიორმა რიქხოფმა მოიკითხოს როგორც რიგი არის და იმისი პასუხის გამცემი მე ვიყო. მაისი კ დღესა, ჩყვ წელსა. - ციხესა ანაკლიასა.“*⁷⁹

ქელემ ბეი შარვაშიძის მეორე საბუთი აწესრიგებს ვასალურ ურთიერთობებს საკუთარ ძმისშვილთან, რომელიც „შეგულძვირებული“ ყოფილა ბიძასთან და მან შესარიგებლად სამეგრელოს დედოფალსა და გენერალ რიქხოფს მიმართა. დოკუმენტში ვკითხულობთ: *„ესე ხელის-წერილს გაძლევ შენ ჩემს ძმის-წულს ბექირ-ბეგის შვილს სოსრან-ბეგს, ასე რომ მე და შენ შეგვგულძვირდით და გენერალ-მაიორს რიქხოფს და ბატონ დედოფალს ეახელი; აწ, ამათმან უგანათლებუ-*

⁷⁹ Акты, собранные Кавказскою археографической комиссиєю. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. III. Издательство: Типография Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис, 1869. გვ. 189.

ლესობამ იწვევს ჩვენი და შენი გარიგება და თავათ დედოფალი მობრძანდა, ღენერალის მაგიერი კაცი პოდპოლკოვნიკი მოვიდა და გაგვარიგეს, ასე რომ რაც მამაშენს ბეჭირ-ბეგს ადგილ-მამული ყმა და მოსამსახურე ყავდა, ან რაც ქონდა, სრულათ ოთხივე ძმებისათვის მოგვიცემია მამიშენისეული ადგილ-მამული; კიდევ როგორც რიგი არის ბატონყმობისა, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებათ გყვანდეს, და ჩემდა არც სიკვდილით, არც დაჭერით, არც კაცის შეჩენილობით ფიქრი არ გქონდეს, თუ ცხადათ შენგან ვნება არა გამოცხადდეს რა. **ესე წიგნი ჩემგან შენ არას დროს არ მოგეშალოს**, თავათ ამის თავდები პოტპოლკოვნიკი ტარასოვი, და თუ ამას გარდავხვდე ღენერალს რიხსოფის პასუხის გამცემი მე ვიყო. ამისი მოწმე თავადი მელიქოვი, პარუთიჩიკი სტეფანე. მაისი 3 დღესა ჩვე წელსა. ციხესა ანაკლიასა.“⁸⁰

ორივე საბუთი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია და რამდენიმე მიმართულებით იქცევს ყურადღებას. 1. დამოკიდებულება სამეგრელოს ფაქტობრივი მმართველის წინა დადიან-ბაგრატიონისა და ზოგადად ბაგრატიონებისადმი; 2. რუსი მოხელეების შუამავლობა და ჩართულობა სამთავროს საშინაო საქმეების მოგვარებაში; 3. ურთიერთობები ვასალსა და სიუზერენს შორის - „ბატონისა“ და „ყმის“ ურთიერთობების პრობლემა; 4. მამულის მემკვიდრეობის საკითხი XIX საუკუნის დამდეგს, აფხაზეთში; 5. სამთავროს ოფიციალური სამუშაო ენა, როგორც საგარეო, ასევე საშინაო საკითხების მოწესრიგებისას და კულტურული იდენტობის პრობლემა; 6. მთავრის მიერ გაცემული დოკუმენტის დიპლომატიკური ნორმები, მისი სახელდება და მრავალი სხვა. ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესოა, ბოლო ორი საკითხი.

ორივე საბუთიდან ღიად ჩანს, რომ აფხაზეთის სამთავროს ოფიციალური სამუშაო ენა ქართულია და სამართლებრივი შინაარსის დოკუმენტების შედგენა, როგორც საგარეო საკითხების მოწესრიგებისას, ასევე შიდა მოხმარებისთვის - ხელქვეითებისა და ვასალებისთვის ქართულ ენაზე მიმდინარეობს. საბუთების შედგენისას, შარვაშიძეთა სამთავრო სახლი, ზედმიწევნით იცავს ქართული ისტორიული საბუთების შედგენის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას - იცნობს და იყენებს ძველი ქართული დიპლომატიკის აღიარებულ წესებსა და ნორმებს, განარჩევს სხვადასხვა ქართულ დიპლომატიკურ ტერმინებს, აძლევს მას მტკიცებით ფორმას და ა. შ. კულტურული იდენტობის თვალსაზრისით, ეს საბუთები ქართული ისტორიული დოკუმენტების ერთი ნაწილია და აგრძელებენ ძველ ქარ-

⁸⁰ Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. III. Издательство: Типография Главного Управления Наместника Кавказского. Тифлис, 1869. გვ. 190. შდრ. **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან ნაკვეთი. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2004. გვ. 129-130;

თულ დიპლომატიკაში საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ წესებს, თუმცა შეიმჩნევა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული თავისებურებანიც.

ქელემ ბეი შარვაშიძის მეორე დოკუმენტის განხილვისას, ზურაბ პაპასქირმა სამართლიანად მიიჩნია, რომ იგი შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამომუშავებული დიპლომატიკური ნორმების მიხედვით და წარმოადგენს ხელწერილს.⁸¹

საბუთი, მართლაც შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკის მთელი რიგი ნორმების დაცვითაა შესრულებული, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მხოლოდ „ხელწერილი“, რადგან მასში მამულის გადაცემის იურიდიული აქტია ასახული და უნდა მივიჩნიოთ მამულის ბოძების/დამტკიცების დოკუმენტად. რაც შეეხება დიპლომატიკურ ტერმინს - „ხელწერილი“, ყურადღებას იქცევს დოკუმენტში მისი ფიქსაცია. სიტყვები „ხელი“ და „წერილი“ წარმოდგენილია დეფისით, ცალ-ცალკე, ე.ი. დოკუმენტი არ არის ჩვეულებრივი „ხელწერილი“ და იგი „ხელით ნაწერი“, „ხელით ნაწერი წიგნის“ მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინია. ამ მოსაზრებას ასაბუთებს ტექსტის მომდევნო სტრიქონებში ნახსენები სიტყვები, როცა ქელემ-ბეი წერს - „ესე წიგნი ჩემგან შენ არას დროს არ მოგეშალოს“, ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, ძველ საქართველოში საბუთის აღმნიშვნელ ტერმინ „წიგნის“ გამოყენებასთან და სიტყვა „ხელწერილი“ ჩანს, როგორც „წიგნის“⁸² უფლებამონაცვლე დიპლომატიკური ტერმინი. ცხადია, მასში უფრო ფართო მნიშვნელობა დევს, ვიდრე „ხელწერილი“-ს ჩვეულებრივი თანამედროვე გაგებაა. დოკუმენტში წარმოდგენილი ტერმინის - „ხელ-წერილის“ სახით საქმე გვაქვს გვიანი შუა საუკუნეების ქართულ სამეფო-სამთავროებში შემუშავებული მრავალფეროვანი დიპლომატიკური ტერმინებიდან ერთ-ერთის გამოყენებასთან. „ხელ-წერილი“ როგორც წიგნი გამოყენებულია სხვა ისტორიულ დოკუმენტებშიც.

ქელემ ბეის მიერ გაცემული საბუთები ფასდაუდებელ ინფორმაციას ინახავს აფხაზეთში სენიორალურ-ვასალური ურთიერთობების, მამულის ბოძებისა და წყალობის, საკუთრების უფლების შესწავლის თვალსაზრისით. გაცემული

⁸¹ **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, გვ. 130. **ზურაბ პაპასქირი.** შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის, *იხ. მონოგრაფიაში:* საქართველო - ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, გვ. 413.

⁸² ძველ ქართულ დიპლომატიკაში ტერმინი „წიგნი“, მკვიდრდება XV საუკუნიდან და ყველაზე გავრცელებული ზოგადი ტერმინია XVI-XVIII სს-ში. იხილეთ: **ნოდარ შოშიაშვილი,** წინასიტყვაობა, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. I. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ვალერი სილოგავამ, ნოდარ შოშიაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1984. გვ. 9.

დოკუმენტით, ავტორი „ბეჩირ-ბეგის შვილს სოსრან-ბეგს“ იურიდიულად უკანონებს მამულებს, ამავე დროს დასტურდება, რომ ქვეშევრდომებთან მთავრის კომუნიკაციის ოფიციალური ენა ქართულია.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის (1808-1921) „სათხოვარ პუნქტებს“, რომელიც ქართულ ენაზეა შედგენილი და შვიდი პუნქტისგან შედგება. გიორგი (საფარბეი) შარვაშიძის „სათხოვარ პუნქტების“ მიზანი იგივე იყო, რასაც სხვა ქართული სამეფო სამთავროების მეფე-მთავრები ითხოვდნენ რუსეთის ერთმორწმუნე იმპერატორისგან - „რათა ვიყო მე მთავრად და გამგებლად ქვეყნისა ჩემისა და აგრეთვე მე ჩემი და მის ძენი საუკუნოდ იყვნენ ალუბოცელ მთავრობისაგან და მპყრობელობისა სამკვიდროს სამფლობელოთა მოწყალებით ესრედ“.⁸³ საბუთს ხელს აწერენ გიორგი შარვაშიძე და თულა შარვაშიძე, ხოლო ბოლოს „ხელს ვაწერთ და ვამოწმებთ წერილსა ამას თავადნი აფხაზეთისანი“.⁸⁴ საბუთი დათარიღებულია 1808 წლის 12 აგვისტოთი და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, კოლექტიური ისტორიული მეხსიერებითა და კულტურული იდენტობით, რომელ სამყაროს ეკუთვნის „თავადნი აფხაზეთისანი“. ამ სამყაროსადმი თავის კუთვნილებას ღიად ადასტურებს აფხაზი წარჩინებულის ალექსანდრე შარვაშიძის ცნობილი სიტყვები: „Я не абхазский, а грузинский князь“.⁸⁵

სამწუხაროდ, ისტორიამ გვიჩვენა, რომ გიორგი (საფარბეი) შარვაშიძის და სხვა ქართული სამეფო-სამთავროების მესვეურთა „სათხოვარი პუნქტები“ დროებითი, ნდობის მოპოვების მიზნით შექმნილი დოკუმენტები იყო და რუსეთის იმპერიას გათვლილი ჰქონდა კონკრეტულ ისტორიულ პერსპექტივაზე, რომლის

⁸³ **სოლომონ ლეკიშვილი.** ერთი ფურცელი XIX საუკუნის ისტორიიდან, გაზეთი „სახალხო განათლება“, 31 მაისი, № 26 (3343), 1989 წელი; ს. ლეკიშვილის ცნობით, „ქართულ ენაზე შედგენილი ამ „სათხოვარი პუნქტების“ ორიგინალი (ეტრატი, ზომით 5040), დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრაფ. ნ. პ. რუმიანცევის პირად საარქივო ფონდში. ამ დოკუმენტის რუსული თარგმანის ბეჭდური, უთარილო ვარიანტი გამოქვეყნებულია დოკუმენტების კრებულში. Акты, собранные Кавказскою археографической комиссией. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. III. გვ. 209. (იქვე მითითებულია, რომ ეს არის ძველი თარგმანი).

⁸⁴ **სალომე ბახია-ოქრუაშვილის** აზრით, აფხაზეთში თავადური გვარსახელების წარმოშობას ძირითადად, ადგილობრივი, ქართული საფუძველი ჰქონდა. შესაბამისად, აქ ქართველი თავადები ბატონობდნენ, რომელთა საკუთრების ფორმა ისტორიულად დადასტურებული იყო. ხოლო ისტორიულ ლიტერატურაში მოხსენიებული გვარები (ქართველი თავადების გარდა), რომლებსაც თავისი გვარ-სახელი წარდგენილი ჰქონდათ რუსეთის იმპერიის სათავადაზნაურო კომისიის წინაშე დაუმტკიცებელი, ან ზოგ შემთხვევაში უარყოფილი აღმოჩნდა. ამდენად მათი თავად-აზნაურებად მოხსენიების კვალი მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემორჩა. **სალომე ბახია-ოქრუაშვილი.** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბილისი, 2010. გვ. 269.

⁸⁵ **ნიკო ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისთვის. თბილისი, 1990. გვ. 611.

შედეგად 1801-1867 წლებში ყველა ქართული სამეფო - სამთავრო იმპერიის მიერ გაუქმებული იქნა.

გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის „სათხოვარ პუნქტები“ შინაარსზე მეტად სხვა მხრივ არის საინტერესო. ყურადღებას იქცევს დოკუმენტის ენა, დამწერლობა, ხელმოწერები და გამართული ქართული ტექსტი, რომელშიც დაცულია XIX საუკუნის დასაწყისის ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, სპეციფიკური მიმართვები, უფლისადმი მიმართვისა და ლოცვის ტრადიციული ფორმები და ა.შ. ეს არ არის „სხვა“ იდენტობის მატარებელი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შედგენილი დოკუმენტი, მისი ავტორისთვის ქართული შინაგანი სამყაროს, საკუთარი „მე“-ს ენაა, რაც საბუთის თითოეულ წინადადებაში იგრძნობა: „სარწმუნოებითა ჩვენითა, რომელიცა იყვნენ წინაპარნი ჩვენი“ , „ინებოს მოწყალებით მოხედვა ჩვენი სახიერებისაგან მისის იმპერატორებითა დიდებულების“, „ვექმნები მორჩილ საქართველოსა უპირატეს მმართველისა ერთგულთა და სარწმუნოთა მონათა და ყმათა ჩემთათანა...“. ჩანს, ტექსტის ავტორისთვის ქართული მხოლოდ კულტურის ენა არ არის, ეს მისი შინაგანი სამყაროს ენაცაა, რომლითაც ასე ხატოვნად ცდილობს საკუთარი სათქმელის გადმოცემას. ისევე როგორც ზემოთ მოხმობილ საბუთებში, აქაც სახეზეა საბუთის ავტორის მიერ საკუთარი იდენტობის უნებლიე დემონსტრირება.

გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ეს დოკუმენტი შედგენილია ქართველების მიერ და მას ბრმად აწერს ხელს აფხაზეთის მთავარი და „თავადნი აფხაზეთისანი“. ეს მოსაზრება პირველ რიგში, უარყოფს XIX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთში მიმდინარე ისტორიულ რეალიებს, როცა ასე მარტივად და ბრმად ისტორიულ დოკუმენტებზე ხელმოწერა „აფხაზი თავადების“ მხრიდან სრულიად გამორიცხულია, ხოლო მეორე მხრივ, აფხაზი მთავრებისა და აფხაზი თავადების წერილების დიდი უმრავლესობა ქართულ ენაზეა დაცული და შეუძლებელია სამთავრო სახლს ოფიციალური და პირადი წერილები მათთვის „სრულიად უცხო ენაზე“ შეედგინა.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ ის შესანიშნავად ფლობდა რუსულ და ფრანგულ ენებს, კავკასიის მმართველობას ქართულ ენაზე უგზავნიდა წერილებს, თუმცა არსებობს რემდენიმე რუსულენოვანი წერილიც. საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულია მიხეილის ქართული საბუთები, მათ შორის დედნებიც,⁸⁶ წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია კავკასიის არ-

⁸⁶ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*) ფ. N41, N42, N48. აქედან მხოლოდ 42-ე ფონდში არის დაცული მიხეილ შარვაშიძის შვიდი ქართულენოვანი ხელნაწერი, რომელიც თავის დროზე გამოაქვეყნა შალვა ჩხეტიამ. **შალვა ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. საისტორიო მოამბე, N15-16. *საქართველოს სსრ*

ქეოგრაფიულ აქტებშიც. მიხეილ შარვაშიძის ფონდში დაცული და გამოქვეყნებული ეპისტოლარული მემკვიდრეობა სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

1. ქართულენოვანი წერილები, რომელთა რუსული თარგმანი შესრულებულია ოფიციალური ხელისუფლების მიერ;

2. რუსულენოვანი წერილები, რომლებიც ავტორს გაგზავნილი აქვს ქართულად და თარგმნილია ქართულიდან რუსულზე, მაგრამ დედანი შემორჩენილი არ არის (იქვე მიწერილია მთარგმნელიც).

3. წერილები, რომლებიც ავტორმა იმთავითვე რუსულად შეადგინა და გაუგზავნა ადრესატს.

არგუმენტაციისთვის საინტერესოა ქართული დედნით დაცული რამდენიმე საბუთი: 1. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 18 მაისის წერილი მეუღლე ალექსანდრასდმი; 2. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 16 ივნისის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი თურქეთის სარდლობის გეგმის ჩაშლის შესახებ; 3. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 1 ოქტომბრის წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი; 4. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 17 დეკემბრის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი; 5. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1855 წლის 17 დეკემბრის წერილი სიმამრის გიორგი დადიანისადმი. 6. 1856 წლის არაუგვიანეს 1 იანვრისა, აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის მიერ რუსეთის სარდლობისათვის მოწოდებული ცნობები აფხაზეთსა და სამეგრელოში დაბანაკებული ომერ ფაშას ჯარების რაოდენობის შესახებ; 7. აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის 1856 წლის 22 იანვრის წერილი გენ. ვასილ ბებუთოვისადმი, მისი მოქმედებებისა და გეგმების შესახებ.⁸⁷ ეს საბუთები მოწმობენ, რომ მიხეილ შარვაშიძე ოჯახის წევრებსაც და სახელმწიფო მოხელეებსაც წერილებს, უმეტესად ქართულ ენაზე, მხედრული ანბანით წერდა.

ოფიციალური რუსული საისტორიო წყაროებითაც, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. საყურადღებო ცნობას ვხვდებით 1855 წ. 11 ივლისით დათარიღებულ თავად ვასილ ბებუთოვის ანგარიშში თავად დოლოგორუკოვისადმი, რომელშიც ავტორი აღნიშნავს 7 ივნისს აფხაზეთის მთავრის წერილის ქართულ ენაზე მიღების ამბავს.⁸⁸ და იქვე გადმოსცემს წერილის შინაარსს რუ-

მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო. თბილისი, 1963. გვ. 123- 263; აღნიშნულ დოკუმენტების არსებობაზე მიუთითებდა სიმონ ჯანაშია. **სიმონ ჯანაშია.** გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი. – *შრომები*. ტ. VI. გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 1988. გვ. 27.

⁸⁷ **შალვა ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. იხილეთ დოკუმენტები N9, N17, N40, N51, N52, N56, N61.

⁸⁸ *Акты, собранные Кавказскою археографической комиссией.* Издан под редакцией предсе-

სულ ენაზე. ამასვე ადასტურებენ XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთში მყოფი რუსი სიძველეთმცოდნეები, რომელთა ნაშრომებში ასახული ცნობებით, რეგიონის კულტურისა და განათლების ენა ქართული იყო, ხოლო აფხაზი მთავრები და სამთავროს წარჩინებული მოსახლეობა ქართულს შესანიშნავად ფლობდნენ. მაგალითად, რუსი სამხედრო და სიძველეთმცოდნეული მიხეილ სელეზნევი⁸⁹, რომელიც 1841 წელს იყო აფხაზეთში, აღწერს, რომ მაღალი წრის წარმომადგენლებმა ქართული კარგად იციანო.⁹⁰

იმავე რუსი მკვლევრების და მოგზაურების ნაშრომებში მრავლად ვხვდებით ცნობებს XIX საუკუნის აფხაზეთში ქართული ასომთავრული წარწერებით შემკული არტეფაქტების შესახებ. ქართული წარწერები ახლავს მიხეილ შარვაშიძის დაკვეთით 1829 და 1848 წლებში შექმნილ ხატებს, რომლებიც მან ლუხუნის (ლიხნის) ტაძარს შესწირა. ერთ-ერთზე ამოკვეთილი წარწერა იუწყება, რომ ხატი შეაჭედინა „მთავარმან სრულიად აფხაზეთისამან, მიხეილ გიორგის ძემ შარვაშიძემან“, „სადღეგრძელოდ საყვარლისა მეუღლისა ჩემისა და მემკვიდრისა ჩვენისა გიორგისა...“⁹¹. ქართულადაა დაცული მიხეილ შარვაშიძის 1864 წ. 21 ივლისით დათარიღებული წერილი რომელიც მან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის გაუგზავნა და რომელშიც სურვილს გამოთქვამდა დაესაფლავებინათ მის მიერ აღდგენილ მოქვის ტაძარში.⁹² ქართულ ენაზეა შედგენილი იმავე ადრესატისადმი გაგზავნილი, 6 ნოემბრით დათარიღებული წერილი, მიჩნეულია, რომ ეს არის მიხეილ შარვაშიძის უკანასკნელი წერილი⁹³, მაგრამ რეალურად ეს არის არა უკანასკნელი, არამედ აფხაზეთიდან გაგზავნილი ბოლო წერილი, რადგან გადასახლების შემდეგ, მან რამდენიმე წერილი კვლავ გაუგზავნა იმპერიის მოხელეებს - 1865 წლის 7 მარტს კავკასიის არმიის მთავარსარდალს, მიხეილ რომანოვს⁹⁴, 1865 წლის 23 ივლისის დეპეშა სამხედრო მინი-

дателя комиссии *Дм. Кобякова*, т. XI. Издательство: *Типография Главного Управления Наместника Кавказского*. Тифлис, 1888.

⁸⁹ **მიხეილ სელეზნევი** - რუსეთის არტილერიის შტაბის კაპიტანი, კავკასიის ომის მონაწილე, რომელიც კავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში მოგზაურობდა სამსახურეობრივი მოვალეობის ფარგლებში. ცნობილია ისეთი ნაშრომებით, როგორიცაა „კავკასიის ცოდნის გზამკვლევი“ (1847-1850) და „კათოლიკეებისა და სხვა სასულიერო პირების, მისი რელიგიური ცნებებისა და რიტუალების შესახებ“ (1850 წ.).

⁹⁰ **М. Селезнев**. Руководство к познанию Кавказа, кн. II. Санкт-Петербург, 1847. გვ. 206.

⁹¹ **თედო სახოკია**. აფხაზეთში. – გაზეთი „*ცნობის ფურცელი*“, 11.12.1903.

⁹² საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*) ფ. 416. აღწ. 3. ს. 177. ფურც. 86. შდრ. **ბეჟან ხორავა**. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2011. გვ. 278.

⁹³ **სიმონ ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი. გვ. 33;

⁹⁴ 1964 წლის 7 მარტის წერილი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*), ფ. 416, აღწ. 3. ს. 177. ფურც. 118-119. შდრ. **ბეჟან ხორავა**. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, გვ. 281.

სტრ გენერალ-ადიუტანტ დიმიტრი მილიუტინს,⁹⁵ 1865 წლის 23 დეკემბრის წერილი კვლავ კავკასიის არმიის მთავარსარდალ მიხეილ რომანოვს⁹⁶ და ცალკე წერილი მის თანაშემწეს ალექსანდრ კარცოვს⁹⁷.

მთავრის ოჯახის სხვა წევრების მიმოწერაც ქართულია და შესრულებულია გამართული ქართულით. სიმონ ჯანაშია მიხეილ შარვაშიძის წერილებში დაცულ სალიტერატურო ქართული ენის ნორმებზე, მიმართვის ფორმებსა და გამართულ გრამატიკულ სტილზე დაკვირვებით ასკვნის, რომ „*ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთის ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო*“⁹⁸.

ამ კონტექსტში საყურადღებოა აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურული ცხოვრების ისტორიის ცალკეული ეპიზოდები. მაგალითად, გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი გიორგი ძიძარია, აფხაზეთის სამთავრო კარის კულტურულ ცხოვრებაზე საუბრისას, ხაზგასმით აღნიშნავს უკანასკნელი მთავრის ოჯახის დამოკიდებულებას რუსული ენისა და რუსული კულტურისადმი და იმოწმებს 1867 წლის ზაფხულში კავკასიაში ჩამოსული ტურისტის ჩანაწერებს, რომლის მიხედვით მთავრის ბიბლიოთეკაში ნახავდით მიხ. ლერმონტოვის „*ჩვენი დროის გმირს*“, დისერტაციას ლათინურ ენაზე, იტალიური ოპერების ლიბრეტოს, ფრანგულ სამედიცინო წიგნებს, გაფანტულ მრავალრიცხოვან რუსულ რომანებს, ჟურნალებს, გაზეთებსა და სხვა გამოცემებს... აქ იყო ნაპოლეონისა და სუვოროვის ისტორიები, 1812 წლის ლაშქრობის ისტორია და ა. შ⁹⁹. ეს ფაქტი მიხეილ შარვაშიძის მიერ რუსული და ფრანგული ენების ცოდნაზე, მრავალმხრივ განათლებასა და ინტელექტზე მიუთითებს.

გიორგი ძიძარია აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე საუბრისას თავშეკავებით საუბრობს მიხეილ შარვაშიძის ურთიერთობებზე ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. არადა ცნობილია მისი ახლობლობა ქართული კულტურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. სამაგალითოა, მთავრისა და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის მეგობრული ურთიერთობები. გიორგი ძიძარიას მოჰყავს მიხეილ შარვაშიძის 1859 წლის 16 ივნისით დათარიღებული წერილი დიმიტრი ყიფიანისად-

⁹⁵ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*) ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 67-69. შდრ. ბეჟან ხორავა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, გვ. 282. .

⁹⁶ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*) ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 71-72. შდრ. ბეჟან ხორავა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, გვ. 283.

⁹⁷ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*) ფ. 545, აღწ. 1. ს. 75. ფურც. 73-74. შდრ. ბეჟან ხორავა. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, გვ. 283.

⁹⁸ სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი. გვ. 35.

⁹⁹ Кавказ 1867 - Из записок Кавказского туриста, Кавказ , 11 (23), VII, 1867, N 45; Г. А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Издательство «Алашара». Сухуми, 1979. გვ. 35.

მი, მაგრამ ავტორი მთავრის ეპისტოლედან მშრალად იმოწმებს მხოლოდ ერთ წინადადებას: „სასიამოვნოა იხილო ისეთი მეგობარი, როგორც ისაა“¹⁰⁰. ეს არის მიხეილ შარვაშიძის მაღლიერების წერილი მეგობრისადმი, როცა მეფისნაცვალმა ნიკოლაი მურავიოვმა (1854-1856), ყირიმის ომის შემდეგ (1856 წ.), მოითხოვა მიხეილ შარვაშიძის როგორც „მოღალატის“ გადაყენება და რუსეთის შორეულ გუბერნიაში გაგზავნა.¹⁰¹ დიმიტრი ყიფიანმა, რომელსაც რუსეთის იმპერიისგან მინდობილი ჰქონდა მიხეილ შარვაშიძის „ღალატის“ საქმის გამოძიება, დიდი რისკის ფასად, დოკუმენტურად დაადასტურა აფხაზეთის მთავრის სიმართლე¹⁰² და მისი აფხაზეთიდან გასახლება ფაქტობრივად, რამდენიმე წლით შეაჩერა.¹⁰³ სწორედ, ამ მეგობრობის გამო წერს მიხეილ შარვაშიძე სამადლობელ წერილს, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიე-

¹⁰⁰ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. დიმიტრი ყიფიანის ფონდი, დ. 1715. შდრ. **Г. А. Дзидзария**. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. გვ. 35.

¹⁰¹ *Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею*. Издан под редакцией председателя комиссии **Дм. Кобякова**, т. XI. Издательство: *Типография Главного Управления Наместника Кавказского*. Тифлис, 1888. გვ. 54.

¹⁰² შალვა ჩხეტიას შეფასებით, 1855 წლის 11 სექტემბერს დიმიტრი ყიფიანი მეფისნაცვალ ნიკოლაი მურავიოვისა და გენერალ ვასილ ბებუთოვის დავალებით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში... მოიარა და მოინახულა ის ადგილები და პირები, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ გამოსარკვევ საკითხთან.. ის იყო იმერეთში (ქუთაისი, ორპირი, გორდი, კულაში), გურიაში (ოზურგეთი, საჯევახო, აკეთი) და სამეგრელოში (ზუგდიდი, სენაკი, ჭკადუაში, კურზუ, სალხინო), სადაც მას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა მთელ რიგ კერძო და თანამდებობის პირებთან: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ პოლკ. კოლიუბაკინთან, გურიის რაზმის უფროს გენერალ ივ. მუხრან-ბატონთან, სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე დადიანთან, აფხაზეთის მთავრის მეუღლე, ალექსანდრა შარვაშიძესთან, მისი მამა გიორგი დადიანთან, გურიის თავად მიხეილ ერისთავთან, მ. შარვაშიძის ცოლყოფილ მენიკ დადიანთან და სხვებთან, რომელთაგან ზოგი მ. შარვაშიძის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა, ზოგი მის მომხრეთა... განსაკუთრებით მონდომებული იყვნენ შავად წარმოედგინათ მის პირად მტრებს, ამიტომ საჭირო იყო დამატებითი ობიექტური ცნობებისა და მასალების მოგროვება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სწორი დასკვნის გაკეთება. ისეთი დასკვნის, რომელიც დამაჯერებელი იქნებოდა მთავრობისთვისაც. დიმიტრი ყიფიანმა ეს მოახერხა - მან შეძლო მიეღო მ. შარვაშიძის მეუღლის ალექსანდრასა და მისი მამის გიორგი დადიანისაგან საიდუმლო მიმოწერა მიხეილ შარვაშიძესთან და ზოგი სხვა პირებთანაც, საიდანაც კარგად ჩანდა მიხეილ შარვაშიძის უდანაშაულობა... ამის საფუძველზე დ. ყიფიანმა შეადგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც აღწერილი იყო დ. ყიფიანის ყოველი ნაბიჯი და შეხვედრები სხვადასხვა პირებთან, მოცემული იყო ანალიზი მოპოვებული ცნობებისა თუ მასალებისა და გატარებული იყო ის აზრი, რომ მ. შარვაშიძეს რუსეთის მთავრობის წინაშე არავითარი დასაგმობი და ღალატი არ ჩაუდენია. **შალვა ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს საკითხისათვის, 1853-1855 წწ. საისტორიო მოამბე, N 15-16. თბილისი, 1963. გვ. 132-133.

¹⁰³ Историческая записка об управлении Кавказом. Том I. Составилъ Редакторъ Военно-Историческаго Отдѣла Окружнаго штаба **Семен Эсадзе**. Типографія „Гуттенбергъ“. Тифлис, 1907. გვ. 147; **სიმონ ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე, გვ. 9.

რობების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად. ეს არის საერთო ფესვების მქონე, მსგავსი მენტალობისა და იდენტობის ადამიანების ბრძოლა იმ ერთი მთლიანის გადასარჩენად, რომლის ნაწილსაც წარმოადგენენ.

და მაინც, აფხაზი მეცნიერი დუმილით უვლის გვერდს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის კანცელარიის შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან ცნობებს, რომლებიც ადასტურებენ მიხეილ შარვაშიძის სამთავრო სახლის კულტურულ - ისტორიულ იდენტობას და კანცელარიის ქართულენოვნებას. გიორგი ძიძარია იცნობს სიმონ ჯანაშიას ნაშრომს, სადაც ეს ფაქტი არგუმენტირებულად დაასაბუთა მეცნიერმა.¹⁰⁴ ზურაბ პაპასქირის დაკვირვებით, ნათელ დადასტურებად იმისა, რომ შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წარმომადგენლები ერთნიშნად მიაკუთვნებდნენ თავიანთ თავს ქართულ კულტურულ - პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ სამყაროს, შეიძლება მივიჩნიოთ ქელეშ ბეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების: გიორგი (საფარ-ბეი), შარვაშიძისა და მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და მათი კანცელარიიდან გამოსული სხვა ოფიციალური დოკუმენტები. დანამდვილებითაა ცნობილი, ეს მთავრები თავიანთ ოფიციალურ და არაოფიციალურ მიმოწერას, მხოლოდ ქართულ ენაზე აწარმოებდნენ¹⁰⁵.

გარდა ქელეშ ბეი, გიორგი (საფარ-ბეი) და მიხეილ შარვაშიძეების ზემოთხსენებული ისტორიული საბუთებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობისა, ამ ფაქტს, აფხაზეთში, შარვაშიძეთა კარზე მყოფი რუსი გენერალ-მაიორი კოცებუც ადასტურებს თავის წერილში, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალ ნიკიტა მურავიოვს გაუგზავნა. წერილის ავტორის სიტყვებით: „მთავარ შარვაშიძეთა გვარში მიღებული წერილობითი ენა ქართულია“¹⁰⁶.

აფხაზეთის სამთავრო სახლის კულტურული იდენტობის პირდაპირი გამოხატულებაა მოქვის კათედრალურ ტაძარში უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და მისი მეუღლის ალექსანდრა დადიანის 1862 და 1866 წლების საფლავის ქვის ქართული ასომთავრული ეპიტაფიები. ცნობილია, რომ ალექსანდრა დადიანი, მიხეილის გადასახლებამდე, 1862 წელს გარდაიცვალა და მისი საფლავის ქვა და ეპიტაფიაც მეუღლის დაკვეთით, ქართული ასომთავრულით იქნა შესრულებული: „აქ განისვენებს/ მთავრინა აბჯაზეთისა/ ალექსანდრა,/ გიორგის დადიანის ასული,/ მიცვალებული 1862 წელსა.“¹⁰⁷

¹⁰⁴ სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე. კულტურულ ისტორიული ნარკვევი. გვ. 7-13;

¹⁰⁵ ზურაბ პაპასქირი. შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის, *იხ. მონოგრაფიაში*: საქართველო - ისტორიული წარსული და თანამედროვეობა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2016. გვ. 412;

¹⁰⁶ შ. ჩხეტია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1855 წწ. - საისტორიო მოამბე, N15-16, თბილისი, 1963. გვ. 154. შდრ. ზურაბ პაპასქირი. შარვაშიძეთა სამთავრო სახლის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის საკითხისათვის, გვ. 412.

¹⁰⁷ X. C. Бгажба. Из истории письменности в Абхазии. Издательство „Мецниереба“. Тбилиси,

ალექსანდრა დადიანის გვერდით განისვენებს მიხეილ შარვაშიძეც, რომლის გარდაცვალება სამთავროს გაუქმების საკითხს უკავშირდება. 1864 წლის 24 ივნისს კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა (1862-1881) ოფიციალური წერილით აუწყა მიხეილ შარვაშიძეს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის (1855-1881) ბრძანება, რომლის მიხედვით მიხეილ შარვაშიძე განთავისუფლებული იქნა მთავრის მოვალეობისგან, ხოლო აფხაზეთში რუსული მმართველობა შემოიღეს¹⁰⁸. რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ომის დროს ოსმალეთთან თანამშრომლობაში დადანაშაულებული და საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, უკიდურესად დათრგუნული და დაავადებული მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა ქუთაისსა და რაჭაში დარჩენას, ან იერუსალიმში სალოცავად წასვლას, მაგრამ გასახლებული იქნა ვორონეჟში, სადაც 1866 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა. მისივე სურვილით¹⁰⁹, დაკრძალული იქნა მეუღლის გვერდით, მოქვის ტაძარში. მიხეილ შარვაშიძის ძველი ქართული ასომთავრულით შესრულებული საფლავის ქვის ეპიტაფია ამჯერადაც სევდიანად გვამცნობს პატრონის ვინაობისა და იდენტობის შესახებ: „აქ განისვენებს/ მთავარი აზგაზეთისა/ მიხაილ გიორგისძე/ შარვაშიძე, / მიცვალებული 1866 წელსა“.¹¹⁰

XIX საუკუნის რეალობაში ეს არ არის ერთეული შემთხვევა, როდესაც აფხაზეთში – აფხაზი, ან ქართველი წარჩინებული წრის საერო და სასულიერო წარმომადგენელი ქართულ ენაზე აკეთებდა ეპიტაფიებს. იმავე ტაძარში გვაქვს რუსეთის გვარდიის პოლკოვნიკის, თავად *მიხეილ მარშანის* საფლავის ქვის მხედრული ეპიტაფია, რომელიც მისი მეუღლის, კნენა დარია მანუჩარ შარვაშიძის ასულის დაკვეთითაა შესრულებული¹¹¹. მრავალრიცხოვანი საფლავის ქვის ეპიტაფიები აღმოჩნდა *ოჩამჩირისა* და *გალის* მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მრევლის მიერ სოფლის ეკლესიების გაწმენდისას. მაგ. სოფ. *ღუმურიშის* ცენტრში XIX საუკუნეში აგებული ეკლესიის გაწმენდის დროს ნაპოვნ ეპიტაფიებს შორის ყურადღებას იქცევს კნენა *სალომე ანჩაბაძისა* და მისი მეუღლის *კიაზო ემხვა-*

1967. გვ. 32-33; **ვალერი სილოგავა**. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გამომცემლობა „*არტანუჯი*“, თბილისი, 2004. გვ. 298-299.

¹⁰⁸ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*), ფონდი 416, აღწ. 3, საქმე 177, ფურც. 48; **ბეჟან ხორავა**. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, გვ. 257.

¹⁰⁹ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (*სცსია*), ფონდი 545, აღწ. 1, ს, 75, ფურც. 2-5. **ბეჟან ხორავა**. აფხაზეთის სამთავროს გაუქმება და მიხეილ შარვაშიძე, გვ. 264.

¹¹⁰ **Х. С. Бгажба**. Из истории письменности в Абхазии. гв. 32. 33, **ვალერი სილოგავა**. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 300-301.

¹¹¹ **Х. С. Бгажба**. Из истории письменности в Абхазии. гв. 31. **ვალერი სილოგავა**. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა, გვ. 302-303.

რის საფლავის ქვის ეპიტაფიები¹¹² და ა.შ.

საფლავის შემკობა და ეპიტაფიების კვეთა მრავალი ქვეყნის კულტურის ნაწილია და იგი პირდაპირ უკავშირდება ამ ქვეყნის სოციალური ტრადიციულ ყოფას, დამოკიდებულებას გარდაცვლილი ადამიანისა და ზოგადად გარდაცვალების მიმართ. მაგრამ მას, როგორც სიკვდილ - სიცოცხლის ფილოსოფიური გააზრების ესთეტიკას, აქვს გაცილებით სხვა ღირებულებითი დატვირთვა, ის ტრადიციულ ყოფაში არის ბუნებრივად, შეუღამაზებლად ასახული ადამიანთა მენტალობისა და კულტურული იდენტობის არტეფაქტი. საფლავის ქვის ეპიტაფიების ენა, დამწერლობა, ტექსტის შინაარსი და სიკვდილთან დამოკიდებულება (გარდაცვალება თუ სიკვდილი, მიცვალებული თუ მკვდარი) სხვადასხვა ეთნოფსიქოლოგიის ერებთან, ცხადია, სხვადასხვა კულტურისა და იდენტობის მანიშნებელია. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა და მისი მეუღლის, აფხაზი წარჩინებულების ეპიტაფიები, როგორც „ბეჭედნი საფლავისანი ჰგიენ აღუტეხელად“ და სიმბოლოებით დატვირთულ ჩვენს სამყაროში, გარდაცვლილთა კულტურული იდენტობის საუკეთესო მცველები არიან.

კულტურის სოციალური ბუნებაა, ასახოს სოციალური მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის ის საგანძური, რომელსაც ინდივიდი იღებს თავისი ჯგუფისაგან. აფხაზეთის ეპიტაფიები მემკვიდრეობით მიღებული კოლექტიური ცოდნის საგანძურია, რომელიც შემორჩენილია ქართული ენის, ქართული დამწერლობის, ეპიტაფიის ტექსტის გადმოცემა - გაფორმების ხერხებითა და შინაარსით და წარმოადგენს მათი პატრონების ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული იდენტობის ყველაზე მყარ და შეუცვლელ სიმბოლოებს. იდენტობის ამ სიმბოლოებს ვერ ცვლის ხელოვნურად შექმნილი და ჩანაცვლებული ახალი სიმბოლოები, ამ სიმბოლოებს ვერ ერევა ისტორია.

შარვაშიძეთა სამთავრო სახლის წევრებს შორის, ყურადღებას იქცევს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის უმცროსი ძმა *კონსტანტინე შარვაშიძე* (1813-1883). მართალია, მან განათლება პეტერბურგის პაჟთა კორპუსში მიიღო, მაგრამ დაახლოებული იყო მოწინავე ქართულ არისტოკრატიულ წრეებთან და იზიარებდა მათ იდეებს. ამას ადასტურებს მისი, როგორც საქართველოს არისტოკრატიული ფენის თვალსაჩინო წარმომადგენლის მონაწილეობდა 1932 წლის შეთქმულებაში, რომელიც საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენას ისახავდა მიზნად¹¹³. როგორც ერთ-ერთი შეთქმულის ჩვენებიდან ჩანს, კონს-

¹¹² ლია ახალაძე. კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან. – *საისტორიო ძიებანი*. წელიწადული, VIII-IX. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია. თბილისი, 2006. გვ. 208-208, 212.

¹¹³ В. А. Потто. История 44-го Драгунского нижегородского полка, т. IV, Санкт-Петербург, 1894. გვ.25-26;

ტანტინე შარვაშიძე შეთქმულთა შორის მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, „თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა“ და ამბობდა, რომ „შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყო; ორი ათასი აფხაზით სრულებით გავწმენდავ აფხაზეთს რუსებისგანო“; ხოლო „აჯანყების პირველ დღეებში თბილისში 300 (სხვა საბუთში – 500) შეიარაღებული აფხაზის გამოგზავნას აპირებდა“¹¹⁴. ეს არის კიდევ ერთი, პირდაპირი მტკიცებულება, როგორ ცდილობენ კოლექტიური ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის, საერთო ღირებულებებისა და ფასეულობების მქონე ადამიანები იმ ერთი მთლიანის გადარჩენას, რომლის ნაწილადაც მიიჩნევენ თავს.

საქართველოს მთავარმართებლის ბარონ გრიგორი როზენის (1831-1837) 1833 წლის 2 ოქტომბრის მიმართვაში გრაფ ჩერნიშევისადმი, ბარონი 1832 წლის შეთქმულებს დანაშაულის მიხედვით, რვა კატეგორიად ყოფს, კონსტანტინე შარვაშიძე მერვე კატეგორიაში ჰყავს შეყვანილი, მაგრამ არ მიაჩნია სანდო ადამიანად ბიძის - ჰასან ბეი შარვაშიძესთან ახლო ურთიერთობების გამო. ამიტომ კონსტანტინე შარვაშიძე რუსეთში სამხედრო სამსახურში გაამწესეს და განსაკუთრებული ნებართვის გარეშე საქართველოში ჩამოსვლა აუკრძალეს¹¹⁵. 1834 წელს, გაგზავნილ იქნა ტვერში, მე-7 მსუბუქი კავალერიის დივიზიაში, ხოლო შემდეგ ვიურტენბერგის ჰუსართა რაზმში. 1840 წელს კონსტანტინე შარვაშიძე გადაყვანილი იქნა ქართველ გრენადერთა პოლკში. თუმცა 1858 წლიდან, გარკვეული დროით საქართველოში იმყოფება და ძირითადად, ცხოვრობდა ქუთაისსა და თბილისში. ამ პერიოდს უკავშირდება მისი აქტიური ჩართულობა პირველი აფხაზური ანბანის ფორმირებისა და შექმნის პროცესში.

XIX ს. შუახანებამდე აფხაზური უდამწერლობო ენა იყო, მაგრამ ამ საუკუნის მოთხოვნებმა განსაზღვრა აფხაზური ანბანის შექმნის საჭიროება. პირველი მკვლევარი, რომელმაც შენიშნა აფხაზური სპეციფიკური ფონემები, სცადა საგანგებო გრაფემებით მათი აღნიშვნა და შექმნა აფხაზური დამწერლობა, იყო რუსეთის არმიის გენერალი *პეტრე უსლარი*¹¹⁶, რომელმაც 1862 წელს ამ ენის გრამატი-

¹¹⁴ **გიორგი გოზალიშვილი**. 1832 წლის შეთქმულება. ტ. 2. *მასალები (შეთქმულთა ჩვენებები), კომენტარები*. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი 1970. გვ. 363-364.

¹¹⁵ Акты, собранные Кавказскою археографической комиссиею. Издан под редакцией председателя комиссии **Ад. Берже**, т. VI, ч. II. გვ. 410.

¹¹⁶ **პეტრე უსლარი** (1816-1875) – რუსი სამხედრო ინჟინერი (გენერალ-მაიორი), დაინტერესებული იყო ენათმეცნიერებით ეთნოგრაფიითა და კავკასიის ენების კვლევით. მას ეკუთვნის კავკასიური ენების აფხაზური, ჩეჩნური, ავარიული, ლაკური, დარგინული, ლეზგიური და ტაბასარული ენების გრამატიკული აღწერილობანი. 1851 წლიდან იყო რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი, 1868 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური განყოფილების ენათმეცნიერების განყოფილების წევრ-კორესპონდენტი. საოჯახო განათლების მიღების შემდეგ (მასწ. გ. მიდენდორფი) სწავლობდა პეტერბურგის მე-3 გიმნაზიაში. 1836 წელს დაა-

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება 1868 წლით დათარიღებული სოხუმის ქალთა სკოლის წესდების პროექტი, რომელსაც ხელს აწერს სოხუმის განყოფილების უფროსი გენერალ - მაიორი ვასილი გეიმანი¹⁵⁷. წესდების მიხედვით, სოხუმში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების დაფინანსებით დაარსდა კიდევ ერთი ქალთა სკოლა, რომელიც განკუთვნილი იყო 20 მოსწავლის, მკვიდრი მოსახლეობის („ტუზემცების“) შვილებისთვის, რათა გოგონებს მიეღოთ „აღზრდა - განათლება და მორალურ - რელიგიური განვითარება.“¹⁵⁸ წესდებაში დაწვრილებითაა გაწერილი ქალთა სკოლის მიზნები, სკოლის მმართველობა, მოსწავლეთა შემადგენლობა და სასწავლო-აღმზრდელობითი სამუშაოები. მათ შორის, ჩამოთვლილია ის საგნები, რომლებიც ქალთა სკოლაში უნდა ესწავლათ: საღვთო სჯული, რუსული ენა და ლიტერატურა, აფხაზური ენა, არითმეტიკა, უნივერსალური გეოგრაფიის ზოგადი ცნებები, რუსეთის იმპერიის მოკლე გეოგრაფია ისტორიასთან კავშირით, რუსულ და აფხაზურ ენებზე სუფთა წერა, რუსული და ადგილობრივი (туземное) ხელგარჯილობა და საეკლესიო გალობა. სასწავლო წელი უნდა დაწყებულიყო 15 სექტემბრიდან და დამთავრებულიყო 1 ივლისს. წლიური გამოცდები ტარდებოდა 20 ივნისიდან. თითოეულ საგანში გაკვეთილების რაოდენობას ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭო განსაზღვრავდა.¹⁵⁹ როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ქართული ენის სწავლას ამ სკოლის სასწავლო გეგმაც არ ითვალისწინებდა.

1870 წელს, კიდევ ერთი სკოლა გაიხსნა აფხაზი გოგონებისთვის - ეს იყო სოხუმის ქალთა სამინისტრო სკოლა - პროგიმნაზია¹⁶⁰, რომელიც სუბსიდირებას ქალაქის ხაზინიდან იღებდა. სასწავლებელი განლაგებული იყო დღევანდელი სოხუმის N2 საშუალო სკოლის შენობაში და 1872 წელს გადაკეთდა სამკლასიან

¹⁵⁷ ვასილი გეიმანი (1823-1878) - რუსი გენერალი, კავკასიის დაპყრობისა და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მონაწილე. 1867 წლიდან იყო სოხუმის განყოფილების უფროსი. დაიღუპა 1878 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ერზრუმის აღების შემდეგ გაჩენილი ტიფის ეპიდემიის გამო.

¹⁵⁸ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი. ფონდი 493, აღწ. 1. საქმე 187. ფურცლი 8-13ა; შდრ. Документы по истории Абхазии XIX –начало XX века, გვ. 364-368. .

¹⁵⁹ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი. ფონდი 493, აღწ. 1. საქმე 187. ფურცლი 8-13ა; შდრ. Документы по истории Абхазии XIX –начало XX века, გვ. 367.

¹⁶⁰ А. П. Дудко. Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), გვ. 40.

პროგიმნაზიად, ხოლო 1909 წელს რვაკლასიან გიმნაზიად¹⁶¹.

როგორც ვხედავთ, უკვე 1870 წლისთვის ქალთა სამი სკოლა უნდა ყოფილიყო სოხუმში: 1. კერძო ინიციატივით გახსნილი ქალთა სკოლა; 2. მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ქალთა სკოლა, 3. ქალთა სამინისტრო სკოლა - პროგიმნაზია

ჩვენი დაკვირვებით, XIX საუკუნის შუახანებიდან აფხაზეთში ნელ-ნელა და ეტაპობრივად იცვლება საგანმანათლებლო ვითარება: თუ თავიდან სკოლების გახსნის ინიციატივით აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები, ან ქართველი საერო და სასულიერო პირები გამოდიოდნენ, სამთავროს გაუქმების შემდეგ, XIX ს. 70-იანი წლებიდან ამ ინიციატივას ხელში მთლიანად იმპერია იღებს: მთიელთა სკოლისა და ქალთა სკოლების, მათ შორის პროგიმნაზიის დაარსება მხოლოდ აფხაზი და რუსი მოსამსახურეების ბავშვებისთვის, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, იმპერიის მიზანს დაყოს ადგილობრივი საზოგადოება და რეგიონში სრული გაბატონებისთვის ადგილობრივი აფხაზი მოსახლეობისგან შექმნას საკუთარი საყრდენი.

სკოლების განვითარებაზე ცუდად იმოქმედა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, როდესაც აფხაზეთის სოფლებსა და სოხუმში არსებული სკოლები განადგურდა. სოფლის მოსახლეობამ უკიდურესი სიღარიბის გამო ვერ მოახერხა მათი ნაწილის აღდგენა. 1879 წელს მთლიანად აღდგა სოხუმის მთიელთა სკოლის, ხოლო და 1882 წელს სოხუმის ქალთა პროგიმნაზიის შენობები¹⁶². 1880 - 1882 წლებში განაახლეს ბიჭვინთის ოლქში მანამდე არსებული სასწავლებლებიდან მხოლოდ ერთი - ახალი ათონის სკოლა, სადაც 22 სტიპენდიანტი სწავლობდა და ცხოვრობდა იქვე მოწყობილ პანსიონში. სკოლის აღდგენა მოხერხდა ახალი ათონის მონასტრის მაშინდელი მღვდლისა და კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების მასწავლებლის *თომა ეშბას*¹⁶³ (შემდეგში ცნობილი პედაგოგის) მიერ¹⁶⁴. ის იყო ერთ-ერთი პირველი აფხაზი პედაგოგი და სწავ-

¹⁶¹ Республика Абхазия Средняя Школа № 2 Им. А. С. Пушкина г. Сухум Основана в 1870 г. <https://www.2ndschooll.ru/history.html>

¹⁶² А. П. Дудко. Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), გვ. 43-45. მდრ. *ჯემალ გამაზარია*. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.-1921). გვ. 519.

¹⁶³ *თომა ეშბა* (1856-1928) - ერთ-ერთი პირველი აფხაზი განმანათლებელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, დაიბადა აგუ ბედიამი (საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ახლანდელ ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში). სწავლობდა ჯერ ბედიის, შემდეგ სოხუმის მთიელთა სკოლებში. სასწავლებლად გაგზავნილი იქნა გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ, 1880 წლიდან მასწავლებლად მოღვაწეობდა ახალი ათონის, ლიხნის, ოჩამჩირის, ბედიისა და წალენჯიხის სკოლებში. ინფორმაციის ნაწილი აღებულია არველოდ კუპრავას ენციკლოპედიური ხასიათის სტატიიდან А. Э. Куправа. *Абхазский биографический словарь*. გვ. 818.

¹⁶⁴ *ჯემალ გამაზარია*. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.-1921). გვ. 519.

ლული, გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებული, მიაჩნდა, რომ მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად გორის სემინარია საუკეთესო ადგილი იყო და აფხაზ ახალგაზრდებს მოუწოდებდა სწავლა ამ სასწავლებელში გაეგრძელებინათ¹⁶⁵. თომა სამურზაყანოელი აფხაზი იყო, რომელმაც თავისი საქმიანობით სამურზაყანოს, სამეგრელოსა და საკუთრივ აფხაზეთის სკოლებში დიდი ღვაწლი გასწია, როგორც სასწავლო პროცესის მოწესრიგების, ასევე სასკოლო ინფრასტრუქტურის გამართვის მიზნით. მისი ძალისხმევით აიგო ოჩამჩირის ორწლიანი სკოლა, ლიხნისა და ბედიის ორკლასიანი სასწავლებლები, სპეციალურად გოგონებისთვის ბედაში გაიხსნა სკოლა-ინტერნატი, რომელიც შორეულ ადგილებში მცხოვრებ ბავშვებს მოემსახურებოდა. თომა ეშბა ჩართული იყო სპეციალურ კომისიაში, რომელიც აფხაზურ ენაზე რელიგიური ლიტერატურის თარგმნაზე მუშაობდა, მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სასულიერო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე გადათარგმნა. საყურადღებოა, რომ ის არის პირველი აფხაზი პედაგოგი, რომელმაც შექმნა არითმეტიკული ამოცანების კრებული აფხაზეთის დაწყებითი სკოლებისთვის და აღნიშნული სახელმძღვანელო პრაქტიკულად პირველი მეთოდური სახელმძღვანელოა აფხაზი მოსწავლეებისთვის. თომა ეშბა მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იყო, ჰქონდა ეთნოგრაფიული დაკვირვებანი, წერდა ლექსებსა და სიმღერებს, რომელთა ნაწილი დღესაც პოპულარობით სარგებლობს ხალხში. მას ეკუთვნის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ესე „ადგილი ოჩამჩირე და სოფლები ილორი და ბესლახუბა“, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა, 1906 წელს მისი თანაავტორობით გამოიცა „აფხაზური ანბანი“, რომლის მეორე განყოფილება დაეთმო მეთოდურ მასალას - „სტატები კითხვისა და წერითი სამუშაოებისთვის“ (აფხაზურ და რუსულ ენებზე).¹⁶⁶ ყველა მისი გამოცემის პუბლიკაცია თბილისში განხორციელდა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთის საგანმანათლებლო სასწავლებლების რაოდენობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „დროება“, რომლის ავტორი ადგილობრივი, აფხაზეთის მკვიდრო უნდა იყოს, რადგან რედაქციის ცნობით, ინფორმაცია აფხაზეთიდან მიაწოდეს. პუბლიკაციის მიხედვით: „მთელ აფხაზეთსა და სამურზაყანოში მხოლოდ ექვსი დაბალი ხარისხის სასწავლებელია ერთი ორკლასიანი სოხუმში, ოთხი თითო კლასიანი სამურზაყანოში და ერთი ახალი ათონის მონასტერთან. თუმცა ეს სკოლები 15-20 წელია, რაც არსებობენ, მაგრამ იმათი არსებობა ხალხს ჯერ კარგად არც კი შეუტყვიაო. ამ უკანასკნელ დროში ჩვენი ოლქის უფროსი ბ. ვედენსკი ძლიერი მო-

¹⁶⁵ **ჯემალ გამახარია.** აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს.-1921). გვ. 519-520.

¹⁶⁶ **Фома Эшба.** Местечко Очамчиры, селения Илори и Беслахубы, Тифлис, 1891; Абхазская азбука. Тифлис, 1906; **Фома Эшба.** Сборник арифметических задач для абхазских начальных училищ. Тифлис, 1907.

წადინებულია სოხუმში სამოქალაქო ოთხ კლასიანი სასწავლებელი გახსნას და ერთიც სამრევლო ერთკლასიანი, ხოლო ორი ორკლასიანიც *ოჩემჩირეში* და გუდაუთშიო. ამ სასიამოვნო ამბავს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სოხუმის ახლო ბ. ვედენსკის ოცდახუთი დესიატინა ადგილი მიუცია სასწავლებლისათვის იმ პირობით, რომ მესამე და მეოთხე კლასის შეგირდებმა პრაქტიკულად ისწავლონ იქ მიწის მუშაობაო¹⁶⁷. ამ ცნობის მიხედვით ჩანს, რომ მიუხედავად სასწავლებლების არსებობისა, ხალხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ინფორმაცია აფხაზეთში სკოლების არსებობის შესახებ. საზოგადოებაში არსებობდა განათლებისადმი დიდი ინტერესი, რასაც ეხმაურება ოლქის უფროსის გადაწყვეტილება გახსნას სასწავლებლები ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით. აფხაზეთის, განსაკუთრებით სამურზაყანოს საზოგადოების მხრიდან სკოლების გახსნის მიმართ დიდი ინტერესი კარგად არის ასახული XIX საუკუნისა და XX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე. მაგალითად „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „სოხუმიდამ მოუწერიათ, აქაურებმა გარდასწყვიტეს, რომ ააშენონ ქალაქის ხარჯით სკოლა, რომლისათვისაც 14 ათასი მანათია გადადებულიო. ამ სასწავლებელში წერა-კითხვის გარდა, სახელოსნო კლასებიც იქნებაო და ხელოსნობასა და ბაღოსნობას შეასწავლიან შეგირდებსაო“¹⁶⁸. სოხუმის გარდა, ქართული გაზეთების ფურცლებზე ვხვდებით ინფორმაციას ოჩამჩირისა და გალის სოფლებში სკოლების გახსნისა და მუშაობის, მოსწავლეთა რაოდენობისა და მასწავლებლების შესახებ. „ივერიის“ ერთ-ერთი პუბლიკაცია მოგვითხრობს ოჩამჩირეში პირველდაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ. *„სამეგრელოდამ გვწერენ, რომ დაბა ოჩამჩირეში აგერ მეორე წელიწადია, რაც მოქმედობს ახლად დაარსებული პირველ-დაწყებითი სკოლაო. სასკოლო სახლი ააშენა თავის ხარჯით ოჩამჩირის საზოგადოებამ. ოჩამჩირეს შეეწივნენ სხვა გარემომო სოფლებიცაო და სამერმისოდაც იტვირთეს ამ სკოლის ხარჯიო. სახლის აშენებაში მთავრობაც დაეხმარა. სკოლაში ამ ჟამად ასზე მეტი ბავშვი დაიარება: ქალი და ვაჟიო. ამ სკოლის მოსწავლენი აქაურის ვაჭრების შვილები არიან სულა, ესე იგი, იმერლები და მეგრელებიო. ყმაწვილები დაიარებიან აგრეთვე ახლო სოფლებიდან: ილორი-დამა და ბერლახუბადამაო“*¹⁶⁹ (იგულისხმება სოფელი ბესლახუბა - ლ. ა.). ეს ინფორმაცია რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: *პირველი*, სკოლების გახსნა ადგილობრივი მოსახლეობის ინსტერესის, სახსრებისა და მოტივაციის საფუძველზე ხდება; *მეორე*, როცა მთავრობა ხედავს მოსახლეობის მონდომებას ეხმარება სკოლების გამართვაში; *მესამე*, ავტორი მიუთითებს რომ ოჩა-

¹⁶⁷ გაზეთი „დროება“, N79, 1884 წელი.

¹⁶⁸ გაზეთი „ივერია“, N127, 1886 წელი.

¹⁶⁹ გაზეთი „ივერია“, N215, 1886 წელი.

მხრე და სამურზაყანო სამეგრელოა¹⁷⁰; *მეობზე*, ოჩამჩირის ადგილობრივი მოსახლეობა მეგრელები და იმერლები არიან და ყველაზე საინტერესო, რაც იშვიათია იმ ეპოქისთვის - სკოლა განკუთვნილია, როგორც ქალების, ასევე ვაჟი მოსწავლეებისთვის.

იმავე ოჩამჩირის სკოლის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით 1887 წლის „ივერიის“ ფურცლებზეცამ წელს, სკოლაში 60 მოსწავლე ირიცხებოდა, რომელთაც ორი მასწავლებელი ასწავლიდათ, მასწავლებლები აფხაზები, ხოლო მოძღვარი ქართველი ყოფილა. „ოჩამჩირემ შარშან გადასდო 1,000 მან. სკოლისათვის. ამ ფულით ააშენეს სკოლის შენობა, სადაც მოთავსდება ასი ბავშვი. სკოლაში ასწავლის ორი მასწავლებელი აფხაზთაგანი. დღესა სწავლობს 60 ყმაწვილი. დაბა ოჩამჩირის ხარჯით ეძლევა მასწავლებელთ ჯამაგირი. ბავშვებს ასწავლიან რუსულად და ყოველ დღე ქადაგება აქვთ. ვისაც არ ეყურება რუსული, იმათ მასწავლებელი და ბლადოჩინი უთარგმნიან. დიდის გულ-მოდგინებითა სწავლობენ აფხაზის ყმაწვილები ...მამა კერესელიძე ძალიან უბეჯითებს აქაურ ხალხს. წირვის დროს სამი მთარგმნელი ჰყავს. როცა წირვას ათავენს, სახარებას უთარგმნის მსმენელთ აფხაზურად და ქართულად. მამა კერესელიძის წირვა-ლოცვას დიდს სასოებაში მოჰყავს აფხაზი და მეგრელი“¹⁷¹.

სამურზაყანოელების შესახებ მსგავს ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი „დროება“. გაზეთის რამდენიმე პუბლიკაცია მოგვითხრობს ამ მხარის მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესზე სწავლა-განათლების მიმართ. ავტორის აზრით, ხალხმა დაიწყო ღრმა ძილიდან გამოღვიძება და დაეტყო სიცოცხლე, რადგან „ხედავს სწავლაში მიუცვილებელ საჭიროებას და თავის უკანასკნელ ღონისძიებას ხმარობს, რომ შვილს რამენაირათ სწავლა და განათლება მისცეს. „ის დრო წავიდა, როდესაც უმსწავლელ კაცს ცხოვრება შეეძლო ეხლა სხვა დროა; ეხლა თუ არა იცი-რა, ყველასი ყმა შეიქმნები“. აი რას ლაპარაკობს ეხლა ჩვენი ხალხი“¹⁷² - წერს პუბლიკაციის ავტორი ვ. სამურზაყანოელი.

აღნიშნული ცნობები მყარ წარმოდგენებს გვიქმნის სამურზაყანოსა და მთლიანად აფხაზეთში არსებული სკოლების შესახებ. როგორც ჩანს, თავიდან იქმნებოდა ერთკლასიანი და ორკლასიანი სასწავლებლები, ხოლო სამ კლასიანი და ოთხკლასიანი სასწავლებლები მოგვიანებით დაარსდა, როგორც სამურზაყანოში, ისე აფხაზეთში.

ზემოთდასახელებული საგაზეთო პუბლიკაციებისა და დოკუმენტური

¹⁷⁰ საგულისხმოა, რომ ამ ეპოქის ისტორიული საბუთების აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის რუსი ჩინოვნიკების მიერ შედგენილი დოკუმენტები, სამურზაყანოს და აფხაზეთს ერთმანეთისგან განასხვავებს და აფხაზეთად მდინარე კოდორის გაღმა ტერიტორიას მოიაზრებს.

¹⁷¹ გაზეთი „ივერია“, N171, 1887 წელი.

¹⁷² გაზეთი „დროება“, N19, 1880 წელი.

წყაროების მიხედვით XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული აფხაზეთში შეინიშნება სკოლების ეტაპობრივი და სწრაფი ზრდა, რასაც რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელს: 1. სკოლების გახსნით და ქრისტიანული სწავლების გავრცელებით დაინტერესებული იყო რუსეთის სინოდი; 2. ადგილობრივ საზოგადოებრივ ფენებში საიმედო დასაყრდენისა და ერთგული საზოგადოებრივი ელიტის შექმნით დაინტერესებული იყო იმპერია და ამ მიზნით, სახელმწიფო სტრუქტურებზე დაქვემდებარებული რამდენიმე სკოლა გახსნა; 3. სკოლების გახსნით დაინტერესებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა - საზოგადოება, ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც ან თავიანთი სახსრებით ხსნიდნენ სკოლებს, ან თხოვნით მიმართავდნენ ხელისუფლებას. 4. სკოლების გახსნით დაინტერესებული იყო აფხაზეთში საცხოვრებლად გადმოსახლებული რუსეთის იმპერიის მოხელეები (მათ შორის რუსები, ბერძნები, იშვიათად სომხებიც), რომლებიც საკუთარი სახსრებით ან ქველმოქმედი მეცენატების მხარდაჭერით აარსებდნენ და აფინანსებდნენ სკოლებს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთში სამი ტიპის სასწავლებლები ჩამოყალიბდა: *სასულიერო*, *სახელმწიფო* (სამინისტრო) და *კერძო* სკოლები. ძირითადად, ყურადღება ექცეოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლების გახსნას, რომელთა შენახვა ძვირი არ ჯდებოდა და ამ საქმეში უმეტესად სასულიერო საზოგადოება იყო ჩართული. რუსეთის სინოდი დიდი როლდენობის ფულს ხარჯავდა საეკლესიო სკოლების შესანახად და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება ყოველმხრივ უწყობდა ხელს სკოლების გახსნის პროცესს. სწორედ მათ სახელს უკავშირდება საზოგადოების სახელით სკოლების ქსელის დაარსება და ეს პროცესი ინტენსიურად იწყება 1860 წლიდან, ვიდრე 1885 წლამდე. XIX საუკუნის 80 - იანი წლების II ნახევრიდან საფუძველი ეყრება სამრევლო სკოლების ჩამოყალიბებას, რომელიც ასევე სასულიერო ტიპის სასწავლებლები იყო და რომელთა დაარსება ემსახურებოდა არამხოლოდ ქრისტიანული მრწამსის გავრცელებას, არამედ იმპერიის ერთგული საზოგადოებრივი ფენების ჩამოყალიბებას. ამ ტიპის სკოლებმა აფხაზეთში 1918 წლამდე იარსება.

აფხაზეთში განათლების ინსტიტუციური განვითარების პროცესს ხელი შეუწყო *ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების*¹⁷³ სოხუმის განყოფილების დაარსებამ, რომელსაც სოხუმში, გუდაუთასა და გალში საკუთარი სასწავლებლები, ხოლო სოფლებში წერა-კითხვის პატარა სკოლები ჰქონდა გახსნილი. მკვლევართა აზრით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების დაარსების იდეა ილია ჭავჭავაძის სოხუმში ყოფნის დროს, XX საუკუნის დასაწყისში, 1903 წელს დაიბადა. მაგ-

¹⁷³ ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება - შემდეგში **ქმწკპ** საზოგადოება.

რამ ქართული გაზეთების პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ იდეა გაცილებით ადრე, 1879 წელს თბილისში ამ საზოგადოების დაარსებიდანვე არსებობდა. აფხაზეთის საზოგადოებამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ქმნიდა საზოგადოების წინაშე დასვა საკითხი სოხუმში ქართული სკოლის გახსნის შესახებ. გაზეთ „დროების“ 1881 წლის ერთ-ერთი ნომერი გვაუწყებს, რომ „გენერალ-მაიორის თავ. გრ. ა. შარვაშიძის¹⁷⁴ თაოსნობით აფხაზეთის საზოგადოებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აფხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრ თავად-აზნაურთა გამოუცხადებით კიდევ სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოც-და-ექვსი კაცისაგან საწევრო ფული და განცხადება წევრათ მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამათგანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბიძეები და ემუხვარები. იმ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი, ითხოვენ, რომ სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლა უეჭველად ქართულ ენაზედ იყოს, რადგანაც ძველის დროიდან ეს ენა არისო ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო“¹⁷⁵. წერილი გამოქვეყნებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, 1881 წელს. როგორც ჩანს, საზოგადოების დაარსებისთანავე, სოხუმში, აფხაზი წარჩინებულების მიერ დაწყებულია მოძრაობა ქალაქში ქმნიდა საზოგადოების განყოფილებისა და ქართული სკოლის დაარსებისთვის. მაშინ, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, სოხუმში ეს სკოლა ვერ დაარსდა, მაგრამ ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა 1883-1884 წლების მოხსენებებიდან ჩანს, რომ საზოგადოების საქმიანობის გაფართოებისა და ხალხისთვის გაცნობის მიზნით საქართველოს რეგიონებში სანდო აგენტები დაინიშნა. მათ შორის ანთიმოზ ივანეს ძე ჯუღელი, სოხუმში, 1884 წლიდან ჯერ ქმნიდა საზოგადოების აგენტი იყო,¹⁷⁶ ხოლო 1891 წლის პირველი სექტემბრიდან, იქვე დაინიშნა საზოგადოების

¹⁷⁴ გრიგოლ ალექსანდრეს (ალიბეის) ძე შერვაშიძე (1818-1898) - აფხაზი საზოგადო მოღვაწე, სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი, 1848 წლიდან აჭყუის ოკრუგის მმართველი, 1865 წელს მონაწილეობდა პირველი აფხაზური ანბანის შედგენაში. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, იყო ენგურის საკავალერიო რაზმის მეთაური. გამოჩენილი სიმამაცისთვის დაჯილდოებულია წმ. გიორგის სამხედრო ორდენით და მედლით „1877--1878 წლების ომისთვის“. ვვიქრობთ, აფხაზურ ბიოგრაფიულ ლექსიკონში მისი სამხედრო დამსახურება, შეცდომით გრიგოლ ფარნაოზის ძე შერვაშიძეზე (1853-1919) არის მიწერილი, რომელიც იყო ცნობილი აფხაზი პედაგოგი და განმანათლებელი და 1872 წლიდან მუშაობდა ბედიის სკოლის მასწავლებლად.

¹⁷⁵ გაზეთი „დროება“, N22, 1881 წელი.

¹⁷⁶ ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა მოხსენებები საზოგადოების სახსრების გასამდიერებლად რაიონებში აგენტების დანიშვნის შესახებ, 1883-1884 წწ. ქმნიდა საზოგადოება, პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა, <https://society.iliauni.edu.ge/sources/3709-ivane-machablis-iakob-gogebashvilisa-da-skhvata-mokhsenebebi-sazogadoebis-sakhsrebis-ga->

დამხმარე წევრად დაინიშნა.¹⁷⁷ ეს ფაქტები მიუთითებენ, რომ სოხუმში ქმწკგ საზოგადოება საკუთარი დამხმარე წევრის საშუალებით მუშაობდა და სოხუმის საზოგადოება იზიარებდა ქმწკგს-ის ძირითად მიზნებსა და იდეებს.

მიუხედავად ამისა, ისმის კითხვა, რეალურად რამ შეუშალა ხელი სოხუმის სკოლის დაარსებას, მაშინ, როცა აფხაზეთის საზოგადოების განწყობა და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა?

როგორც ცნობილია, 1880 წლიდან კავკასიის საგანმანათლებლო ოლქის მზრუნველად კირილე პეტრეს ძე იანოვსკი¹⁷⁸ დაინიშნა, რომელიც ამ თანამდებობას 1881 წლიდან 1902 წლამდე იკავებდა. საქართველოსადმი რუსეთის იმპერიის მაშინდელი დამოკიდებულება, სწორად არის შეფასებული ივ. ჯავახიშვილის მიერ და მას „რუსიფიკატორული პოლიტიკა“ უწოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, XIX საუკუნის „80-იანი წლებიდან, ალექსანდრე III-ის მეფობის დროს, საქართველოსთან მიმართებით გამოიყენეს განსაკუთრებული პოლიციურ - რეპრესიული ზომები. სკოლა იქცა ყველაზე უფრო უცერემონიო რუსიფიკატორული პოლიტიკის უშუალო იარაღად და დაწესებულებად... ბატონ კავკასიის ოლქის მზრუნველთ, თავიანთ ძირითად ამოცანად სოფლის სკოლებიდან მოსახლეობის

[sadzliereblad-raionebshi-agentebis-danishvnis-shesakheb-1883-1884](#) (ბოლო ნახვა 12.10.2021)

¹⁷⁷ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საერთო კრების ოქმი, 1893. <https://society.iliauni.edu.ge/sources/3498-qartvelta-shoris-tsera-kitkhvis-gamavrtsebeli-sazogadoebis-tsevrta-saerto-krebis-oqmi-1893-1893> (ბოლო ნახვა 2021 წლის 12 ნოემბერი).

¹⁷⁸ კირილე პეტრეს ძე იანოვსკი (1822-1902) - რუსი პედაგოგი, ჩინოვნიკი და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი. იმპერატორის ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (1902). დაამთავრა კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტი. 1878 წელს, კავკასიის მეფის-ნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ მიწვეული იქნა კავკასიის საგანმანათლებლო ოლქის მმართველად//მზრუნველად, სადაც 1880 წლიდან მუშაობდა. კავკასიის საგანმანათლებლო სფეროში მისი მოღვაწეობის შეფასება იხილეთ ნაშრომი: ვაჟა კიკნაძე. კირილე იანოვსკის მოღვაწეობის შეფასებისთვის (მე-19 საუკუნის 80-იანი წლები), ანუ პასუხად ტიმოთი ბლაუველს და ანტონ ვაჭარაძეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1. 2019. გვ. 190-202. <http://www.geocities.ws/jorjikia/vazhakiknadze190-converted.pdf>. აღსანიშნავია, რომ კირილე იანოვსკის ინიციატივით და მისი ხელმძღვანელობით 1881 წლიდან გამოდიოდა კავკასიის სხვადასხვა სფეროს, საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და არქეოლოგიური სამეცნიერო კვლევების მთელი სერიები (20 ტომი), რომელიც დაწერილია სხვადასხვა მასწავლებლებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მიერ, ზოგადი სახელწოდებით: „მასალების კრებული კავკასიის ტერიტორიებისა და ტომების აღწერისთვის“. 1880 წლის 21 იანვრიდან იანოვსკი იყო კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების გამგეობის წევრი. 1889 წლიდან იანოვსკი იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. იანოვსკი გარდაიცვალა 1902 წელს სოხუმში და დასაფლავებულია იქვე, საკათედრო ტაძრის გალავანში. Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона : в 86 т. (82 т. и 4 доп.). - СПб., 1890-1907. https://ru.wikisource.org/wiki/ЭСБЕ/Яновский,_Кирилл_Петрович

მშობლიური ენის განდევნა და ყველა საგნის უაზრო, „მუნჯური“ მეთოდით, ანუ მშობლიური ენის გამოუყენებლად სწავლება მიაჩნდათ“.¹⁷⁹ ეროვნული ენებისადმი ასეთი მიდგომა შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიისა და კავკასიის საგანმანათლებლო ოლქის პოლიტიკას, ცხადია, ასეთ ვითარებაში იმპერია არ დაუშვებდა კიდევ ერთი ეროვნული სკოლის გახსნას სოხუმში.

სოხუმელთა წამოწყება ქართული სკოლის გახსნის შესახებ, ილია ჭავჭავაძის აფხაზეთში მოგზაურობამდე ვერ განხორციელდა. ილია ჭავჭავაძის მოგზაურობას გაგრასა და სოხუმში აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ მოგზაურობის ერთ-ერთი შედეგი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების და მასთან სასწავლებლის დაარსება. გაზეთი „ივერია“ მოგვითხრობს, რომ 1903 წლის მაისში ილია ჭავჭავაძე პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მიწვევით გაგრაში იმყოფებოდა. გაგრიდან დაბრუნებული ილია სოხუმში ჩავიდა და 24 მაისს *ალექსანდრე შარვაშიძის* ოჯახში სოხუმის ქართულმა საზოგადოებამ, *თედო სახოკიას* ინიციატივით საქართველოს უგვირგვინო მეფეს გულთბილი შეხვედრა მოუწყო. ილიას მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოს შემდეგ, ერთ-ერთმა სოხუმელმა ახალგაზრდამ ილიას, როგორც „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს, სთხოვა ეშუამდგომლა სოხუმში ამ საზოგადოებისა და სკოლის დაარსებისთვის¹⁸⁰. მალე, თბილისში ჩამოსულმა ილია ჭავჭავაძემ, იმავე წლის 10 ივნისს, საზოგადოების კომიტეტთან ერთად მიიღო დადგენილება სოხუმში სკოლის დაარსების შესახებ. სკოლას სოხუმის საზოგადოებამ შემწეობა აღუთქვა.¹⁸¹ 12 ივნისს ილია ჭავჭავაძემ აღძრა შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე სოხუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გახსნის შესახებ¹⁸², მაგრამ ამ პროცესს შემაფერხებელი გარემოებები ახლდა. პირველ რიგში, ეს იყო იმპერიული ძალების წინააღმდეგობა, რომლებსაც არ სურდათ სოხუმში ქართული სკოლის გახსნა და მას ხელოვნურად აბრკოლებდნენ. წინააღმდეგობა და საქმის გაჭიანურება იგრძნობოდა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მხრიდან, ამას ზედ დაერთო საზოგადოების უსახსრობა და ილიას მკვლევლობა 1907 წელს. სამწუხაროდ, სოხუმში საზოგადოების განყოფილებისა და სკოლის დაარსება გადაიდო და 1910 წლამდე ვერ მოხერხდა.¹⁸³ ქმწკგ საზოგადოების წინაშე შუამდგომლობა კიდევ ერთხელ აღიძრა 1909 წლის ივნისში და მას სოხუმის ქართველების

¹⁷⁹ ივ. ჯავახიშვილი. პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნის საქართველოში. რედაქტორი ვაჟა კვიციანი. თბილისი, 2016. გვ. 59.

¹⁸⁰ გაზეთი „ივერია“. 1903 წლის 4 ივნისი, N118.

¹⁸¹ გაზეთი „ივერია“, 1903 წლის 12 ივნისი, N125.

¹⁸² გაზეთი, „ცნობის ფურცელი“, 1903 წლის 12 ივნისი, N 2178.

¹⁸³ სკოლის გახსნა სოხუმელმა ქართველებმა, მეორედ, 1901 წელს მოითხოვეს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა.

სახელით ხელს აწერდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე *ნიკო თავდგირიძე*. სოხუმის განყოფილება საზეიმოდ გაიხსნა 1910 წელს და მისი დაარსების ინიციატორები იყვნენ *ანთიმოზ ჯუღელი*, *მარიამ ნიკოს ასული დადიანი-ანჩაბაძისა* (გამგეობის თავმჯდომარე), *ნიკო თავდგირიძე*, *საჩინო იოსელიანი*, *ნიკო ჯანაშია* და სხვები.¹⁸⁴ აღნიშნულ საზოგადოებას 1913 წელს უკვე 355 წევრი ჰყავდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილებასთან მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ ქმწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილება ეტაპობრივად გაიზარდა და თანდათან შეივსო ახალი წევრებით. მაგალითად, 1913 წლის მონაცემებით, სოხუმის განყოფილების ნამდვილი წევრები იყვნენ: ლევან ივანეს ძე ქარცივაძე, კონსტანტინე ანტონის ძე ქარცივაძე, ალექსანდრე დავითის ძე ქაჯაია, ფიდე ქორჩილავა, ნოე აღმასხანის ძე ქურიძე, ალექს გ.-ს ძე ქოიავა, ნესტორ ვახტანგის ძე ქოიავა, ვლადიმერ ქუთათელაძე, მასიკო ეგნატეს ძე ღლონტი, მელიტონ ღლონტი და ივანე გაბრიელის ძე ღლონტი, სამსონ დავითის ძე კილაძე, ივანე შარვანის ძე კოზმავა, მოსე ტიმოთეს ძე კილურაძე, სევერიან ილარიონის ძე კუხალიეშვილი, სპირიდონ ილარიონის ძე კუხალიეშვილი, ნიკო ხახუას ძე კოკაია, აქვსენტი ივანეს ძე კინწურაშვილი, ალექსი ნიკოლოზის ძე კვიტატანი, ალექსანდრე კვახაძე და ალექსანდრე კვაშილავა, ივანე ბ-ს ძე გაგუა, სტეფანე გაბესკირია, ჩაგუ გვასალია, ბესარიონ გაბუნია, მენიკი ს.-ს ასული გრიგოლიასი, ალექსანდრე გრიგოლია, ილიკო გერსამია, სარდიონ ესტატეს ძე გობეჩია და სპირიდონ ივანეს ძე დუნდუა, ივლიანე მიხეილის ძე მიქელაძე, ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე, ელეონორა მიხეილის ასული მახვილაძისა, მარკოზ გიორგის ძე მიქავა, კლასიონ ლევანის ძე მელაძე, მარიამ ს. მაღლაკელიძე, პორფილე მერაბის ძე მაღლაკელიძე, აქვსენტი ბესარიონის ძე ნადარეიშვილი, ეგნატე პეტრეს ძე ნადარეიშვილი, ალექსანდრე ბეჟანის ძე სანაძე და იოსებ პავლეს ძე სიჭინავა, თევლე კონსტანტინეს ასული თურქია, გახუ პეტრეს ძე თურქია, ალექსი დავითის ძე თურქია, იასონ ტიმოთეს ძე თურქია, ბუძღლე მერაბის ასული თურქია, დიმიტრი ბურდღუს ძე თურქია, სოლომონ პეპოს ძე თევზაია, ვარვარა კობტას ასული თევზაია, არხიპო საჩინოს ძე თოფურიძე, ალათი ბეჟანის ძე თოფურიძე და ნინო დავითის ასული თოფურიძე და მრავალი სხვა, რომელთა სახელობითი სია წარმოდგენილია სოხუმის განყოფილებასთან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერაში.¹⁸⁵ როგორც ჩანს, სოხუმის განყოფილების წევრთა რაოდენობა მომდევნო

¹⁸⁴ **ბორის კვარაცხელია.** ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 11.

¹⁸⁵ იხილეთ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოგრაფია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მო-

წლებში კიდევ უფრო გაიზარდა, მაგალითად, 1916 წელს ქმწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილებას, რომლის თავმჯდომარე იმხანად ნიკო თავდგირიძე იყო, 724 წევრი ჰყავდა¹⁸⁶.

ქმწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილების დაარსებისთანავე, სოხუმში გაიხსნა ქართული სკოლა, რომლის მასწავლებლად გამგეობის თხოვნით მოიწვიეს ცნობილი პედაგოგი, განმანათლებელი და მეცნიერი *ნიკო ჯანაშია*¹⁸⁷. ის 1910 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სოხუმის სკოლაში და დიდი კვალი დატოვა არამარტო ქართული სკოლის, ზოგადად, სოხუმისა და აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიაში.

ნიკო ჯანაშია იყო ადამიანი, რომელიც XIX ს. მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის კულტურული ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. საოცარია, რომ მისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე არ შემოფარგლულა მხოლოდ აფხაზეთში მოღვაწეობით და საქართველოს რამდენიმე კუთხეში დატოვა თავისი კვალი. ნიკო ჯანაშია 1891 წლიდან მასწავლებლად მუშაობდა სოხუმის მთიელთა სკოლაში, სადაც მისვლისთანავე ფართო საგანმანათლებლო მუშაობა გააჩაღა ქართული მწერლობისა და ეროვნულ-განმანათლებლებელი იდეების გასავრცელებლად, ეს შეუმჩნეველი არ დარჩა სკოლის ადმინისტრაციას. ნიკო ჯანაშიას ადგილობრივი მოსახლეობის გაქართველების პოლიტიკის გატარება დასწამეს, რის შემდეგაც იძულებული გახდა სამუშაოდ გურიაში, სოფ. მაკვანეთ-

წერა საზოგადოების სოხუმის განყოფილებასთან, 1916-1919 წწ. <https://society.iliauni.edu.ge/places/1632-sokhumi> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁸⁶ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოგრაფია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედების ანგარიში | 1916-1917. <https://society.iliauni.edu.ge/factoids/21792-1916-tsels-qartvelta-shoris-tse-ra-kitkhvis-gamavrtseleb> (ბოლო ნახვა 11. 12. 2021).

¹⁸⁷ **ნიკო ჯანაშია** - (1872-1918) ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და განმანათლებელი, ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ქმწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილების დამფუძნებელი წევრი. დაიბადა ახლანდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფ. აძიუბჟაში, სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობდა აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში. დაახლოებული იყო თბილისის მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან, იზიარებდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ შეხედულებებს, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ - გაზეთებთან: „მოამბე“, „ხრისტიანსკი ვოსტოკ“, „სახალხო გაზეთი“, „აკაკის კრებული“ და სხვა, სადაც იბეჭდებოდა მისი წერილები სკოლების მოწყობის, ქართული ენის სწავლების, ქართველი და აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა და ტრადიციების და ა. შ., შესახებ. *ნიკო ჯანაშიას შესახებ იხილეთ მონოგრაფია: ბორის კვარაცხელია. ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. თბილისი, 2009. გამომცემლობა „უნივერსალი“.*

ში გადასულიყო. 1894 წელს ნიკო ჯანაშია ისევ აფხაზეთშია და გუდაუთის სამინისტრო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა. პარალელურად, აფხაზეთის სასკოლო განათლების საჭირობოროტო საკითხებზე ხშირად აქვეყნებდა წერილებს „ივერიასა“ და სხვა ქართულ გაზეთებში.

ნიკო ჯანაშია 1899 წლიდან ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში იქნა გადაყვანილი, მიუხედავად ამისა, მუდამ იმყოფებოდა აფხაზეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების ცენტრში. ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თავისი კორესპონდენციებით ხშირად ეხმაურებოდა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილებისა და სკოლის გახსნას სოხუმში.

სოხუმის სკოლის გახსნის დროს ნიკო ჯანაშია წერდა: „ეს სკოლა უნდა გადაიქცეს პატარა კერად, რომლის გარშემოც მოიყრის თავს სოხუმელი ქართველობა... გამარჯვება იმას ეკუთვნის, ვინც ორივე ხელით იბრძვის და თავის ბედს თვითონვე სჭედს. მაშ, მეტი მხნეობა და და მეტი სიყვარული, რათა მომავალი თაობა მაინც ვიხსნათ დამახინჯებისა და გადაგვარებისაგან - წერდა ნიკო ჯანაშია „დროების“ ფურცლებზე.¹⁸⁸ მართლაც, მან შეუდარებლად მოკლე დროში შეძლო სკოლის ფეხზე დაყენება. სკოლას თავიდან საკუთარი შენობა არ ჰქონდა, მიუხედავად ამისა პირველსავე წელს იმდენი ბავშვი მოაწყდა, რომ უადგილობის გამო მხოლოდ 48 ბავშვი მიიღეს.¹⁸⁹ განუზომლად დიდია ნიკო ჯანაშიას წვლილი სოხუმის ქართული სკოლისთვის შენობის აგების საქმეში. ქალაქის ხელმძღვანელობამ სკოლის ასაგებად უვარგისი და ჭაობიანი ადგილი გამოუყო, მის ამოსაშრომად ნიკომ დიდი შრომა გასწია და იქ მშვენიერი სკოლა ააგო. 1912 წლის სექტემბერში სოხუმის ქართული სკოლა საკუთარ შენობაში გადავიდა. სკოლის კადრებიც სპეციალურად შეარჩია და მასწავლებლად გამოცდილი პედაგოგები: ნოე ქურიძე¹⁹⁰, თამარ თაყაიშვილი და ქართული გუნდის ყოფილი ლოტბარი ნოე

¹⁸⁸ გაზეთი „დროება“, 1910 წლის 7 მარტი, N52, 7 მარტი. შდრ. **ბორის კვარაცხელია**. ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 51.

¹⁸⁹ **ბორის კვარაცხელია**. ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 55.

¹⁹⁰ **ნოე ალმასხანის ძე ქურიძე (ზომლეთელი)** - 1911 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის ქართული სკოლის მასწავლებელი იყო.

¹⁸⁸ **ბორის კვარაცხელია**. ნიკო ჯანაშიას კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 53-56.

¹⁸⁹ **პეტრე ჭარაია**. ქართული ენა სოხუმის ოლქის სკოლებში. ჟურნალი „განათლება“, N1. 1914. გვ. 57.

¹⁹⁰ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოგრაფია,

ურუშაძე მიიწვია¹⁹¹.

1914 წელს, როდესაც სოხუმის ქართულ სკოლას ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი *პეტრე ჭარაია* ეწვია, მან აღფრთოვანება ვერ დამალა: „ვაშა სოხუმელ ქართველობას, რომელმაც ასეთი მტკიცე სამირკველი ჩაუყარა ამ საშვილიშვილო საქმესო“¹⁹².

ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დოკუმენტური მასალების მიხედვით, 1915-1916 სასწავლო წელს საზოგადოების სოხუმის სკოლა (მასწავლებლები: ნიკო სიმონის ძე ჯანაშია და ნოე ალმასხანის ძე ქურიძე) 16-მა მოსწავლემ დაასრულა, რომელთაგანაც 2-მა რეალურ სასწავლებელში განაგრძო სწავლა, 2-მა – ქალთა გიმნაზიაში, 5-მა – პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში, 5-მა – ორკლასიან სამრევლო სასწავლებელში და 2-მაც – საპროფესიო განყოფილებაში.¹⁹³

1912 წლის 20 ივნისს დიმიტრი პავლეს ძე ნადარეიშვილის მიერ დაბა გუდაუთაში მოწვეულ კრებაზე გადაწყდა *სოხუმის ოლქის დაბა გუდაუთაში* ქშწკგ საზოგადოების *გუდაუთის განყოფილების* გახსნა შემდეგი სახელწოდებით: კავკასიის სამეფისნაცვლოს ქშწკგ საზოგადოების გუდაუთის განყოფილება. განყოფილების უახლოეს მიზანს წარმოადგენდა დაბა გუდაუთაში სახალხო სკოლებისა და სამკითხველოების გახსნა საზოგადოების წესდების პირველი და მეორე პარაგრაფების მიხედვით. „პროტოკოლის“ დოკუმენტს ხელს აწერენ: ანდრია დავითის ძე რეკვავა, რაჟდენ ბახვას ძე კოლოშვილი, გიორგი ესეს ძე მგელაძე, სიმონ ისაიას ძე საბაშვილი, პორფილე წიტას ძე რობაქიძე¹⁹⁴. იმავე კრებაზე არჩეული იყვნენ გუდაუთის განყოფილების ნამდვილი წევრები, 75 ადამიანი. 1912 წლის 25 ივნისს, თბილისში ქშწკგ საზოგადოების მთავარ გამგეობას სოხუმის განყოფილების გამგეობამ (თავმჯდომარე - მარიამ ანჩაბაძე, მდივანი - ნიკო ჯანაშია) შეატყობინა, რომ *გუდაუთის განყოფილების* წევრობის კანდიდატები, ვინც ხელი მოაწერა გუდაუთელ ქართველთა „პროტოკოლზე“, მიღებულ იქნენ საზოგადოების წევრებად 1912 წლის 24 ივნისის საზოგადო კრებაზე¹⁹⁵. განყოფილების კრე-

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტი. დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედების ანგარიში, 1916-1917 წწ. ფაქტი 26135. <https://society.iliauni.edu.ge/factoids/26135-1915-1916-sastsav-lo-tsels-qartve> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁰ ქშწკგს პროსოპოგრაფია ფაქტის ID: 28162 <https://society.iliauni.edu.ge/factoids/28162-1912-tslis-20-ivniss-dimitri-pa> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁵ ქშწკგს პროსოპოგრაფია ფაქტის ID: 28152, <https://society.iliauni.edu.ge/factoids/28152->

ბამ გუდაუთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია დიმიტრი პავლეს ძე ნადარეიშვილი¹⁹⁶, ხოლო გამგეობის წევრები: სიმონ იესეს ძე საბაშვილი, - პლატონ დავითის ძე ჭავჭავანიძე, გიორგი თომას ძე ზენაიშვილი და ნიკოლოზ იოსების ძე გულივერდაშვილი. საგულისხმოა, რომ გამგეობის თავმჯდომარე დიმიტრი ნადარეიშვილი 1909 წლიდან ქშწკგ საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრი იყო და მან პირველივე სხდომაზე დააყენა საკითხი დაბა გუდაუთაში ქართული სკოლის დაარსების შესახებ. 1912 წლის 5 სექტემბერს დაბა გუდაუთის ბოქაულმა ოფიციალურად გამოუცხადა გუდაუთელებს მათ დაბაში სკოლის გახსნის ნებართვის შესახებ¹⁹⁷. 1913 წლის 25 იანვარს, გუდაუთის განყოფილების გამგეობის მიერ ქშწკგ საზოგადოების მთავარ გამგეობაში გაგზავნილი 1912 წლის ანგარიშის მიხედვით, იმ დროისთვის გუდაუთაში არსებობდა ერთი სამინისტრო დაწყებითი სკოლა, ერთი სასულიერო და ერთი კერძო გიმნაზია. ამ სასწავლებლებში, სადაც ქართველთა შვილებიც დადიოდნენ, სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ქართულს საერთოდ არ ასწავლიდნენ და ბავშვები მოკლებულნი იყვნენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას. ამის გამო მეტად მნიშვნელოვანი იყო გუდაუთაში ქართული სკოლის გახსნა და ადგილობრივი განყოფილება ყველა ღონეს იხმარდა ამ მიზნის მისაღწევად¹⁹⁸.

ქშწკგ საზოგადოების გუდაუთის განყოფილება, ისევე, როგორც სხვა განყოფილებები, ყოველწლიურად აგზავნიდა სამოქმედო გეგმას და წლიურ ანგარიშს თბილისში, ქშწკგ საზოგადოების მთავარ გამგეობაში. დაარსებიდან პირველი წლის ანგარიშებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გუდაუთაში სკოლისა და ბიბლიოთეკის გახსნას.¹⁹⁹ 1916 და 1917 წლების ანგარიშებიდან უკვე ჩანს, რომ

[1912-tslis-25-ivniss-q-sh-ts-k](#) (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁶ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოგრაფია, დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა საზოგადოების გუდაუთის განყოფილებასთან, ოქმები და ანგარიშები განყოფილების მუშაობის შესახებ | 1912-1918, ID: 3716 <https://society.iliauni.edu.ge/sources/3716-qa-rtvelta-shoris-tsera-kitkhvis-gamavrtselebeli-sazogadoebis-mitser-motsera-sazogadoebis-gudautis-ganyofilebistan-oqmebi-da-angarishebi-ganyofilebis-mushaobis-shesakheb-1912-1918> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁷ ქშწკგს პროსოპოგრაფია ფაქტის ID: 28156 (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁸ ქშწკგს პროსოპოგრაფია, ფაქტის ID: 28150, <https://society.iliauni.edu.ge/factoids/28150-1913-tslis-25-ianvars-q-sh-ts> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

¹⁹⁹ გუდაუთაში პირველი ბიბლიოთეკის გახსნა დაკავშირებულია გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის თეოფილე იოსების ძე გოგიტიძის სახელთან, ამ ფაქტს ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა ქართულ საზოგადოებაში. მაგ. ქუთაისის წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ გუდაუთას წიგნთსაცავისთვის ცამეტი წიგნის გადასცა, როს გამოც თეოფილე გოგიტიძე „ცნობის ფურცლის“ მეშვეობით მადლობას უხდის ქუთაისის გამომცემლობის ამხანაგობას (გაზ.„ცნობის ფურცელი“, 1897 წლის 9 აპრილი, N 166). 1897 წლის დეკემბერში თეოფილე გოგიტიძე ფოთში გადაიყვანეს, რომელსაც გუდაუთელები პირველ

გუდაუთაში გახსნილია ქშწკგ საზოგადოების გუდაუთის სკოლა, რადგან განყოფილებას, 1917 წლის ანგარიშის მიხედვით სკოლის შესანახად გამოყოფილი ჰქონდა 2854 მან. 73 კაპ. ამ დროს გუდაუთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე არის მარიამ პართენის ასული საბაშვილი, ხოლო გამგეობის ხაზინადარი იასონ იესეს ძე გიგიბერია²⁰⁰.

იმავე 2017 წლის ანგარიშიდან ვგებულობთ, რომ წლის დასაწყისში განყოფილება 111 წევრს ითვლიდა, მაგრამ წლის განმავლობაში მიღებულ იქნა 79 პირი და ქშწკგ საზოგადოების გუდაუთის განყოფილების წევრთა რაოდენობა 190 გახდა. საზოგადოების წევრთა შემოწირულობებით გუდაუთის განყოფილება აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობაში: პირველ რიგში აფინანსებდა საზოგადოების გუდაუთის სკოლას, შემოწირულობას უგზავნიდა ქუთაისის ქალთა კლუბს²⁰¹, გუდაუთაში ქალებისთვის გახსნა ჭრა-კერვის კურსები, ატარებდა თეატრალურ წარმოდგენებს, სადაც მიწვეული იყვნენ ქართველი მსახიობები თბილისიდან, სოხუმიდან და ა. შ.

1918 წლისთვის გუდაუთაში უკვე 5 სასწავლებელი იყო: ერთი სამინისტრო დაწყებითი სკოლა, ერთი სასულიერო სკოლა, ერთი კერძო გიმნაზია, ქშწკგ საზოგადოების გუდაუთის სკოლა და გუდაუთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც მთლიანად რუსულენოვანი იყო. აღნიშნული სკოლებიდან პირველი ორი სკოლა იმავე 1918 წლის მეორე ნახევარში უნდა გაუქმებულიყო.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1916-1917 წლების მოქმედების ანგარიშის მიხედვით, ქშწკგ საზოგადოების გამგეობამ 1916 წელს გახსნა *სამურზაყანოს განყოფილება*, რომელსაც *ივანე კონსტანტინეს ძე გეგია* ჩაუდგა სათავეში. ივანე გეგია ჯერ კიდევ 1888 წლიდან იყო ქშწკგ საზოგადოების ნამდვილი წევრი, დამხმარე წევრი ოქუშში, რომელიც მაშინდელი სამურზაყანოს ცენტრი იყო. მოგვიანებით, 1910 წლიდან ივანე გეგია ამ საზოგადოების სოხუმის განყოფილების წევრია, 1916 წელს სამურზაყანოს განყოფილების თავმჯდომარედ აირჩიეს²⁰². 1916 წელს სამურზაყანოს განყოფილებას 165 წევრი ჰყავდა. სამურზაყანოს განყოფილების გამგეობის წევრები იყვნენ: ევგენია დავი-

წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნას უმაღლოდნენ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წლის 6 დეკემბერი, N 392).

²⁰⁰ ქშწკგს პროსოპოგრაფია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწერ-მოწერა საზოგადოების გუდაუთის განყოფილებასთან, ოქმები და ანგარიშები განყოფილების მუშაობის შესახებ | 1912-1918 ფაქტის ID: 3716 <https://society.iliauni.edu.ge/sources/3716> (ბოლო ნახვა 12.11. 2021).

²⁰¹ გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“, 1917 წლის 13 ნოემბერი, N 30;

²⁰² ქშწკგს პროსოპოგრაფია, დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედების ანგარიში | 1916-1917, წყაროს ID: 3640, <https://society.iliauni.edu.ge/places/485-samurzayano-saqartvelo>

თის ასული ოქროპირიძე და მღვდლები – სამსონ სვანიძე, ბართლომე მათეს ძე ხარებავა, იოანე გობეჩია²⁰³.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასკოლო სექციამ, რომლის თავმჯდომარე ცნობილი განმანათლებელი *ლუარსაბ ბოცვაძე* იყო, 1916 წელს გალში (სამურზაყანო) სკოლის დაარსების ნებართვა მიიღო. მის ფინანსურ უზრუნველყოფაზე ქმწკგ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას უნდა ეზრუნა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული მიზეზების გამო მან დაპირების შესრულებაზე უარი განაცხადა და სკოლის გახსნის პროცესი დროებით შეჩერდა. მიუხედავად ამისა, გალში სკოლა იმავე წელს გაიხსნა და ამ სკოლის მასწავლებელი იყო *პეტრე გიორგის ძე ჭარაია*, რომელიც პარალელურად არჩეული იყო სამურზაყანოს განყოფილების მდივნად.

სოხუმის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო სამასწავლებლო სემინარიის დაარსება. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1906 წელს დაისვა სოხუმის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორის მიერ. 1909 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა სასწავლებლის დაარსებისთვის აუცილებელი ღონისძიებანი. სკოლის დაარსების საკითხში აქტიურად იყვნენ ჩართული: ნ. ჯანაშია, ა. ჯუღელი, ა. შერვაშიძე, ა. ჭოჭუა ი. ოსტროვიდოვი და სხვები. 1915 წლის 1 ივლისს, კავკასიის მეფისნაცვლისა და საგანმანათლებლო ოლქის მზრუნველის განკარგულებათა საფუძველზე, გაიხსნა ოთხწლიანი სამასწავლებლო სემინარია. მისი პირველი დირექტორი იყო *ვლადიმერ პარდომენკო*. 1917 წლიდან, პარდომენკოს ავადმყოფობის გამო, სემინარიას სათავეში ჩაუდგა მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული *ალექსანდრე გიორგობიანი*²⁰⁴.

გარდა ქართული და რუსული სკოლებისა, აფხაზეთში არსებობდა ორკლასიანი სომხური და ბერძნული სასწავლებლები, რომლებსაც ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოებები ინახავდნენ. განსახილველი პერიოდის მასალები გვაძლევს საშუალებას წარმოვადგინოთ არსებული სკოლების ერთგვარი კლასიფიკაცია. აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამდენიმე ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება არსებობდა. მათ შორისაა სასულიერო, სამინისტრო და კერძო სკოლები.

- ❖ *სასულიერო სკოლებში შედიოდა:* კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების დაარსებული სასწავლებლები, ეპარქიალური სასწავლებლები და საეკლესიო - სამრევლო სკოლები;

²⁰³ ქმწკგს პროსოპოგრაფია, დოკუმენტი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედების ანგარიში | 1916-1917, წყაროს ID: 3640, <https://society-iliauni.edu.ge/places/485-samurzayano-saqartvelo>

²⁰⁴ **ირაკლი გელენავა.** სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების ისტორიიდან, ჟურნალი „აფხაზეთის მოამბე“. N4. თბილისი 2000. გვ. 38-40.

- ❖ *სამინისტრო სკოლები* - ეს იყო რუსეთის სახელმწიფო უწყებების დაფინანსებით ჩამოყალიბებული სკოლები. ამ ტიპის სკოლებიდან პირველი დაარსდა მთიელთა სკოლა სოხუმში, შემდეგ ქალთა სკოლა სოხუმში და სხვ.
- ❖ *კერძო ინიციატივით გახსნილი სკოლები*, რომელსაც ცალკეული თემები საკუთარი სახსრებით ხსნიდნენ. ძირითადად, ეს იყო ქართული, სომხური, ბერძნული და სხვა თემების მიერ გახსნილი სკოლები, რომელთა დაფინანსებას მთლიანად კერძო სექტორი ახორციელებდა.

მესამე ტიპის სკოლებს რუსი მეცნიერი ალექსანდრ დუდკო სხვა ტიპის სკოლებს²⁰⁵, უწოდებდა, რომლებსაც კერძო სექტორი აფინანსებდა.

1911 წელს სოხუმელთა ინიციატივით დაარსდა *სახალხო უნივერსიტეტი*, თავიდან მოწაფეთა რიცხვი 40-მდე იყო და მეცადინეობა კვირაში 5 დღის მანძილზე მიმდინარეობდა, ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვასაც. აქ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იკრიბებოდნენ: მეცნიერები, პედაგოგები, აგრონომები, მსახიობები, ზოგადად ქალაქის განვითარებით დაინტერესებული საზოგადოება, რომლებიც სხვადასხვა საკითხებზე კითხულობდნენ საჯარო ლექციებს, განიხილავდნენ ქალაქის განვითარების იდეებს და ა. შ.²⁰⁶ ალექსანდრ დუდკოს მიხედვით, 1901 წლისთვის აფხაზეთში 78 სამრევლო სკოლა იყო. აქედან 35 წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლა, 40 ერთკლასიანი სკოლა, 1 ორკლასიანი სკოლა, 2 ორკლასიანი სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში შეადენდა 2503 -ს.

- ✓ 1907 წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 2426,
- ✓ 1908 წელს - 2697,
- ✓ 1909 წელს - 2787.

1909 წლისთვის აფხაზეთში ერთით შემცირდა სამრევლო სკოლების რაოდენობა და ფიქსირდება 77 სამრევლო სკოლა, აქედან 65 ერთკლასიანი, 10 ორკლასიანი და 2 ორკლასიანი სკოლა; აქედან

- ✓ 1911 წელს მოსწავლეთა რაოდენობა იყო 2615.
- ✓ 1912 წელს - 3440,
- ✓ 1913 წელს - 3593,
- ✓ 1914 წელს - 3674,
- ✓ 1915 წელს - 3543,
- ✓ 1916 წელს - 3816

ზემოთქმულიდან გამომდინარე, *სასულიერო სასწავლებლებიდან* 1916 წელს, ისევე როგორც 1901 წელს, აფხაზეთში კვლავ 78 სამრევლო სკოლა ფიქსირ-

²⁰⁵ **А. П. Дудко.** Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), გვ. 309-328.

²⁰⁶ გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911 წლის 2 ნოემბერი, N440.

დება.²⁰⁷ რაც შეეხება, *სამინისტრო*, სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფი სკოლებს, მათი რაოდენობა ეტაპობრივად გაიზარდა, თუმცა სკოლების გახსნას, თანახმად მათი დახურვის პროცესიც:

- ✓ მთიელთა სკოლა, გაიხსნა 1863 წელს,
- ✓ ქალთა პროგიმნაზია გაიხსნა 1870 წელს,
- ✓ სოხუმის საქალაქო რეალური სასწავლებელი, გაიხსნა 1904 წელს,
- ✓ სოხუმის წერა-კითხვის კაცთა სკოლა გაიხსნა 1898 წელს დაიხურა 1901 წელს,
- ✓ სოხუმის საქალაქო სასწავლებელი, გაიხსნა 1900 წელს,
- ✓ სოხუმის პოლკის ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა 1901 წელს და დაიხურა 1904 წელს. იმავე შენობაში 1904 წელს გაიხსნა სოხუმის პირველი დაწყებითი სასწავლებელი,
- ✓ სოხუმის ერთკლასიანი სკოლა მაიაკის რაიონში, გაიხსნა 1909 წელს,
- ✓ სოხუმის ქალთა ერთკლასიანი სკოლა გაიხსნა 1916 წელს,
- ✓ პირველი საქალაქო დაწყებითი ერთკლასიანი სკოლა,
- ✓ მეორე საქალაქო დაწყებითი ერთკლასიანი სკოლა,
- ✓ მესამე საქალაქო დაწყებითი სკოლა.

ამავე ჯგუფში ერთიანდება დაწყებითი (სახალხო) სასწავლებლები:

- ✓ სოხუმის პირველი ერთკლასიანი სასწავლებელი,
- ✓ სოხუმის მეორე ერთკლასიანი სასწავლებელი,
- ✓ სოხუმის საქალაქო სასწავლებელი,
- ✓ სოხუმის საქალაქო უმაღლესი დაწყებითი სკოლა,
- ✓ სოხუმის პირველი საქალაქო დაწყებითი ერთკლასიანი სკოლა,
- ✓ სოხუმის მე-2 საქალაქო დაწყებითი ერთკლასიანი სკოლა,
- ✓ სოხუმის საქალაქო მე-3 დაწყებითი სკოლა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში სოხუმში უკვე დღის წესრიგში დადგა მასწავლებელთა მოსამზადებელი სასწავლო დაწესებულების გახსნა. თავდაპირველად დაიწყო მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსების გახსნა, ჯერ გაიხსნა პედაგოგიური კურსები, ბოლოს კავკასიის საგანმანათლებლო (სასწავლო) ოლქის გადაწყვეტილებით დაარსდა ზემოთხსენებული მასწავლებელთა სემინარია.

კერძო სკოლების ორი ტიპი არსებობდა: სხვადასხვა საზოგადოებებისა და თემების მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და კერძო პირების მიერ დაარსებული სკოლები:

- ✓ ამ ჯგუფის სკოლებს უნდა მივაკუთვნოთ იოანე იოსელიანის მიერ გახსნილი სკოლა ლიხნში, ასევე ილორის სკოლა;

²⁰⁷ **А. П. Дудко.** Из истории дореволюционной школы в Абхазии (1851-1917 гг.), გვ. 150-159.

- ✓ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის სკოლა, გაიხსნა 1910 წელს;
- ✓ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გუდაუთის სკოლა, გაიხსნა 1916 წელს;
- ✓ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამურზაყანოს სკოლა, გაიხსნა 1916 წელს;
- ✓ ქალთა ბერძნული სასწავლებელი, დაარსდა 1906 წელს
- ✓ ვაჟთა ბერძნული სასწავლებელი, დაარსდა 1907 წელს,
- ✓ სომხური სკოლა დაარსდა 1908 წელს,
- ✓ სოხუმის მუსლიმთა საზოგადოების მუჰამედის სკოლა-მედრესე, გაიხსნა 1904 წელს,
- ✓ ებრაული სკოლა გაიხსნა 1911 წელს,
- ✓ რუსული წიგნიერების დაწყებითი სკოლა, გაიხსნა 1909 წელს,
- ✓ სოხუმის საქველმოქმედო საზოგადოების პროფესიული სასწავლებელი გაიხსნა 1917 წელს.
- ✓ მეზღვების პრაქტიკული სკოლა გაიხსნა 1907 წელს,
- ✓ სოხუმის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოება ჩამოყალიბდა 1908 წელს;
- ✓ ქალთა სავაჭრო სკოლა გაიხსნა 1910 წელს,

სოხუმში და მის შემოგარენში კერძო პირების მიერ დაარსებული სკოლები:

- ✓ ფედორენკოს დაწყებითი სკოლა - გაიხსნა 1891 წელს, სოხუმში
- ✓ ლიშნევსკაიას კერძო დაწყებითი სკოლა- გაიხსნა 1893 წელს
- ✓ დუბოვეცკაიას კერძო დაწყებითი სკოლა 1894 წელს სოხუმში
- ✓ ვისოცკის კერძო დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1989 წელს სოხუმში
- ✓ აუსტრინის კერძო დაწყებითი სკოლა, გაიხსნა 1901 წელს
- ✓ ბობროვას კერძო დაწყებითი სკოლა, 1908 წელს,
- ✓ დები ოკოროკოვების კერძო დაწყებითი სკოლა გაიხსნა 1910 წელს;
- ✓ გრანდილევსკების კერძო დაწყებითი სკოლა, გაიხსნა 1912 წელს,
- ✓ დვორიანსკების კერძო სკოლა.

კულტურა. გიორგი ძიძარაიას აზრით, XIX ს. 30-40-იან წლების აფხაზეთის საზოგადოებრივ -კულტურულ ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ლიხნსა და ბომბორაში ჩასული რუსი და უცხოელი მეცნიერები, მოგზაურები, ინჟინრები. მაგ. 1833 წელს ლიხნში იმყოფებოდა ფრანგი მეცნიერი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, 1835 წელს პოლკოვნიკი ფ. ფ. ტორნაუ, 1835 წელს პროფესორი ა.დ. ნორდმანი, 1836 წელს აკადემიკოსი ნ.გ. ჩერნეცოვი, 1843 წელს ინჟი-

ნერი გურიევი, 1847 წელს ისტორკოსი მ. ა. სელეზნოვი. 30-იან წლებში ბომბორის სამხედრო ბაზაზე მსახურობდნენ დეკაბრისტები, პოლონელი რევოლუციონერები და სხვები (Дзидзария 1979 გვ. 34). 1837 წელს აფხაზეთში იმყოფებოდა ალექსანდრე პუშკინის დეკაბრისტი მეგობარი, გენერალი ვ.დ. ვოლხოვსკი ადიუტანტ ა. ბესტუჟევ-მარლინსკისთან ერთად. 1837 - დან 1841 წლამდე შავი ზღვის სანაპირო ზოლზე მსახურობდა ა. პუშკინის კიდევ ერთი მეგობარი და დეკაბრისტების ახლო მეგობარი გენერალი ნ.ნ. რაევსკი. გენერალ რაევსკის რაზმში გაგზავნილ იქნენ დეკაბრისტები: ცნობილი პოეტი ა. ი.ოდოევსკი, ნ.ი. ლორერი, ა. ი. ჩერკასოვი. მ. ნ. ნარიშკინი, ვ. ნ. ლიხარევი და სხვები.²⁰⁸ ვფიქრობთ, შეუძლებელია ასეთ ერთეულ შემთხვევებს ხელი შეეწყოს აფხაზეთის კულტურული განვითარებისთვის, რადგან არცერთ ზემოთ დასახელებულ მეცნიერს, მოგზაურს და მით უფრო რევოლუციონერს, გარდა აფხაზეთში შექმნილი სოციალურ - პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის აღწერისა, იდეურად და ინსტიტუციურად კულტურის არცერთი დარგის განვითარებისთვის არაფერი გაუკეთებია.

ვფიქრობთ, ამ საკითხის უკეთ გააზრებისთვის უფრო სისტემური მიდგომა საჭირო. ის, რომ გიორგი ძიძარია გადაჭარბებულად აფასებს რუსი დეკაბრისტებისა და გენერლების როლს აფხაზეთის კულტურული ცხოვრების განვითარება - გაფართოებაში, უნდა ჩაითვალოს საბჭოთა სისტემისგან დათრგუნული სამეცნიერო აზროვნების ნიმუშად, რაც დამახასიათებელია საბჭოთა ეპოქის სამეცნიერო აზროვნებისთვის. შეუძლებელია XIX -XX საუკუნეების აფხაზეთის კულტურა იმავე პერიოდის ქართული კულტურული ცხოვრებისგან მოწყვეტილად განვიხილოთ. ამას ადასტურებს საარქივო - დოკუმენტური წყაროები, პრესა, თვითმხილველთა ბიოგრაფიული ჩანაწერები და სხვა მასალები, რეგიონის მკვიდრი ქართველი და აფხაზი მოღვაწეების მცდელობა, ქართული კულტურით ნასაზრდოები იდეები აფხაზეთში გადანერგონ და საფუძველი ჩაუყარონ თეატრის, მუსიკის, მხატვრობისა და მეცნიერების განვითარებას. უბრალოდ, საჭიროა მეცნიერული კეთილსინდისიერებით ვუპასუხოთ კითხვებს: სოხუმში ვინ შექმნა პირველი სცენის მოყვარულთა საზოგადოება, ან პირველი პროფესიული თეატრალური დასი? ვინ ჩამოაყალიბა პირველი ფოლკლორული ანსამბლი და შეკრიბა ქართული და აფხაზური სიმღერები? ვის სახელს უკავშირდება სოხუმსა და აფხაზეთში პირველი მუსიკალური და სამხატვრო სასწავლებლების დაარსება? ვინ ეხმარებოდა დიმიტრი გულიას ანბანის შექმნასა და ჩამოყალიბებაში? ან თუნდაც, სად გამოიცა პირველი აფხაზური წიგნი? ან სად ჩამოსხა პირველი აფხა-

²⁰⁸ Г. А. Дзидзария. Развитие культуры и просвещения. – Труды т. I . «Дом печати». Сухум, 2014. გვ. 397.

ზური ანბანის შრიფტი? მრავალი ასეთი კითხვის დასმა შეიძლება, რომელთა პასუხები მიგვიყვანს ქართულ კულტურასთან და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სახელებთან. ამ პერიოდის ქართული კულტურაც სიახლეების ძიებისა და დანერგვის პროცესშია, მაგრამ ამ პროცესს თან ახლდა გამოცდილების გაზიარების პროცესი.

XIX – XX სს. დამდეგის აფხაზეთის კულტურაზე საუბრისას, პირველ რიგში გვახსენდება სოხუმში სცენისმოყვარეთა საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მალე თეატრალური დასის სახით წარდგა მაყურებლის წინაშე. გიორგი შარვაშიძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა აფხაზეთში ახლადჩამოყალიბებულ სცენისმოყვარეთა საზოგადოებასთან, რომელიც შემდეგ დრამატული თეატრის ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ქართული პრესის მიხედვით, სოხუმში თეატრალური წარმოდგენების გამართვა XIX ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო, პირველი წარმოდგენები სოხუმის სცენის მოყვარულთა წრემ ქართულ ენაზე განახორციელა და ამიერიდან სოხუმში არამარტო აფხაზეთის, ზოგადად ქართული თეატრალური საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ წარმოდგენებს სანახაობის გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო დანიშნულებაც ჰქონდა. სცენის მოყვარულთა წრეს, ძირითადად, ადგილობრივი არისტოკრატისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მფარველობდნენ და თავადაც მონაწილეობდნენ თეატრალურ სცენებში. სპექტაკლების გამართვა თანდათანობით სისტემატური ხასიათის გახდა და ასე ჩამოყალიბდა სოხუმის დრამატული კოლექტივი, რომლის სულისჩამდგმელნი *შარვაშიძეთა* და *ანჩაბაძეთა* გვარის ქალბატონები: *მარიამ*, *აღათი* და *ტერეზია შარვაშიძეები*, ასევე *მამო დადიანი-ანჩაბაძისა* იყვნენ. თეატრალური საღამოებიდან მიღებულ შემოსავალს თავიდან საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა და ხმარდებოდა სკოლებს, საავადმყოფოებს, ღარიბებსა და სტუდენტებს. იმავე პრესის ფურცლებიდან ჩანს, რომ შარვაშიძეთა და ანჩაბაძეთა ქალბატონები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ თბილისის თეატრალურ საზოგადოებასთან. 1885 წელს სოხუმის სცენის მოყვარულთა საზოგადოებამ მაყურებელს პირველი ქართული სპექტაკლი უჩვენა, ხოლო 1886 წლიდან სოხუმის სცენისმოყვარულთა საზოგადოებასთან თანამშრომლობდა *ლადო მესხიშვილი*, რომელსაც სოხუმის თეატრთან განსაკუთრებული ურთიერთობები ჩამოუყალიბდა. ამის დამადასტურებელია მრავალი საისტორიო წყარო, მათ შორის *ვლადიმერ ალექსი მესხიშვილის* პირად არქივში დაცული მასალა, რომელიც ასახავს მისი ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიას. აღნიშნული მასალა 2016 წელს გამოქვეყნდა²⁰⁹. იმავე ინფორმაციას ადასტურებს ჟურნალ „თეატრში“ აკაკი ფალავას მიერ გამოქვეყნებული სტატია „ლადო მესხიშვი-

²⁰⁹ **მესხიშვილი, 2016:** ვლადიმერ ალექსი - მესხიშვილი, N183, 134, 142, 153, 163; - <http://www.artpalace.ge/manager/public/files/news/2016-11-10%2016-00-561aleqsi-mesxishvili.pdf>

ლი“, რომელიც სოხუმში თეატრალური ცხოვრების განვითარებაში ლადო მესხიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებზე მოგვითხრობს.²¹⁰

სოხუმის თეატრალური დასის საქმიანობის შესახებ საოცრად მდიდარი მასალაა იმ პერიოდის ქართული გაზეთების ფურცლებზე. მაგ. გაზეთი „ივერია“ ზოგადად მრავალფეროვან მასალას აქვეყნებდა აფხაზეთის თემატიკაზე და მათ შორის სოხუმის თეატრალური ცხოვრების შესახებ. „ივერიის“ 1889 წლის 12 აპრილის ცნობით, სოხუმის ახალგაზრდობის თაოსნობით, გამართული იქნა ქართული წარმოდგენა, ითამაშეს ფრანგულიდან გადმოკეთებული 1 მოქმედებიანი ვოდევილი „მშვირები“. გაზეთის იმავე ნომრიდან ვგებულობთ, რომ სოხუმის სცენისმოყვარულთა საზოგადოება მოკლე ხანში ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილის“ წარმოდგენას გეგმავდა.²¹¹ 1893 წელს მარიამ შარვაშიძის თაოსნობით სოხუმში დაუდგამთ პიესა თბილისელი მსახიობების ლადო ალექსი მესხიშვილის, ა. ქიქოძის, სამსონ ფრანგულიანის, გვაზავას და სხვათა მონაწილეობით. სოხუმიდან მოწერილ წერილში ვკითხულობთ: „სცენის მოყვარულთ აღარ ბრძანებით, იმართება წარმოდგენა წარმოდგენაზე: ეს ტუსაღთა სასარგებლოდაო, ეს ღარიბის სტუდენტობის სასარგებლოდაო, ეს სასწავლებლის სასარგებლოდაო, აი, თუნდაც, 3 თებერვლის წარმოდგენაზედ მოგახსენებთ, ბატონმა ალექსი-მესხიშვილმა კნ. მ. შარვაშიძის თაოსნობით გაჰმართა მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბაიყუში“ ალ. ცაგარელისა, მონაწილეობა მიიღეს: ბ-ნმა ალექსი მესხიშვილმა თავისი მეუღლითურთ, ქალბატონმა ნ. ქიქოძემ, ფრანგულიანმა, გვაზავამ და სხვ. ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო, იმდენი კიდევ უბილეთოდ დარჩა. ... ყველა კარგი იყო თავის როლში: კაცი ვერ იტყოდა, ვინ ვის სჯობნიდა. ხალხში ხმა გაისმოდა ამგვარი წარმოდგენა ნეტავ თვეში თითო-თითოჯერ მაინც გვაღირსაო... დიდის მადლობის ღირსია თ. მ. შარვაშიძე. მოთავე ამ საქმისა“.²¹² იმავე 1893 წელს მარიამ შარვაშიძის თაოსნობით ადგილობრივმა სცენისმოყვარულებმა თბილისის ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ დადგეს პიესები „ბაიყუში“ და „ფინჯანი ჩაი“.²¹³ 1894 წელს სოხუმის ქართული თეატრის სცენაზე წარმატებული გასტროლები ჰქონდა ქუთაისის ქართული დრამატული თეატრის დასს, აღნიშნული მასალაც გამოქვეყნებულია „ივერიის“ ფურცლებზე²¹⁴

1895 წელს სოხუმის ქართულმა დასმა დადგა ვოდევილები: „ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს“ და „წუთის საცოლე“, სტატიის ავტორი განსაკუთრებულ

²¹⁰ აკაკი ფაღავა. ლადო მესხიშვილი, ჟურნალი თეატრი, 1941. N5.

²¹¹ გაზეთი „ივერია“, 1889 წლის 21 აპრილი, N82.

²¹² გაზეთი „ივერია“, 1893 წლის 23 თებერვალი, N 38:3.

²¹³ გაზეთი „ივერია“, 1893 წლის 12 მარტი, N 52.

²¹⁴ გაზეთი „ივერია“, 1894 წლის 3 დეკემბერი N256.

ყურადღებას უთმობს სამსონ ფრანგულიანის სამსახიობო ნიჭს და კარგ თამაშს. იმავე წელს საქველმოქმედო მიზნით სოხუმელ სცენისმოყვარულებს დაუდგამთ დრამა „და-ძმა“ და მოლიერის საკაპენის ოინები“, ხალხური ლექსის მიხედვით დაიდგა „არსენა“ და ვოდვეილი „მშვირები“²¹⁵ და სხვა. მხოლოდ გაზეთმა „ივერიამ“ 1895 წელს სოხუმის თეატრის საქმიანობას ხუთზე მეტი სტატია მიუძღვნა. სოხუმის თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლებისა და სოხუმში თეატრალური ცხოვრებისადმი გაზეთ „ივერიის“ ასეთი ცხოველი ინტერესი, აფხაზეთსა და სოხუმში მიმდინარე კულტურული პროცესებისადმი ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესზე მიუთითებს. 1996 წელს დრამატული თეატრის სცენაზე დაიდგა „მონადირე“ და „რაც არ მერგება არ შემერგება“.²¹⁶ 1897 წელს სოხუმის დრამატულ დასს საქველმოქმედო მიზნით დაუდგამს პიესა „ბნელს ოთახში“ და „დატრიალდა ჯარა“.²¹⁷ სპეციალურად „ივერიისთვის“ ქველმოქმედების გაწევის მიზნით 1897 წლის 11 ივლისს სოხუმის დრამატულმა დასმა ისევ დადგა პიესა „ბნელს ოთახში“. საინტერესოა, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამადლობელი წერილი აღათი შერვაშიძისადმი, რომელმაც ტფილისის ქალთა მომავალი სკოლის სასარგებლოდ სოხუმში წარმოდგენა გამართა.²¹⁸

ივერიის ფურცლებიდან ვგებულობთ, რომ 1894 წელს სოხუმში წარმატებით ჩაიარა, თბილისში 1886 წ. 15 ნოემბერს დაარსებული, ქართული სიმღერის პირველი პროფესიული ანსამბლის „ქართული ხორო“-ს მომღერალთა გუნდის გასტროლებმა, რომელსაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ქართულ ხალხურ სიმღერაზე უზომოდ შეყვარებული ჩეხი მომღერელი **იოსებ რატილი** (ნავრატილი)²¹⁹ ხელმძღვანელობდა. ასევე 1897 წელს სოხუმს სტუმრობდა ცნობილი ლოტბარი *ალ. კავსადე*, რომლის კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა სოხუმის თეატრის სცენაზე.

სოხუმთან და სოხუმის დრამატულ თეატრთან არის დაკავშირებული ცნობილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და თეატრის მოღვაწის *შალვა დადიანის* სახელი, რომლის აქტიური თეატრალური მოღვაწეობა და სამსახიობო კარიერა სწორედ სოხუმში დაიწყო. ახალგაზრდა მწერალმა და მსახიობმა სიხალისე

²¹⁵ გაზეთ „ივერიის“ 1895 წლის ნომრები: 28 იანვარი, N21; 18 თებერვალი, N36; 11 აპრილი, N74; 26 ნოემბერი, N256)

²¹⁶ გაზეთი „ივერია“, 1896 წლის 25 აპრილი, N89.

²¹⁷ გაზეთი „ივერია“, 1897, წლის 1 მაისი, N83.

²¹⁸ გაზეთი „ივერია“, 1900, 29 მარტი, N 69.

²¹⁹ ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა გიორგი კალატოზიშვილმა 1983 წელს იოსებ ნავრატილის ხსოვნას ფილმი მიუძღვნა - „გმადლობთ რატილი“. *იხილეთ ანოტაცია ფილმის შესახებ*: <https://web.archive.org/web/20160430080015/http://geocinema.ge/ge/index.php?filmi=392> *იხილეთ ფილმი ჩეხურ ენაზე*: <https://www.youtube.com/watch?v=93DK9JMqHY>;

და ენთუზიაზმი მოიტანა თან. 1895 წლის დეკემბერში მისი რეჟისორობითა და მონაწილეობით სცენისმოყვარეებმა ქალაქის კლუბის დარბაზში დადგეს რამდენიმე წარმოდგენა. პირველი ჩატარდა 8 დეკემბერს და ნაჩვენები იქნა კოტე მესხის ისტორიული დრამის „თამარ ბატონიშვილის“ მეოთხე მოქმედება, დავით ერისთავის ისტორიული დრამის - „სამშობლოს“ მეოთხე მოქმედების მეორე სურათი, და ვალერიან გუნიას ერთმოქმედებიანი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით.“ დასასრულს გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუჯი (შალვა დადიანი - ლ.ა), სამსონ ფრანგულიანი, კიტა აბაშიძე, მ. გვაზავა, ა. მიქაძე და სხვები.²²⁰ ეთერ ქაჯაიას შეფასებით, ქართული დრამატურგიის სამი ისტორიული დრამის წარმოდგენას სოხუმში უსაზღვროდ დიდი ეროვნული და პატრიოტული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ამდიდრებს ჩვენი კულტურის დიდი მოამაგის-შალვა დადიანის ბიოგრაფიას.²²¹

როგორც აღვნიშნეთ, სცენისმოყვარულთა დადგმები თავიდან საქველმოქმედო ხასიათისა იყო, მაგრამ რაც უფრო მეტ სიყვარულს იხვეჭდნენ ხალხში, მით უფრო მეტი მონდომებით ცდილობდნენ ახალი სპექტაკლების გამართვას. ამის ფონზე იზრდებოდა მათი პროფესიული ოსტატობაც, რასაც ხელს უწყობდა თბილისიდან ჩამოსული მსახიობებისა და რეჟისორების გამოცდილების გაცნობაც. იმდროინდელი ქართული პრესა მდიდარ მასალას გვაწვდის სოხუმის სცენისმოყვარულთა წარმოდგენებისა და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ.

ქართული პრესის მასალების მიხედვით, სცენისმოყვარულთა საზოგადოებები ჩამოყალიბდა ოჩამჩირეში, გუდაუთასა და გაგრამში. თბილისის დასიგ ხშირად ჩადიოდა პერიფერიებში, მათ შორის აფხაზეთში, მაგალითად, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ერთ-ერთი ნომერი გვამცნობს, რომ 1910 წლის მაისში გუდაუთაში თბილისის დრამატულმა დასმა ეგემია მესხის, ვალერიან გუნიასა და კოტე მესხის მონაწილეობით წარმოადგინა სპექტაკლი „ღალატი.“²²²

მართალია შალვა დადიანი დიდხანს არ დარჩენილა სოხუმში, მაგრამ ჩანს, ის ხშირად სტუმრობდა ქალაქს. მაგ. 1911 წლის გაზ. „კოლხიდა“ გვამცნობს, რომ სოხუმში მოიწვიეს შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი, რომლებმაც ადგილობრივ მსახიობებთან და ნ. ურუშაძის მომღერალთა გუნდთან ერთად 23 აპრილიდან 4 ივნისამდე ხუთი წარმოდგენა გამართა. წარმოდგენილი იყო ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, „დილა ქორწილის შემდეგ“, ალექსანდრე ყაზბეგის „ცოცხალი სურათი“, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“ და ა. შ. წარმოდგენების შემდეგ, შ. დადიანმა წაიკითხა მოხსენება თეატრის მნიშვნელობის

²²⁰ ეთერ ქაჯაია. ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940 წწ.), თბილისი, 2006, გვ. 27.

²²¹ ეთერ ქაჯაია. ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940 წწ.), გვ. 28.

²²² ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წლის 16 მაისი, N 19.

შესახებ.²²³

1912 წლიდან შალვა დადიანმა შეძლო სოხუმში ნახევრად პროფესიული თეატრის ჩამოყალიბება. ეთერ ქაჯაია ნახევრადპროფესიული თეატრის ჩამოყალიბებას 1911 წლით ათარიღებს. ზოგადად სოხუმის თეატრის ისტორიაში, პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებამდე პერიოდს სამ ნაწილად ჰყოფს: 1. 1885-1910 წლები - სცენისმოყვარულთა წარმოდგენები; 2. 1911-1921 წლები სოხუმის ნახევრადპროფესიული თეატრი და 3. 1921-1927 წლები - გზა პროფესიული თეატრისკენ. ვფიქრობთ, ამ ჩამონათვალში ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი იყო შალვა დადიანის მოღვაწეობის წლები. მის დროს ქართულ დასში რამდენიმე პროფესიონალი მსახიობი იყო, მათ შორის ელო ანდრონიკაშვილი, ვასო აგულიშვილი, მოგვიანებით ეველინა წუწუნავა და დავით კობახიძე. დასი აქტიურად თანამშრომლობდა *ძუკუ ლოლოუს* მომღერალთა გუნდთან.

სხვადასხვა დროს სოხუმში თეატრალურ წარმოდგენებს მართავდნენ ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, ალექსანდრე იმედაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი, თავად შალვა დადიანი და სხვები. 1912 წ. თებრევალში შალვა დადიანმა ისევ დადგა დავით ერისთავის „სამშობლო“, 1911-1912 წლის სეზონზე სოხუმში 12 წარმოდგენა გამართულა, ამის შესახებ გაზეთი „კოლხიდა“ გვაუწყებს: „40-ზე მეტმა ქალმა და კაცმა მიიღო წარმოდგენაში მონაწილეობა და ყველა თავის მოვალეობას და ნაკისრ როლს ასრულებდა გულმოდგინებითა და საქმის სიყვარულით....თამამათ შეიძლება ითქვას, ხალხს ქართული წარმოდგენები მოთხოვნილებად გადაუქციეს. ასე, რომ, თუმცა წრემ ქონებრივად ზარალი ნახა, მომავლის უკეთესი იმედი მაინც არ დაუკარგავს.“²²⁴ მრავალრიცხოვანი სპექტაკლები და პროფესიული დასის ჩამოყალიბება, როგორც ვხედავთ, საზოგადოების მოთხოვნა იყო.

შალვა დადიანის წასვლის შემდეგ დასი დაიშალა, მაგრამ მოგვიანებით, სოხუმის დრამატული დასი და სოხუმის სახალხო უნივერსიტეტი გაერთიანდა და დაერქვა „სოხუმის სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული დრამატული სექცია“. 1914 წლიდან თეატრალური მუშაობა შეფერხდა, თუმცა წარმოდგენები მაინც იმართებოდა. რეჟისორი იყო ივანე ბარველი (მგელაძე). მსახიობები: ნატალია ჯავახიშვილი და მიხეილ სულთანაშვილი. 1918 წლიდან თეატრის რეჟისორად ზაქარია ურუშაძე დაინიშნა. დაიდგა შალვა დადიანის „შვილი ან სიყვარული“. 1920 წლის 20 ნოემბერს ჰუბერ ბეგ ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალან“

²²³ გაზეთი „კოლხიდა“, 1911 წლის 25 ივნისი, N72.

²²⁴ გაზეთი „კოლხიდა“ 1912 წლის 2 მარტი N48; იგივე ინფორმაცია გამოქვეყნებულია სპეციალურ პუბლიკაციაში: *ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ.* (აფხაზეთი – რელიგია, განათლება, კულტურა). შემდგენელ-რედაქტორი ირაკლი გელუნავა. თბ., 2014. გვ. 258.

დაიდგა ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე; 1920 წლის 8 ნოემბერს ერთაწმინდელის „სიკვდილით დასჯა“, დავით აწყურელის (გამყრელიძე) „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ“. 1920-1921 წლების სეზონი რეჟისორ მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით დაიწყო. დასში შედიოდნენ: ნუცა ჩხეიძე, ნიკო გომიაშვილი, მიხეილ სულთანაშვილი, ალექსანდრე მგალობლიშვილი. ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დასთან ერთად მათ დადგეს დავით ერისთავის „სამშობლო“, ენგელის „ზღვასთან“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, სუვარინინის და ბურენინის „მედეა“, ნ. შიუკაშვილის „ციცინათელა“ ვ. შალიკაშვილის „უნიადაგო“ და სხვ.²²⁵ აღნიშნული მასალა, როგორც საისტორიო წყარო ფართოდ არის გამოყენებული ნაშრომში „ქართული თეატრი აფხაზეთში“²²⁶.

1919 წელს სოხუმის თეატრალური დასის რეჟისორად ქართულმა საზოგადოებამ ვანო ბარველი (მგელაძე) მოიწვია. როგორც ჩანს, დასი ამ დროს აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მხარდასაჭერ ღონისძიებებში. „სახალხო გაზეთში“ ვკითხულობთ: „სალმის დეპეშა გაგრის ფრონტიდან ცხენოსან გვარდიის დივიზიონის მხედართა და ოფიცერთაგან .. კაპელას დასის მიერ ფრონტზე გამართული კონცერტის გამო“²²⁷.

როგორც აღვნიშნეთ, სოხუმის გარდა თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა გუდაუთაში, გაგრაში, სოჭში, ოჩამჩირეში. აქ, ძირითადად, ქართული დასების გასტროლებს ვხედავთ.²²⁸ თუმცა გვაქვს ცნობები დაბა ოჩამჩირეში და გუდაუთაში თეატრის მოყვარულთა მიერ ქართული წარმოდგენის გამართვის შესახებ. სპექტაკლებში მონაწილეობას იღებდა სოხუმელი მსახიობი მაკრინე თურქია.²²⁹ ქართულის პარალელურად XX საუკუნის 10-იან წლებში, საფუძველი ეყრება აფხაზურ თეატრს. 1918 წელს დიმიტრი გულიას ინიციატივით და ქართველი მსახიობების ხელშეწყობით, სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზური ლიტერატურულ - დრამატული წრე, რომელსაც ა. შაკაია ხელმძღვანელობდა. პირველი აფხაზურენოვანი სპექტაკლი გაიმართა 1918 წელს ოჩამჩირეში, ადგილობრივი სცენისმოყვარული პლატონ შაკრილის ხელმძღვანელობით²³⁰.

აფხაზეთში თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე

²²⁵ **სალომე ჭანტურიძე.** სოხუმის თეატრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი 2018. [https://digitallibrary.tsu.ge /book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf](https://digitallibrary.tsu.ge/book/2019/wignebi/sakartvelos-damoukidebeli-respublikis-entsiklopedia.pdf)

²²⁶ **ეთერ ქაჯაია,** ქართული თეატრი აფხაზეთში (1885-1940 წწ.). თბილისი 2006.

²²⁷ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 2 აგვისტო, N642. შდრ.: *ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ.* (აფხაზეთი - რელიგია, განათლება, კულტურა). გვ. 413.

²²⁸ გაზეთი „ბათუმის გაზეთი“, 1912 წლის 25 მარტი, შდრ.: *ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ.* (აფხაზეთი - რელიგია, განათლება, კულტურა). 244-245).

²²⁹ (გაზ. „ივერია“, 1900, N154, 18 ივლისი. შდრ. გელენავა, 2014:18).

²³⁰ *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. 9. თბილისი, 1985, გვ. 503.

საუბრისას, შეუძლებელია არ გავიხსენოთ პირველი აფხაზი პროფესიონალი მხატვარი *ალექსანდრე შარვაშიძე*²³¹. მან განათლება მოსკოვის ფერწერის, ძერწვისა და ხუროთმოძღვრების უმაღლეს სასწავლებელში მიიღო. ის იყო გრაფიკოსი, ფერმწერი, სცენოგრაფი და ხელოვნების კრიტიკოსი და თეორეტიკოსი. მუშაობდა სანკტ-პეტერბურგში, მოგვიანებით პარიზის თეატრშიც. 1918 წელს დაბრუნდა სოხუმში და როგორც თეატრის მხატვარმა აფხაზეთში თეატრალური ხელოვნების განვითარებასაც შეუწყო ხელი. 1918 წელს ალექსანდრე შარვაშიძის ინიციატივით სოხუმის ქალთა გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ბავშვთა სამხატვრო სტუდია, სადაც ის ხატვის გაკვეთილებს თავად ატარებდა²³². 1920 წელს ევროპაში მიიწვიეს და 1921 წლიდან, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, სამშობლოში ვერ დაბრუნდა. ცხოვრობდა ევროპაში, მაგრამ 1958 წელს, თავისი შემოქმედების 500-მდე ნიმუში თბილისისა და სოხუმის მუზეუმებს უსახსოვრა.²³³

თანამედროვე აფხაზური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა აფხაზმა სამხედრო მოღვაწემ, სწავლულმა და ეთნოგრაფმა *სოლომონ ზვანბამ*.²³⁴ მან პეტერბურგში მიიღო განათლება და მსახურო-

²³¹ ალექსანდრე შერვაშიძე 1921 წლიდან უცხოეთში ცხოვრობდა და თავს ქართული არისტოკრატიის წარმომადგენლად თვლიდა.

²³² **Л. А. Шервашидзе.** Изобразительное искусство в Абхазии за 40 лет Советской власти. – Труды Абхазского института языка, литературы и истории имени Д. И. Гулия, XXXII. Издательство Академии наук Грузинской ССР. Сухуми, 1961. გვ.

²³³ **Р. А. Шервашидзе-Чачба.** Статьи, очерки, обзоры. Ставрополь, 2011 http://apsnyteka.org/-183-shervashidze_chachba_r_a.html

²³⁴ **სოლომონა ზვანბა** (1809-1855) - პირველი აფხაზი მეცნიერი - ეთნოგრაფი, XIX საუკუნის აფხაზური ინტელიგენციის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. მსახურობდა რუსეთის იმპერიის ჯარში. ავტორია ესეებისა და სტატიების აფხაზი ხალხის ისტორიასა და ეთნოგრაფიაზე. მისი გვარი შერვაშიძეების დამოკიდებულებაში იყვნენ.

1826 წელს სოლომონ ზვანბა ჯერ პეტერბურგის პაჟთა კორპუსში, ხოლო შემდეგ თავადაზნაურთა პოლკში ჩაირიცხა, სადაც მან 1828 წლიდან 1831 წლამდე გაატარა. 1831 წელს მიენიჭა ოფიცრის, ხოლო 1832 წელს პრაპორშჩიკის წოდება. 1832 წელს ეგერთა პოლკში გადასვლიდან 2 წლის შემდეგ მიენიჭა ლეინტენანტის წოდება. 1834 წელს გაიგზავნა შავი ზღვის ეგერთა პოლკში, ხოლო 1839 წლის მარტში გადაყვანილ იქნა შავი ზღვის ხაზის N10 ბატალიონში, სადაც მიენიჭა პორუჩიკის ჩინი. 1840 წელს გახდა შტაბს კაპიტანი, 1841 წელს კაპიტანი. სოლომონ ზვანბა გახდა რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვანი დასაყრდენი აფხაზეთში, სამთავრო სახლთან ურთიერთობის დასაგალებლად. ფლობდა აფხაზურ, რუსულ და ფრანგულ ენებს. სამწუხაროდ, 1837 წელს ს. ზვანბა მონაწილეობდა წებელდის სამხედრო ექსპედიციაში, რომელიც განახორციელდა კავკასიის მთავარსარდლის ბარონ გრიგორ როზენის მეთაურობით. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ რუსი დეკაბრისტები, რომლებიც რუსეთში დემოკრატიისა და თავისუფალი აზრის პიონერებად ითვლებიან: ალექსანდრ ბესტუჟევი-მარლინსკი, ვასილ ნოროვი, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი, დეკაბრისტი ვლადიმერ ვოლხოვსკი, ასევე დიდი აზერბაიჯანელი პოეტი, მწერალი და მოაზროვნე მირზა ფათალი ახუნდოვი. **Г. А. Дзидзария.** Декабристы в Абхазии, Сухуми - Алашара – 1970. გვ. 53; 1850 წლის 28 მაისს სოლომონ ზვანბა შავი

ბდა კეთილშობილთა პოლკში, რის შედეგად რუსეთში შვიდი წელი გაატარა. მოგვიანებით, ჩაირიცხა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბატალიონში. სოლომონ ზვანბა იყო თავისი მხარის მოსახლეობის, ყოფისა და ტრადიციების კარგი მცოდნე, რასაც ადასტურებს მისი ეთნოგრაფიული შრომები. პირველი ნაბეჭდი შრომა „უბიხთა ზამთრის ლაშქრობები აფხაზეთში“; 1852 წელს „Кавказ“-ში²³⁵ გამოქვეყნდა, ხოლო მისი რჩეული ნაწერები *ეთნოგრაფიული ეტიუდების* სახით პირველად 1935 წელს გამოაქვეყნა გიორგი ძიძარია. ეტიუდებში შევიდა ავტორის ეთნოგრაფიული კვლევები: „გაგრისა და ჯიქების შესახებ“, „უბიხთა ზამთრის ლაშქრობანი აფხაზეთში“, „აფხაზეთში ყოველწლიურად ჩატარებული წმ. გიორგისადმი მიძღვნილი შეწირვის რიტუალი“, „კოცნა ფარდის მიღმა“, „აფხაზური მითოლოგია და რელიგიური მრწამსი და რიტუალები აფხაზეთის მცხოვრებთა შორის.“²³⁶ გიორგი ძიძარიას აზრით, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რუსმა დეკაბრისტებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს სოლომონ ზვანბას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების განვითარებაზე უფრო მეტიც მეცნიერი ღიად აფიქსირებს, რომ „ზვანბას საქმიანობა ნათელი გამოვლინება იყო აფხაზეთზე რუსეთის კულტურული გავლენისა.“²³⁷ სოლომონ ზვანბა, სავარაუდოდ, ალექსანდრ ბესტუჟეე-მარლინსკის გავლენით უნდა დაინტერესებულიყო აფხაზეთის ეთნოგრაფიით. ასევე კარგი ურთიერთობა ჰქონდა თავის თანამედროვე ქართველ მოღვაწეებთან, რადგან აქტიურად თანამშრომლობდა თბილისში, გაზეთ „კავკაზთან“, რომელშიც XIX ს. 50-იანი წლების I ნახევარში გამოაქვეყნა რამდენიმე ფასეული ნარკვევი და ამით საფუძველი ჩაუყარა აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას. აქვე შევნიშნავთ, რომ სოლომონ ზვანბა არის პირველი აფხაზი, ვინც აფხაზებს კულტურულ-ისტორიულად დანარჩენი საქართველს

ზღვის ხაზის მე-10 ბატალიონის მეთაურად დაინიშნა, ხოლო 1852 წლის 14 აპრილს შავი ზღვის ხაზის მე-11 ბატალიონის მეთაურად. აქ მიაღწია მან პოდპოლკოვნიკის წოდებას. სოლომონ ზვანბას ზვანბას ამ თანამდებობაზე მოუსწრო რუსეთ თურქეთის მომდევნო ომმა (1853-1856), რომლის მიმდინარეობისას 1855 წელს დაიღუპა კიდეც ენგურთან ბრძოლაში. ყირიმის ომის დროს სოლომონ ზვანბას გამოჩენილი სიმამაცე ოფიციალურად იქნა აღიარებული კავკასიის მაშინდელი მეფისნაცვლისა და კავკასიის არმიის მთავარსარდლის ნიკოლაი მურავიოვისა და დასავლეთ საქართველოში სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელის, გენერალ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მიერ. დაწვრილებით იხილეთ: **Г. А. Дзидзария.** Биографо - библиографический очерк о С. Т. Званба. в книге: С. Т. Званба. Абхазские этнографические этюды, Сухуми: "Алашара", 1982. გვ. 43-61.

²³⁵ **Соломон Званба.** Зимние походы убыхов на Абхазию Газета "Кавказ", 1852 г., № 33. http://apsnyteka.org/file/Zvanba_Zimnie_pohody_ubykhov_na%20Abkhaziyu.pdf

²³⁶ Абхазские этнографические этюды. Составитель, автор биографо-библиографического очерка в ответственный редактор **Г. А. Дзидзария.** Издательство „Ала-шара“. Сухуми, 1982. შდრ.: **Г. А. Дзидзария.** Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. Издательство «Алашара». Сухуми, 1979. გვ. 45-47.

²³⁷ **Г. А. Дзидзария.** Декабристы в Абхазии, Сухуми - Алашара -1970. გვ. 52;

ველოსგან მოწყვეტილად განიხილავდა. ის იყო პირველი აფხაზი სწავლული, რომლის სამეცნიერო მოღვაწეობა და კულტურული იდენტობა მთლიანად რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ და კულტურულ სივრცესთან ასოცირდება. თავისი სამხედრო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით სოლომონ ზვანბამ აფხაზთა დიდი ნაწილის ნაციონალური მენტალობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ტრანსფორმაციას ჩაუყარა საფუძველი.

აფხაზური კულტურისა და აფხაზური ნაციონალური ფასეულობების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დიმიტრი გულიას, რომელმაც საზოგადოებრივი მოღვაწეობა XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო. სწავლა ჯერ სოხუმის მთიელთა სკოლაში, ხოლო შემდეგ გორის საოსტატო სემინარიაში გააგრძელა. დიმიტრი გულიას, როგორც მეცნიერის, პოეტის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ფორმირებაზე, დიდი გავლენა მოახდინა ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ქართველ მოღვაწეებთან დაახლოება დიმიტრი გულიას სამეცნიერო ინტერესების ჩამოყალიბებასა და გზის გაკვალვაში დაეხმარა. თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც აფხაზური ენის მასწავლებლად იყო მიწვეული. 1892 წელს დიმიტრი გულიამ კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად, უსლარის მიერ შექმნილი ანბანი აფხაზური ენის ბგერებთან შესატყვისობაში მოიყვანა და კირილიცაზე დაფუძნებული ახალი აფხაზური ანბანი გამოსცა. აღნიშნული ანბანის საფუძველზე, *ანდრია ჭოჭუამ*, 1909 წელს თბილისში, აფხაზური ანბანის სახელმძღვანელო გამოაქვეყნა. 1912 წელს, ამ ანბანით თბილისში, დაიბეჭდა დიმიტრი გულიას ლექსების ორი მნიშვნელოვანი კრებული, რომლებიც აფხაზურ ფოლკლორს ეფუძნება, 1913 წელს, ისევ თბილისში გამოქვეყნდა მისი პოემა „სატრფიალო წერილი“ და სხვ. ასე ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩაეყარა საფუძველი აფხაზურ კულტურას, ლიტერატურას, პოეზიას, რომელიც ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის წიაღში იშვა.

დიმიტრი გულიას სახელს უკავშირდება, 1919 წ. 27 თებერვალს, პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ გამოსვლა. ქართველი მეგობრების მხარდაჭერით გაზეთისთვის აფხაზური შრიფტი თბილისში ჩამოასხეს და სოხუმში *ანდრია ჭოჭუამ* ჩაიტანა. გაზეთის რედაქცია სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის შენობაში იყო განთავსებული, სულ 35 ნომერი გამოვიდა და 1921 წ. 12 თებერვლის შემდეგ, „აფსნის“ გამოცემა შეწყდა. როგორც დ. გულია წერს, ის დროებით დაიხურა.²³⁸ რეალურად, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი რეპრესიული ნაბიჯი საკუთრივ აფხაზური ნაციონალური კულტურის წინააღმდეგ.

XIX-XX სს. მიჯნაზე აფხაზეთში საფუძველი ეყრება სამუსიკო ინსტიტუციებს. მართალია, ეს არ იყო ოფიციალური დაწესებულებები, მაგრამ ყველაფერი

²³⁸ Д. Гулия. История Абхазии. Т. I. Издание Наркомпроса С.С.Р. Абхазии. 3-я типография Полиграфтреста ВСНХ Грузии. Тифлис, 1925. გვ. 22.

იწყება საფუძვლით, რომელიც ეტაპობრივად იცვლება, იზრდება და ვითარდება. ასე მოხდა აფხაზეთის მუსიკალურ ხელოვნებაშიც. 1904 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის გამგეობის, კერძოდ *მარიამ დადიანი-ანაჩაბაძის* ინიციატივით სოხუმში სამოღვაწეოდ გადავიდა ქართველი მუსიკოსი, მეჩონგურე, მომღერალი და ლოტბარი ძუკუ ლოლუა. მან არამარტო ქართულ ხალხურ მუსიკას, არამედ აფხაზური ხალხური მუსიკის განვითარებასაც დიდი ამაგი დასდო. სოხუმში ჩასულმა მაშინვე შექმნა სამკითხველო „დიოსკურია“, შემოიკრიბა ოთხმოცამდე მომღერალი და ჩამოაყალიბა გუნდი. რეპერტუარში ქართულთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა აფხაზურ სიმღერებს, რომლებიც ძუკუმ სოფელ-სოფელ სიარულით შეაგროვა, ფონოგრაფზე ჩაიწერა, სცენაზე აიტანა და სამუდამოდ გადაარჩინა. პრაქტიკულად, ის არის აფხაზური ხალხური სიმღერების პირველი შემგროვებელი და ჩამწერი. ნიშანდობლივია მისი შეხედულებები ქართული ჰანგის, როგორც ქართველი ერის თვითმყოფადი კულტურის ფენომენის შესახებ²³⁹. ამ კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ძუკუ ლოლუამ, 1917 წელს ეროვნული ტანსაცმლით შემოსილ მრავალრიცხოვან მომღერალთა გუნდთან ერთად მეგრულ-აფხაზური სიმღერების რეპერტუარით შემოიარა საქართველოს დაბა-ქალაქები²⁴⁰.

აფხაზეთში მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე, მაგრამ საინტერესო ხანაში. ქართული სამუსიკო საზოგადოების დავალებით, 1919 წლის 23 აპრილს, ცნობილმა ქართველმა ლოტბარმა და პედაგოგმა *ზაქარია ჩხიკვაძემ* სოხუმში მუსიკალური საზოგადოების განყოფილება დააფუძნა, რომელსაც სოხუმის აფხაზ-ქართველთა სამუსიკო საზოგადოება ეწოდა. თავმჯდომარედ არჩეული იქნა *ასტამურ ინალიფა*²⁴¹. იმავე კრებაზე აირჩიეს საზოგადოების გამგეობა: *ასტამურ ინალიფა*, მის ამხანაგად *ნიკო თავდგირიძე*, წევრებად *ელადი ემხვარი*, *ძუკუ ლოლუა*, *ივანე რამიშვილი* და *ბაგრატ იოსელიანი*.²⁴² ფაქტობრივად, ეს იყო პირველი ფილარმონიული საზოგადოება სოხუმში.

კიდევ ერთი გამორჩეული აფხაზი, წარმოშობით არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, რომლის შემოქმედება აფხაზი ხალხის ბუნებრივი კულტურულ-ისტორიული გზით განვითარდა, არის *დავით ჩქოტუა*. ის იყო ქართველ 60-იანელთა უმცროსი თაობის წარმომადგენელი და საქართველოს ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, პუბლიცისტი, ნიჭიერი ჟურნალი-

²³⁹ ლოლუა, 2015: ძუკუ ლოლუა, პატარა საუბარი ხალხურ სიმღერასა და გალობაზე, http://geofolkstories.blogspot.com/2015/11/blog-post_23.html

²⁴⁰ გაზეთი „ჩვენი მეგობარი“, 1917 წლის 20 აგვისტო, N42.

²⁴¹ გაზეთი „სახალხო საქმე“ 1919 წლის 7 მაისი N519.

²⁴² გაზეთი „ერთობა“, 1919 წლის 8 მაისი, N99.

სტი, სწავლა - განათლების დაუცხრომელი პროპაგანდისტი და უზადო მეცნიერი. მისი სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის წერილები ეხება ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურის, განათლების, ეთნოგრაფიისა და გეოლოგიის სხვადასხვა თემატურ პრობლემებს. ქართულ ლიტერატურაში ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც რუსთაველის უკვდავი პოემის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე დაიწყო მსჯელობა²⁴³. ტრაგიკული და უსამართლო ბედის მიუხედავად, დავით ჩქოტუამ თავისი პუბლიცისტიკითა და სამეცნიერო - შემოქმედებითი საქმიანობით დიდი კვალი დატოვა რუსთაველოლოგიასა და ზოგადად, ქართული ნაციონალური კულტურის ისტორიაში.

XIX-XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორია არაერთ გამოჩენილ მოღვაწეს იცნობს, ცალკეული მათგანის შემოქმედება და საზოგადოებრივი საქმიანობა სპეციალურ მონოგრაფიულ კვლევას იმსახურებს. სამწუხაროდ, ჩვენი ნაშრომის ფორმატში ყველა მათგანის წარმოჩენა შეუძლებელია. შევეცადეთ დაგვეხასიათებინა ეპოქის კულტურული განვითარების ძირითადი ტენდენციები და მიმართულებები. განვითარების რთული და წინააღმდეგობებით სავსე ისტორიის უკან დგანან ადამიანები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია განსახილველი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წარმატებაში. მიხეილ, კონსტანტინე და გიორგი შარვაშიძეები, იოანე იოსელიანი, ანტონ დადიანი, ალექსანდრე, ოქროპირიძე, გაბრიელ ქიქოძე, კირიონ სამაგლიშვილი, დავით მაჭავარიანი, ივანე გეგია, მარიამ, ალათი, ტერეზა შარვაშიძეები, სოლომონ ზვამბა, დავით ჩქოტუა, დიმიტრი გულია, თედო სახოკია, პეტრე ჭარაია, მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბადისა, ნიკო ჯანაშია, ლუარსაბ ბოცვაძე, ტარას ანჩაბაძე, ნიკო თავდგრიძე, კონსტანტინე მაჭავარიანი, შალვა დადიანი და მრავალი სხვა - ეს ის ადამიანებია, რომლებიც ქმნიდნენ ამ ეპოქის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის იერსახეს.

²⁴³ მარინე ჯაიანი. დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, თბილისი. 2005. გვ. 148-149;

თავი III. აფხაზეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიიდან

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიაში ტაბუდადებული თემა იყო. ვახტანგ ბერიძის სიტყვებით, მაშინდელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად და მოღალატედ იყო აღიარებული, მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან ისიც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი ქმნიდა, ხაზი გადაუსვეს მის მაშინდელ შემოქმედებას.... ნამდვილად კი ის წლები დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში - მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში - დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად ყოველი მხრით მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა.. გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი აღტკინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი. .. ამავე დროს ამ წლების „მექანიკური გათიშვა წინა წლებისგან და მხოლოდ 1918-1921 წლებით შემოფარგვლა, არ შეიძლება. ის, რაც მაშინ შექმნა, ადრევე მზადდება და, ეს იყო ორგანული გაგრძელება იმ მიზანდასახული შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობას და - ეს არის მთავარი - ამზადებდა ამ დამოუკიდებლობას სულიერი ცხოვრების სფეროში.²⁴⁴

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა განათლებისა და კულტურის დარგებში ასახულია იმ სამართლებრივ დოკუმენტებში, საარქივო მასალებსა და ჩანაწერებში, რომლებსაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღიდან გამოსცემდა ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭო, ხოლო შემდეგ საქართველოს დამფუძნებელი კრება. აღნიშნულ დოკუმენტებში იკითხება ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართ. პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა საქართველოს ეროვნულ საბჭოში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის საკითხი. ეროვნულ უმცირესობებს მიეცათ უფლება ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოში 26 დეპუტატი აერჩიათ. მათ შორის სომხებს, აზერბაიჯანელებს, აფხაზებს, რუსებს, ოსებს, ქართველ ებრაელებს და ებრაელებს, ბერძნებსა და გერმანელებს. აფხაზებს ეროვნულ საბჭოში 3 წარ-

²⁴⁴ ვახტანგ ბერიძე. კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921 წწ). თბილისი, 1992. გვ. 3.

მომადგენელი ჰყავდათ²⁴⁵. ეს უფლება ეროვნულ უმცირესობებს ახალ შესაძლებლობებს აძლევდა როგორც პოლიტიკურ, ასევე საგანმანათლებლო და კულტურის სფეროში აქტიური ჩართვისთვის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ჰუმანიტარულ კვლევებს, კერძოდ ქართველოლოგიას, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ქართველოლოგიური კვლევების პარალელურად, ახლადდაარსებული უნივერსიტეტის პროფესორამ საფუძველი ჩაუყარა კავკასიური ენების მეცნიერულ შესწავლას, განვითარდა კავკასიის მიმართულებით დარგობრივი კვლევები. სწორედ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროიდან გადაიქცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კავკასიოლოგიის მთავარ კვლევით და სასწავლო - საგანმანათლებლო ცენტრად. ამ საქმეს ივანე ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი და კავკასიურ ენებს შორის განსაკუთრებული ყურადღება აფხაზური ენის შესწავლასა და კვლევას მიაქცია. ამ მიზნით, უნივერსიტეტში აფხაზური ენის სასწავლო კურსი შემოიღო, რომლის წასაკითხად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზი მწერალი და პოეტი, დიმიტრი გულია მოიწვია. ფაქტობრივად, ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი აფხაზოლოგიას, როგორც სამეცნიერო-კვლევით მიმართულებას და დაიწყო მისი ინსტიტუციური განვითარება. აქედან იწყება აფხაზოლოგიის რეალური ისტორია: კადრების მომზადება, აფხაზური ენის მეცნიერული კვლევა და სწავლება, ახალი კადრების მომზადება დაწყებითი და უმაღლეს სკოლებისთვის. მანამდე, არსად, არცერთ უნივერსიტეტში მსგავსი რამ არ მომხდარა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას აქცევდა აფხაზეთის სკოლებს, აქაურ სკოლებში პედაგოგები იგზავნებოდნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, მაგრამ ძირითადად სამასწავლებლო კადრებს სოხუმის სამასწავლებლო სემინარია ამზადებდა²⁴⁶, რომელიც 1915 წლიდან არსებობდა. დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში მისი სტატუსი გაფართოვდა და სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთ - ერთი პირველი სამართლებრივი აქტი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „სამასწავლებლო

²⁴⁵ საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობისა საქართველოს ეროვნულ საბჭოში“. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ. *საქართველოს საზოგადოება „ცოდნა“ საქართველოს კოოპერატორთა კავშირი, კოოპერატორული გამომცემლობა „ივერთა მხარე“*; თბილისი 1990. გვ. 62.

²⁴⁶ დოდო ჭუმბურიძე. განათლება 1918-1921 წლებში. გვ. 79.

ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების“ შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრის *გიორგი ლასხიშვილის* მოხსენება, რომელიც მან 1918 წლის 2 აგვისტოს წარუდგინა ეროვნულ საბჭოს. მოხსენებაში ავტორმა ასახა სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების ეროვნულ - სახელმწიფოებრივ ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანის პრობლემა, რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკისთვის. ამ პერიოდის საქართველოში 4 პედაგოგიური სასწავლებელი იყო: *ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის, ხონისა და სოხუმის სამასწავლებლო სემინარიები.* მოხსენებაში მინისტრმა დაახასიათა ქვეყანაში მასწავლებელთა მომზადების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და ისაუბრა როგორ უნდა განხორციელებულიყო ამ სასწავლებლების გაეროვნულება. ამ მიზნით აღნიშნულ სასწავლებლებში არაქართული კლასები უნდა დახურულიყო, რადგან აზერბაიჯანლებისთვის სემინარია უკვე განჯაში იყო გახსნილი, ხოლო სომხებისთვის - ერევანში. სამასწავლებლო სემინარიებსა და საოსტატო ინსტიტუტებში ქართული განყოფილებები რჩებოდა, მხოლოდ სოხუმში იქნებოდა ქართული და აფხაზური განყოფილებები, რისთვისაც გიორგი ლასხიშვილმა სოხუმის სემინარიის ახალი, აფხაზური განყოფილებისათვის მთავრობისაგან დამატებითი კრედიტის გაცემა მოითხოვა. გიორგი ლასხიშვილის ამ მოხსენების მერე მომზადდა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მასწავლებელთა საოსტატო სემინარიების ქართულ სასწავლებლებად გარდაქმნას. როგორც აღვნიშნეთ, კანონი „*სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების“* შესახებ მიღებული იქნა 1918 წლის 13 სექტემბერს. კანონის თანახმად, „ა) გაუქმდეს ტფილისის ინსტიტუტის და გორის სემინარიის აწინდელი ეროვნული განყოფილებანი, ბ) გამოცხადდეს ტფილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორისა, ხონისა და სოხუმის სემინარიები ქართულ სახელმწიფო სკოლებად. გ) გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება. დ) მიეცეს ოთხსავე სკოლას კრედიტი სახელმწიფოს ხაზინიდან თანახმად აქვე დართული ხარჯთაღრიცხვისა.“²⁴⁷ აღნიშნული დოკუმენტი, საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ - საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს ფორმირების პირველივე წელს ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან სამ თვეში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო სახელმწიფო კანონი, რითაც საფუძველი შეუქმნა ეროვნულ საგანმანათ-

²⁴⁷საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 13 სექტემბრის კანონი „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნებისა“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ. გვ. 63.

ლებლო სისტემას. ამავე დროს, პირველად აფხაზეთის განათლების ისტორიაში სოხუმის სემინარიასთან, სახელმწიფო დაფინანსებით, ინსტიტუციურად ჩამოაყალიბა აფხაზური განყოფილება, რომელიც შემდეგში აფხაზური ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების საწინდარი გახდა. მართალია, სოხუმის სამასწავლებლო სემინარიასთან ფაკულტატიურად მანამდეც არსებობდა ქართული და აფხაზური სექტორები, მაგრამ ინსტიტუციური თვალსაზრისით ეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს დაკანონდა და ოფიციალურად დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ.

სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის გაეროვნულების საკითხი არასწორადაა ასახული საბჭოთა ისტორიოგრაფიაში და მიჩნეულია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მხრიდან აფხაზ ხალხზე ზეწოლისა და ჩაგვრის გამოვლინებად /ფაქტად. სინამდვილეში, საქართველოს სახელმწიფომ გააუქმა რუსული სასწავლო სიტემა და შეუდგა ქართული საგანმანათლებლო სისტემის მშენებლობას, გააუქმა რუსულ ენაზე სავალდებულო სწავლება და ქართული ენა აღნიშნული სასწავლებლების სავალდებულო საგანმანათლებლო ენად გამოაცხადა. ამავე დროს სოხუმის სამასწავლებლო სემინარიასთან, აფხაზური განყოფილების შექმნით, აფხაზ ერს, პირველად, სახელმწიფო დონეზე მიეცა შესაძლებლობა ინსტიტუციურად ჩამოეყალიბებინა საკუთარი ეროვნული სკოლა. ეს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური განაცხადი, რომ აფხაზური ენა მთავრობის საგანგებო მზრუნველობის ქვეშ იყო და, რომ აფხაზური ენა განათლებისა და კულტურის ენად უნდა ქცეულიყო. აფხაზურ ენასთან მიმართებით ამ ისტორიული გადაწყვეტილების პრეცედენტი ისტორიაში არ არსებობს²⁴⁸. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ ფაქტს დუმლით უვლის გვერდს და სამწუხაროდ, იგივე ვითარება გვაქვს სეპარატისტული პერიოდის აფხაზურ ისტორიოგრაფიაშიც.

ასევე არასწორია სეპარატისტული ისტორიოგრაფიის მტკიცება იმის შესახებ, თითქოსდა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გადააყენა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი *ვლადიმერ პარდომენკო* და მის ადგილზე ქართველი *ალექსანდრე გიორგობიანი* დანიშნა. სინამდვილეში ვლადიმერ პარდომენკომ გაცილებით ადრე დატოვა თანამდებობა, ვიდრე დემოკრატიული

²⁴⁸ აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ უპრეცედენტო იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კიდევ ერთი სამართლებრივი აქტი, „*აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები*“, რომელმაც აფხაზეთის ისტორიაში პირველად კონკრეტული და ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული საარჩევნო სისტემა შექმნა (დებულება „აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისა“ მიღებულია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1918 წლის 27 დეკემბერს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921 წწ. გვ. 179-196.

რესპუბლიკის მთავრობის ფორმირება მოხდებოდა. მან ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო სემინარიის ხელმძღვანელობა და თხოვნით მიმართა კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს, რომლის 1917 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით სემინარიის დირექტორად დაინიშნა ალექსანდრე გიორგობიანი.²⁴⁹

ალექსანდრე გიორგობიანის როგორც მასწავლებლისა და თავისი დროის მოწინავე საზოგადო მოღვაწის სახე კარგად ჩანს მის ანგარიშში, რომელიც 1919 წლით თარიღდება²⁵⁰ და რომლითაც სოხუმის პირველი გიმნაზიის პირველი დამფუძნებელი საერთო კრების ამხანაგობას მიმართავს. ავტორი დეტალურად განიხილავს და აფასებს აფხაზეთის საგანმანათლებლო სფეროში არსებულ ვითარებას, ჩამოთვლის სწავლა-აღზრდის საქმეში არსებულ პრობლემებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაწყებით სკოლებში შექმნილ რთულ მდგომარეობას და პერსპექტივაში განიხილავს და გეგმავს აფხაზეთის ახალგაზრდების სწავლის გაგრძელების საკითხს უმაღლეს სკოლაში. ანგარიშში თანამედროვის თვალთვლით დანახული რეალობა ასახულია და ის ცალკე კვლევის საგანია.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის „სამასწავლებლო ინსტიტუტის და სემინარიების გაეროვნების“ მიღების შემდეგ, მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო არსებული სასწავლებლების რეფორმა, ან ახალი სასწავლებლების დაარსება. ამ მხრივ გამონაკლისი არც აფხაზეთი იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურის ბევრმა ოჯახმა დატოვა. ადრე არსებული სასწავლებლების ნაწილი დაიხურა, ხოლო ნაწილი რეფორმის პირობებში კვლავ აგრძელებდა საქმიანობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა ხელი შეეწყო საგანმანათლებლო სასკოლო ქსელის გაფართოებისთვის. ამ მიზნით, განათლების სამინისტრო სპეციალურად ახალისებდა რეგიონებში სკოლების გახსნის ინიციატივას. მსგავს ინიციატივებს ხშირად ვეცნობით იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. 1918 წლის სექტემბერში ქ. ოჩამჩირის თვითმმართველობამ განათლების მინისტრის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა ოჩამჩირეში გაეხსნა საშუალო სასწავლებელი. გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულია ოჩამჩირის ქალაქის თავის ბ. ჟორჟოლიანის ინფორმაცია, რომლის მიხედვით „ქ. ოჩამჩირე წარმოადგენს ცენტრს სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილებისას, დაახლოებით

²⁴⁹ **ირაკლი გელენავა.** სოხუმის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების ისტორიიდან, ჟურნალი „აფხაზეთის მოამბე“, N4, 2000. გვ. 40.

²⁵⁰ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქმე 987, ფფ. 37-40. შდრ. **Анчабадзе, Пагава, Туташвили, 2018:** Документы по истории Абхазии XIX – начало XX века, над изданием работали Георгий Анчабадзе, Марина Пагава, Ия Туташвили, Тбилиси, 2018. გვ. 410-415.

120 000 სული მცხოვრებლებით, ეს ამოდენა რაიონი მოკლებულია საშუალო სასწავლებელს. სოხუმში ან, სხვა ქალაქში მოწაფეების შენახვის საშუალებას დღევანდელი სიძვირის გამო, უმეტესობა რა თქმა უნდა მოკლებულია. ამიტომაც აუარებელი ახალგაზრდობა, რომელთაც სხვა პირობებში საშუალება ეძლეოდათ სოხუმში ან ქუთაისში წასულიყვნენ, იძულებულნი არიან უარი სთქვან სწავლის გაგრძელებაზე, ოჩამჩირეში ესენი ადვილად მოახერხებდნენ სწავლის გაგრძელებას ერთი მხრივ, ცხოვრების შედარებით სიახვის გამო და მეორეს მხრით კი მათ შეძლებოდათ სახლიდან წამოეღოთ აქ ყოველგვარი სურსათი²⁵¹. ოჩამჩირის ქალაქის თავის წერილში აღწერილი მოსწავლეთა პრობლემები დამახასიათებელია იმ ეპოქის საქართველოს რეგიონებისთვის. მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად მთავრობამ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი სპეციალური სასწავლებელი გაეხსნა რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დარგების შესასწავლად. ეს საშუალებას მისცემდა ადგილობრივ ახალგაზრდებს განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ კუთხეში დასაქმებულიყვნენ.

გარდა მატერიალური მდგომარეობისა, აფხაზეთში საგანმანათლებლო საქმის განვითარებას პოლიტიკური ვითარებაც აფერხებდა. რეგიონში საბჭოთა რუსეთის, თეთრი რუსეთის და ოსმალეთის სახელმწიფოთა ინტერესები იკვეთებოდა. ბოლშევიკებმა 1918 წელს დროებით შეძლეს სოხუმის ხელში ჩაგდება და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. მართალია, ეს პრობლემა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მალე გადაწყვიტა, მაგრამ მთელი 1918 წლის მანძილზე მოსახლეობა შიმშა და ომიანობაში იმყოფებოდა და განათლებისთვის არავის ეცალა. 1919 წლის ნოემბრის გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: „წინა წლის არეულობამ აფხაზეთში დიდი ზიანი მიაყენა განათლების საქმეს, რადგან აფხაზეთის სკოლებში შეწყვეტილი იყო სწავლა-განათლების საქმე. წელს იმის აღდგენას დიდი ენერგია და უნარი სჭირდება. ამიტომ ოქტომბრის 12-ს ქ. ოჩამჩირეში შედგა კოდორის მაზრის მასწავლებელთა პირველი ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი გრ. მ. ჯაფარიძე, მდივნად ი.ს. ქორქია. ყრილობამ იმსჯელა კოდორის მაზრის მასწავლებელთა კავშირის დაარსებაზე, სასწავლებელთა საჭიროებებზე და მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობაზე. თავმჯდომარის წინადადებით შემუშავებული იქნა წესდება მასწავლებელთა მომავალი კავშირისა. უპირველესი მნიშვნელობა მიეცა კავშირის კულტურულ-განმანათლებელ მხარეს და მასწავლებელთა ნივთიერ დახმარებას²⁵². როგორც ამ ცნობიდან ჩანს, კოდორის მაზრის მასწავლებელთა პირველი ყრილობაზე დაარსდა მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანება, რომელსაც უნდა ეზრუნა სასკოლო სფეროს განვითარებასა და მასწავ-

²⁵¹ გაზეთი „ერთობა“, 1918 წლის 25 ოქტომბერი, N 229. გვ. 3.

²⁵² გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. 18 ნოემბერი, N682. გვ. 3-4.

ვლებელთა მხარდაჭერაზე. ადგილებიდან მოხსენებებმა ყრილობას ნათლად დაანახა აფხაზეთის სკოლათა უმწეო მდგომარეობა, როს გამო „ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ ერობის გამგეობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სკოლებს და მათი საკითხი გამოცდილ პირებთან ერთად გაარჩიოს“. ყრილობაზე არჩეულ იქნა „მასწავლებელთა კავშირის მომავალ ყრილობათა მუდმივი პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული ყრილობის თავმჯდომარე გრ. მ. ჯაფარიძე, მის ამხანაგად პ. მ. გოგია, მდივნად, პს. შავერბაი“.²⁵³

1919 წლის 12 ოქტომბერს ჩატარებული კოდორის მაზრის მასწავლებელთა პირველი ყრილობა და მის მიერ არჩეული მუდმივი პრეზიდიუმი აფხაზეთში მასწავლებელთა პირველი დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანებაა, რომელმაც პირველად საჯაროდ ისაუბრა სასკოლო განათლებაში არსებულ გამოწვევებზე და ხელისუფლებას და საზოგადოებას შიგნიდან დაანახა სკოლის, როგორც საგანმანათლებლო ინსტიტუციის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის საჭიროება.

1920 წლის ბიუჯეტში საქართველოს განათლების სამინისტრომ აფხაზეთის სკოლებისთვის 12 779 676 მანეთი გამოყო, რაც მაშინდელი მდგომარეობით საკმაოდ სოლიდური თანხა იყო. ამ თანხაში შედიოდა სკოლების შენახვა, მათ შორის სოხუმის სემინარიის, ოჩამჩირის გიმნაზიის, გაგრის რეალური სასწავლებლის დაფინანსება, ახალგაზრდების გაგზავნა საზღვარგარეთ სასწავლებლად, მოსწავლეთა სტიპენდიებით უზრუნველყოფა და ა.შ. ბიუჯეტი ცალკე ითვალისწინებდა ხარჯებს სკოლის გარეშე განათლებისთვის, რომლისთვის 1920 წლის ბიუჯეტში მთლიანად 2 მილიონი მანეთი იყო განსაზღვრული, მისი „ნაწილი მოხმარდება საერთო წესით აფხაზეთსაც“ - ვკითხულობთ დოკუმენტში²⁵⁴. ცალკე იყო გამოყოფილი ფული „სახელმძღვანელოთა და სასწავლო ხელსაწყოთა შესაძენად“, საშუალო და დაბალ სკოლებში ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, მაგალითად, განაპირა კუთხის ახალგაზრდათა სტიპენდიისთვის ბიუჯეტში განსაზღვრული იყო 200 000 მანეთი²⁵⁵. ეს გადავიტანოთ!!!

როგორც საბუთებიდან ჩანს, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა მასწავლებელთა გადამზადების პროცესს. ამ მიზნით, აწყობდა მასწავლებელთა კურსებს, რისთვისაც ბიუჯეტში ცალკე ჰქონდა გამოყოფილი თანხა. საქართველოს ბიუჯეტში აფხაზეთის მასწავლებლებისთვის სამასწავლებლო კურსების მოსაწყობად 150 000 მანეთი იყო გამოყოფილი.

²⁵³ გაზეთი სახალხო საქმე“, 1919 წ. 18 ნოემბერი, N682. გვ. 3-4.

²⁵⁴ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1935, აღწერა 1, საქ. 835, ფურც. 8. შდრ. ნატო სონღულაშვილი. საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 1918-1921, თბ., 1921, გვ. 252-253.

²⁵⁵ იქვე.

საარქივო მასალებსა და პრესის ფურცლებზე დაცული მსგავსი ცნობები, მრავალმხრივი ანალიზის საფუძველს იძლევა. მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამავე დროს, დოკუმენტებიდან ვგებულობთ მოსახლეობის კულტურული და ენობრივი იდენტობის, ეთნიკური ვინაობის, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მაშინდელი პრესა ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის იმ განწყობის შესახებ, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობას გაუჩნდა სკოლების გაეროვნულების საკითხის დასმის შემდეგ. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ვკითხულობთ „სამურზაყანოელის სამშობლო ენა მეგრულია და გამოცხადდა, თუ არა გაეროვნება სკოლებისა, მაშინვე სამურზაყანოს ყველა სკოლებში ქართული ენის სწავლება შემოიღეს“.²⁵⁶ ბუნებრივია, სამურზაყანოელებმა ის ენა აირჩიეს სასკოლო-საგანმანათლებლო ენად, რომელიც საუკუნეების მანძილზე მათი კულტურისა და ეროვნული იდენტობის, სალიტერატურო, საგანმანათლებლო საქმიანობისა და ღმრთისმსახურების ენა იყო.

საარქივო მასალები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დოკუმენტები ასაბუთებენ, რომ ამ დროს აფხაზეთში სასკოლო განათლება ქართულ, ბერძნულ და სომხურ ენებზე მიმდინარეობდა და ხელისუფლება ცდილობდა დაეცვა ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო უფლებები. ზოგადად, განათლებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ეს კარგად ჩანს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ერების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ საგანმანათლებლო უფლებების დაცვას. ეს კარგად ჩანს სომხურენოვანი მოსახლეობის საგანმანათლებლო უფლებების დაცვის მაგალითზე. ცნობილია, რომ ამ დროს თურქულ-სომხური კონფლიქტის გამო საქართველომ თურქეთიდან ლტოლვილი მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა შეიფარა. განსაკუთრებით ბევრი ოჯახი შეიფარა ჩვენმა ქვეყანამ 1919-1920 წლების მანძილზე, რაც აისახა სომხური სკოლების რაოდენობაზე. თუ 1919 წლის მაისისთვის საქართველოში 16 სომხური სკოლა იყო²⁵⁷, 1920 წლის 18 დეკემბრისთვის მათი რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა და 80 გახდა. ეს განსაკუთრებით ჩანს აფხაზეთში, სადაც 1918 წლამდე ორიოდ კერძო სომხური სკოლა არსებობდა. მაგრამ 1919 წლის მაისითვის აფხაზეთში უკვე ფიქსირდება *კოდორის მაზრაში ექვსი სომხური სკოლა*: 1. ლაბრის,

²⁵⁶ გაზეთი „საქართველო“, 1918 წლის 13 იანვარი, N10. გვ. 4.

²⁵⁷ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.1935, აღწ. I., საქმე 27\ ფ. 26-29. შდრ. დოდო ჭუმბურიძე. განათლება 1918-1921 წლებში, თბ., 2000. გვ. 20.

2. ჯერგუნის, 3. ათარის, 4. წურგილის, 5. ათარო-არმიანსკის, 6. არაქე-ჩინიჩის დაწყებითი სკოლები; *გუმისთის მაზრის 15 სომხური სასწავლებელი*, აქედან 8 დაწყებითი სკოლა და ერთი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი: 1. დრანდის, 2. ბოგოპოჩტინის, 3. II სიმაღლის, 4. მერხეულის, 5. III მერხეულის, 6. წებელდის, 7. ლემის, 8. ზახაროვკის, 9. ლეჩკოპის, 10. იაშტუხის ორი დაწყებითი სკოლა, 11. ეშერის დაწყებითი სასწავლებელი, 12. გუმისთის დაწყებითი სასწავლებელი, 13. სოხუმის ორკლასიანი სასწავლებელი, 14. გუმისთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. *გუდაუთის მაზრაში*: ხუთი დაწყებითი სომხური სასწავლებელი: 1. გუდაუთის, 2. მწარას, 3. ანუხვის, 4. ვესელსკოეს, 5. ფსირცხის; იმავე დოკუმენტით, *გაგრაში სამი სომხური სასწავლებელი ფიქსირდება*: 1. კავაკლუკის, 2. კალდეხვარის, 3. ქირაშენის პირველდაწყებითი სასწავლებლები.²⁵⁸ ამ სკოლების ერთ ნაწილს სახელმწიფო აფინანსებდა, ხოლო დიდი ნაწილი კერძო შემოწირულობებით არსებობდა და მათ უმეტესად სომეხი მეცენატები ინახავდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის სკოლები ზოგჯერ უარს აცხადებდნენ სახელმწიფო ენის შესწავლაზე, რადგან ჩვენს მიერ უკვე ზემოთხსენებული კანონმდებლობის საფუძველზე, ყველა ტიპის სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო საგნად ითვლებოდა, თუმცა ამ გადაწყვეტილებას ბოლომდე ვერ იცავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ზოგჯერ მოსახლეობა საკუთარი სურვილით ითხოვდა ქართულის სწავლას. მაგალითად, იმ პერიოდის პრესიდან ცნობილია, სოჭის ქართველების მოთხოვნები ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით. მოსახლეობამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათანადო უწყების წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა სოჭის გიმნაზიაში სავალდებულო საგნად შემოღებულიყო სახელმწიფო ენა²⁵⁹. ეს და მსგავსი ნაბიჯები ხელს უწყობდნენ იმპერიის მიერ წლების მანძილზე გატარებული ანტიქართული პოლიტიკის პრევენციას და მოსახლეობა ეტაპობრივად ახერხებდა დაბრუნებოდა იმ ისტორიულ კანონზომიერებას, რომელსაც თავის დროზე ძალის გამოყენებით მოწყვიტეს.

რეგიონში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებათაგან აღსანიშნავია აფხაზეთში კულტურის სხვადასხვა დარგების ინსტიტუციური ჩამოყალიბების საკითხი. მაგალითად, 1919 წლის 23 აპრილს *ქართული სამუსიკო საზოგადოების* დავალებით, თბილისიდან სოხუმში ჩავიდა ცნობილი ქართველი მუსიკოსი ზაქარია ჩხიკვაძე, რომელმაც ადგილობრივ აფხაზ და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან კონსულტაციების შემდეგ, ქართული სამუსიკო საზოგადოების სოხუმის განყოფილება გახსნა.

²⁵⁸ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.1935, ან. I., საქმე 54, ფ. 70-71. შდრ. **დოდო ჭუმბურიძე**. განათლება 1918-1921 წლებში, გვ. 75-76.

²⁵⁹ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919, 2 დეკემბერი, N694. გვ. 3.

განყოფილების დაარსება მიზნად ისახავდა აფხაზური და ქართული სამუსიკო ხელოვნების განვითარებას. ეს იყო აფხაზეთის სამუსიკო საზოგადოების პირველი ინსტიტუციური გაერთიანება, რომელსაც *სოხუმის აფხაზ-ქართველთა სამუსიკო საზოგადოება* დაერქვა და მის თავმჯდომარეებად არჩეული იქნენ *ასტამურ ინალ-იფა* და *ნიკო თავდგირიძე*.²⁶⁰ საგულისხმოა, რომ ფინანსურად ეს საზოგადოება *ქართული სამუსიკო საზოგადოების* განყოფილებას წარმოადგენდა და თბილისიდან ფინანსდებოდა.

ამ პერიოდის სოხუმის სამუსიკო საზოგადოებას კვლავ ამშვენებდა ცნობილი ქართველი მუსიკოსი, მომღერალი და ლოტბარი, *ძუკუ ლოლუა*. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის 1904 წლიდან სოხუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის გამგეობის ხელმძღვანელის *მაშო ანჩაბაძის* მიწვევით მოღვაწეობდა. ძუკუ დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ქართულმა პრესამ შემოინახა ცნობა, თუ როგორ აღინიშნა სოხუმში, ძუკუ ლოლუას აქტიური მონაწილობით, საქართველოს დამოუკიდებლობის ერთი წლისთავი 1919 წლის 26 მაისს: „დიდებულად იდღესასწაულა ქ. სოხუმმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავი. კომისიის მიერ წინადავე შედგენილი გეგმით დილიდანვე ამოდრავდა ქალაქი და სადღესასწაულოდ მორთულმა ხალხმა გასწია თავისუფლების მოედნისაკენ: იქითკენ დაიწყო დენა ეროვნულ და რევოლუციური დროშებით სხვა და სხვა ორგანიზაციებმა, სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა თავიანთი დროშებით და პოლიტიკურმა პარტიებმა. ადგილობრივი სოციალისტ-ფედერალისტები შეგროვდნენ სანაპირო ქუჩაზე „კოსკთან“ და თერთმეტ საათზე გასწიეს მოედნისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდა მომღერალთა გუნდი ეროვნულის ტანისამოსში გამოწყობილი და ამხ. *ძუკუ ლოლუას* ეროვნულს ლოტბარობით აგუგუნებდა რევოლუციონერს და ეროვნულს სიმღერებს. მოედანზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი და მეორე პოლკიც ლამაზად ჩამწკრივებულიყო აღლუმის მოლოდინში“²⁶¹.

ამ ცნობაში ძუკუ ლოლუას დამოკიდებულებასთან ერთად შეუძლებელია არ შევამჩნიოთ საოცარი ძალისხმევა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა, რომელმაც ერთ წელში შეძლო ასეთი ნდობის მოპოვება აფხაზეთის მაშინდელ მრავალეროვან მოსახლეობაში და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღნიშვნა სათანადო დონეზე შეძლო. იმავე ცნობაში საუბარია საზეიმოდ მორთულ სოხუმზე და სხვადასხვა ეროვნების ადამიანების დამოკიდებულებაზე საქართველოს დამოუკიდებლობისადმი: „პარაკლისის შემდეგ მშვენიერი სიტყვით მიმართა ჯარს რაზმის უფროსმა პოლკ. თუხარელმა“²⁶². შემდეგ მთავრობის წარ-

²⁶⁰ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 7 მაისი, N519. გვ. 2

²⁶¹ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 7 ივნისი, N 543. გვ. 3.

²⁶² გიორგი ალექსანდრეს ძე თუხარელი (1891-1927) - ქართველი სამხედრო მოღვაწე, საქა-

მომადგენელმა ისიდორე რამიშვილმა ჩამოუარა ჯარს და ყველა ორგანიზაციებს და ყველას სიტყვით მიმართა. აქედან მთელი ეს პროცესია დაიდრა სანაპირო ქუჩის-კენ, სადაც საუცხოოდ მოერთოთ სტუდენტებს საზეიმო თალი დროშებით და ყვავილების ხლართულით. აქვე იყო გამოფენილი საქართველოს გენიის გამომხატველის შოთა რუსთაველის, ილია და აკაკის, არჩილ ჯორჯაძის და ზდანოვიჩის, ნ. ჟორდანიასი, ნ. ჩხეიძის და ი. წერეთლის. დაიჭეპა თუ არა ზარბაზნებმა, აფრი-ალდა ეროვნული დროშა, რომელიც სახელმწიფო ღერბს ფარავდა და გამოჩნდა თეთრი ტაიქოსანი რაინდი²⁶³.

ამ ცნობიდან ჩანს, რამდენად გასონასწორებულ და ფრთხილ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ასეთ მრავალეროვან რეგიონებში და კონკრეტულად აფხაზეთში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკა სოხუმის თეატრალურ ცხოვრებასაც დაეტყო. საგულისხმოა, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოსა და სცენის მოყვარეთა მიწვევით თბილისის თეატრალური საზოგადოება, რეჟისორები და მსახიობები ხშირად თამაშობდნენ სოხუმის, გაგრის, ოჩამჩირის სცენებზე. ცნობილია, რომ აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მსახიობები და რეჟისორები: *შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, დავით კობახიძე, ეველინა წუწუნავა, ვასო აგულიშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, მიხეილ სულთანაშვილი და სხვები*. 1918 წლიდან სოხუმში თეატრის რეჟისორად *ზაქარია ურუშაძე* დაინიშნა, რომლის ხელმძღვანელობით სოხუმის სცენაზე რამდენიმე სპექტაკლი დაიდგა, მათ შორის 1919 წელს დაიდგა *შალვა დადიანის* „შვილი ან სიყვარული“,

1919 წლის ზაფხულში, სოხუმის დასის რეჟისორად სოხუმის ქართულმა საბჭომ მსახიობი ვ. ბარველი მიიწვია“ - გვაუწყებს გაზეთი „სახალხო საქმე“.²⁶⁴ ვ. ბარველი არის ქართველი მწერალი, მსახიობი და რეჟისორი *ივანე (ვანო) ბარველი (მგელაძე)*, რომელიც ბაქოს ქართულ დასის წევრი იყო, მისი ინიციატივით, 1920 წლის 20 ნოემბერს სოხუმის დასის სცენაზე დაიდგა ცნობილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის *უზეირ აბდულ ჰაჯიბეგოვის* კომიკური და რომანტიკული ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, რომელიც ქართულის გარდა რუსულ, სომხურ და ბერძნულს ენებზეც დაიდგა. საგულისხმოა, რომ სხვადასხვა ენებზე დადგმულ ერთ წარმოდგენაში ქართველი, რუსი, სომეხი და ბერძენი მსახიობები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ. 1920 წლის 8 ნოემბერს სოხუმის თეატრში დაიდგა *ერთაწმინდელის* „სიკვდილით დასჯა“, *დავით აწყურელის (გამყრელიძის)* „ცოლ-

რთველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პოლკოვნიკი. 1918 წელს ხელმძღვანელობდა აფხაზეთში ბოლშევიკების ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ჩახშობის ოპერაციას.

²⁶³ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 7 ივნისი, N 543, გვ. 3.

²⁶⁴ გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წლის 2 აგვისტო, N 642, გვ. 2.

ქმრობის წინააღმდეგ“ და ა.შ.

სოხუმისა და გაგრის თეატრალური საზოგადოებები და სამუსიკო კაპელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად ფრონტზე გამამხნეველ კონცერტებს მართავდა. ერთ-ერთი ცნობით, 1919 წლის ზაფხულში გაგრის ფრონტიდან ცხენოსანი გვარდიის დივიზიონის მხედართა და ოფიცერთაგან საზოგადოება „კაპელამ“ სალამისა და მადლობის დეპეშა მიიღო დასის მიერ ფრონტზე გამართული კონცერტის გამო.²⁶⁵

1920 წლის შემოდგომაზე სოხუმის საბჭომ დასში ცნობილი ქართველი რეჟისორი *მიხეილ ქორელი (ქორიძე)*²⁶⁶ მიიწვია და 1920-1921 წლის სეზონი მისი ხელმძღვანელობით დაიწყო. უფრო ადრე, სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ მიწვეულ იყვნენ ქართველი მსახიობები *ნუცა ჩხეიძე, ნიკო გომიაშვილი, მიხეილ სულთანაშვილი, ალექსანდრე მგალობლიშვილი* და სხვები. სწორედ, მათთან ერთად და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დასთან ერთად დადგა მიხეილ ქორელმა *დავით ერისთავის* „სამშობლო“, *ენგელის* „ზღვასთან“, *ალექსანდრე ყაზბეგის* „არსენა“, *შალვა დადიანის* „გუმინდელნი“, *ნიკო შიუკაშვილის* „ციცინა-თელა“, *ვალერიან შალიკაშვილის* „უნიადაგო“ და სხვ. მანამდე, ეს სპექტაკლები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ დედაქალაქში და ასეთივე პოპულარობით გააგრძელეს ცხოვრება სოხუმის სცენაზეც.

წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტებისა და პრესის მასალების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იმთავითვე სისტემურად მიუდგა განათლებისა და კულტურის სფეროს რეორგანიზაციას. პირველად საქართველოში, მათ შორის აფხაზეთშიც დაიწყო ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის საგანმანათლებლო ურთიერთობებს: პირველად, ინსტიტუციურად ყველა სასწავლო დაწესებულება დაექვემდებარა სახელმწიფოს, „გააეროვნულა“ და მოაწესრიგა სასწავლო პროცესი, მხარი დაუ-

²⁶⁵ გაზეთი სახალხო საქმე, 1919 წ. 2 აგვისტო, N642, გვ. 2.

²⁶⁶ **მიხეილ ქორელი - მიხეილ ფილიმონის ძე ქორიძე** (1876-1949) - ქართველი რეჟისორი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1941), 1902 წელს დაამთავრა მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტი, მაგრამ თეატრისადმი სიყვარულმა სძლია და თეატრში გადავიდა. თავიდან მსახიობობდა თბილისსა და ბაქოს ქართულ თეატრებში 1902-1910წწ. ეწეოდა პროფესიულ სასცენო მოღვაწეობას საქართველოს თეატრებში როგორც მსახიობი, ხოლო 1910 წლიდან როგორც რეჟისორი. ხელმძღვანელობდა თეატრებს და დგამდა სპექტაკლებს ქუთაისში, ბათუმში, თბილისში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში. იყო რეალისტი ხელოვანი, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის პრინციპების პროპაგანდისტი. დიდი წარმატებით განახორციელა *უილიამ შექსპირის* „მაკბედი“, *ჰენრიკ იბსენის* „ნორა“, *ერნესტ ტოლერის* „კაცი-მასა“, *ჰ. ჰერანსის* „იმედის დაღუპვა“, *სოფოკლეს* „ოიდიპოს მეფე“, *შალვა დადიანის* „გუმინდელნი“ და სხვა პიესები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X. თბილისი, 1986. გვ. 549.

ჭირა და დააფინანსა მასწავლებლთა პროფესიული განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეროვნული უმცირესობების საგანმანათლებლო უფლებებს, შექმნა რამდენიმე უმაღლესი დაწესებულება სასწავლებელი - სოხუმში, გაგრამში, ოჩამჩირესა და სამურზაყანოში, ხოლო სოხუმის სამასწავლებლო სემინარია სასწავლო შინაარსით სამასწავლებლო ინსტიტუტად აქცია. სწორედ ამ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო მასწავლებლთა პირველი პროფესიული გაერთიანებებიც.

კულტურის დარგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკამ უზრუნველყო აფხაზეთში პირველი სამუსიკო და თეატრალური საზოგადოებების შექმნა, რომლებმაც მომავალში საფუძველი ჩაუყარეს პროფესიული მუსიკალური და თეატრალური კოლექტივების ინსტიტუციურ განვითარებას. ამავე დროს, დიმიტრი გულიამ, სწორედ დემოკრატიული საქართველოს პირობებში, თბილისელი მეგობრების მხარდაჭერით, შეძლო პირველი აფხაზური გაზეთის შექმნა, რომელიც მოგვიანებით ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გააუქმა.

თავი IV. განათლება და კულტურა საბჭოთა ეპოქის აფხაზეთში (1921-1991 წწ.)

საბჭოთა ეპოქის აფხაზეთის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხების კვლევა დღემდე აქტუალურია. ამ მიმართულებით არ გვაქვს ინტერდისციპლინარული, კომპლექსური ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც ასახული იქნება აფხაზეთში ამ ორი დარგის მრავალფეროვანი, ეტაპობრივი განვითარების ისტორია. წარმოდგენილი ნარკვევი ამ ხარვეზის გამოსწორების მოკრძალებულ ცდად შეიძლება ჩაითვალოს.

რუსეთის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ შეაფერხა აფხაზეთის მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება. ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში დაწყებული საქართველოს გარუსების იმპერიული პოლიტიკა, ინტენსიურად გაგრძელდა საბჭოთა ოკუპაციის პირობებში და 1992-1993 წლებში წარმატებით დაასრულა საქართველოს ორ რეგიონში აფხაზეთსა და შიდა ქართლის მთიანეთში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა ითვალისწინებდა აფხაზი ერის ბუნებრივ-ისტორიული გზით განვითარებას - აფხაზური ენის, ლიტერატურის, საკუთრივ აფხაზური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სამწუხაროდ, ამ პროცესს გაგრძელება ვერ მოყვა, რადგან საოკუპაციო ხელისუფლების მიერ კულტურისა და განათლების სფეროებში გადადგმული პირველი ნაბიჯები იმთავითვე მიუთითებდა ახალი საბჭოთა იმპერიის გეგმებზე. საქართველოში და მათ შორის აფხაზეთშიც ამ მხრივ, პირველი დარტყმა აფხაზურმა და ქართულმა საინფორმაციო საშუალებებმა - გაზეთებმა და ჟურნალებმა მიიღეს. მაგალითისთვის მოვიყვანთ 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ხელშეწყობით *დიმიტრი გულიას* მიერ დაარსებული აფხაზური გაზეთის „*აფსნის*“ დახურვას 1921 წელს. შემდეგში დიმიტრი გულია იძულებული იყო დაეწერა ის დროებით დაიხურაო²⁶⁷, მაგრამ რეალურად მისი გამოცემა შემდეგ არც გაგრძელებულა. საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წელს მიზნობრივად დააფუძნა ახალი გაზეთი „*აფსნი ყაფში*“ („წითელი აფხაზეთი“), რომელიც სახელდებით და შინაარსითაც განსახვავებული იყო წინამორბედისგან და მთლიანად გამოხატავდა ბოლშევიკური ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებს აფხაზეთში. დაარსდა და გასაბჭოების პირველ ეტაპზე მძლავრ პროპაგანდისტულ საშუალებად იქცა აფხაზეთის რეკომისისა და რკპ (ბ) ორგბიუროს ორგანო, ყოველდღიური გამო-

²⁶⁷ Д. Гулия. История Абхазии. Т. I. გვ. 22.

ცემა „Голос трудовой Абхазии“ („მშრომელი აფხაზეთის ხმა“)²⁶⁸. ნიშანდობლივია, რომ გაზეთის რედაქტორებისა და პასუხისმგებელი პირების აბსოლუტური უმრავლესობა რუსი ბოლშევიკები იყვნენ, 1924 წ. 20 აპრილიდან გაზეთს ეწოდა „Трудовая Абхазия“, ხოლო 1926 წლის 4 დეკემბრიდან „Советская Абхазия“. 1937 წლიდან დაფუძნდა ახალი გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც მკაცრი ცენზურის პირობებში გამოდიოდა. დაარსდა ქართული და აფხაზურენოვანი ჟურნალ-გაზეთები, რომლის ძირითადი მიზანი, საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდა და ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბება იყო.

განათლება და მეცნიერება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ხელისუფლებისთვის იდეოლოგიურად არასაიმედო სასწავლებლების დიდი ნაწილი გაუქმდა, ან ძირფესვიანად გადაკეთდა. მათ შორის იყო, სოხუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელიც შინაარსით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირმშო იყო. გაუქმდა ქალთა გიმნაზია, ქალთა საოსტატო სემინარია, სოხუმის I და II უმაღლესი დაწყებითი სკოლები, გაგრამი რეალური სასწავლებელი, გუდაუთისა და გულრიფშის დაწყებითი სამასწავლებლო სკოლები, ოჩამჩირის ქალ-ვაჟთა გიმნაზია, ოჩამჩირის უმაღლესი დაწყებითი სკოლა, ლიხნის უმაღლესი დაწყებითი სკოლა, ოქუმისა და ოტობაიას უმაღლესი დაწყებითი სკოლები²⁶⁹. აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ზოგიერთი გადაკეთდა განათლების სახალხო კომისარიატის „შრომის სკოლის დებულებების“ საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო პოლიტექნიკური განათლების შემოღებას, სასკოლო პროგრამების, სასწავლო მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების მარქსისტულ-ლენინურ (ბოლშევიკურ) იდეოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს მოვლენები დამახასიათებელია ამ პერიოდის საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემისათვის და ის მთლიანად ემსახურებოდა „ახალი საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბების პროცესს.

²⁶⁸ ეს იყო ყოველდღიური გამოცემა, რომელიც 1921-1923 წლებში გამოდიოდა სოხუმში. საბჭოთა ოკუპაციის წლებში ყველა გაზეთი სამთავრობო იყო, მაგრამ „გოლოს ტრუდოვოი აბხაზიი“ გახლდათ ძირითადი სამთავრობო გაზეთი, რომელიც ატარებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთში. გაზეთი 1922 წლიდან გახდა აფხაზეთში რევკომისა და სკპ საოლქო კომიტეტის ორგანო. თავდაპირველად პასუხისმგებელი რედაქტორი იყო ა. კაიდალოვი, 50-ე ნომრიდან რედაქტორი გახდა ტ. ვოლკოვი. მომდევნო წლებში კი, სხვადასხვა დროს, გაზეთს რედაქტორობდა იოსებ გენკინი, ა. პენიაკოვი, ნ. აკირთავა. 1921 წელს გაზეთი გამოდიოდა კვირაში სამჯერ, ხოლო მომდევნო წლებში შემდეგ იგი გახდა ყოველდღიური გამოცემა. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გაციფრებული აქვს 1921-1923 წლების ნომრები და დღეს, მათ საყურადღებო წყაროთმცოდნეობითი ღირებულება აქვთ. <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/111335>

²⁶⁹ გიორგი საყვარელიძე. მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918-1921 წწ). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 1992. გვ. 44-48.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმება, ან რეორგანიზაცია მიმდინარეობდა იმ პირობებში, როდესაც აფხაზეთი წერა-კითხვის მცოდნეთა დეფიციტს განიცდიდა. ბუნებრივია, საზოგადოების კულტურული განვითარება ეფუძნება საგანმანათლებლო სისტემის სწორ და გააზრებულ პოლიტიკას, შესაბამისად საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, სკოლების იდეოლოგიური ნიშნით გაუქმება და მის ადგილზე ახალი, მარქსისტულ-ლენინური სკოლების ჩამოყალიბებას დროს დასჭირდა. ეს ფაქტი XX ს. 20-იანი წლების აფხაზეთის კულტურული განვითარების შემაფერხებელ გარემოებად იქცა და აისახა კიდევ მოსახლეობის განათლებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტში. 1923 წლის აღწერით, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენდა აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 21, 9 %-ს, მათ შორის სოფლის მოსახლეობის 16, 1%-ს, ამასთან სოფლად მცხოვრები აფხაზების მხოლოდ 6, 3% იყო წერა-კითხვის მცოდნე. ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა შეადგენდა 92, 3%-ს²⁷⁰.

1921 წ. 24 დეკემბერს აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი „*მოსახლეობაში უწიგნურობის ლიკვიდაციის შესახებ*“²⁷¹, რომლის საფუძველზე დაფუძნდა წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლები და რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა 14-დან 40 წლის ასაკის ჩათვლით ვალდებული გახდა წერა-კითხვა ესწავლათ. წერა-კითხვის ლიკვიდაციის საქმეში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი ქართველი და აფხაზი მოღვაწეები: *მარიამ (მამო) დადიანი ანჩაბაძე, ანდრია ჭოჭუა, დიმიტრი გულია* და სხვები. ცნობილი აფხაზი მოღვაწე ანდრია ჭოჭუა იხსენებს, რომ სპეციალურად ამ სკოლებისთვის გამოწერილი იქნა წიგნები თბილისიდან, ბათუმიდან, ერევნიდან, ქართულ, რუსულ, სომხურ და ბერძნულ ენებზე²⁷² განუწყვეტლივ ფართოვდებოდა საგანმანათლებლო ქსელი. იმავე ა. ჭოჭუას მონაცემებით, 1927/28 წლებში, აფხაზეთში 314 სასწავლო დაწესებულება არსებობდა 24 758 მოსწავლით²⁷³. როგორც ჩანს, მოტანილი ციფრები ასახავს წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებსაც, რადგან მომდევნო გვერდზე ავტორი აზუსტებს, რომ 1928 წელს აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობისთვის იყო 9 ათწლიანი და 13 შვიდწლიანი სკოლა. 1928

²⁷⁰ Съезды Советов Абхазии. Сборник документов и материалов (1922-1923 гг.). Составитель **А. О. Тулумджян**. Абгосиздат. Сухуми, 1959. გვ. 83; შდრ.: **ბორის კვარაცხელია**. ნარკვევები აფხაზეთის კულტურის ისტორიიდან. ნაკვეთი I (1921-1950). გამომცემლობა „ლევა“. თბილისი, 2006. გვ. 6.

²⁷¹ Съезды Советов Абхазии. Сборник документов и материалов (1922-1923 гг.). Составитель **А. О. Тулумджян**. Абгосиздат. გვ. 81.

²⁷² **А. М. Чочуа**. Собрание сочинений В трех томах. Том третий. Издательство „Алашара“. Сухуми, 1976. გვ. 161.

²⁷³ **А. М. Чочуа**. Собрание сочинений В трех томах. Том третий. გვ. 212.

წლისთვის აფხაზეთში უკვე არსებობდა 4 ტექნიკუმი: ორი პედაგოგიური, ერთი სასოფლო-სამეურნეო და ერთი ინდუსტრიული მიმართულებით²⁷⁴.

XX ს. 20-იანი წლების საგანმანათლებლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წელს აფხაზი ბავშვებისთვის თბილისში სკოლა-ინტერნატის გახსნას. მისი დამფუძნებელი იყო *ნინა დიდია*, პირველი აფხაზი გეოგრაფისა და კარტოგრაფის *მიხეილ შერვაშიძის* მეუღლე. ნინა დიდია 1918 წლიდან ცხოვრობდა აფხაზეთში და ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს დააყენა საკითხი აფხაზი მოსწავლეებისთვის თბილისში გაეხსნათ სკოლა-ინტერნატი. მოგვიანებით ეს სკოლა გაგრაში იქნა გადატანილი²⁷⁵.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებულ მიზნობრივ ბრძოლას წერაკითხვის უცოდინრობის აღმოფხვრის მიზნით, მაშინ როცა „რევოლუციამდელი“ სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა გააუქმა, შეიძლება შეფასდეს, როგორც ახალი პოლიტიკური რეალობის შესაბამისი, პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური ხასიათის ღონისძიება. აფხაზეთში ამის მაგალითები ჩანს, ანდრია ჭოჭუას საგაზეთო პუბლიკაციაში „*კულტურული მშენებლობა აფხაზეთში 9 წლის განმავლობაში*“, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოსახლეობის პოლიტიკურ განათლებას. 1930 წლისთვის აფხაზეთში არსებობდა 75 პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულება, 24 წითელი კუთხე, 1 საბჭოთა პარტიული სკოლა, 5 მოგზაური სკოლა, 3 სტაციონარული კინო დარბაზი, 1 ცენტრალური „გლეხთა სახლი“ და ხუთწლედის ბოლოს ოთხჯერ უნდა გაიზრდილიყო პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა²⁷⁶. ეს ციფრები პატარა აფხაზეთის მოსახლეობაში მარქსიზმისა და ბოლშევიზმის პრინციპების გასავრცელებლად, კოლოსალურად დიდია. ეს ფაქტი მიუთითებს, რამდენად მობილიზებული იყო საბჭოთა ხელისუფლება მარქსისტულ-ლენინური პრინციპებისა და კომუნისტური იდეალებით აღეზრდა ახალი საბჭოთა მოქალაქე და შეექმნა ახალი საზოგადოება. აფხაზეთის შემთხვევაში წითელი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა იმდენად ბევრია, ფაქტობრივად საქმე გვაქვს, მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის ტოტალურ გაკონტროლებასთან. საგულისხმოა, რომ XX ს. 30-იან წლებში აღნიშნულმა პროცესებმა სრულიად ახალ მასშტაბებს მიაღწია, არამარტო აფხაზეთში, არამედ მთელ საქართველოში.

²⁷⁴ **А. М. Чочуа.** Собрание сочинений В трех томах. Том третий. გვ. 213.

²⁷⁵ **А. П. Дудко.** Из истории педагогического образования в Абхазии. Сухуми, 1961. გვ. 87. **ბორის კვარაცხელია.** ნარკვევები აფხაზეთის კულტურის ისტორიიდან. ნაკვეთი I (1921-1950). გამომცემლობა „ლეგა“. თბილისი, 2006. გვ. 12.

²⁷⁶ **А. М. Чочуа.** Собрание сочинений В трех томах. Том третий. გვ. 219-220

აღნიშნული პროცესი ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, როგორც „საბჭოთა კულტურის მშენებლობისა“ და „კულტურული რევოლუციის“ ხანა, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას, სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას საბჭოთა იდეოლოგიის ტოტალური პროპაგანდის ფონზე. აღნიშნული მიმართულებით მუშაობას თან სდევდა პოლიტიკურ - აღმზრდელითი და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა ახალი იდეოლოგიისა და პრინციპების დასაწერად. პრაქტიკულად, ეს იყო მოსახლეობის საზოგადოებრივ აზროვნებაზე კულტურული ტერორი, რომელიც ქადაგებდა ახალი, ბედნიერი ცხოვრების მოპოვებისთვის ბრძოლას. საქმის დასაჩქარებლად 1921 წ. 28 მაისს აფხაზეთის *განათლების სახალხო კომისარიატთან* შეიქმნა მთავარი პოლიტგანათლების სამმართველო, რომელიც კოორდინაციას უწევდა და იდეოლოგიურად 1921 წლიდან სოხუმში დაარსებულ საბჭოთა პარტიულ სკოლას და კულტურულ საგანმანათლებლო ინსტიტუციებს²⁷⁷. მოსახლეობაში პოლიტგანათლების გაფართოების მიზნით შეიქმნა მუშათა კლუბები, წითელი კუთხეები და ბიბლიოთეკები, ვრცელდებოდა პროპაგანდისტული პლაკატები, ეწყობოდა სადღესაწაულო პოლიტიკური მსვლელობები (1 მაისი, 7 ნოემბერი და სხვ) და რაც მთავარია, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესს, ერთი მხრივ, ახლდა ჰეროიკულ-გმირული შეფერილობა და მეორე მხრივ, საბჭოთა იდეალების დასაფიქსირებლად მკაცრი მეთოდებით: გადასახლება, დახრეტა, ხალხის მტრად გამოცხადება და ა.შ. გარდა ამისა, კომუნისტური მსოფლმხედველობის დანერგვის გზაზე მთავარ იარაღს ათეიზმის პროპაგანდა, ეკლესიისა და სასულიერო განათლების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკური პროპაგანდის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობაც მოკლებულია ინფორმაციას (ფირალიშვილი: 80). ბუნებრივია, პროპაგანდის როლი გაცილებით უფრო ეფექტურია იქ, სადაც მოსახლეობის ფართო ფენებს წერა-კითხვის პრობლემა აქვს და განათლების მიღება მთლიანადაა პოლიტიკური პროპაგანდის პროცესის ნაწილად არის ქცეული. ეს ვითარება ხელსაყრელ პირობებს ქმნის საზოგადოებრივი აზრის ტოტალური მართვისთვის.

აფხაზეთში ახალი საზოგადოების მშენებლობისა საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის პროცესს ახლდა მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთში აფხაზი მოსახლეობის ხვედრითი წილის გაზრდას. მაგალითად, თუ 1897 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ცხოვრობდა 106 179 კაცი, მათგან აფხაზი 39, 6,

²⁷⁷ **А. Э. Куправа.** Культура Советской Абхазии за 60 лет. Издательство „Алашара“. Сухуми, 1981. გვ. 14.

ქართველი 44, 8, რუსი 6, 0, სომეხი 6.5; ბერძენი - 5.4 ათასი; 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობამ 201 016 შეადგინა. მათგან ქართველი - 67 484, აფხაზი - 55 918, რუსი 12 553, ბერძენი 14 045, სომეხი 25 677. ამასთან აღსანიშნავია, რომ 9 ათასი ქართველი მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველად არ ჩაწერილა. ფაქტობრივად, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ.²⁷⁸ ეს პროცესები შეიძლება შევაფასოთ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული მიზანმიმართული რუსუფიკატორიული პოლიტიკის ნაწილი, რადგან ზემოთაღწერილი დემოგრაფიული პოლიტიკის საფუძვლზე აფხაზად ჩაწერილი მოსახლეობა ე. წ. აფხაზურ სკოლაში აღმოჩნდა, ხოლო მაშინდელი აფხაზური სკოლა ფაქტობრივად რუსული სკოლის დანამატი იყო²⁷⁹.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ XX საუკუნის 20-30-იან წლებში ფართოდ გაშლილი საგანმანათლებლო პოლიტიკის მიზანი არ იყო ეროვნული, აფხაზური ნაციონალური სკოლის ჩამოყალიბება, ის პირდაპირ მიმართული იყო სასწავლო პროცესის რუსულ ენაზე წარმართვისკენ და მოსახლეობის სწრაფი გარუსების ყველაზე ეფექტურ საშუალებად იქცა. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოსახლეობის ერთფეროვანი, ერთენოვანი მასის მართვა გაცილებით ეფექტურად განხორციელდებოდა, ვიდრე ნაციონალურ ენებსა და კულტურებზე აღზრდილი ადამიანების გარდაქმნა საბჭოთა ადამიანებად. აღნიშნული პოლიტიკის შედეგები ნათლად აისახა 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებში: აფხაზური მოსახლეობის მხოლოდ 2% ფლობდა აფხაზურ ენას!!!.

აფხაზეთში ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ბრძოლის პირობებში უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1922 წელს *დიმიტრი გულიასა* და *ანდრია ჭოჭუას* ინიციატივით „აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების“ დაარსება, რომლის საბჭოში შედიოდნენ გ. ბარაჩი (თავმჯდომარე), ნ. ლაკობა, ს. ჭანბა, ა. ჩოჩუა, დ. გულია, ნ. აკირთავა, დ. ალანია და სხვები. საზოგადოება აფხაზური ენისა და ლიტერატურის, აფხაზური კულტურის განვითარებას უნდა მომსახურებოდა, მაგრამ საზოგადოების საბჭოში თვით აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერის *ნესტორ ლაკობას* და აფხაზეთის პარტიული ნომენკლატურის სხვა წარმომადგენლების შესვლა ცხადყოფდა რომ ხელისუფლება ესწრაფვოდა სამეცნიერო საქმიანობის გაკონტროლებას და „ე.წ. მარქსისტულ - ლენინურ“, რეალურად ბოლშევიკური იმპერიის იდეოლოგიის სამსახურში ჩაყენებას. მიუხედავად ამისა, სა-

²⁷⁸ **ანზორ თოთაძე.** აფხაზეთის მოსახლეობა : ისტორია და თანამედროვეობა. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი. 1995. გვ. 88.

²⁷⁹ აფხაზური ნაციონალური სკოლა, გამართული ნაციონალური კურიკულუმით ე.წ. „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის პირობებშიც ვერ ჩამოყალიბდა, რადგან არ არსებობს შესაბამისი სასწავლო რესურსები და მასალები, დარგების მიხედვით, სასწავლო პროცესის გამართვისა და უზრუნველყოფისთვის.

ზოგადობის წევრებს იმთავითვე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ზოგადად ქართველ სამეცნიერო წრეებთან. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავად განიცდიდა ბოლშევიზმის მძიმე იდეოლოგიურ ზეწოლას, მორალურ და ფიზიკურ ტერორს, საქართველოს და კავკასიის პირველი უნივერსიტეტი, სხვა ქართულ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად, პირველი რიგის მხარდაჭერას სწორედ აფხაზეთის მიმართულებით ახორციელებდა. ამის, ერთ-ერთ ნათელ მაგალითად უნდა მოვიყვანოთ ფაქტი, რომ „აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების“ ინიციატივით, 1922 წლიდან სოხუმში და მის მიდამოებში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი²⁸⁰ და ლეონ მელიქსეთ-ბეგი²⁸¹. მოგვიანებით, XX საუკუნის 30-იან წლებში, აფხაზეთის ძველი ხუროთ-

²⁸⁰ გიორგი ჩუბინაშვილი (1885 -1973) ქართული ხელოვნებათმცოდნეობის დამფუძნებელი. 1906-1916 წწ. ფსიქოლოგიასა და ხელოვნების ისტორიას სწავლობდა ლაიფციგის, ჰალლეს და პეტროგრადის უნივერსიტეტებში. 1917-1922 წწ-ში კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის, 1929-1934 წწ-ში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი, 1934-1941 წწ-ში ხელოვნების მუზეუმის „მეტეხი“ ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგე, 1941-1973 წწ-ში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი; 1918-1948 წწ-ში თსუ პროფესორი, 1922-1940 წწ-ში თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის პროფესორი, ხოლო 1922-1928 წწ-ში - რექტორი. ჰალლეს უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლაიფციგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გიორგი ჩუბინაშვილის ერთი უმთავრესი საკვლევია საგანი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია იყო. მან დაადგინა ქართული არქიტექტურის განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი, მისი საფეხურები და ნიშან-თვისებები, მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული სატაძრო არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები (ბოლნისის სიონი, მცხეთის წმინდა ჯვრის ტაძარი და მისი მიმდევრი ეკლესიები, წრომი, სამწევრისი, კუმურდო, „სამი კათედრალი“ და ა.შ.) ცალკე დაამუშავა კახეთის საეკლესიო და სამოქალაქო ხუროთმოძღვრება; დაწერილი აქვს ნარკვევები 1930-1950-იანი წლების არქიტექტურის შესახებ. გ. ჩუბინაშვილმა დიდტანიანი შრომა მიუძღვნა ქართულ ლიტონიმქანდაკებლობასაც, რითაც დადგინდა შუასაუკუნეების ქართული პლასტიკის ისტორიის ძირითადი საფეხურები და თავისებურებანი. *დეტალურად იხილეთ*: გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის ოფიციალურ გვერდზე <http://www.gch-centre.ge/2018/04/03/გიორგი-ჩუბინაშვილი/>. გიორგი ჩუბინაშვილი ქართული ხელოვნების ისტორიის ფარგლებში სწავლობდა და განიხილავდა შუა საუკუნეების აფხაზეთის არქიტექტურულ ძეგლებს.

²⁸¹ ლეონ მელიქსეთ ბეგი (1890 -1963) - სომხური წარმოშობის ქართველი მეცნიერი, არმენოლოგი და პროფესორი. დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1918 წლის 13 სექტემბერს, პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ლეონ მელიქსეთბეგი მოიწვია უნივერსიტეტში სომხური ენის ლექტორად. 1922 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო არმენოლოგიის კათედრის გამგე მუშაობდა ლიტმცოდნეობის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ეპიგრაფიკის, სამართლის, ბიბლიოგრაფიის, ტექ-

მოდღვრების ძეგლების აღრიცხვის, აღწერისა და მეცნიერული შესწავლის მიზნით, დარგობრივი პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული პირველი ექსპედიცია სწორედ თბილისიდან ჩავიდა²⁸². აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლის საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული რუსი მეცნიერებიც: *მიხეილ ივანჩენკო*²⁸³, *ალექსანდრ ლუკინი*²⁸⁴, *ალექსი ბაშვიროვი*²⁸⁵ და სხვ. აფხაზეთის სამეცნიერო ცხო-

სტოლოგიისა და სხვა საკითხებზე. ავტორია შრომებისა: „ქართველების ნათესაობა ესპანელებთან უძველესი წყაროების მიხედვით“ (1911), „მეგალითური კულტურა საქართველოში“ (1938), „საქართველოს ისტორიული წერილობითი წყაროების პუბლიკაციები“ (1949), „ქართული წყაროები სომხეთისა და სომხების შესახებ“ (1934-1955), სომხური სიძველენი ტფილისის ახლო მიდამოებში (1922), „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა, როგორც მასალა ამიერკავკასიის საისტორიო გეოგრაფიისათვის“ (1935), „ქობური და მისი სომხური და ქართული წარწერები“ (1927), „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა“ (1928), და ა.შ. *იხილეთ*: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი, მთავარი რედაქტორი *დიმიტრი შველიძე*. თბილისი, 2018. გვ. 269.

²⁸² ამ ექსპედიციის წევრი იყო სრულიად ახალგაზრდა *ლევან რჩეულიშვილი*, შემდეგში ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, რომელმაც აფხაზეთში ამ და მომდევნო ექსპედიციების დროს შეგროვილი მასალის საფუძველზე შექმნა პირველი სამეცნიერო კვლევა აფხაზეთის საეკლესიო არქიტექტურის შესახებ: *Купольная архитектура VIII-X веков в Абхазии*, Тбилиси, Мецниереба, 1988. იხ. *მისი ქართული ვერსია: ლევან რჩეულიშვილი. VIII-X საუკუნეების გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება აფხაზეთში*, თბილისი, 2018. გამომცემლობა „მერიდიანი“.

²⁸³ *მიხეილ ივანჩენკო* (1881-1946) - რუსი არქეოლოგი და კავკასიოლოგი. 1934-1934 წლებში მუშაობდა სოხუმში. 1924-1931 წლებში იყო აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, მდივანი, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის სწავლული მდივანი, 1934-1936 წლებში ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ეშერის სამაროვანზე, ზღვისპირა დოლმენებზე, ოჩამჩირის ნამოსახლარზე და ა.შ. იკვლევდა კოლხური კულტურის ძეგლებს. *მიხეილ ივანჩენკოს* დიდი დამსახურება მიუძღვის თრიალეთის (1936-1937) და მცხეთის (1938-1941) მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლაში. სწავლობდა ნუმისმატიკურ, ეთნოგრაფიულ და სამხედრო-ისტორიულ საკითხებს. *მიხეილ ივანჩენკომ* პირველმა გამოთქვა მოსაზრება კოლხური კულტურის არა მხოლოდ კავშირის, არამედ უპირატესობის შესახებ ყოზანურ კულტურაზე. ის არის 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაკრძალულია თბილისში. *იხილეთ*, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V. თბილისი, 1980. გვ. 93; მ. ივანჩენკოს მიერ აფხაზეთზე დაწერილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: Великая Абхазская стена; К вопросу о местонахождении Диос-курии древних; О направлении Келасурской стены; Развалины в Псху. Известия АБНО. Вып. IV. 1926; Герзеульский клад монет Кесарии Каппадокийской. ИГАИМК. VII. Вып. 10. 1931; Исследование архаических памятников материальной культуры в Абхазии. Тифлис, 1935.

²⁸⁴ *ალექსანდრ ლუკინი* (1882 – 1959) - საბჭოთა არქეოლოგი და მხარეთმცოდნე. მიუხედავად იმისა, რომ დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო სამედიცინო სასწავლებელი და მუშაობდა სამედიცინო განხრით, დაინტერესებული იყო არქეოლოგიით. 1905 წლის შემოდგომაზე საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდა, სადაც ჯერ სოხუმში მსახურობდა მედდად, შემდეგ გადავიდა გულაუთის სოფლის საავადმყოფოში მედლის ადგილზე, ხოლო მომდევნო წლებში დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა გულაუთის ჯანდაცვის განყო-

ვრების გამოცოცხლება დაკავშირებულია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერისა და არქეოლოგის აკადემიკოს ნიკო მარის²⁸⁶ სახელთან. 1925 წლის ოქტომბერში ნიკო მარის ინიციატივით შეიქმნა ცალკე სამეცნიერო დაწესებულება, *აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის აკადემია*, რომლის პირველი ხელმძღვანელი გახდა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი *ანდრია ჭოჭუა*, თვით *ნ. მარი* არჩეულ იქნა საპატიო თავმჯდომარედ. მოგვიანებით აკადემიას სათავეში ჩაუდგა *დიმიტრი გულია*. აკადემიის დაარსების შესახებ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: რომ მისი დაარსება აუცილებელია „აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ენაზე მუშაობის გადაუდებელი აუცილებლობით, ეროვნული ლიტერატურის

ფილების უფროსად. სწორედ აქ დაინტერესდა ლუკინი აფხაზი ხალხის ცხოვრების თავისებურებებით, გატაცებული იყო ადგილობრივი არქეოლოგიითა და ეთნოგრაფიით. 1907 წელს ალექსანდრ ლუკინმა დაიწყო განათხარი მასალების კოლექციის შეგროვება, რომელიც შემდეგში ფართოდ გახდა ცნობილი. 1922 წელს მან შექმნა აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოების გუდაუთის ფილიალი, 1924 წელს გააკეთა მოხსენება „გუდაუთის რაიონის გათხრების მასალების შესახებ“, 1925 წელს საზოგადოების დავალებით, შეისწავლა ბრინჯაოს ხანის სამარხის აღმოჩენის ადგილი გუდაუთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ააფსთას გზაზე, შეაგროვა და სოხუმის მუზეუმს გადასცა ამ სამარხის მდიდარი ინვენტარი. 1936 წელს, *ა. ლუკინმა* მის მიერ მოძიებული, ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მასალების დიდი ნაწილი ერმიტაჟს გადასცა. მას ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი აფხაზეთის სიძველეებზე: *Материалы по археологии Бзыбской Абхазии, Труды отдела истории первобытной культуры Гос. Эрмитажа. Л., 1941; Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, Советская археология. 1950, № 12. С. 247-286.*

²⁸⁵ **ალექსი ზაშვიროვი** (1885 - 1963) - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ანტიკური კულტურის სპეციალისტი. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი და არქეოლოგიური ინსტიტუტი. 1920-იან წლებში გათხრები ჩაატარა ყირიმში, აფხაზეთში, დაღესტანში და სხვ. დაწერა და გამოაქვეყნა 40-ზე მეტი სტატია და ორი წიგნი მეორე მსოფლიო ომამდე. 1935 წელს დააპატიმრეს და ყაზახეთში გადაასახლეს. დაბრუნების შემდეგ, გააგრძელა აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობა. *ა. ზაშვიროვმა* 1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1955 წელს მოხდა მისი რეაბილიტაცია. აფხაზეთზე შექმნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: *К археологии Абхазии, Доклад, сделанный 9 октября 1925 г. განხილული აქვს აფხაზეთის საეკლესიო არქიტექტურის რამდენიმე ნიმუში.*

²⁸⁶ **ნიკო მარი** (1865-1934) - ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი 1912 წლიდან. სწავლობდა ქუთაისის გინაზიაში, რომელიც 1884 წელს დაამთავრა, 1890 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი, 1891 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. 1894-1896 წლებში მუშაობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში. ნიკო მარს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული და სომხური ფილოლოგიის განვითარებაში. რაც შეეხება აფხაზეთმცოდნეობას, ნიკო 1926 მარმა შექმნა პირველი აფხაზური ანბანი ლათინურ დამწერლობის საფუძველებზე. ამ ანბანმა 1928 წელს ცვლილება განიცადა, ხოლო შემდეგ საერთოდ გაუქმდა და შეიცვალა ქართული ანბანის საფუძველზე შექმნილი აფხაზური დამწერლობით. მთის კავკასიური ენებიდან მარმა ყველაზე დიდი ყურადღება დაუთმო აფხაზურს და რამდენიმე გამოკვლევა უძღვნა.

შექმნის აუცილებლობით, რომელიც თითქმის არ არსებობს და რომლის გარეშეც წარმოუდგენელია აფხაზი ხალხის კულტურული აღორძინება“.²⁸⁷ ნიკო მარის რეკომენდაციით ლენინგრადში სასწავლებლად გაიგზავნა ახალგაზრდები არსენი ხაშბა და ვიქტორ კუკბა, რომლებმაც უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ასპირანტურის კურსი გაიარეს ნიკო მართან და 30-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდნენ აფხაზეთში. მათ პირველებმა შეძლეს სამეცნიერო ხარისხის დაცვა აფხაზურ ლიტერატურაში და შესაბამისად იყვნენ მეცნიერების პირველი კანდიდატები აფხაზური ფილოლოგიის დარგში.

1931 წ. 5 აგვისტოს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით „აფხაზეთის სამეცნიერო საზოგადოება“ გაერთიანდა აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან და ეწოდა აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (*Абхазский научно-исследовательский институт краеведения /АбННИИК/*). ინსტიტუტში შეიქმნა სამი სექტორი: 1) აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების; 2) სოციალურ-ისტორიული; 3) ეროვნული ეკონომიკის. ინსტიტუტს მართავდა დირექტორატი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: არსენი ხაშბა, ვიქტორ კუკბა (დირექტორის მოადგილე) და სამსონ ჭანბა (დირექტორის მოადგილე). ვ. კუკბა ერთდროულად ხელმძღვანელობდა ენისა და ლიტერატურის სექტორს, ანატოლი ფადეევი – სოციალურ და ისტორიულ სექტორს, სახალხო მეურნეობის სექტორს ჯერ ნ. ბიბიკოვი, შემდეგ ვ. სემენოვი, ბოტანიკურ განყოფილებას სათავეში ედგა ალფრედ კოლაკოვსკი (შედგომ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი). უკვე 1934 წელს, ინსტიტუტმა გამოსცა „შრომების“ პირველი ორი კრებული, 1941 წლამდე კი, გამოიცა ოცი ნომერი²⁸⁸.

აკადემიის ძირითადი სამუშაო დაკავშირებული იყო აფხაზური ენის შესწავლასა და განვითარებასთან. იგი ასევე შეეხო აფხაზურ ენაში სწავლების მეთოდების, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საკითხებს. კერძოდ, კომპოზიტორმა კონსტანტინე კოვაჩმა და სახალხო მასწავლებელმა კონდრატე ძიძარიამ ბევრი გააკეთეს აფხაზური ხალხური სიმღერების შეგროვებისა და გამოქვეყნების საქმეში²⁸⁹. აკადემიამ მნიშვნელოვანი როლი

²⁸⁷ Ш. Х. Салакая. Центр абхазоведения. К 50-летию Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа Академии наук Грузинской ССР. Издательство „Алашара“. Сухуми, 1982. გვ. 8-10.

²⁸⁸ Ш. Х. Салакая. Центр абхазоведения. К 50-летию Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа Академии наук Грузинской ССР. გვ. 17-18.

²⁸⁹ საერთოდ, აფხაზურმა სიმღერამ საკონცერტო ესტრადაზე პირველად 1886 წელს ლადო აღნიაშვილის გუნდის რეპერტუარში გაიჟღერა. ქართულ თეატრში გამართული ამ ისტორიული კონცერტის პროგრამა გვაუწყებს, რომ III განყოფილებაში IV ნომრად რომელიღაც აფხაზური ნიმუში შესრულდებოდა (ნინო კალანდაძე, მარინა კვიციანიძე. ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, თბილისი, 2011. გვ. 29); რაც შეეხება აფ-

ითამაშა აფხაზური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებაში.²⁹⁰

ამ ინსტიტუციის სახელს უკავშირდება არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოქვეყნება. უპირველეს ყოვლისა ეს არის *ნიკო მარის* „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“ (1926), კომპოზიტორ *კონსტანტინე კოვაჩის* „101 აფხაზური სიმღერა“ (1929) და „კოდორის აფხაზთა სიმღერები“ (1930), *დიმიტრი გულიას* და სხვათა მთელი რიგი ეთნოგრაფიული ნაშრომები. აკადემიის საქმიანობაში დიდი ყურადღება ექცეოდა *ნიკო მარის* შრომებს: 1924 წელს გამოქვეყნდა ნიკო მარის „ტერმინები აფხაზურ-რუსული ეთნიკური კავშირებიდან“- „ცხენი“ და „დაკრძალვა“, 1936 წელს „აფხაზური ანალიტიკური ანბანი“. ნიკო მარის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წელს, ლენინგრადში გამოქვეყნდა მარის ნაშრომი „აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ.“²⁹¹ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ *ნიკო მარის* პუბლიკაციებმა, ისევე როგორც მის მიერ დაარსებულმა ცენტრმა მნიშვნელოვნად წაახალისა სეპარატისტული ტენდენციები აფხაზურ საზოგადოებაში.

აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სახელი რამდენჯერმე შეიცვალა როგორც 30-იან, ასევე ომის შემდგომ წლებში. 1935 წელს ინსტიტუტს ეწოდა *აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტი* და გახდა ჯერ *საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის*, ხოლო 1941 წლიდან – ახლად შექმნილი *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის* სტრუქტურული ნაწილი. 1950 წელს ეწოდა *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი*, რომელიც 1960 წლიდან ატარებდა *დიმიტრი გულიას* სახელს²⁹². ამ პერიოდში ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: *ირაკლი ანთელავა*, *მიხეილ თრაფში*, *ანდრია ჭოჭუა*, *სიმონ ბასარია*, *ბაგრატ ჯანაშია*, *ხუბუტი ბლაჟბა* და სხვები. სხვადასხვა დროს ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორცაა: *ხუბუტი ბლაჟბა* (1953-1966), *გიორგი ძიძარია* (1966-1988). XX ს. 70-80-იან წლებში ინსტიტუტი იქცა მკვეთრად ნაციონალისტური, საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული იმპერიული იდეოლოგიის მძლავრ ცენტრად. ამ ტენდენციამ განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა 1988 წლიდან, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტის დირექტორი გახდა *ვლადისლავ არძინბა*. 1994 წლიდან აღნიშნულ ინსტიტუტს *აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი* ეწოდა.

აფხაზური ტრადიციული მუსიკის პირველ სანოტო ჩანაწერებს, ისინი ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელს დიმიტრი არაყიშვილს ეკუთვნის (ნინო კალანდანიძე, მარინა კვიციანიძე. ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, გვ. 95).

²⁹⁰ Г. А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции. გვ. 118.

²⁹¹ Н. Я. Марр. О языке и истории абхазов. *Издательство Академии Наук СССР*. Москва-Ленинград, 1938. https://yadi.sk/i/2WiKc6d_bmWAJ

²⁹² Ш. Х. Салакая. Центр абхазоведения. К 50-летию Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия Академии наук Грузинской ССР. Издательство „Алашара“, გვ. 22.

ბუნებრივია, აფხაზეთის ყველა სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება ინსტიტუციურად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს ექვემდებარებოდა და ფინანსდებოდა საბჭოთა საქართველოს ერთიანი ბიუჯეტით. შესაბამისად, აფხაზეთის ინსტიტუციებში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი დასასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა თბილისიდან ფინანსდებოდა.

აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი, მიუხედავად იქ გამეფებული მეტად არაჯანსაღი ნაციონალისტური კონიუნქტურისა, ჩამოყალიბდა მეცნიერული აფხაზეთმცოდნეობის უმთავრეს ცენტრად. აქ შეიქმნა ფუნდამენტური ნაშრომები აფხაზურ ენასა²⁹³ და ლიტერატურაში (*ხუბუტი ბლაჟბა, შოთა არისტავა, ლილია ჭკადუა, მირიან ციკოლია* და სხვ.), აფხაზთა ეთნოლოგიაში (*შალვა ინალ-იფა, ლილი აკაბა, იური არგუნი* და ა.შ.), არქეოლოგიაში (*მიხეილ თრაფში, მიხეილ გუნბა, გიორგი შამბა, იური ვორონოვი, იგორ წვინარია* და სხვ.), ხელოვნებათმცოდნეობაში (*ალექსი არგუნი* და სხვ.), ეკონომიკაში (*ბელა აშუბა* და სხვ.) განსაკუთრებით წარმატებული იყო მეცნიერ-ისტორიკოსთა მოღვაწეობა, ამ მიმართულებით შეიქმნა მთელი სკოლა (*გიორგი ძიძარია, არველოდ კუპრავა, ბაჯგურ საღარია, აკაკი აბშილავა, გიორგი ამიჩბა, გრიგოლ ლეჟავა* და სხვ.²⁹⁴), რომელიც ნაყოფიერად იკვლევდა აფხაზეთის ისტორიის ძველი და შუა საუკუნეებისა და ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემებს. ამ სკოლის აღიარებული ლიდერი იყო გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *გიორგი ძიძარია*. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლის სამეცნიერო პროდუქციის უდიდესი ნაწილი იდეოლოგიური თვალსაზრისით დღეს მთლიანად მოძველებულია, ფაქტოლოგიური მასალის თავმოყრის კუთხით მაინც ინარჩუნებს მეცნიერულ ფასეულობას.

დ. გულიას სახელობის ენის ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობიდან გამოვყოფთ *დიმიტრი გულიას* და *გიორგი ძიძარიას* სამეცნიერო მემკვიდრეობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. *გიორგი ძიძარიას* შესახებ წინა თავებში უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება *დიმიტრი გულიას*, ის ძიძა-

²⁹³აფხაზური ენის სიღრმისეული შესწავლისა და ამ მიმართულებით სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბების საქმეში სრულიად განსაკუთრებულია, მსოფლიო აღიარების გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აფხაზ და აბაზა ენათმეცნიერთა თაობების აღმზრდელის, აკადემიკოს *ქეთევან ლომთათიძის* ღვაწლი (*თეიმურაზ გვანცელაძე*, გამორჩეული მეცნიერი და მოქალაქე. – *აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს*. კრებული. გამომცემლობა „*უნივერსალი*“. თბილისი, 2008. გვ. 166-167).

²⁹⁴მეცნიერული კარიერის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუტში წარმატებით იღვწოდნენ ქართული ისტორიოგრაფიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი *ზურაბ ანჩაბაძე* და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი *ირაკლი ანთელავა*.

რიასგან განსახვავებით, ქართულ საზოგადოებრივ წრეში გაიზარდა: სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში და ამ დროიდან იყო დაახლოებული ქართველ მოღვაწეებთან და კულტურის წარმომადგენლებთან. საუკუნის დასაწყისში, თბილისში, სწორედ მათთან თანამშრომლობით გამოსცა ლექსების კრებული, აფხაზური ანბანი, შექმნა პირველი აფხაზური გაზეთი და ა.შ. ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილის მიწვევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის კურსს კითხულობდა. ბუნებრივია, განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ივანე ჯავახიშვილთან, რომელმაც მშობლიური მზრუნველობა, დახმარება და თანადგომა გაუწია აფხაზ კოლეგას სამეცნიერო-შემოქმედებით სარბიელზე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დროს, ისე შემდეგაც, მთელი ცხოვრების მანძილზე.²⁹⁵ გარდა სტუდენტებისა, აფხაზური ენის კურსს მისგან ისმენდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები: *აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია*. დიმიტრი გულია ამ დროს დაუახლოვდა გამოჩენილ მეცნიერებს *გიორგი ჩიტაიას, კორნელი კეკელიძეს, ალექსანდრე ბარამიძეს* და სხვებს. გაიცნო პოეტები *გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი* და სხვები.²⁹⁶ დიმიტრი გულიას ქართველები და აფხაზები ერთი განუყოფელი ოჯახის შვილებად, საერთო ისტორიულ ქარცეცხლში გამობრძმედილ ხალხებად მიაჩნდა. ასევე საგანგებოდ მიუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელიც ისტორიულად ქართველმა ერმა ითამაშა მოძმე თუ მეზობელი ხალხების კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში²⁹⁷.

საქართველოში დიმიტრი გულია ცნობილია როგორც პოეტი და აფხაზური ანბანის შემქმნელი, მაგრამ ამჯერად შევეხებით, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. მას ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის აფხაზური კულტურის ფორმირების საქმეში და სამართლიანად უწოდებენ აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის პატრიარქს. იყო, ისტორიკოსი, ფოკლორისტი, ენათმეცნიერი, პედაგოგი და ეთნოგრაფი. აფხაზური ენის ანბანის სრულყოფა სწორედ მის სახლთანაა დაკავშირებული. როგორც ფოლკლორისტმა და ისტორიკოსმა 1925 წელს დაწერა „აფხაზეთის ისტორია“, 1926 წელს ეთნოგრაფიული ხასიათის დაკვირვება: „ნადირობის ღვთაება და სანადირო ენა აფხაზებში“, 1928 წელს „თხის კულტი აფხაზებში და სხვა.“²⁹⁸ მისი ძირითადი მიზანი იყო მსოფლიოსთვის ეჩვენებინა აფხაზეთის ისტორია, ხოლო შესანიშნავი თარგმანებით სცადა მშობლიური ხალხის ლიტერატურის გადმდიდრება: მან ქართულიდან აფხაზურ

²⁹⁵ **ოთარ ჭურღულია.** დიმიტრი გულია და ივანე ჯავახიშვილი. წიგნში, სიტყვა ფიქრის სხეულია (წერილები და გამოკვლევები). თბილისი, 1992 თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 72.

²⁹⁶ **ოთარ ჭურღულია.** დიმიტრი გულია და ივანე ჯავახიშვილი. გვ. 74.

²⁹⁷ **ოთარ ჭურღულია.** დიმიტრი გულია, (დაბადების 100 წლისთავის გამო), გვ. 43.

²⁹⁸ **И.В. Мегрелидзе.** У истоков абхазоведения. Сухуми, 1985. Алашара, гв. 6.

ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ნიკოლზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ლექსები. რუსულიდან თარგმნა ალექსანდრ პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, ტარას შევჩენკოს და სხვათა ნაწარმოებები. წერდა ლექსებსა და მოთხრობებს.²⁹⁹ პრაქტიკულად ის არის აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და ამავე დროს ახალგაზრდა აფხაზი პოეტებისა და პროზაიკოსების დამკვალიანებელი შემოქმედებითი განვითარების გზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ძიძარიას არ უსწავლია თბილისში და მისი, როგორც მეცნიერის ფორმირება მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის სახელმწიფო ინსტიტუტში მოხდა, მას დიდ პატივს სცემდნენ თბილისში. მოსკოვში მიღებულმა განათლებამ ახალგაზრდა გიორგი ძიძარიას შემოქმედებაზე თავისებური გავლენა რასაც მოწმობს ახალგაზრდობაში მისი მონაწილეობა ე. წ. პირველი „აფხაზური წერილის“ შექმნაში. მოგვიანებით მან შეცვალა პოზიცია და წლების მანძილზე ხელმძღვანელონდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგურ ინსტიტუტს, ხოლო 1966 წლიდან 1988 წლამდე დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს. სოხუმის გარდა, გიორგი ძიძარია საგანგაბოდ იყო მიწვეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აფხაზეთის ისტორიის“ ლექციების კურსის წასაკითხად. 1979 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა „XIX-XX სს. აფხაზეთის ისტორიის“ ლექციების კურსს და პარალელურად ხელმძღვანელობდა სსრკ ისტორიის კათედრის ფილიალს.

ის ფაქტი, რომ გიორგი ძიძარია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ორგზის, 1971 და 1982 წლებში, ივანე ჯავახიშვილის მედლის მფლობელი, მიუთითებს ქართული სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან მის მიმართ გამოცხადებულ დიდ ნდობასა და სიყვარულზე³⁰⁰. თავის მხრივ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია აფხაზეთმცოდნეობას განიხილავდა, როგორც პრიორიტეტულ დარგს, რასაც ადასტურებს სოხუმში სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დაფინანსება, არნოდდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტიტში აფხაზური ენათმეცნიერების მძლავრი ცენტრის ჩამოყალიბება ქეთევან ლომთათიძის ხელ-

²⁹⁹ Абхазский биографический 2015: 255-256.

³⁰⁰ თბილისში გიორგი ძიძარიას დაბადებიდან 100 წლის იუბილეზე, მისმა გაზრდილმა, პროფესორმა *ოთარ ჟორდანიამ* ჟორდანიამ მეცნიერის მემკვიდრეობიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა გიორგი ძიძარიას მონოგრაფიას მუჰაჯირობაზე, „მან ამ ნაშრომით გვიჩვენა, თუ რა დიდი დანაშაული მიუძღვის რუსეთის მთავრობას აფხაზი ხალხის წინაშე. თანამედროვე ტერმინოლოგიით, ეს იყო ეთნიკური წმენდა აფხაზეთის ტერიტორიაზე“-განაცხადა *ოთარ ჟორდანიამ*. იხილეთ ინტერვიუ *ოთარ ჟორდანიასთან*: „ორმაგად დაფასებული მეცნიერი“, ჯიმშერ რეხვიაშვილი, რადიო „თავისუფლება“, 2014 წლის 9 მაისი. <https://www.radiotavisupleba.ge/a/25378675.html>

მძღვანელობით და ახალი კადრების აღზრდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ენის სასწავლო პროგრამის არსებობა, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზი კურსდამთავრებულებისთვის სპეციალური კვოტის არსებობა და ა. შ.

აფხაზოლოგიის მეცნიერული სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს *ქეთევან ლომთათიძეს* (2007), რომელმაც თავისი საქმიანობით საფუძველი ჩაუყარა აფხაზური ენის სამეცნიერო კვლევა ძიებას, აღზარდა აფხაზ და აბაზა ენათმეცნიერთა თაობები, რაც გახდა საფუძველი აფხაზთა და აბაზა ხალხს შორის მასობრივი პატივისცემა და საყოველთაო სიყვარული დაემსახურებინა. თავისი პიროვნული ღირსებებით, აფხაზურ-აბაზურ ენათა მეცნიერული კვლევისა და აღზრდაში განუზომელი წვლილის გამო მას ლექსებს უძღვნიდნენ აფხაზი და აბაზა პოეტები, „კავკასიის მოციქულსა და თვალმშვენიერ დას“ უწოდებდნენ, ხოლო აფხაზი ასპირანტები დედად მიიჩნევდნენ.³⁰¹

აფხაზეთში კულტურისა და განათლების განვითარების საქმეში, გამორჩეულია *ზურაბ ანჩაბაძის* ღვაწლი, რომელმაც სამეცნიერო საქმიანობა თბილისში დაიწყო, იყო აკად. სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის მოწაფე. 1948 წელს თბილისში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „სამეგრელო და აფხაზეთი XVII საუკუნეში“, ხოლო 1960 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (აფხაზთა ეთნიკური განვითარება და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები)“. 1954-1956 წლებში მუშაობდა სოხუმში, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, მაგრამ 1958 წელს თბილისში დაბრუნდა და აკად. ნიკო ბერძენიშვილის ინიციატივით ისტორიის ინსტიტუტში კავკასიის მთიელ ხალხთა განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. 1973-1978 წლებში ხელმძღვანელობდა ა.მ. გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელიც 1973 წლიდან გადაკეთდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად. *ზურაბ ანჩაბაძე* იყო მისი პირველი რექტორი. *ზურაბ ანჩაბაძის* მეცნიერული მოღვაწეობა საკუთრივ აფხაზეთის ისტორიის შესწავლით არ შემოიფარგლება ის იყო ფართო მასშტაბის ისტორიკოსი³⁰². მრავალრიცხოვანია ნაშრომებიდან გამორჩეულია „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან (VI-XVII სს)“, „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“, „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები“ (თანაავტორი), „XIX საუკუნის საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები“ და მრავალი სხვა. თეორიული მიდგომებით, კვლევის სტრუქტურითა და მი-

³⁰¹ **თეიმურაზ გვანცელაძე**. გამორჩეული მეცნიერი და მოქალაქე. – *აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს*. კრებული. გვ. 166-167).

³⁰² **ზურაბ პაპასქირი**, გამოჩენილი მეცნიერი ღირსეული მამულიშვილი, კრებულში: .. და აღმოცისკრდა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გვ. 587-595.

მართულებებით, ზოგჯერ მეთოდოლოგიითაც, *ზურაბ ანჩაბაძე ივანე ჯავახიშვილის* მიერ შექმნილი ქართული ისტორიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მიუხედავად აფხაზური წარმომავლობისა, ამ თვალსაზრისით, *ზურაბ ანჩაბაძე* უფრო ქართველი ისტორიკოსია, ვიდრე აფხაზური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში საეტაპო მოვლენა იყო 1932 წელს *სოხუმის სახელწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის* დაარსება. ეს იყო დასავლეთ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი (მოგვიანებით 1933 წელს გაიხსნა ქუთაისის, ხოლო 1935 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები). 1932-1979 წლებში ინსტიტუტი პედაგოგიურ კადრებს ამზადებდა *ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგია-გეოგრაფიის, ისტორია-ფილოლოგიის, დაწყებითი განათლებისა და მეთოდის, სკოლამდელი აღზრდის, ფიზიკური აღზრდის* სპეციალობებში. სხვადასხვა დროს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს სათავეში ედგნენ: *ანდრია ჭოჭუა* (1932-1934), *მიხეილ დელბა* (1936-1937), *ირაკლი ახალაია* (1937-1938), *იასონ დარსანია* (1941-1942), *როსტომ წულუკიძე* (1942-1952), *ნიკა ხურციძე* (1952-1957), *აკიბეი ხონელია* (1956-1957), *გიორგი ძიძარია* (1957-1965), *ბორის თარბა* (1965-1973), *ზურაბ ანჩაბაძე* (1973-1977) სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ჰყავდა მაღალკვალიფიციური პროფესურა, რომელთა შორის იყვნენ არამხოლოდ აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითა და მის ფარგლებს გარეთ, ცნობილი მეცნიერები და უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები: *ვახტანგ ადამია, გიორგი ამიჩბა, ვალენტინა ამიჩბა, სარია ამიჩბა, ირაკლი ანთელავა, ხაზარატ არგუნი, ნუცა არდაშელია, შოთა არისტავა, პავლე ამინბა, ირაკლი ახალაია, შოთა ბასილაია, ნიკანდრი ბასილაია, იპოლიტე ბაღბაია, მურმან ბერია, ოთარ გაბისონია, ტატიანა გულია, დიმიტრი გულია, ბორის გურგულია, ოლეგ დამენია, ვახტანგ ვახანია, ოთარ ვახანია, ვალერიან ზუხბაია, ბორის თარბა, ბორის კვარაცხელია, შალვა კვარაცხელია, დიმიტრი ლემონჯავა, შოთა მისაბიშვილი, მიხეილ ლაბახუა, მარგარიტა ლადარია, შოთა ლაშხია, დიმიტრი ლემონჯავა, შოთა მისაბიშვილი, დიმიტრი ნინუა, ალიოშა სოფია, გულჯავარ ფირცხალავა, იაზბეი ფეიზბა, ვლადიმერ ქარჩავა, სერგო ქიშმარია, ეთერი შამბა, თორნიკე ყიფიანი, ვალერი ყურასქუა, როზალინა შვეცოვა, გრიშა შარიას, ხუტა შენგელია, გიორგი ძიძარია, ლევან ძიძიგური, ლიდია ჭკადუა, ვალერიან ჭანია, ვლადიმერ ჭანტურია, ოთარ ჭურღულია, რაულ ხონელია, შალვა ხუბუტია, გივი ჯობავა და სხვ.*

სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სხვადასხვა დროს მცირე ხნით მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები სიმონ ყაუხჩიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ივანე ჭკუასელი და სხვები.

1973 წლიდან ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე *ზურაბ ანჩაბაძე*, რომლის რექტორობის პერიოდში (1979 წ.)

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*. ეს იყო საქართველოში – მეორე, ხოლო სამხრეთ კავკასიაში – მეოთხე უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებელი - თბილისის, ბაქოს და ერევნის უნივერსიტეტების შემდეგ, სადაც მიმდინარეობდა კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ექვს (*ფიზიკა-მათემატიკის, გეოგრაფია-ბიოლოგიის, ფილოლოგიის, ისტორია-იურიდიულ, ეკონომიკურ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ პროფესიათა*) ფაკულტეტზე – 18 სპეციალობით. პროფესორ *ზურაბ ანჩაბაძის* გარდაცვალების შემდეგ – 1984-1988 წლებში უნივერსიტეტის რექტორი იყო დოცენტი *ზაურ ავიძბა*. 1988 წლიდან უნივერსიტეტის პირველი არჩეული რექტორი გახდა პროფესორი *ალეკო გვარამია*.

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სპეციალობების (ეკონომიკა, სამართალი) ჩამოყალიბების, საუნივერსიტეტო ცხოვრების გამართვასა და სასწავლო-სამეცნიერო, აკადემიური სივრცის ჩამოყალიბებაში ძველი თაობის წარმომადგენლებთან ერთად განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის *რევაზ აბსაევას, დიანა ალანიას, მელიორ ალფენიძეს, ჯამბულ ანჩაბაძეს, თენგიზ ანთელავას, შოთა ახალაიას, ბიჭიკო ბარამიას, ლუიზა ბესელიას, მურმან ბერიას, აბესალომ გადილიას, ალეკო გვარამიას, დიმა გულიას, დავით დოღბაძეს, გრიგოლ ზაქარაიას, ზამო ზარქუას, ზარა თარბას, ლამარა თარბას, გივი თოდუას, ბორის ლაპინს, სოფია ლობჯანიძეს, თეიმურაზ მიბჩუანს, ტიტე მოსიას, ზურაბ პაპასქირს, მარიამ მირესაშვილს, ოთარ მიქიაშვილს, მურმან ოკუჯავას, რევაზ სალიას, რევაზ სალუქვაძეს, ნათელა სემიონოვა-ტორჩუას, ჯემალ სილაგაძეს, ლუარა სორდიას, ირაკლი ტაბაღუას, ზურაბ ფაჩულიას, დალილა ფილიას, ეთერ ქაჯაიას, ვახტანგ ქეცბას, თორნიკე ყიფიანს, სერგო შარიას, თემურ შენგელიას, მიხეილ შონიას, თემურ ჩილაჩავას, რევაზ ხარებავას, ბორის ხვედელიძეს, ედუარდ ჭანტურიას, გულნაზ ხუბუას, ჯემალ ჯინჯიხაძეს, ჯუმბერ ხუბუტიას და სხვ.³⁰³*

აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცემდა სამეცნიერო-შრომების კრებულებს, ატარებდა დარგობრივ კონფერენციებს, მონაწილეობდა მაშინდელ საკავშირო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებში, სემინარებსა და თემატურ დარგობრივ შეხვედრებში, მჭიდრო კავშირები ჰქონდა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებთან. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ივანე ჯავახიშვილისეული საუნივერსიტეტო პარადიგმის მიმდევარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ბუნებრივია საბჭოთა სისტემის ნაწილი, რომლის ძირითადი საქმიანობა ატარებდა სასწავლო-სამეცნიერო ხასიათს.

³⁰³ ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1991 წლამდე პერიოდს, ჩამოთვლილ სიაში შესაძლო უნებლიე გამორჩენის გამო, შენდობას ვითხოვ.

მაგრამ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულ უმაღლეს სასწავლებლად ფორმირების პროცესს ხელი შეუშალა სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი პროფესურის ერთი ნაწილის მცდელობებმა შეექმნათ მოსკოვისთვის მნიშვნელოვანი პლაცდარმი საქართველოში დაწყებული ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და გადაექციათ უნივერსიტეტი ანტიქართული სეპარატისტული მოძრაობის ფლაგმანად. ბუნებრივია, ეს იწვევდა უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებისა და პროფესურის სამართლიან პროტესტს³⁰⁴. სწორედ აფხაზური სეპარატიზმის მოძალეობამ და აფხაზი ეროვნების პროფესორ-მასწავლებელთა ერთი ნაწილის დამოკიდებულებამ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ 1989 წ. 18 მარტს ლიხნში გამართულ თავყრილობაზე, ე.წ. „ლიხნის დეკლარაციაზე“ უნივერსიტეტის რექტორისა და რამდენიმე პერსონალის ხელმოწერებმა, გამოიწვია სტუდენტთა შეუქცევადი პროტესტი, რაც საბოლოოდ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორ ნაწილად გაყოფით დასრულდა³⁰⁵. 1989 წლის 14 მაისს შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივე-

³⁰⁴ ეს დამოკიდებულებები განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 1988 წლის შემოდგომაზე, 1989 წლის იანვრის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების დროს, როცა წინასწარ, სპეციალურად პროპაგანდისტული მიზნით შექმნილი ჯგუფების საშუალებით, მოსკოვმა ფართო მუშაობა გააჩაღა სტუდენტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში, რათა, მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს, არ ჩაწერილიყვნენ ქართველებად. პროპაგანდის სამიზმე იყო აფხაზეთში მცხოვრები ყველა ადამიანი, განსაკუთრებით ქართველთა ორი ეთნიკური ჯგუფი: მეგრელები და სვანები. მოსკოვმა საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნისთანავე, დაიწყო ნიადაგის მომზადება შეეცვალა აფხაზეთში დემოგრაფიული სურათი.

³⁰⁵ საყურადღებოა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაფიცვული სტუდენტები, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში პირველ რიგში მოითხოვდნენ შემწყდარიყო ხელისუფლების წაყრუების პოლიტიკა მომძლავრებული სეპარატისტული ძალების მიმართ, რომლებიც პრესაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეწოდნენ აშკარად გამოკვეთილ ანტიქართულ პროპაგანდას, ყურადღება მიექციათ აფხაზეთში წარმოებული ანტიქართული საკადრო პოლიტიკისთვის, ნომ-ენკლატურის პირთა დანიშვნაში პრიორიტეტი უნდა მინიჭებოდა არა ეთნიკურ წარმომადგენლობას, არამედ ნიჭს, პროფესიონალიზმსა და პიროვნულ ღირსებებს; ბოლო მოღებოდა რუსი შოვინისტების წამქეზებლურ პოლიტიკას მარიონეტი სეპარატისტებისადმი, განხილულიყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოებული აშკარა ანტიქართული პოლიტიკის გამო რექტორატის, კომკავშირისა და უნივერსიტეტის გაზეთის ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის თანამდებობებზე დარჩენის მიზანშეწონილობის საკითხი. პროტესტი გაგრძელდებოდა 1989 წლის 9 აპრილამდე და მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში 10 აპრილიდან სტუდენტები მიმართავდნენ უკიდურეს ფორმებს. მიმართვა სრულდებოდა სტუდენტთა მოწოდებით: „*ქართველნო, გავერთიანდეთ საქართველოს ერთიანობის ხელმოყოფთა წინააღმდეგ!*“. იხილეთ სტუდენტთა 1989 წლის 30 მარტის მიმართვის ტექსტი საქართველოს ხელისუფლებისადმი: *ჟურნალი „ცხუმი“, N2, სოხუმი, 1989 წ. გვ. 131-132*. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ორმაგი ზეწოლის ქვეშ მოექცა, ერთი მხრივ, მოსკოვის, მეორე მხრივ, ქარ-

რსიტეტის სოხუმის ფილიალი, სადაც სასწავლო პროცესი გააგრძელა რომელშიც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულმა ნაწილმა³⁰⁶.

აფხაზეთის კულტურულ საგანმანათლებლო ცხოვრების საინტერესო ისტორიას წერდა *საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი*, რომელიც 1952 წელს დაფუძნდა, როგორც *ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი*, მაგრამ ბუნებრივ - კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, 1959 წლიდან სოხუმში გააგრძელა ფუნქციონირება. ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო პროფესორი *გიორგი გოლეტიანი*, რომელიც 1952-1957 წლებში, ქუთაისში ხელმძღვანელობდა უმაღლეს სასწავლებელს. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკების ჩასატარებლად ინსტიტუტს ორი სასწავლო-საცდელი მეურნეობა ჰქონდა: „ემერა“ - აფხაზეთში და „ჭომა“ - იმერეთში. 1959 წელს, სოხუმში გადასვლის შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი განთავსდა სოხუმის ერთ-ერთ უბანში - კელასურში.

1957 - 1973 წლებში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტს სათავეში ედგა მემცენარეობის დარგის სპეციალისტი, პროფესორი *ივანე გიორგბერიძე*. მისი ხელმძღვანელობით სოხუმში აშენდა ახალი სასწავლო კორპუსი, სტუდენტთა საცხოვრებელი სახლი, სპორტული ბაზები, საცხოვრებელი სახლები ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის და სხვა. 1973 - 1975 წლებში ინსტი-

თველი ხალხისა, რომელიც ამ ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის ირგვლივ გაერთიანდა. ბუნებრივია, ამ ვითარების გამო, სოხუმის ქართველ სტუდენტთა მოთხოვნებმა მეორე ადგილზე გადაინაცვლეს. აპრილის მეორე ნახევარში სტუდენტთა მოთხოვნები მხოლოდ ერთ საკითხზე შეჩერდა, გადაეყენებინათ ე.წ. „ლიხნის დეკლარაციის“ ხელმომწერი უნივერსიტეტის რექტორი ა. გვარამია (ან მას უარი ეთქვა დეკლარაციის იდეებზე და ხელმოწერა უკან წაედო-არსებობდა ინფორმაცია, რომ რექტორი ამას აპირებდა) და გაზეთის რედაქტორი ა. ჯონუა. ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის საკითხებში გარკვევასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, პრობლემის „მიჩუმათების“ პოლიტიკა არჩია. ნაცვლად იმისა, მოეთხოვა პასუხი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა და „ლიხნის დეკლარაციის“ იმ ხელმომწერებისთვის, რომლებიც ოფიციალურ თანამდებობებს იკავებდნენ, გადაწყვიტა ქართველი სტუდენტების პროტესტი აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორ ნაწილად გაყოფით და ქართული ნაწილის ბაზაზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შექმნით გადაეფარა.

³⁰⁶ უნივერსიტეტის გაყოფამდე ეთნიკური ნიშნით გაიყო აფხაზეთის სახელმწიფო თეატრი, აფხაზეთის მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი და ა. შ. მაგალითად, თეატრალური დასი გაიყო ორ ნაწილად, ერთს ეწოდა სამსონ ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრი, ხოლო ქართულ ნაწილს კონსტანტინე გასახურდიას სახელობის თეატრი, მაგრამ მსახიობები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ. მსგავსი თანამშრომლობის მაგალითები უნივერსიტეტის გაყოფის შემდეგაც არსებობდა და არ შემწყდარა დიალოგი უნივერსიტეტის გაერთიანების და ახლებური პრინციპით მოწყობის შესახებ. აღნიშნული საკითხი, უფრო კონკრეტულ კვლევას, მოვლენებზე დაკვირვებასა და ანალიზს მოითხოვს და აღნიშნულ საკითხს, სხვა დროს აუცილებლად მივუბრუნდებით.

ტუტის რექტორი იყო მეორე მსოფლიო ომის გმირი, მეცნიერ-ტექნოლოგი, პროფესორი *რევაზ ჩხაიძე*, ხოლო 1975 - 1990 წლებში პროფესორი *ნაპოლეონ ქარქაშაძე*. 1990 წელს პირველად ინსტიტუტის ისტორიაში არჩევნების წესით რექტორი გახდა პროფესორი *ვახტანგ ფრუიძე*. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი იყო საკავშირო დაქვემდებარების მძლავრი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი გამართული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, სადაც სწავლობდნენ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები. ინსტიტუტი ამზადებდა სპეციფიკური სპეციალობის კადრებს სუბტროპიკული მეურნეობის სხვადასხვა დარგში და მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო ერთადერთი ამ სფეროში³⁰⁷. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სუბტროპიკული მეურნეობის დარგის აღიარებული სპეციალისტები: *შალვა კერესელიძე*, *ფილიპე მამფორია*, *ივანე გიორბერიძე*, *ნაპოლეონ ქარქაშაძე*, *ვახტანგ ფრუიძე*, *ლორიკ მარსანია*, *იოსებ მარშანია*, *მარგარიტა ჭელიძე*, *გენადი ჩხაიძე*, *სიმონ ჩოჩია*, *ნოდარ გაბუნია*, *ლეონიდე ჯახაია*, *ოთარ იამანიძე*, *ოთარ ხვინგია*, *ზურაბ ჩანტლაძე*, *რამინ აპლაკოვი*, *ზაურ კვარაცხელია*, *ზაურ ჩანჩიბაძე*, *გივი დოლიძე*, *იროდიონ ქვაჩახია*, *ვანო ქვაჩახია*, *დავით დევდარიანი*, *ვლადიმერ ჯიქია*, *სერგო თოფურია*, *ალექსანდრე მიქელაძე*, *როსტომ გველესიანი*, *კარლო ფაცაცია*, *დიმიტრი ხურცილავა*, *ნაპოლეონ გაბელია*, *გიორგი ხაშბა*, *ვახტანგ ჭიჭინაძე* და სხვები. ინსტიტუტში რამდენიმე წელი მოღვაწეობდა პროფესორი *ალეკო გვარამია*, შემდეგში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

აფხაზეთის სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო *სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი*, რომელიც 1950 წელს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით დაფუძნდა. ინსტიტუტმა გააერთიანა ორი გასაიდუმლოებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელთა საქმიანობა 1945-1949 წლებში დაკავშირებული იყო ატომური ბომბის შექმნის ტექნოლოგიებთან. ცენტრებს თავის დროზე ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები პროფესორი *მანფრედ ფონარდენე* და ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი *გუსტავ ჰერცი*. მათთან ერთად მუშაობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: *მ. სტეინბეკი*, *პ. ტისენი*, *პ. ბარვიჩი*, *მ. ფოლმერი*, *ვ. შუტცე*, *ნ. რილი*, *რ. დოეპელი* ა. ი. *კოჭლავაშვილი*, *ვ. მიგულინი*, *ს. ისაევი*, *დ. ჭკუასელი*, *რ. დემირხანოვი*, *შ. ბურდიაშვილი*, *ქ. ორჯონიკიძე* და სხვები. ინსტიტუტის საქმიანობის სფერო მოიცავდა, როგორც ბირთვული და თერმობირთვული იარაღის შექმნის ტექნოლოგიებს, ასევე სამეცნიერო კვლევებს პლაზმის, მყარი ტანის ფიზიკაში, არატრადიციულ ენერგეტიკაში, ფიზიკურ ელექტრონიკაში და სხვა დარგებში. მრავალწლიანი წარმატებული მუშაობის შედეგად ინსტიტუტის საქმიანობაში გამოიკვეთა შემდეგი

³⁰⁷ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9. თბილისი, 1985. გვ. 188.

მიმართულებები: პლაზმის ფიზიკა, მაღალდენიანი ელექტრონებისა და იონების ინჟექტორებისა და ამჩქარებლების ფიზიკა და ტექნიკა, მყარი ტანის ფიზიკა, თერმოელექტრობა, თერმოემისია და სხვა³⁰⁸.

1955-1958 წწ. გერმანელი სპეციალისტები თანადათანობით დაბრუნდნენ სამშობლოში, მაგრამ საქართველოში დარჩა ინსტიტუტი - აღჭურვილი იმ დროისათვის სსრკ-ში საუკეთესო ხელსაწყო-დანადგარებით დაკომპლექტებული და გერმანელი მეცნიერების მიერ აღზრდილი საუკეთესო კადრებით, რომლებსაც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული და რომლებმაც შემდეგში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში.

აფხაზეთის სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებათა შორის უნიკალური მემკვიდრეობა აქვს 1926 წელს დაარსებულ *ნ. ვავილოვის სახელობის მემკვიდრეობის საკავშირო ინსტიტუტის სოხუმის სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურს*, რომლის ბაზაზე არსებობდა სამი ათასზე მეტი სახეობის უნიკალურ მცენარეთა კოლექცია.

ფართო საუბრის თემაა *სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი*, რომელიც მაშინდელი სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან ფინანსდებოდა და უნუკალურ სამეცნიერო-ექსპერიმენტულ დაკვირვებებს აწარმოებდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ნაწილი იყო *სოხუმის ბოტანიკური ბაღი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი, თამბაქოსა და წვეკოს საკავშირო ინსტიტუტის აფხაზეთის თამბაქოს საცდელი სადგური*, 1980 წლისთვის აფხაზეთის ასსრ-ში იყო 17 სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება ორი უმაღლესი სასწავლებლის აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ჩათვლით, სადაც მუშაობდა 1000-ზე მეციერ - მუშაკი, მათ შორის 563 მეცნიერებათა დოქტორი და მეცნ. კანდიდატი, აკადემიკოსი, 4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი³⁰⁹ 1989 წლის მდგომარეობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაემატა კიდევ ერთი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოხუმის ფილიალი (ე. წ. „გეპეის ფილიალი“), რომლის გახსნა აფხაზეთში ტექნიკური დარგების განვითარების აუცილებლობით იყო განპირობებული.

ზემოთჩამოთვლილ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პრიორიტე-

³⁰⁸ გურამ ბოკუჩავა. სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის 70 წელის – შექმნისა და განვითარების ეტაპები (1945-2015), თბილისი, 2015.

³⁰⁹ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ქსე, საქართველოს სსრ, 1981: გვ. 319

ტული კვლევითი მიმართულებანი იყო: ისტორია, ეკონომიკა, ფილოსოფია, მედიცინა, კიბერნეტიკა, სოფლის მეურნეობის დარგები და ა. შ. მაგრამ მთავარი ყურადღება გადატანილი იყო აფხაზური ენის სტრუქტურისა და ლექსიკის, ლიტერატურისა და ფოლკლორის, არქეოლოგიის, ხელოვნების საკითხებზე. მუშავდებოდა ექსპერიმენტული ონკოლოგიის, ბიოლოგიის, მაიმუნთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის, რადიოლოგიისა და სხვა საკითხები. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აფხაზეთის ტენიანი სუბტროპიკებისა და მთიანი კურორტების პირობებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა მკურნალობის პრობლემის მეცნიერულ დამუშავებას. აქ იკვლევდნენ მცენარეების ძვირფას ჯიშებს, ფლორასა და ფაუნას, ამუშავებდნენ და ხვეწდნენ ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა, ეთერზეთოვანი და სხვა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესების აგროტექნიკურ საშუალებებსა და ღონისძიებებს³¹⁰. ბუნებრივია, საბჭოთა იდეოლოგიიდან და გამომდინარე, მეცნიერების ერთი ნაწილი „იკვლევდა“ აფხაზეთში სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის ისტორიის, სოციალისტური საზოგადოების კომუნისმში გადაზრდის კანონზომიერების საკითხებს და ა. შ. ამ ტიპის ლიტერატურით განსაკუთრებით მდიდარი იყო ე.წ. მეცნიერული კომუნისმისა და კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრის პროფესორის ნაშრომები.

აფხაზეთში სამეცნიერო აზრის განვითარებაზე დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს *ბორის ლაპინს*, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს: *ზურაბ ანჩაბაძეს*, *რევაზ სალუქვაძეს*, *გიორგი ძიძარას*, მეცნიერებათა დოქტორებს: *ვახტანგ ადამიას*, *მიხეილ ახალაიას*, *შოთა ბასილაიას*, *ხუბუტი ბლაჟბას*, *შოთა გოგოხიას*, *ალექსანდრე გრიგოლიას*, *ვლადიმერ ვახანიას*, *ბორის თარბას*, *შალვა ინალ-იფას*, *თამარ კერესელიძეს*, *შალვა კვარაცხელიას*, *ალფრედ კოლაკოვსკის*, *არველოდ კუპრავას*, *დიმიტრი ლემონჯავას*, *ფილიპე მამფორიას*, *იოსებ მარშანიას*, *ბიძინა მგალობლიშვილს*, *სიმონ მიმინოშვილს*, *შოთა მისაბიშვილს*, *ელგუჯა მირესაშვილს*, *ნიკოლოზ რუხაძეს*, *ვლადიმერ ქარჩავას*, *ვარლამ შერვაშიძეს*, *პეტრე ჯაფარიძეს*, *ლეონიდე ჯახაიას*, *ვლადიმერ ჯიქიძეს* და სხვებს.³¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანზე არსებობს ბიოგრაფიული ხასიათის კვლევები, ამ ადამიანების სამეცნიერო საქმიანობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, უთუოდ იმსახურებს ცალკე შესწავლას.

³¹⁰ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. დამატება, 319-320.

³¹¹ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. დამატება, საქართველოს სსრ. თბილისი, 1981. გვ. 320.

კულტურა. აფხაზეთში კულტურის განვითარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ საკუთრივ, აფხაზური კულტურის: ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების პროფესიულ დონეზე ჩამოყალიბება XX საუკუნეში განხორციელდა. მიუხედავად ამ დარგებში არსებული საბჭოთა იდეოლოგიური კონცეპტისა, მათ არასოდეს მიუღწევიათ განვითარების იმ დონისთვის, რომელსაც საქართველოს მეორე რესპუბლიკის - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში მიაღწიეს.

აფხაზური ლიტერატურა მრავალსაუკუნოვანი ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა, მას ასაზრდოებდა აფხაზური და ქართული ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორული მემკვიდრეობა - თქმულებები, ზღაპრები, ხალხური ეპოსი, მითები და ხალხური საგმირო და ყოფითი ლექსები. აფხაზმა მწერლებმა და პოეტებმა მრავალი ფოლკლორული სიუჟეტი და მოტივი გამოიყენეს და გადაამუშავეს. პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია დიმიტრი გულიას სახელთან, რომელმაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა თავისი შემოქმედების ადრეული ნიმუშები და სათავე დაუდო აფხაზური ლიტერატურის ისტორიას.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო 1933 წელს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების დაარსება. მწერალთა კავშირის დაარსებამდე აფხაზი მწერლები *დიმიტრი გულიას* (1874-1960) ირგვლივ იყვნენ გაერთიანებული მის სამეცნიერო საზოგადოებაში. *დიმიტრი გულიას* ქართველები და აფხაზები ერთი განუყოფელი ოჯახის შვილებად, საერთო ისტორიულ ქარცეცხლში გამობრძმედილ ხალხებად მიაჩნდა. ასევე საგანგებოდ მუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელიც ისტორიულად ქართველმა ერმა ითამაშა აფხაზი ხალხისა და მოძმე თუ მეზობელი ხალხების კულტურულ და სულიერ ცხოვრებაში. დიმიტრი გულია ნაყოფიერად მუშაობდა პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიასა და მეცნიერებაში³¹².

დიმიტრი გულიას, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის აფხაზური კულტურის ჩამოყალიბების საქმეში. მას სამართლიანად უწოდებენ აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის პატრიარქს. ის იყო, ფოკლორისტი, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და პედაგოგი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მის სახლთანაა დაკავშირებული აფხაზური ანბანის სრულყოფა. დიმიტრი გულიამ შესანიშნავი თარგმანებით სცადა მშობლიური ხალხის ლიტერატურის გადმადიდრება. მან ქართულიდან აფხაზურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, *ნიკოლოზ ბარათაშვილის*, *აკაკი წერეთლის*, ლექსები. რუსულიდან თარგმნა *ალექსანდრ პუშკინის*, *მიხეილ ლერმონტოვის* და

³¹² **ოთარ ჭურღულია.** დიმიტრი გულია. თბილისი, 1974. გვ. 43.

სხვათა ნაწარმოებები. პრაქტიკულად, დიმიტრი გულია იყო აფხაზურ პოეზიასა და მწერლობაში გზის გამკვალავი და მაგალითი.

დიმიტრი გულია არის ავტორი *პირველი აფხაზური ნოველისა* „უცხო ცის ქვეშ“ (1919) და *პირველი აფხაზური რომანისა* „კამაჭიჭი“ (1940), აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების საფუძველზე შექმნილი „მცირე მოთხრობებისა“, რომელიც გამსჭვალულია ხალხური სიბრძნითა და თბილი იუმორით (აფხაზური ლიტერატურა 2010). გარდა ამისა, დიმიტრი გულიას ეკუთვნის შრომები აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მისი ისტორიული შეხედულებები. ამ მხრივ აღსანიშნავია 1951 წელს გამოცემული ბროშურა „ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორია“-ს შესახებ“, სადაც იგი წერდა: „მრავალრიცხოვანი ისტორიულად შემოწმებული ფაქტები უცილობლად მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ საერთო ისტორიული და კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები, კაცმა რომ თქვას, იგივე ქართველები არიან“.³¹³

დიმიტრი გულიას უმცროსი თანამედროვე იყო აფხაზი პოეტი *იუა კოლონია* (1903-1928), რომელიც 1904 წელს სოფელ კვიტოულში (ახლა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) დაიბადა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური ეპიკური ჟანრის პოეზიის განვითარებაში. 1915-1927 წლებში გამოქვეყნდა მისი პოემები „ზოსჰან აჩბა და ჟან ბეთლანის შვილები“, „ნავეი და მზექაბუკი“, „მონადირე და ხმიჭი, „ალბათაა ბესლანიჩი“, და სხვა. იუა კოლონიას პოემები გამოირჩევა ჰეროიკული და ოპტიმისტური სულისკვეთებით უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალი სულისკვეთებისა და კეთილშობილებით სავსე ეპიკურ გმირთა სახეებით. მის შემოქმედებაში მხატვრულად არის ასახული აფხაზური და ქართული ფოლკლორის მოტივები³¹⁴.

აფხაზურმა ზეპირსიტყვიერ-პოეტურმა მოთხრობამ უზარმაზარი როლი ითამაშია აფხაზური ლიტერატურული ენის ფორმირებასა და ევოლუციაში. ამაში წვლილი შეიტანეს აფხაზმა მწერლებმა, პოეტებმა და დრამატურგებმა.

დ. გულიას გარდა, აღსანიშნავია აფხაზი განმანათლებლისა და აფხაზური საბავშვო ლიტერატურის ერთ-ერთი მესაძირკვლის *ანდრია ჭოჭუას* (1879-1965) საქმიანობა. მის კალამს ეკუთვნის სასკოლო სახელმძღვანელოები: „აფხაზური ანბანი“ (პირველად გამოიცა 1909 წ.), რომელიც მცირეოდენი ცვლილებებით დღემდე ისწავლება აფხაზურ სკოლებში; „აფხაზური ენა. ანბანის შემდგომ სასწავლო

³¹³მრავალეთნიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, პროეტის ხლმძღვანელები: რონდა სოფერი, ბელა პეტრიაშვილი ნინო ჭიბერიშვილი. შედგენაზე მუშაობდნენ: ნინო ჩიქოვანი, ლია ახალაძე, დავით მალაზონია, ქეთევან კაკიტელაშვილი, თამარ შინჯიაშვილი და სხვები, თბილისი 2015. გვ. 221.

³¹⁴ მრავალეთნიკური დ მრავალკულტურული საქართველო, გვ. 222.

წიგნი“ (1922 წ.); „აფხაზური ენა. მეორე კლასის მოსწავლეთათვის“ (1920 წ.); „აფხაზური ენა. მესამე კლასის მოსწავლეთათვის“ (1920 წ.). ეს წიგნები შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედაენისა“ და „Русское слово“-ს პედაგოგიურ პრინციპებზე. მათში შესულია აფხაზური ზეპირსიტყვიერების ადაპტირებული ნიმუშები, ბიბლიური სიუჟეტები, პირადად ავტორის მიერ შექმნილი ორიგინალური მოთხრობები, აგრეთვე ქართველ და რუს მწერალთა (იაკობ გოგებაშვილის, ლევ ტოლსტოის, ი. ტურგენევის, და სხვათა) საბავშვო თხზულებათა თარგმანები.

აფხაზური ლიტერატურის სათავეებთან დიმიტრი გულიასთან ერთად აუცილებლად უნდა დავასახელოთ სამსონ ჭანბა (1886-1937) - აფხაზი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, სწავლობდა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, წერდა და გამოცემდა აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. აფხაზურიდან და რუსულიდან მისი ნაწარმოებები ინტენსიურად ითარგმნებოდა ქართულ ენაზე. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 1916 წელს და ამის შემდეგ, ხშირად იბეჭდებოდა, ავტორია რომანტიკული პოემისა „მთების ღვთისმშობელი“ (1919), პირველი აფხაზური დრამა „მუჰაჯირები“ (გამოქვეყნდა 1920 წელს, ხოლო სცენაზე დაიდგა, 1928 წელს), აფხაზთა თურქეთში მუჰაჯირობის თემას ეძღვნება კიდევ ერთი ნაწარმოები „აფსნი ხანუმი“ (1923), „განვლილი დღეებიდან“ (1929) და სხვები. ამ ნაწარმოებებით, მან საფუძველი ჩაუყარა აფხაზეთის ეროვნულ დრამატურგიასა და ფსიქოლოგიურ მოთხრობებს. სამსონ ჭანბას მოთხრობა „სეიდიკი“ (1934) - კოლმეურნეობის მშენებლობის საწყისი პერიოდის შესახებ - აფხაზური პროზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევარია. სამსონ ჭანბამ შეადგინა და 1925 წელს გამოაქვეყნდა ნაშრომი „აფხაზეთის გეოგრაფია“. გარკვეული პერიოდი იყო გაზეთ „აფსნი-კაპშის“ (წითელი აფხაზეთი) რედაქტორი. სამსონ ჭანბა 1919-1921 წლებში იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, თუმცა იდგა ანტიქართულ პოზიციაზე და ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი (არზაყან) ემხვარისა და მისი მეგობრების მცდელობას აფხაზეთი ავტონომიის სახით შესულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. სამსონ ჭანბა 1921-1925 და 1930-1932 წლებში იყო საბჭოთა აფხაზეთის განათლების მინისტრი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ხოლო 1934-37 წლებში აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. იგი ითვლება პირველ აფხაზ დრამატურგად, რომლის ნაწარმოებები პირველად დაიდგა სოხუმის ქართული დასის სცენაზე. 1928 წელს სოხუმის ქართულ თეატრში გაიხსნა აფხაზური სექტორი. 1929 წელს თბილისიდან სპეციალურად აფხაზეთში გაგზავნილ ვახტანგ გარეკმა (ვაჩნაძე), სწორედ სამსონ ჭანბას უშუალო მონაწილეობით ჩამოაყალიბა პირველი აფხაზური დრამატული სტუდია. 1930 წელს სამსონ ჭანბამ ოფიციალურად გახსნა აფხაზური თეატრი სანდრო შანშიაშვილის პიესით „ანზორი“. მან შექმნა პირველი აფხაზური რევოლუციურ-რომანტიკული დრამა აფხაზურ ლიტერა-

ტურაში „ხანუმა - აფხაზეთი“ (ქართული „ხანუმას“ გავლენით). ამას მოჰყვა შემდეგი ნაწარმოებების სცენაზე ატანა: „მთის ასული“, „მაჰაჯირები“ „სეიდიყი“ და სხვა. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ სამსონ ჭანბამ აფხაზური დრამატურგიის გარდა, რომანის ჟანრსაც ჩაუყარა საფუძველი. დღეს მის სახელს ატარებს სოხუმის აფხაზური დრამატული თეატრი³¹⁵.

აფხაზური ლიტერატურის ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის *მიხეილ ლაკერბაი* (1901-1965), რომლის პირველი ნაწარმოები 1919 წელს გამოქვეყნდა. ადრეული პერიოდის შემოქმედებიდან აღსანიშნავია, პუბლიცისტურ სტატიები და მწვავე სოციალურ ლირიკა „ციხეში“, „სამშობლო“, „დიმიტრი გულია“ და ა. შ. მომდევნო პერიოდში მიხეილ ლაკერბაი ინტენსიურად მოღვაწეობდა დრამატურგიასა და მხატვრულ პროზაში. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ მოსკოვში სწავლა გააგრძელა კინემატოგრაფიის სასწავლო კურსებზე, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 30-40-იან წლებში წერდა ისტორიულ დრამებსა და კომედიებს სცენისთვის, მაგრამ განსაკუთრებით სახელი გაუთქვა მოთხრობებმა „აფხაზური ნოველები“ და „ალამისი“, რომლებიც 1957 და 1961 წლებში გამოიცა მოსკოვში. მწერლის ენა არის ლაკონური, ნაციონალურად კოლორიტული და იუმორით სავსე, ისინი ასახავენ აფხაზი ხალხის ცხოვრებას. მწერალმა თავისი ნოველებით ხელახლა გაცოცხლა აფხაზი ხალხის წარსული, მიმზიდველი ფერებით დახატა გმირობისა და ვაჟკაცობის, მეგობრობისა და სიყვარულის, სტუმარ-მასპინძლობისა და შურისძიების ის ეპიზოდები, რომლებითაც ესოდენ ეგზოტიკური იყო აფხაზეთის ცხოვრება არცთუ მაინცდამაინც შორეულ წარსულში - წერდა ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი ოთარ ჭურღულია³¹⁶.

ცალკე უნდა აღინიშნოს აფხაზური მწერლობის პატრიარქის, სახალხო მწერლის *ივანე პაპასკირის* (1902-1980) დამსახურება აფხაზური მხატვრული სიტყვის განვითარებაში. მან, სოხუმის სამასწავლებლო სემინარიისა და პედაგოგიური სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1928 -1929 წლებში, სწავლა გააგრძელა ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. ივანე პაპასკირი ცნობილია, როგორც პირველი სოციალური რომანების ავტორი აფხაზურ ლიტერატურაში, რომელთა უმრავლესობა მშობლიური აფხაზი ხალხის ცხოვრების ეპოპეას გადმოსცემს. მწერლის შემოქმედების მკვლევრები მიუთითებენ, რომ ივანე პაპასკირის შემოქმედება მხატვრულ და მიმზიდველ სახეებში გაცოცხლებული

³¹⁵ მრავალენიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, გვ. 222.

³¹⁶ *ჭურღულია ოთარ*, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან, სოხუმი, 1983. გვ. 158-159.

ისტორია აფხაზი ხალხისა მეოცე საუკუნეში³¹⁷.

1937 წელს გამოიცა მისი რომანი „თემირი“, რომელიც გახდა პირველი სოციალური და ყოველდღიური რომანი აფხაზურ ლიტერატურაში. 1949 წელს გამოქვეყნდა რომანი „ქალის ღირსება“, რომელიც აფხაზი ქალის ტრაგიკული ბედის შესახებ მოგვითხრობს. რომანი თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე და მან მწერალს განსაკუთრებული აღიარება მოუპოვა. თემატური თვალსაზრისით ეფექტური აღმოჩნდა რომანი „ერცახუს ძირში“, რომელშიც მწერალმა მიმზიდველ ფერებში დახატა აფხაზების, ქართველების, უკრაინელების, რუსების ძმობისა და მეგობრობის სურათები³¹⁸.

ივანე პაპასქირის ნოველებისა და მოთხრობების კრებული „მოთხრობები“ გამოქვეყნდა 1956 წელს, რომელში აფხაზი ხალხის სოციალური ყოფა და ტრადიციებია აღწერილი. ივანე პაპასქირის შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, მისი რომანები, თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მკითხველში, რისთვისაც მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მოღვაწის საპატიო წოდება.

აფხაზური ლიტერატურის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1955 წელს ყოველთვიურ სალიტერატურო ჟურნალ „ალაშარას“ („სინათლე“) და 1957 წელს საბავშვო ჟურნალ „ამცაზის“ („ალი“) დაარსებას.³¹⁹ აფხაზურ ენაზე ძირითადად, ამ ჟურნალების ფურცლებზე ვხვდებით ცნობილი აფხაზი მწერლების, პოეტებისა და დრამატურგიის წარმომადგენელთა ნიმუშებს, თუმცა მრავლად გვყავს რუსულენოვანი აფხაზი შემოქმედებებიც.

თანამედროვე აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა აფხაზეთის სახალხო პოეტის, *შოთა რუსთაველისა* და *დიმიტრი გულიას* პრემიების ლაურეატის *ბაგრატ შინქუბას* (1917-2004) შემოქმედებამ. ის ადრიდანვე ყოფილა გატაცებული ხალხური პოეზიით, აგროვებდა ლექსებსა და გამონათქვამებს. შემოქმედებითი მოღვაწეობა 1935 წელს დაიწყო, როდესაც გამოქვეყნდა პირველი ლექსი „*ვაჟაკობა*“. 1938 წელს გამოიცა ბ. შინქუბას პოეტური კრებული „*პირველი ლექსები*“. ქართულ ენაზე ცნობილია მისი პოეტური კრებულებიც და რომანებიც: „*კლდის სიმღერა*“, „*ჩანთა დაბრუნდა*“, „*ჩემი თანამემამულენი*“, „*გაპობილი ქვა*“³²⁰. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანი „*უკანასკნელი უბიხი*“, რომელშიც მძაფრი სიუჟეტებითაა გადმოცემული რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთში გადასახლებული უბიხი ხა-

³¹⁷ **ჭურღულია ოთარ**, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან, გვ. 153.

³¹⁸ აფხაზური ლიტერატურა, 2010.

³¹⁹ აფხაზური ლიტერატურა, 2010.

³²⁰ **ტიტე მოსია**. წერილები ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაზე, გამომცემლობა „ინოვაცია“. თბილისი, 2012. გვ. 157-187

ლხის ტრაგიკული ისტორია. ის, რაც ვერ შეძლო ისტორიკოსმა, შეძლო მწერალმა, შინაგანი ტრაგიზმისა და სიტუაციური ემოციის განწყობით გადმოგვცა იმპერიის ვერაგული პოლიტიკის წყალობით, როგორ დასრულდა კიდევ ერთი პატარა ხალხის ისტორია. ყურადღებას იქცევს ბაგრატ შინქუბას მოღვაწეობა აფხაზურ ენათმეცნიერებაში, მან 1945 წელს, თბილისში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სახელთა წარმოება აფხაზურ ენაში“, ამის შემდეგ მუშაობას დაიწყო აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში, სადაც დაინტერესდა აფხაზური ფოლკლორითა და ხალხური სიტყვიერებით. ბაგრატ შინქუბა, ყოველთვის თბილად და დიდი მადლიერებით მოიგონებდა იმ უანგარო ამაგსა და თანადგომას, რომელსაც თბილისში სწავლის დროს, ახალგაზრდა აფხაზი მწერლები, მსახიობები, მუსიკოსები და სხვა დარგის ახალგაზრდები გრძნობდნენ ქართველი ხალხისგან და საქართველოს შვილებისგან. ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ბაგრატ შინქუბამ განაცხადა: „ჩვენ რომ ასეთ მაღალ წარმატებას მივაღწიეთ, მთელი ქართველი ხალხის, ქართველი ინტელიგენციის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების დახმარების შედეგია, სადაც წლების მანძილზე იწრთობოდნენ და დღესაც იწრთობიან კადრები აფხაზეთისთვის.³²¹“). მართლაც, აფხაზური ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, ფერწერის, გრაფიკისა და ზოგადად აფხაზური კულტურის სათავეებთან, აფხაზებთან ერთად ყოველთვის იდგნენ ქართველები: ანზანის შექმნის დროს დიმიტრი გულიასთან, ჯერ *დიმიტრი მაჭავარიანი* და შემდეგ *აკაკი შანიძე*, აფხაზური თეატრის შექმნის დროს *ვახტანგ გარიკთან (ვაჩნაძე)* და *სამსონ ჭანბა*, აფხაზური ფოლკლორული სიმღერების შეგროვებისა და ჩაწერის ინიციატორი და პიონერია *ძუკუ ლოლოვა*, შემდეგში მისი საქმე გააგრძელა *კონსტანტინე კოვაჩმა*, აფხაზეთში პირველი მუსიკალური სასწავლებლის დაფუძნებასა და განვითარებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის *დიმიტრი არაყიშვილს*, სახვითი ხელოვნების ფუძემდებელი და პირველი სასწავლებლის დამაარსებელია *ნიკოლოზ თაბუკაშვილი* და ა. შ.

აფხაზური ლიტერატურაზე საუბრის დროს შეუძლებელია გვერდი ავუაროთ *ივანე თარბას* (1921-1994) შემოქმედებას. ის გამორჩეული მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის პოექტია, მისი ლექსები სავსეა ადამიანური განცდის მსოფლადქმით. ამქვეყნიურ ბედნიერებაში ის მარადიულ ღირებულებებს: ჰუმანიზმს, მოყვასისადმი სიყვარულს, ერთგულებასა და მეგობრობას სცემს პატივს. აფხაზ მწერლებსა და პოეტებს შორის, *ივანე თარბა* ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია ქართველებს შორის, მისი ლექსები ხშირად ითარგმნებოდა და დღესაც ითარგმნება ქართულ ენაზე. 2021 წელს *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

³²¹ Газ. Заря востока, 10. 4.1979, შდრ. **ჭურღულია ოთარ**, ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობებიდან, გვ. 171.

სამშვიდობო განათლების ცენტრის ინიციატივით გამოქვეყნდა კრებული „მიყვარს ჩემი აფხაზური“³²². მასში მკაფიოდ ჩანს, ქართველები და ზოგადად საქართველო პოეტისთვის ისეთივე ღვიძლი და ახლობელი იყო, როგორც აფხაზები და აფხაზეთი. ამის დადასტურებაა მისი ლექსები: „მთაწმინდა“, „თბილისური ღამე“, „რუსთავის ტაძრის ნანგრევები“, „გიორგი ლეონიძეს“, „ქართული რკინა“ და ა. შ. ნიშანდობლივია, რომ თავისი შემოქმედებით ივანე თარბა, საქართველოში წარსულის ყველა ნანგრევს, ციხეს, ეკლესიას, ქალაქებსა და ადამიანებს ეფერება.

ივანე თარბას პოეზია გამთბარია სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი, ადამიანისა და ბუნებისადმი გამორჩეული დამოკიდებულებით. ერთ-ერთი ლექსის „მზე ჩვენთანაა მუდამ“ გავლენით, მას „მზის კაცი“ შეარქვეს:

„მე და მზეს გზები ერთი გვქონია, და კიდევ რაღაც უფრო საერთო, ჰოდა, მე და მზე, ასე მგონია, ვერსად ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ“.

ისევე როგორც საქართველოს პოეტთა დიდი ნაწილი, ივანე თარბაც მოხიბლულია გალაკტიონ ტაბიძით ლექსთა ემოციით. სწორედ პოეზიის გავლენითა უნდა იყოს შექმნილი ივანე თარბას შესანიშნავი ლექსი „აფხაზეთო ჩემო“, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, არამარტო აფხაზეთში, არამედ დანარჩენ საქართველოში და მასზე ცნობილი სიმღერაც კი შეიქმნა:

„აფხაზეთო ჩემო, ჩემო ტკბილო დედავ,
მაპატიე ისევ თუ სიმღერას ვბედავ...
სულ პატარა ზღვაო, სულ პატარა მიწავ,
შენს დღესა და ღამეს, ჩემი სულთქმით ვიცავ....
აფხაზეთო ჩემო, ჩემო ტკბილო დედავ,
ქვეყნის ყოველ კუთხეს შენი თვალით ვხედავ“.

ივანე თარბას კალამს ეკუთვნის რომანები „ცნობილი კაცი“ და „მზე ჩვენთან იღვიძებს“, „დედის თვალები“ და სხვ. ივანე თარბა ცნობილია, როგორც საბავშვო – საყმაწვილო პოეზიის ავტორიც – მისი საბავშვო ლექსები პოპულარობით სარგებლობს ქართველ მკითხველშიც.

პოეტი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: წლების მანძილზე იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის განათლების მინისტრი და ა. შ. მისი შემოქმედება თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე³²³. მისი ცხოვრება სავსეა ტრაგიკული ფურცლებით, მაგრამ უფრო ტრაგიკული იყო მისი გარდაცვალება. ამიტაც საოცრად ჰგავს მისი ბედი გალაკტიონის

³²² ივანე თარბა. მიყვარს ჩემი აფხაზური, აფხაზურიდან თარგმნა *ნიკა ბაძაღვაძე*, თბილისი, 2021.

³²³ მრავალენოვანი და მრავალკულტურული საქართველო, გვ. 124.

ბედს - ვერ აიტანა ქართველთა და აფხაზთა 1992-93 წლების, გარედან, ხელოვნურად ინსპირირებული დაპირისპირება, ეს სურათი პოეტისთვის საშინელებათა ფილმებზე გაცილებით მძიმე სანახავი აღმოჩნდა - ბნელ ღამეებში უპოვარი მწირის ფორმით, ლამპით და ჩირაღდნით ხელში, სოხუმის ქუჩებში თავის ძმადნაფიც კარლო კალაძეს და ქართველ მეგობრებს ეძებდა. მნახველნი ამბობდნენ, რომ პოეტი გონიერ სამყაროს გასცდა და 1994 წელს წუთისოფელსაც სამუდამოდ გამოეთხოვა. დაე უფალმა და ისტორიამ განსაჯოს, ვინ უფრო გონიერი იყო ივანე თარბა, ამ დროს ლოგინს მიჯაჭვული მისი მეგობარი კარლო კალაძე თუ აფხაზეთის ომის „შემოქმედი“ ვაი პოლიტიკოსები.

აფხაზური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში პოეტი და მთარგმნელი *მუშნი ლასურია* ცნობილია, როგორც დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ენაზე მთარგმნელი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირს, გამოსცა რამდენიმე პოეტური კრებული: „*იმედი*“, „*აბრეშუმის სახლი*“, „*წყალთა მეუფე*“, „*ჩანჩქერების დილა*“, „*მთესველი*“ და სხვ., მუშნი ლასურიას პოეზიის თემებია მშობლიური აფხაზეთი და მთლიანად საქართველო, მისი ბუნება, სიყვარული, ვაჟკაცობა და ძმათა შორის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. საქართველოსადმი მიძღვნილ მრავალრიცხოვან ლექსებში ერთგან ავტორი სამშობლოს წარსულსა და მომავალზე დაფიქრებული იტყვის: ჩემს „*საფიცარ სამშობლოს საქართველოსო*“. თავის დროზე, ამ ემოციებით დატვირთულმა თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რისთვისაც დაჯილდოვებულია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი – შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით. *მუშნი ლასურიას* კალამს ეკუთვნის *ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის* და *სხვა ქართველი პოეტების* აფხაზური თარგმანები. მანვე გააცნო აფხაზ მკითხველს *ჯორჯ ბაირონის, ალექსანდრე პუშკინისა და მიხეილ ლერმონტოვის* შემოქმედება აფხაზურ ენაზე. მუშნი ლასურიას პოეზია თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე³²⁴.

საქართველოსადმი სიყვარულის გრძნობამ განსაკუთრებით ემოციური სიმძაფრით ჰპოვა გამოხატულება აფხაზური მწერლობის პირველი თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - *ალექსი ჯონუას* (1920-1989) პოეზიაშიც. ლიტერატურათმცოდნე ავთანდილ ნიკოლეიშვილი განსაკუთრებით გამოყოფს თბილისისადმი მიძღვნილ ლექსებს, რომლებშიც ფართო განზოგადებულობით არის გამოვლენილი საქართველოსთან და მის დედაქალაქთან აფხაზი პოეტის სისხლხორცეულად დამაკავშირებელი მშობლიური გრძნობა. ა. ჯონუას ეროვნული თვალთახედვის მკაფიოდ წარმომჩენ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ მისი ლექსი „*საქართველოს პოეტებს*“ (თარგმნა ხ. გაგუამ), რომელშიც არაორაზროვნადაა გამოხატული ავტორის აშკარა პოზიცია ბოლო ორი ათწლეულის განმავლო-

³²⁴ მრავალენიკური დ მრავალკულტურული საქართველო, გვ. 223-224.

ბაში ქართველებთან აფხაზ სეპარატისტთა დაპირისპირების საფუძვალად ქცეულ ყველა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, აფხაზი პოეტის შეფასებით, ქართული ლექსი აფხაზისთვისაც ისევე ძვირფასია და მშობლიური, როგორც ქართველისთვის. ა. ჯონუას ხაზგასმით, აფხაზეთი უსაქართველოდ არც წარსულში ყოფილა და ვერც მომავალში იარსებებს. მას ოდნაცადაც კი არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ეს მთლიანობა მარადიულია და მას ვერაფერი დაარღვევს. საქართველოს ერთიანობა *ალექსი ჯონუას* სხვა დროსაც არაერთხელ არაორაზროვნად უთქვამს და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე აფხაზეთი მიაჩნია ამ მთლიანობის ღვიძლ და სისხლხორცეულ ნაწილად.³²⁵

მომდევნო თაობის აფხაზ მწერალთაგან აღსანიშნავია *ბორის გურგულიას*, *შალვა წვიყბას*, *ჭიჭიკო ჯონუას*, *ლევარსან კვიწინიას*, *გიორგი გუბლიას*, *შამილ ფილიას*, *შალოდი აჯინჯალის*, *ალექსი გოგუას*, *ნელი თარბას*, *კონსტანტინე (კუმფ) ლომიას*, *ჯუმა ახუბას*, *პლატონ ბებიას*, *ფაზილ ისქანდერის*, *ნიკოლოზ კვიწინიას* და *სხვათა* შემოქმედება, რომელთა უმრავლესობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს განათლება. მათი ნაწარმოებები ძირითადად, აფხაზურად იწერებოდა, მაგრამ აფხაზი პოეტების შედეგებს ქართულად აქტიურად თარგმნიდნენ პოეტები: *შოთა ნიშნიანიძე*, *მორის ფოცხიშვილი*, *ზაურ ბოლქვაძე*, *რევაზ მარგიანი*, *კარლო კალაძე*, *შოთა აკობია*, *მირიან მირნელი* და სხვები.

საქართველოსადმი განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულებით გამოირჩევა აფხაზი პოეტი *გიორგი გუბლია* (1929-2019), რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის ენების განყოფილების კურსდამთავრებულია. ის იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და მეცნიერი, ერთ დროს იყო თეატრის მსახიობიც. 1970 წელს თბილისში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას შემოქმედებითი გზა.“ სხვაგან სად უნდა შეფასებულიყო და უკეთ გაეგოთ დიმიტრი გულიას პოეზიის ესთეტიკა და ლიტერატურული მემკვიდრეობა, თუ არა თბილისში? შეფასებაც უმაღლესი იყო - ნაშრომმა ავტორს სამიეხელი სამეცნიერო ხარისხის გარდა, დიდი სახელიც მოუტანა - მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია და სათავეში ჩაუდგა ახლადდაარსებულ აფხაზური ენისა და ლიტერატურის კათედრას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1979 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში). თავის ლექსებში პოეტი აღწერს ბუნებას, გულწრფელად უმდერის სიყვარულის წმინდა გრძნობას, ბუნებისადმი, ქალისადმი, სამშობლოსადმი, უბრალოდ, მოყვასისადმი. მისი ლირიკა ამაღლებულია სიყვარულის თემებით, რომელსაც სიცოცხლის განცდის სიხარული მოაქვს. გიორგი გუბლიას

³²⁵ ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აფხაზი მწერლები და საქართველო, კრებული: ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტ. I. თბილისი, 2012. გვ. 150.

პოეზიაში ამოუწურავია სიყვარული საკუთარი ხალხისადმი, საქართველოსადმი, რომლის სულის ნაწილად მიაჩნია აფხაზეთი. ავტორის ლირიკა გამოირჩევა საქართველოს ისტორიის, ქართველი და აფხაზი ხალხების ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით. *გიორგი გუბლიას* შემოქმედებიდან ქართველი მკითხველისთვის ცნობილია თბილისში გამოცემული ლექსების კრებულები: „მოქრის კოდორი“ (1964), „ლექსები“ (1971), „ისევ იქა ვარ“ (1977), „ღელავდა ზღვა: ლექსები და პოემა“ (1988). სამეცნიერო შრომებიდან გამოქვეყნებულია სადისერტაციო ნაშრომი „დიმიტრი გულია. შემოქმედებითი გზა“, რომელიც 1974 წელს ქართულ ენაზე თბილისში დაიბეჭდა.³²⁶

აფხაზურ მწერლობაში ქართული თემატიკა განსაკუთრებული ფერებით აქვს დახატა *კონსტანტინე (კუმფი) ლომიას* (1928-1999). სწავლობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში, მიუხედავად ამისა, მას მრავალმხრივ საინტერესო სიუჟეტები აქვს აფხაზეთსა და საქართველოს სხვა მხარეებზე, თბილისსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ამ მხრივ საინტერესოა, თბილისური ლექსების ციკლი, რომელიც ორი უმთავრესი ასპექტით იწვევენ მკითხველის ყურადღებას, - თბილისური პეიზაჟების პოეტური წარმოსახვითა (გავიხსენოთ ლქსები: „მთაწმინდა“, „მტკავრი“..) და იმ სიყვარულის წინა პლანზე წამოწვევით, რითაც აფხაზი მწერალი საქართველოს დედაქალაქთანაა დაავშირებული. ქართველებსა და აფხაზებს შორის დღეს უკიდურესად გამწვავებული ვითარების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ *კონსტანტინე ლომია*, რომელიც თავისი პირადი ცხოვრებით მოსკოვთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე თბილისთან, თბილისს „სამშობლო ქალაქად“ მიიჩნევს და მოსკოვში მყოფი პოეტი ჩვენი ქვეყნის მონატრებით გამოწვეულ სევდას რადიოთი მოსმენილი ქართული სიმღერებით იქარვებს³²⁷.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდნენ ცნობილი აფხაზი პოეტები *ნელი თარბა* და *ბორის გურგულია*. სილამაზით განთქმულ *ნელი თარბას* თსუს-მაშინდელმა ქართველმა სტუდენტებმა პოეტური სტროფებიც კი მიუძღვნეს: „ლაპარაკობს ნელი თარბა, ლამაზი და შავთვალწარბა“. ბუნებრივია, საქართველო და ქართული თემატიკა მისი შემოქმედების ადრეული პერიოდის უმთავრესი ლაიტმოტივი გახდა, რითაც სამართლიანად დაიმკვიდრა პირველი აფხაზი მწერალი ქალის სახელი.

ნელი თარბა (1934- 2014) თავიდან სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ³²⁸. უმ-

³²⁶ *გიორგი გუბლია*. დიმიტრი გულია. შემოქმედებითი გზა, თბილისი. 1974.

³²⁷ *ავთანდილ ნიკოლეიშვილი*, აფხაზი მწერლები და საქართველო, გვ. 151.

³²⁸ დასანანია, რომ *ნელი თარბა* ავტობიოგრაფიაში, რომელიც 1992-1993 წლების ომის შე-

თავრესი და არსებითი, რითაც ნელი თარბას ლექსების ციკლი „საქართველოს“ დღევანდელ ვითარებაში იქცევს ყურადღებას, ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ერთობისადმი აღვლენილი ხოტბაა. თავად პოეტის თქმით, საქართველოსადმი სიყვარული და ერთგულება მას „აფხაზეთმა და მისმა წინაპრებმა ასწავლეს“³²⁹. ნელი თარბას ლექსები ქართულ-აფხაზური ერთობის გულწრფელი ემოციაა, რომელიც ვფიქრობთ, სადღაც გულის ერთ კუთხეში, ჭეშმარიტი აფხაზისა და ქართველის გულში დღესაც ცოცხლობს:

„შენ ხარ კეთილი, შენ ხარ მაღალი,
მტევნად დასხმული ვაზი ბრიალა,
ნაზიც, ლომგულიც, შენ ხარ ჩონგური,
ხალხმა სიცოცხლედ რომ გაღიარა.

..... შენ ხარ კეთილი, შენ ხარ ლამაზი,
მტევნებდასხმული შენ ხარ ვენახი“.

აი, ასეთი იყო ნამდვილი ნელი თარბა.....

ცალკე საუბრის თემაა თსუ-ს კიდევ ერთი კურსდამთავრებულის *ბორის გურგულიას* (1935-2012) ურთიერთობები და დამოკიდებულება სამშობლოსადმი. მისი შემოქმედება, შეიძლება ორ პერიოდად გავყოთ: 1993 წლამდე და მის შემდეგ. ძირითადად, აფხაზურად წერდა, მისი ლექსები თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე. ქართულად ცნობილია ლექსების კრებულები „მრავალძარღვა“ (1974), „დრო“ (1985), „ლექსები“ (2000) და სხვ., ბორის გურგულიას ლექსების ნაწილი შევიდა თბილისში 2014 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „აფხაზი პოეტები“. ლექსში „მთაწმინდა“, ბორის გურგულია ქართველებზე არანაკლები სიყვარულით იხსენებს მთაწმინდის პანთეონში დაკრძალული ჩვენი წინაპრების სახელებს და ქედს იხრის მათი აჩრდილების წინაშე³³⁰. ზოგადად, მთაწმინდა, თბილისი, საქართველო, მტკვარი, გელათი, ქუთაისი, საქართველოს ისტორიული ციხე-ქალაქები ხშირად გამხდარა აფხაზი პოეტების შთაგონების წყარო.

მიუხედავად იმისა, რომ ბორის გურგულიას ვაჟი 1992-1993 წლების ომის დროს დაიღუპა, იგი ქართველებმა და აფხაზებმა ერთნაირად დაიტირეს. გულმოკლული მამა არ გაბოროტებულა და 2001 წლის 15-16 მარტს, ჟენევის ფორმატში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის *დიტერ ბოდენის* თანამშრომლობით გამართულ ქართულ-აფხაზურ შეხვედრაზე განაცხადა: „ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ვიმოძრავოთ წინ ერთიან სივრცეში...“.

XX საუკუნის აფხაზეთის ქართული მწერლობის სათავეები მის წინამო-

მდეგ დაიწერა არსად ახსენებს თავისი ცხოვრების ამ შესანიშნავ პერიოდს.

³²⁹ ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აფხაზი მწერლები და საქართველო, გვ. 151.

³³⁰ ავთანდილ ნიკოლეიშვილი, აფხაზი მწერლები და საქართველო, გვ. 15-16.

რბედ საუკუნეში გიორგი შარვაშიძის, ივანე გეგიას, პეტრე ჭარაიას, თედო სახოკიას და სხვათა შემოქმედებაში არის საძიებელი. აფხაზეთში მწერლობის (ქართული და აფხაზური) განვითარებაზე დიდი როლი ითამაშა გაზეთმა „აფხაზეთის საბჭოთა მწერლები“, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის მწერალთა კავშირის ორგანო იყო და ძირითადად საბჭოთა ნარატივით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, წერის კულტურა, სტილი, ფორმები და სტრუქტურა, მართლწერა და პუნქტუაცია, ნელ-ნელა და ეტაპობრივად მკვიდრდებოდა აფხაზეთის ჟურნალისტთა, პროზაიკოსთა და დრამატურგთა შემოქმედებაში. თუ 20-30-იანი და 40-50-იანი წლების შემოქმედთა ესთეტიკა, საბჭოთა იდეოლოგიის პროპაგანდის ფონზე იწერებოდა და გაჯერებული იყო ბოლშევიკურ - ჰეროკული ნარატივით, მოგვიანებით შემოქმედებით თემებში გაჩნდა ჩვეულებრივი ადამიანური ემოციები, ნაკარნახევი ისტორიული ან სოციალური რეალობით.

აფხაზეთის ადრეული პერიოდის საბჭოთა პოეტებისა და მწერლების თაობას ეკუთვნის გ. ბასილია, მ. ეხვია, ნ. მიქვა, ა. ფირცხალაიშვილი და სხვები. ქართული მწერლობის „აფხაზეთის ფლანგის“ თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ: მარიამ (ფუცუ) დგებუაძე-ფულარია, მოსე გვასალია, კლიმენტი გოგიავა, შოთა აკობია, ევგენი აქუბარდია, მირიან მირნელი, ეთერ სამხარაძე ჯღამაძე, გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, ალექსანდრე ჯიქია, ნოდარ ხუნდაძე, ციალა არდაშელია, გივი ბერაია, რენე კალანდია, გული ზუხბა, ზურაბ ნაყოფია, რამაზ კუპრავა, გურამ ოდიშარია, მურმან ხურცილავა, ვლადიმერ ჯოლოგუა, ხუტა გაგუა და სხვ.³³¹

³³¹ ლიტერატურულ კრიტიკა იხილეთ წიგნებში: **აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან**, ტ. I. ავტორები: მედეა კვარაცხელია, ციალა მესხია, ტიტე მოსია, მარინე ტურავა, მარინე ჯაიანი, ლელა ჯაფარიძე, თბილისი, 2014, (მონოგრაფიულ კვლევაში შევიდა: ივანე გეგიას, მარიამ (ფუცუ) დგებუაძე ფულარიას, მოსე გვასალიას, კლიმენტი გოგიავას, შოთა აკობიას, მირიან მირნელის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის, გენო კალანდიას შემოქმედება); **აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან**, ტ. II. ავტორები: ტიტე მოსია, მარინე ტურავა, ნანა კუცია, მირანდა თოდუა, ციალა მესხია, მარინე ჯაიანი, ირმა ზაქარაია, ჯონი მარღანია, რობერტ მესხი, ნონა კუპრეიშვილი, დარიკო ფიფია, ლელა ჯაფარიძე, თბილისი, 2017, (მონოგრაფიულ კვლევაში შევიდა: ევგენი აქუბარდიას, გივი ბერაიას, დავით გაბუნიას, დიმიტრი გიგიბერიას, რენე კალანდიას, ინდიკო კვეკვესკირის, ვლადიმერ მისაბიშვილის, ოთარ მიქაძის, ზურაბ ნაყოფიას, გურამ ოდიშარიას, გიორგი სიჭინავას, ნოდარ ხუნდაძის, მურმან ხურცილავას, ალექსანდრე ჯიქიას, ვლადიმერ ჯოლოგუას შემოქმედება); **აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან**, ტ. III. ავტორები: როსტომ ჩხეიძე, ტიტე მოსია, ნინო ვახანია, მირანდა თოდუა, მარინე ტურავა, ნანა კუცია, რუსუდან ფიფია, ლევან ჯინჯიხაძე, სალომე კაპანაძე, ნანა არახამია, ციალა მესხია, მედეა კვარაცხელია, დარიკო ფიფია, თამარელა წოწორია, ჯემალ შონია, თბილისი, 2020, (მონოგრაფიულ კვლევაში შევიდა: მანონ ბულისკერიას, ხუტა გაგუას, მირიან დგებუაძის, რამაზ კუპრავას, რობერტ მესხის, ანდრო ჟვანიას, ანატოლ სოსელიას, მარინე ტურავას, დარიკო ფიფიას, ნანა ქარდავას, ალიო ქობალიას, ჯემალ შონიას, დალი ცაავას,

აფხაზეთის მწერალთა ძველი თაობის წარმომადგენლებიდან ქართველ და აფხაზ მკითხველთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა მწერალი *მარიამ (ფუცუ დგებუაძე)* – *ფულარია* (1887-1969), წარმოშობით იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუნეშიდან. 1906 წელს დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია და მალევე დაქორწინდა სოხუმელ დავით ფულარიაზე. მარიამ ფულარიას პირველი მოთხრობა სრულიად ახალგაზრდამ, 1907 წელს გამოაქვეყნა, მაგრამ ნამდვილი აღიარება 1927 წელს გამოცემულმა ცნობილმა მოთხრობამ – „გრძნობათა ნანგრევებზე“- მოუტანა. წერდა საბავშვო მოთხრობებსა და თანამშრომლობდა ცნობილ საბავშვო ჟურნალებში „ნაკადული“ და „ჯეჯილი“. 1951 წელს დაბეჭდა მისი მოთხრობების პირველი კრებული, ხოლო 1954 წელს გახმაურებული რომანი „ტყვარჩელის ლამპიონები“. *მარიამ (ფუცუ) დგებუაძე* ფულარიას ნამდვილი აღიარება მოუტანა რომანმა „ოქროს ბეჭედი“, რომელიც 1952 წელს, სოხუმში გამოქვეყნდა³³².

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე *შოთა აკობია* (1920-1996) სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა აფხაზეთში, ჯერ აღმანახ „ლიტერატურული აფხაზეთის“ რედაქტორად 1954-1959 წწ., შემდეგ აფხაზეთის მწერალთა კავშირში, სადაც 1959-1974 წლებში ხელმძღვანელობდა ქართულ განყოფილებას. არის არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების ავტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: „სამშობლოს დილა“, „წყაროს დაბადება“, „გზები და შეხვედრები“, „შენ გამახსენდი“, „თეთრი ჩრდილი“, „სიყვარული და სინათლე“, „როგა ქვეყანა თბილი იყო“ და სხვა. მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლატვიურ, აფხაზურ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სვხა ენებზე. 1984 წელს მიენიჭა დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია. 2001 წელს, გარდაცვალების შემდეგ წიგნისთვის „დრო-ჟამი საბედისწერო“ მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

გამორჩეულია პოეტისა და საზოგადო მოღვაწის *გენო კალანდია* (1940-2017) შემოქმედება, რომელმაც განათლება სოხუმსა და მოსკოვში მიიღო. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა ჟურნალისტად, მისი ლექსების პირველი კრებული „ცა და ფოთლები“ 1966 წელს გამოვიდა, ხოლო პირველი პიესები „მთვარის საათი“, „ადგილის დედა“, და „მე შეცთომილი“ დაიდგა სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. გენო კალანდია

ამირიდონ ჩევიანის, სერგო წურწუმიას, შოთა ხოჭავას, ვია ხუბუას, ჯემალ ჯინჯიხაძის შემოქმედება);

³³² მრავალეთნიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, გვ. 225.

40-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია „ფესვები“, „მიწის ჭრილობა“, „ასი სონეტი“, „მესამე თვალი“, „რექვიემი“, „ისევ რექვიემი“, „მწუხრის არაბესკები“ და ა. შ. 2002 წელს ლექსების ციკლისთვის „მაქსიმები“ მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. *გენო კალანდია* აქტიურად ეწოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. დიდი სიყვარულით თარგმნიდა აფხაზი პოეტების ლექსებს. ქართველი მკითხველი მისი თარგმანებით გაეცნო *ივანე თარბას, ალექსი ჯონუას, კონსტანტინე გერხელიას, ბორის გურგულიას, პლატონ ბებიას* და სხვათა პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს. გენო კალანდიამ რუსულიდან თარგმნა ნ. პოგოდინის, ი. დრუცეს, ი. სოლოვიჩის, რ. ჯოპუას, და სხვათა პიესები. საკუთრივ მისი პოეზიაც თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. სხვადასხვა დროს იყო აფხაზეთის თეატრალური საზოგადოებისა და დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი, აღმნახ „ეგრისის“ რედაქტორი, ჟურნალ „რიწის“ პასუხისმგებელი მდივანი, აფხაზეთის შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. იყო II, III და IV მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი. თანამედროვე ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი³³³.

აფხაზეთის ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია პოეტი და საზოგადო მოღვაწე *ჯანო ჯანელიძე* (1933- 2009), რომელიც წლების მანძილზე იყო აფხაზეთის ა/რ-ის განათლების მინისტრი. მისი თაოსნობით სოხუმში დაარსდა გაზეთები „ოქროს საწმისი“ და „კოლხური დიადემა“. არის ორმოცამდე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი. განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი. ჯ. ჯანელიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. ორგზის იყო შეტანილი უკრაინულ ენაზე გამოცემული პოეზიის ქართულ ანთოლოგიაში. მკითხველი დღესაც სიამოვნებით ეცნობა მისი პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს: „თიბათვე“, „ოქროსფერი ქვაფენილები“, „სიზმრის სარკმელი“, „არდავიწყება“, „უკვდავების მრავალწერტილი“, „კამარა“, „ეკლიანი გვირგვინი“, „გაცვეთილი ნიღბები“, „ღვთისმშობლის ფრესკასთან“, „ჯვარცმოდან ამალგებამდე“; მოთხრობებს: „სისხლიანი მინდორი“, „როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ“ და სხვა; გამოსცა ტყვარჩელელი უცნობი აფხაზი გოგონას დღიურები- „ტყვარჩელის ტრაგედია“. გამოსაცემად მოამზადა უკანასკნელი პოემა „მელოდიები ოქროს ბუდიდან“. აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია.

³³³ მრავალენიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, გვ. 225

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში³³⁴.

ტრაგიკული ბედის ქართველი პოეტესა *ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე* (1928-1993) (აფხაზეთის მწერალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი იმერეთში დაიბადა, მაგრამ აფხაზეთში ოჯახი შექმნა და მთელი თავისი მოღვაწეობა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს დაუკავშირა. პირველი შემოქმედებითი აღიარებაც აფხაზეთში მოიპოვა, აქ ეზიარა მრავალ სიხარულსა და გამარჯვებას და სამუდამო განსასვენებელიც აქ ჰპოვა. პოეტესა, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით სათნოებას და სიყვარულს უმღეროდა 1993 წელს სიძულვილისა და ბოროტების მსხვერპლი შეიქნა. მოკლეს „რამეთუ ქართული ზეცის სადღეგრძელო შესვა“ და ვერ დასთმო „მშობლიური ცა და ხმელეთი“. ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსები დღესაც აღაფრთოვანებს მკითხველს. მისი იდუმალი, წინასწარმეტყველური სევდა და გაუსაძლისი ტკივილი... ძალზე მახლობელია ყველა აფხაზეთელისათვის. . . თითქოს წინასწარ გრძნობდა თავის ტრაგიკულ აღსასრულს: „მე დავდუმდები და გულის ძახილს შენამდე ლექსი მოიტანს თვითონ“- ამბობდა პოეტი. „შენს სიყვარულში თუნდაც გავთავდეო“- და მართლაც, აუხდა ნაწინასწარმეტყველევით: მან არ დატოვა მშობლიური ქალაქი და დაეცა „სამშობლოს სიყვარულით გამთბარი“ სოხუმის კარიბჭესთან „არა იარაღით, არა მახვილით, არამედ ლექსებით ხელში“³³⁵. ეთერ სამხარაძე - ჯღამაძეს ლექსების რამდენიმე კრებული დარჩა, თუმცა მისი პოეზიის ნიმუშები დღემდე იბეჭდება სხვადასხვა კრებულებში: „სამშობლოს დილა“ (1969), „ფიფქები“ (1977), „ბედის ვარსკვლავი“ (1980), „ლექსები და ყვავილები“ (1983), „დაუვიწყარი“ (1986), „ეკა ტელეკრანზე (საბავშვო ლექსები) (1981), „რჩეული“ (ლექსები, 2007). მისი პოეზია შევიდა 2007 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „სიტყვის მადანი“, სადაც გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების *გრიგოლ აბაშიძის, მარიკა ბარათაშვილის, ბეჟან ხარაიშვილის, იორამ ქემერტელიძის, გიორგი წერეთლის* და სხვათა გვერდით *ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის* ბოლომდე გამოუთქმელი, მაგრამ მეტყველი და ბევრისმთქმელი პოეზია ახალ მკითხველს კვლავ ელის.

აფხაზეთის კულტურის ისტორია წარმოუდგენელია მდიდარი ტრადიციების მქონე სოხუმის დრამატული თეატრის, ოჩამჩირის, გაგრის, გალის, ტყვარჩელის, გულრიფშის ჯერ სცენისმოყვარულთა და შემდეგ პატარა თეატრალური დასების ისტორიების გარეშე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოხუმის თეატრის ისტორია ჯერ კიდევ 1885

³³⁴ მრავალეთნიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, გვ. 226.

³³⁵ ლ. ახალაძე. არა იარაღით, არა მახვილით, არამედ ლექსით, გაზეთი, გაენათი, N7, 1998. გვ. 2. შდრ. მრავალეთნიკური დ მრავალკულტურული საქართველო, საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის, გვ. 226.

წლიდან, ქალაქში სცენისმოყვარულთა საზოგადოების ჩამოყალიბებით, იწყება. XX ს. დამდეგს აქ უკვე არსებობდა ქართული პროფესიული დასი. აფხაზეთის იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, თეატრის ქართულმა დასმა და *დიმიტრი გულის* მიერ 1919 წელს დაარსებულმა აფხაზურმა ლიტერატურულ-დრამატულმა წრემ როგორც საბჭოთა ხელისუფლებისთვის არაკეთილსაიმედო საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა. 1922 წელს შეიქმნა სცენისმოყვარულთა ქართული დრამატული კოლექტივი, რომელსაც მ. ხერხეულიძე ხელმძღვანელობდა. აქ პროფესიონალი მსახიობებიც მოღვაწეობდნენ, მაგრამ ძირითადად რეპერტუარში იყო სოციალურ და ისტორიულ თემებზე შექმნილი თეატრალური წარმოდგენები. მაგლითად, ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“, აქვსენტი ცაგარელის „ხანუმა“, აკაკი წერეთლის „პატარა კახი“ და სხვები. 1927 წელს სოხუმში პროფესიული დასის ჩამოსაყალიბებლად მიავლინეს *დავით (დუდე) ძნელაძე* (1889-1971), მან 1928 წელს ფაქტობრივად დააარსა და 1928 წელს გახსნა სოხუმის დრამატული თეატრი, რომლის სცენაზე ძირითადად, ქართული სპექტაკლები იმართებოდა. 1929 წლიდან ქართული დასის სამხატვრო ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა რეჟისორი *ვახტანგ გარიკი (ვაჩნაძე)* (1896-1937), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სოხუმში პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი თანამშრომლობა *სამსონ ჭანბასთან* აფხაზური თეატრალური დასის ჩამოყალიბებაზე. 1930 წლიდან ქართული და აფხაზური დასები ერთ შენობაში შეუდგნენ მუშაობას. აფხაზური დასის სპექტაკლებში მსახიობთა დეფიციტის გამო, ძირითადად ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ. ვახტანგ ვაჩნაძემ სოხუმის თეატრის სცენაზე დადგა ქართული და აფხაზური სპექტაკლები *სამსონ ჭანბას* „მაჰაჯირები“, *ვლადიმერ აგრბას* „აჯანყება ლიხნში“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, სანდრო შანშიაშვილის „ანზორი“ და სხვა³³⁶.

70-იანი წლებიდან თეატრში მოვიდა რეჟისორთა ახალი, ნიჭიერი თაობა, რომლებმაც განათლება თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში მიიღეს. ესენი იყვნენ – *ნელი ეშბა*, *დიმიტრი კორტავა*, *ნიკოლოზ ჩიქოვანი*, *გიორგი სულიკაშვილი* და სხვები. აფხაზურ სცენაზე მოღვაწეობდნენ შესანიშნავი მსახიობები, საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტები – *მინადორა ზუხბა*, *შარახ ფაჩალია*, *ალექსი აგრბა*, *მიხეილ კოვე*, *ეთერ კოდონია*, *ლევარსი კასლანძია* ისინი თამაშობდნენ ქართული დასის მიერ დადგმულ სპექტაკლებშიც.

ქართული თეატრი აფხაზეთში კულტურის ერთ-ერთი ძლიერი კერა იყო, რომელიც ხელს უწყობდა, საზოგადოების როგორც ინტელექტუალურ, ისე ესთეტიკურ სრულყოფას. 30-იანი წლებიდან სოხუმის თეატრში იდგმებოდა როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე ნაწარმოებები. ცალკეულ სეზონებში სოხუმის

³³⁶ **ლექსი არგუნი.** ქართულ-აფხაზური თეატრალური ურთიერთობები. – *თეატრალური მოამბე*, N1, თბილისი, 1982. გვ. 7.

თეატრში რეჟისორებად მუშაობდნენ: *ვასო ყუშიტაშვილი, ლევან მირცხულავა, იური კაკულია, ანზორ ქუთათელაძე, დავით კობახიძე, გურანდა გაბუნია, ლეო შავდია, გოგი ქავთარაძე, გიზო ჟორდანია, გიორგი სულიკაშვილი, გიორგი ჟურული, მედეა კუჭუხიძე, სანდრო მრეველიშვილი, ლერი პაქსაშვილი* და სხვ.

50-70-იანი წლებიდან სოხუმის თეატრში მუშაობდნენ ცნობილი მსახიობები: *სალომე ყანჩელი, ბუხუტი ზაქარიაძე, მიხეილ ჩუბინიძე, ელენე საყვარელიძე, მარინე თბილელი, თინათინ ბოლქვაძე, ფლორა შედანია, გიორგი რატიანი, სერგო პაჭორია, ლეო ფილფანი, ბორის თოფურაძე, ბორის წიფურია, ოთარ კობერიძე, ვიქტორ ნინიძე, ზურაბ ლაფერაძე, ჯემალ მონიავა, ომარ ელერდაშვილი, ლორენა პაპუაშვილი, დიმიტრი ჯაიანი, ბახა ბექაური, გიზო სირაძე, ლორენა მიქაშვიძე, ვალერი არღვლიანი, ნანა და ლილი ხურიტები, ნუგზარ ჩიქოვანი, ნუგზარ ყურაშვილი, მერაბ ბრეკაშვილი* და სხვანი. სხვადასხვა დროს ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში³³⁷. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი გამოჩენილი ქართველი რეჟისორი თუ მსახიობი, რომელსაც სპექტაკლი არ დაუდგამს, ან არ უთამაშია სოხუმის თეატრში.

1978 წლიდან სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის თეატრს გამოეყო ქართული დასი და ჩამოყალიბდა *კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრი*. ამ ამბავს ხელი არ შეუშლია ქართული და აფხაზური დასებისთვის ეთანამშრომლათ ერთმანეთთან, დასწრებოდნენ ერთმანეთის სპექტაკლებს, ან მონაწილეობდა მიეღოთ შემოქმედებითი სახის ღონისძიებებში. განსახილველი ეპოქის აფხაზეთის თეატრალური საზოგადოების ისტორიაში შთამბეჭდავი იყო საქართველოს სახალხო არტისტის *გოგი ქავთარაძის* (1940-2020) შემოქმედება, რომლის დამსახურებით XX საუკუნის 80-იან წლებში კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული თეატრის დასის სპექტაკლები სრული ანშლავით მიდიოდა. ამ პერიოდის თეატრალური ცხოვრების ნამდვილი ზეიმი იყო სპექტაკლები: „*ვენეციელი ვაჭარი*“, „*დიდოსტატის მარჯვენა*“, „*მარადისობის კანონი*“, „*ელადოს*“, „*ბოშები*“, „*მკაცრი ქალიშვილები*“ და სხვები. აფხაზეთის საზოგადოებისთვის განსაკუთრებით ემოციური აღმოჩნდა ქართული და აფხაზური დასების ერთობლივი სპექტაკლები: ნოდარ დუმბაძის „*ნუ გეშინია, დედა*“, ივანე პაპასკირის „*ქალის ღირსება*“ და სხვა.

ზემოთ უკვე აღინიშნა *კონსტანტინე კოვაჩის* (1899-1939) დამსახურების შესახებ აფხაზური ფოლკლორული მუსიკის განვითარებაში, თუმცა ამ საქმის პიონერად ითვლება აფხაზური მუსიკალური ფოლკლორის პირველი შემგროვებელი და ფონოგრამზე ჩამწერი *ძუკუ ლოლოა* (1877-1924). მან ჩამოაყალიბა ფოლკლორის გუნდი, რომლის საშუალებით სოფელ-სოფელ შეკრებილი აფხაზური ხალხური სიმღერები სცენაზე აიტანა და გააცოცხლა. მუსიკალური ხელოვნების

³³⁷ **ლექსი არგუნი.** ქართულ-აფხაზური თეატრალური ურთიერთობები. გვ. 6-12.

განვითარების მიზნით, აფხაზეთში 30-იან წლებამდე მუსიკალური სასწავლებლის შექმნის არაერთი მცდელობა იყო. მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულების დაარსებით გახდა შესაძლებელი შექმნილიყო პროფესიული მუსიკალური სასწავლო ცენტრი, სადაც მუსიკალურ ხელოვნებას ადგილობრივი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ეზიარა. ცხადია, ეს იდეა ეფუძნებოდა XX საუკუნის 10-20-იან წლებში აფხაზეთში დაფუძნებულ მუსიკალურ კოლექტივებს, რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ ხალხურ ხელოვნებას და ხელს უწყობდნენ მუსიკისადმი ინტერესის გაღვივებას. ამ თვალსაზრისით უდავოდ გამოკვეთილია *ძუკულოლოუს, ივანე ლაკერბაის, პლატონ შაკრილისა და პლატონ ფანცულაიას* ხალხური გუნდები.

1930 წელს სოხუმში, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის *დიმიტრი არაყიშვილისა და კონსტანტინე კოვაჩის* ინიციატივით დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი, რომლის პედაგოგები იყვნენ შემდეგში ცნობილი პიანისტები, მომღერლები და დირიჟორები: *ოდისეი დიმიტრიადი, ავგუსტა კამენსკაია, მარია ბუბნოვა* და სხვები. სასწავლებლის დაარსებამ ხელი შეუწყო პროფესიული მუსიკალური კადრების გაზრდას, რომელთა ნაწილმა არამარტო აფხაზეთში, არამედ მის ფარგლებს გაითქვეს სახელი. სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი დღემდე *დიმიტრი არაყიშვილის* სახელს ატარებს, ხოლო სოხუმში დარჩენილი სასწავლებლის ნაწილს 2002 წლიდან ცნობილი აფხაზი კომპოზიტორის *ალექსი ჩიჩბას* (1925-1995) სახელი მიენიჭა. *ალექსი ჩიჩბა* ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებულია და შემდეგში, წარმატებით გააგრძელა საქმიანობა ჯერ სოხუმის სამუსიკო სკოლის დირექტორის, შემდეგ, აფხაზეთის სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად. დაწერილი აქვს ვოკალურ - სიმფონიური ნაწარმოებები - ხუთი კანტატა კაპელასთვის, ორატორია „კერაზის გმირები სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1969), კანტატა „აფსნი“ სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისათვის – ოპერა „სიმღერა კლდეზე“ (1973); სხვადასხვა წლებში დაწერილი აქვს (1974-1979) 6 სიმფონია.

ვფიქრობთ, არ უნდა დავივიწყოთ აფხაზური ფოლკლორის პოპულარიზაციასა და პროფესიული მუსიკალური სკოლის ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში ქართველი კომპოზიტორების როლი. აფხაზურ მუსიკალურ ფოლკლორს იყენებდნენ *ივანე და ზაქარია ფალაიშვილები, ანდრია ბალანჩივაძე, შალვა მშველიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, სულხან ცინცაძე* და სხვები.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში ხალხური შემოქმედება (ეთნოგრაფიული გუნდების სახით) ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გადაეჯაჭვა თეატრალურ ხელოვნებას. წლების განმავლობაში დრამატულ სპექტაკლებს ხალხურის სიმღე-

რების ცოცხალი შესრულებით აფორმებდნენ. მაგ. 1928 წლის 24 ნოემბერს როდე-საც სოხუმში ქართულმა დასმა ეგნატე ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“ ითამაშა, სპექტაკლში მონაწილეობდა გუნდი და ჩართული იყო ცეკვები³³⁸

აფხაზი ხალხი, თავის მხრივ, კუთვნილს მიუზღავდა იმ ქართველ ოსტატებს, რომლებიც გულწრფელად და სრულად უხდიდნენ ხარკს მათთვის ახლობელ და საყვარელ აფხაზურ ხალხურ შემოქმედებას, ასევე კადრების – აფხაზური საკომპოზიტორო სკოლის ახალი თაობის წარმომადგენელთა – აღზრდას. მჭიდრო კავშირი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დასთან, ცალკეულ შემსრულებლებთან, კერძოდ, *ზურაბ ანჯაფარიძესთან*, სოხუმის მკვიდრ *ზურაბ სოტკილაგასთან*, რომელმაც პირველი ნაბიჯები სიმღერაში სოხუმის მუსიკალური სასწავლებლის ბაზაზე გადადგა. 1971 წელს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შუამდგომლობის საფუძველზე სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა აფხაზური პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაში. ამ პერიოდიდან სულ უფრო შთამბეჭქდავი გახდა აფხაზ და ქართველ კომპოზიტორთა: *ალექსი ჩიჩბას*, რაჟდენ გუმბას, *კონსტანტინე ჩენგელიას მამია ბერიკაშვილის* და სხვა ხელოვანთა შემოქმედება. 1967 წელს დიმიტრი არაყიშვილის სახელობის სასწავლებელთან შეიქმნა საოპერო სტუდია, რომელმაც ჯერ სოხუმში, მერე თბილისში განახორციელა *ზაქარია ფალიაშვილის* ოპერა „დაისისა“ და *ალექსი ჩიჩბას* ორატორია „*გმირი კერაზას*“ ჩვენება. სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრი და საგუნდო კაპელა 1969 წლიდან დამოუკიდებლად განაგრძობდნენ არსებობას როგორც აფხაზეთის მუსიკალური კულტურის ახალი ცენტრები.

1971 წელს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შუამდგომლობის საფუძველზე სსრკ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირი, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა აფხაზური პროფესიული საკომპოზიტორო სკოლის განვითარებაში. ამ კავშირის აფხაზ კომპოზიტორთა შემოქმედების ძირითად სფეროდ იქცა ვოკალური მუსიკა, თუმცა იქმნებოდა, როგორც ინსტრუმენტული ჟანრის, ისე მსხვილი ფორმის ნაწარმოებები, როგორიცაა ოპერები და ბალეტი.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მიერ ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, მაგ. „საოჯახო ანსამბლების ყრილობა“, რომელმაც შეკრიბა მომღერალი ოჯახები აფხაზეთის ყველა კუთხიდან. „აფხაზური მუსიკის ფესტივალი თბილისში, თელავსა და რუსთავეში“, „აფხაზური და

³³⁸ ნინო კალანდაძე, მარინა კვიციანიძე. ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, გვ. 26.

ქართული მუსიკის ფესტივალი“ აფხაზეთში, „ბავშვთა საგუნდო კოლექტივების ფესტივალი“ სოხუმში, სადაც წარმოდგენილი იყო საუკეთესო საბავშვო და ახალგაზრდული გუნდები.

საგუნდო მუსიკალური ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპი იწყება 1981 წელს, როდესაც სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზეთის ახალგაზრდული კაპელა. მისი დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ცნობილი მანქანის მძღველი გურამ ყურაშვილი. კაპელაში გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების რეპერტუარში იმთავითვე წარმოდგენილი იყო მსოფლიო საგუნდო მუსიკის ნაწარმოებები, რომლის მრავალფეროვნებამ კაპელას საშუალება მისცა თავიანთი შემოქმედება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმოედგინათ. გუნდმა ტრიუმფით მოიარა არამარტო ყოფილ საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნები: იუგოსლავია, უნგრეთი, საფრანგეთი, იტალია და ინგლისი. რამდენჯერმე გაიმარჯვა საერთაშორისო საგუნდო მუსიკის კონკურსებში: გახდა ბელა ბარტოკის (უნგრეთის), გვიდო დე არეცოს, გორიცას (იტალია), ცელიშის (იუგოსლავია) კონკურსების ლაურეატი.

ერთი სიტყვით, აფხაზეთში მუსიკალურმა ხელოვნებამ დიდი გზა გაირა ხალხური ფოლკლორული გუნდიდან სახელმწიფო მუსიკალურ კოლექტივამდე³³⁹.

სახვითი ხელოვნების ინსტიტუციური განვითარება აფხაზეთში დაკავშირებულია ქართველი ფერმწერის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ნიკოლოზ თაბუკაშვილის (1915-1981) სახელთან, რომელიც 1952 წელს დაინიშნა სამხატვრო სალონის დირექტორად. ამავდროულად, აფხაზეთის სსრ კულტურის სამინისტროს დახმარებით, მან ნებაყოფლობით მოაწყო სამხატვრო სტუდია ფილარმონიის შენობაში. 1955 წელს ამ სტუდიის ბაზაზე ნიკოლოზ თაბუკაშვილმა გახსნა სამხატვრო სკოლა, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 1978 წლამდე³⁴⁰. სოხუმის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში, მოსკოვის სურიკოვის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტში და ა.შ. ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული აფხაზი და ქართველი მხატვრების მთელი თაობის აღზრდა,

³³⁹ აფხაზეთში ტრადიციული მუსიკიდან სახელმწიფო მუსიკალურ კოლექტივებამდე განვლილი გზა ობიექტურად, მაგრამ დიდი სითბოთი და სიყვარულით არის ასახული ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიულ კვლევაში „ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში“. ნინო კალანდაძე, მარინა კვიცინაძე. ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში, თბილისი. 2011.

³⁴⁰ **Л. А. Шервашидзе.** Николай Онуфриевич Табукашвили. Его творчество, педагогическая и общественная деятельность. – *Ars Georgica*. 1987. **ნუგზარ მაგლობლიშვილი.** ვალმოხდილი მოღვაწე. – *რიწა*, N2, 2015.

რომელთა შორის დღეს ბევრი გამოჩენილი მხატვარია³⁴¹. ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული სახვითი ხელოვნების ნიმუშების პირველი გამოფენების ორგანიზება აფხაზეთში, აფხაზი და ქართველი მხატვრების გამოფენების ორგანიზება თბილისში, მოსკოვში, ყაზბეგში, ლენინგრადში და ა. შ. ამ დროს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირში, სპეციალურად ჩამოყალიბდა აფხაზეთის განყოფილება (შემდგომად აფხაზეთის მხატვართა კავშირი), რომელსაც 1953 წლიდან ცნობილი მხატვარი *ჰოლა კუკულაძე* ხელმძღვანელობდა. განყოფილების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზი და ქართველი მხატვრები, რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობდნენ საქართველოს მხატვართა გამოფენებში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდა მხატვრების აღზრდას, ჩართული იყვნენ საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა გამოფენებში და ა. შ.³⁴².

აფხაზეთის სახვით ხელოვნებაზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ *ალექსანდრე შარვაშიძის* (1867-1968) შემოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სამშობლოში ვერ დაბრუნდა და ჩვენს განსახილველ პერიოდში აფხაზეთში არ მოღვაწეობდა. 1921 წლიდან ის ევროპაში ცხოვრობდა და მუშაობდა თეატრის მხატვრად. როგორც უკვე აღინიშნა, 1958 წელს, ალ. შერვაშიძემ თავისი შემოქმედების 500-მდე ნიმუში თბილისისა და სოხუმის მუზეუმებს უსახსოვრა. 1985 წელს, თბილისში ქართული ხელოვნების მუზეუმში პირველად გაიმართა ალექსანდრე შარვაშიძის შემოქმედების პერსონალური გამოფენა გაიმართა³⁴³. თავის დროზე მისი სცენოგრაფიით მონტე კარლოში დაიდგა ბალეტი „*შოთა რუსთაველი*“.

აფხაზეთში მოღვაწეობდა დავით კაკაბაძისა და სერგო ქობულაძის მოწაფე, *ოლგა ბრენდელი*, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული და 1967 წლიდან საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მისი მხატვრობაში ასახულია ქართლის, აფხაზეთის, ზღვის, რიწის და ყირიმის პეიზაჟები. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. 1958 წელს, იაპონიაში 36 წლიანი ყოფნის შემდეგ, აფხაზეთში, 72 წლის ასაკში დაბრუნდა თვითმყოფადი და ნიჭიერი რუსი მხატვარი *ვარვარა ბუბნოვა*. 1960 წლის მისი გამოფენა

³⁴¹ **Л. А. Шервашидзе.** Николай Онуфриевич Табукашвили. Его творчество, педагогическая и общественная деятельность. – *Ars Georgica*. 1987. **ნუგზარ მგალობლიშვილი.** ვალმოხდილი მოღვაწე. – *რიწა*, N2, 2015.

³⁴² **Л. А. Шервашидзе.** Изобразительное искусство в Абхазии за 40 лет Советской власти. – *Труды Абхазского института языка, литературы и истории имени Д. И. Гулиа*, XXXII. Издательство Академии наук Грузинской ССР. Сухуми, 1961. გვ. 77-94.

³⁴³ **Р. А. Шервашидзе-Чачба.** Статьи, очерки, обзоры. Ставрополь, 2011. http://apsnyteka.org-/183-shervashidze_chachba_r_a.html

დიდი წარმატებით გაიმართა თბილისში³⁴⁴.

50-იანი წლების მხატვრებიდან აღსანიშნავია *ჭოლა კუკულაძის* შემოქმედება. ის იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, ოფორტიტი, მოქანდაკე, ილუსტრატორი. სხვა ფერწერულ ტილოებთან ერთად, თანაბარი სითბოთი ქმნიდა ქართველი და აფხაზი პოეტებისა და მწერლების პორტრეტებს, აფორმებდა წიგნებს და თეატრალური ესკიზებით ამშვენებდა სოხუმის თეატრის სპექტაკლებს; სოხუმში, მოსკოვში, ბელორუსიასა თუ სხვა ქალაქებში ქმნიდა ვრცელ პანოებს. მისი ფერწერული ტილოები არაერთხელ გამოიფინა თბილისში, მოსკოვში, კიევში, მინსკში, სანკტ-პეტერბურგში, პრალაში. ამასთანავე, მათი ნაწილი დაცულია მოსკოვის, მინსკის, სანკ-პეტერბურგის, შვეიცარიისა და გერმანიის კერძო კოლექციებში. ორი ფერწერული ტილო ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გალერიის ფერწერის ფონდში. სამწუხაროდ, *ჭოლა კუკულაძის* საკმაოდ მრავალფეროვანი შემოქმედების დიდი ნაწილი აფხაზეთის ომს ემსხვერპლა, გადარჩენილი ნამუშევრების უმეტესობა კი სოხუმშია³⁴⁵.

სოხუმში დაიბადნენ საქართველოს დამსახურებული მხატვრები, მოქანდაკეები: *მიხეილ კიკვაძე* და *მერაბ ცინცაბაძე* ³⁴⁶. აფხაზეთიდანაა ცნობილი მოქანდაკე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული *ნერსე ბაწაში*. მისი ქანდაკება „*ლიეტუვის გამათავისუფლებელი*“ დასახელებულია 2018 წლის საუკეთესო ნამუშევრად. ქანდაკება „*მონანიება*“ არის გაეროს კონკურსის გამარჯვებული³⁴⁷.

აფხაზი მხატვრებიდან გამორჩეულია *სერგეი გაბელიას*, *იური ჭკადუას*, *გენადი ლაკობას* და სხვა ხელოვანთა შემოქმედება. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით წარმატებულია ფერმწერი *ადგურ ძიძარია* – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, რომელიც 1995 წლიდან მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (IFA) წევრია; 1995-1999 წწ. პერსონალური გამოფენები ჰქონდა გერმანიასა და რუსეთში. არანაკლებ წარმატებით იღვწიან აფხაზეთის მკვიდრი ქართველი მხატვრები საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში: *რამინ ავაქიძე* (მისი ნამუშევრები დაცულია, თბილისსა და სოხუმში, ასევე აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, შვედეთის, საბერძნეთის, ვატიკანის, რუ-

³⁴⁴ **Л. А. Шервашидзе.** Изобразительное искусство в Абхазии за 40 лет Советской власти. – Труды Абхазского института языка, литературы и истории имени Д. И. Гулия, XXXII. Издательство Академии наук Грузинской ССР. Сухуми, 1961. გვ. 87.

³⁴⁵ **ჭოლა კუკულაძე.** ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. შემდგენელი **ნატო კორსანტია.** თბილისი 2013. გვ. 4. *აფხაზეთის მხატვრები.* ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება. თბილისი, 2007. გვ. 34-35.

³⁴⁶ *აფხაზეთის მხატვრები.* ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, 2007. გვ. 72-73.

³⁴⁷ *აფხაზეთის თანამედროვე მხატვრები.* ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება - დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნება, სცენოგრაფია. თბილისი, 2015. გვ. 126-127.

სეთის, კერძო კოლექციებში); *ნუგზარ მაგლობლიშვილი* (1972-1989 წლებში მონაწილეობდა თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და მოსკოვის გამოფენებში, 1975 წელს მონაწილეობდა ავანგარდისტ მხატვართა გახმაურებულ „ბულდოზერის“ გამოფენაზე); *ზურაბ ჭედია* (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაწილეობა მისი მონაწილეობა 1980 წელს ყირიმში გურზუფის პლენერში, გამოფენები ევროპის ქვეყნებში) და ა.შ.

XIX-XX საუკუნეების აფხაზეთში განვითარდა *საამშენებლო ინდუსტრია*, აიგო თანამედროვე არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, მათი უმრავლესობა დღეს აფხაზეთის ქალაქების და კურორტების სავიზიტო ბარათებს წარმოადგენენ. სოხუმის ქუჩების დაგეგმარება ჯერ კიდევ 1868 წლიდან დაიწყო, ჩამოყალიბდა ქუჩების რეგულარული ბადე, საფუძველი ჩაეყარა შენობების კვარტალურ დაგეგმარებას. 1868-1892 წლებში სოხუმში კვარტლების რაოდენობა იყო 47, 1892-1906-იან წლებში - 98, ხოლო 1912 - 144 წლებში - 114. იმავე პერიოდიდან იწყება ქუჩების დასახელებები ქალაქებში სოხუმსა და გაგრაში. მაგალითად, სოხუმის მთავარ ქუჩას, რომელიც 90-იან წლებში მშვიდობის ქუჩის სახელს ატარებდა 1986 წლიდან ეწოდა გეორგიევსკის ქუჩა, რატომღაც აფხაზ ისტორიკოსებს მიაჩნიათ რომ ეს წმ. გიორგის სახელობის ქუჩა იყო, სინამდვილეში ქუჩას გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით ეწოდა. მსგავსი ქუჩა იყო თბილისშიც. 1918 წელს ამ ქუჩას ეწოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენლის *აკაკი ჩხენკელის* სახელი, რომელიც წარმოშობით აფხაზეთიდან, კერძოდ ოქუმიდან იყო. მოგვიანებით, როდესაც 1921 წელს ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ მას *III ინტერნაციონალის* სახელი უწოდეს, 1937-1953 წლებში ქუჩას *სტალინის* სახელი ერქვა, 1953 წლიდან *მშვიდობის* გამზირი. დღეს მას *ვლადისლავ არძინბას* სახელი ჰქვია³⁴⁸. 1958 წელს სოხუმის ახალი გენერალური გეგმის შემუშავება დაიწყო, რომელიც და 1961 წელს დამტკიცდა, მისი ავტორები იყვნენ საქართველო დამსახურებული არქიტექტორი *ედითერ ბაგრატიონი*, საქართველოში ქალაქმშენებლობითი დისციპლინის ერთ-ერთი ფუძემდებელი *ალექსანდრე ნიკოლაიშვილი*, და არქიტექტორი *გ. თელია*.

საგულისხმოა, რომ აფხაზეთში დღეს შემორჩენილი ახალი ეპოქის არქიტექტურული ფორმების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და თვალსაჩინო გამოხატულებაა გაგრის სასტუმრო და რესტორანი „გაგრიფში“ საათით, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში პრინც *ალექსანდრე ოლდენბურგის* დაკვეთით აიგო, ამ ძეგლის გარდა გაგრაში დღემდე შემორჩენილია მისი სასახლე და ციხე - კოშკი.

³⁴⁸ А. С. Агумаа. Старый Сухум. Архитектура Сухума на рубеже XIX—XX вв. Сухум: Абгосиздат, 2016. გვ. 24.

ევროპაში პირველი საზოგადოებრივი სახლები XX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება, ეს სახლები ძირითადად, მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენებისთვის იქმნებოდა, ამ ტიპის სახლები საქართველოში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მიწურულიდან იქმნებოდა, აფხაზეთში მუსიკალური და თეატრალური წარმოდგენებისთვის სპეციალურ ნაგებობების მშენებლობა XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება.

XX საუკუნის აფხაზეთის არქიტექტურულ ფორმებს ქმნის თანამედროვე შენობა ნაგებობები, რომლებიც დღესაც დგას აფხაზეთში მათ შორის ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია და XX საუკუნის 30-იან წლებს მიეკუთვნება მთავრობის ადმინისტრაციული სახლის I რიგი სოხუმში, მისი ავტორია ცნობილი არქიტექტორი, რუსული ნეოკლასიციზმისა და შემდეგში სტალინური ეპოქის არქიტექტურის ერთ-ერთი ფუძემდებლების *ვლადიმერ შჩუკოს* და *ვლადიმერ გელფრეიხის მიერ*³⁴⁹, ადმინისტრაციული სახლის ეს რიგი აიგო 1938 წელს, ხოლო მთავრობის სახლის ახალი კორპუსის მშენებლობა დასრულდა 1984 წელს, მისი ავტორებია არქიტექტორები *სერგო ცინცაბაძე* და *ლევ გოლუმოვსკი*³⁵⁰.

ვლადიმერ შჩუკოს აფხაზეთში სხვა მნიშვნელოვანი ნამუშევრებიც აქვს. მაგალითად სასტუმრო „აფხაზეთი“, რომლის მშენებლობა დასრულდა 1938 წელს, მისი რეკონსტრუქცია განხორციელდა XX საუკუნის 80-იან წლებში, ავტორები: არქიტექტორები: ნუგზარ დუდუჩავა და ალექსანდრე კვიტატიანი.

XX საუკუნის 30-იან წლებს ეკუთვნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასასვენებელი სახლი გაგრაში, რომელიც 1935 წელს დასრულდა და მისი ავტორია *ნიკოლაი სევეროვი*³⁵¹. გაგრაში იმავე პერიოდში, 1936 წელს დასრულდა სანატორიუმ „უკრაინას“ მშენებლობა, მისი ავტორია ცნობილი საბჭოთა არქიტექტორი *იაკობ შტეინბერგი*, რომელსაც გაგრის არქიტექტურაში სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც ეკუთვნის - 1956 წელს დაასრულა საზაფხულო თეატრი, ხოლო 1957-58 წლებში მუშაობდა გაგრის დახურულ საცურაო აუზის კომპლექსზე.

აფხაზეთის თანამედროვე არქიტექტურის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ არქიტექტორებს და-ძმა *ლევან და ლოლა მუშეუდიანებს*. მათი ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრებიდან დაგეგმარების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში აგებული *სოხუ-*

³⁴⁹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დამატებაში „საქართველოს სსრ“ აფხაზეთის ასსრ მთავრობის სახლის I რიგის ავტორად დასახელებულია მხოლოდ ვ. შჩუკო, რეალურად მისი თანავტორი იყო ვ. გელფრეიხიც. იხ. Н. Пекарева. Владимир Георгиевич Гельфрейх „Архитектура СССР“. Москва, 1960 г. № 6, с. 51-54.

³⁵⁰ მშენებლობა დასრულდა *ლევ გოლუმოვსკის* გარდაცვალების შემდეგ.

³⁵¹ ნიკოლაი სევეროვს ეკუთვნის საქართველოში ცნობილი არქიტექტურული ნამუშევრები: თამარ მეფის ხიდი თბილისში, კონოთეატრი „რუსთაველი“,

მის რკინიგზის სადგური და სოხუმის საკოლმეურნეო ბაზარი, რომის მშენებლობა 1970-იან წლებში დასრულდა.

XX საუკუნის 60- 70-იან წლებში აფხაზეთში ფართოდ გაიშალა საკურორტო მშენებლობა, ამ მიმართულებით განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრის არქიტექტორ გივი გაგუას ნამუშევრები. მას დიდი დამსახურება აქვს გაგრისა და სოხუმის დაგეგმარების, ქალაქების სამშენებლო არქიტექტურის განვითარებაში. გივი გაგუას ეკუთვნის სოხუმში დასასვენებელი სახლი „გუმისთა - აიგო XX საუკუნის 70-იან წლებში, საცხოვრებელი კომპლექსი გაგრაში რუსთაველის პროსპექტზე, ბიჭვინთის ტურიზმისა და მოგზაურობის ცენტრი, საცხოვრებელი კომპლექსი დემერჟიპას ქუჩაზე და მთლიანად დემერჟიპას ქუჩის განაშენიანება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს არის გაგრის მთავარი, ცენტრალური ქუჩა, ადვილად გასაგებია რამდენად ავტორიტეტულ არქიტექტორს მიანდეს ეს საქმე. გივი გაგუას ეკუთვნის არაერთი ცნობილი არქიტექტურული პროექტი, მაგალითად, არქიტექტორ პავლე ძინძიბაძესთან ერთად მან შექმნა ემერის დასასვენებელი სახლის „მიმოზების კორომი“ პროექტი, რომლის მშენებლობა XX საუკუნის 70-იან წლებში დასრულდა. იმავე არქიტექტორს ეკუთვნის ბიჭვინთის ადმინისტრაციული შენობის, გენწვიშის აეროდრომის ნაგებობები და სხვა პროექტები საქართველოს სხვა რეგიონებში.

აფხაზეთის თანამედროვე არქიტექტურის ნამუშევრები ეკუთვნის არქიტექტორ სერგო ცინცაბაძეს, მისი პროექტებით XX საუკუნის 50-იან წლებში აიგო ისეთი ცნობილი შენობები, როგორცაა სოხუმის სახელმწიფო ფილრმონია, სსრკ თავდაცვის სამინისტროს დასასვენებელი სახლი (ი. კახიანთან თანაავტორობით), ცენტრალური პლაჟი, სანაპირო ბულვარი, კოლონადა, საბაგრო გზა ფუნიკულიორიდან მაიმუნთსაშენამდე და მრავალი სხვა.

1969 წელს დასრულდა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის არაორდინალური საამშენებლო პროექტი, რომლის ავტორები არიან არქიტექტორები *ო. პაიჭაძე, თ. ყიფშიძე და კ. წულაია*. გაგრაში აიგო სანატორიუმი „როსია“, - დასრულდა 1969 წელს არქიტექტორები: *ნ. ბელოუსოვა, ტ. ვინოგრადოვა, ი. შვარცბრეიმი*. სანატორიუმი „კოლხეთი“ დასრულდა 1970 წელს, არქიტექტორი *გ. ჯაფარიძე*; პანსიონატი „მზიური“ დასრულდა 1976 წელს არქიტექტორები *რ. კიკნაძე, მ. მგალობლიშვილი, გ. მეტრეველი, თ. და შ. ჩაჩანიძეები*; მხატვრები *ნ. იგნატოვი, ზ. წერეთელი*.

ბიჭვინთაში - „პრავდის“ გამომცემლობის დასასვენებელი სახლი დასრულდა 1975 წელს, არქიტექტორები: *დ. ცხაკაია, ო. ჯაყელი*; ჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების პანსიონატი დასრულდა 1974 წელს, არქიტექტორები *შ. დავითაშვილი, გ. ჯაბუა, ვ. ცხაკაია* და სხვა. 1969 წელს დასრულდა დიდი დასასვენებელი კომპლექსი - ბიჭვინთის ცნობილი დასასვენებელი კომპლექსი -

ბიჭვინთის პანსიონატები - არქიტექტორები *ა. მდოიანცი, ი. პოპოვი, მ. პოსოხინი, ვ. სვირსკი*, კონსტრუქტორები: *ვ. ნიკოლაევა, ს. შკოლნიკოვა*, მხატვრულ-დეკორატიული გაფორმების ხელმძღვანელი *ზურაბ წერეთელი*.

1967 წელს დაიწყო ტურისტებისთვის ახალი ათონის კარსტული გამოქვაბულების მოწყობა, რომელიც დასრულდა 1976 წელს. არქიტექტორები: *ო. ავდალოვი, ზ. კოპლაძე, თ. მარკოზაშვილი, რ. რიჟინაშვილი*, ინჟინერი *ა. გოფი*; მხატვრული გაფორმების ჯგუფს ხელმძღვანელობდა *ირაკლი ოჩიაური*, ჯგუფის წევრები: *ნ. შავგულიძე, ლ. შენგელია, დ. ჯაფარიძე*³⁵². მღვიმის კომპლექსი ექსპლოატაციაში შევიდა 1978 წელს. არქიტექტორებს თეიმურაზ მარკოზაშვილს და რაფიელ რიჟინაშვილს მიენიჭათ სსრკ სახელმწიფო პრემია.

აფხაზეთის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო *სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის მშენებლობა*, რომელიც დასრულდა 1952 წელს. პროექტის ავტორები იყვნენ ცნობილი ქართველი არქიტექტორი *მიხეილ ჩხიკვაძე* და *ინჟინერ არქიტექტორი კოტე ჩხეიძე*³⁵³. ამ შენობაში ქართული და აფხაზური თეატრები 1979 წლამდე ერთად ფუნქციონირებდნენ, მოგვიანებით აფხაზური და ქართული თეატრები გაიყო და ეს უნიკალური არქიტექტურის შენობა სამსონ ჭანბას სახელობის აფხაზურ სახელმწიფო დრამატულ თეატრს დაეთმო, ქართული თეატრი გადავიდა ახალ შენობაში და თეატრალურ დასს კონსტანტინე განსახურდიასა სახელი ეწოდა.

მიხეილ ჩხიკვაძისა და კოტე ჩხეიძის არქიტექტურული ანსამბლი დღეს სოხუმის სავიზიტო ბარათია. ვეჭვობთ, ამან განაპირობა არასწორი ინფორმაცია, რომლის თანახმად, 1952 წელს, *მიხეილ ჩხიკვაძემ* რეკონსტრუქცია ჩაუტარა შენობას და იგი, უბრალოდ ძლიერ შეიცვალა. სინამდვილეში თეატრის შენობა ახა-

³⁵² აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სსრ, თბილისი 1981. გვ. 321.

³⁵³ *მიხეილ ჩხიკვაძეს* და *კოტე ჩხეიძეს* საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ არაერთი საინტერესო პროექტი აქვთ განხორციელებული, მათ შორის ყურადღებას იქცევს თეატრის შენობების არქიტექტურა. ერთობლივი პროექტებიდან აღსანიშნავია ჭიათურის დრამატული თეატრის შენობა, რომელიც 1949 წელს გაიხსნა და იმავე წელს მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელი. მიხეილ ჩხიკვაძის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია გორის დრამატული თეატრის შენობა, რომელიც არქიტექტორ შალვა თავაძესთან ერთობლივად შესრულდა 1938 წელს. ინჟინერ არქიტექტორ *კოტე ჩხეიძეს* ეკუთვნის კიდევ ერთი ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის პროექტი, რომლის მშენებლობა მართალია 1934-1935 წლებში დაწყო არქიტექტორ ვანო ქადეიშვილის პროექტით, მაგრამ 1937 წელს მშენებლობა შეწყდა და მხოლოდ 1949 წელს განახლა. ძველი პროექტის საფუძველზე ახალი პროექტი შეადგინა ინჟინერ-არქიტექტორმა *კოტე ჩხეიძემ*. მშენებლობა რამდენიმეჯერ შეწყდა, მაგრამ საბოლოოდ 1962 წელს დასრულდა. ისევე, როგორ მიხეილ ჩხიკვაძისა და კოტე ჩხეიძის სხვა ნამუშევრები აქაც თეატრის შენობა ძველ ბერძნულ არქიტექტურულ მოტივებს ეყრდნობა.

ლი პროექტის საფუძველზე თავიდან აიგო, რადგან ძველი შენობა 1942 წელს მეორე მსოფლიო ომის დროს მთლიანად დაიწვა. მკვლევრების აზრით, *მ. ჩხიკვაძის და კ. ჩხეიძის* პროექტი შესრულებულია სოციალისტური კლასიციზმის სტილში, რომელსაც *სტალინურ ამპირსაც* უწოდებენ. სინამდვილეში *მიხეილ ჩხიკვაძის* ნაგებობა აგებულია მოდერნის სტილში. 1952 წელს აგებული თეატრის შენობა იმდენად დიდია ძველ შენობასთან შედარებით, მან მოიცვა, როგორც ძველი თეატრის ადგილი, ასევე თეატრის გვერდით, მანამდე არსებული სასტუმროს შენობაც. თეატრის მოედანს ამშვენებს შადრევანი *მითიური გრიფონებით*, რომლის პირიდან წყლის ნაკადი იღვრება. თეატრის შენობის არქიტექტურა უცნაური და ლამაზია. თეატრის ფასადზე წარმოდგენილია არკები, რომელსაც 2019 წლამდე ამშვენებდა ქართული თეატრალური ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების - *ვალერიან გუნიას, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელის, შალვა დადიანის* სკულპტურული პორტრეტები, ხოლო მთავარ შესასვლელთან იდგა აფხაზური დრამის დამაარსებლის, აფხაზეთის გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის *სამსონ ჭანბას* ბიუსტი. სამწუხაროდ, სეპარატისტული ხელისუფლების მიერ რეკონსტრუირებული თეატრის არკებიდან მოხსნეს ქართველი რეჟისორების ბიუსტები და მათ ნაცვლად ჩადგეს აფხაზი მსახიობების *აზიზა აგრბას, მინადორა ზუზბას, ლეო კასლანძიას, შარახ ფაჩალოას* ბიუსტები.³⁵⁴ ბუნებრივია, მათი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ მსახიობთა ერთი ნაწილის პატივისცემა სხვათა დამსახურების უგულვებელყოფით არ უნდა მოხდეს. რაც მთავარია, დაიკარგა არქიტექტორისა და მშენებელთა ისტორიული იდეა.

XX საუკუნის აფხაზეთის არქიტექტურულ ფორმებს შორის ყურადღებას იქცევს სოხუმის საზღვაო ვაჭლის შენობა, რომლის არქიტექტორი იყო *იური სართანია*³⁵⁵. მშენებლობა დაიწყო 1984 წელს და 1992-1993 წლების სამხედრო კონფლიქტის დროს დაუსრულებელი სახე ჰქონდა.

თანამედროვე აფხაზეთი მდიდარია XX საუკუნის არქიტექტურული ფორმებით, ზოგჯერ უნიკალური საამშენებლო კონსტრუქციებითა და კომპლექსური ნაგებობებით. მოუვლელი და მიტოვებული შენობები, ჩამოქცეული ქალაქების ნაწილი, დღემდე ყურადღებას იქცევს სივრცითი მოწყობის, ქალაქმშენებლობის დაგეგმარებისა და უნიკალური ლანდშაფტის არქიტექტურული ფორმირების პრინციპებით. იმედია, ეს თემა თანამედროვე არქიტექტურის მკვლევართა ინტერესის სფერო გახდება.

³⁵⁴ Люди театра: чьи бюсты установлены вдоль фасада здания Абхаздрама <https://sputnik-abkhazia.ru/20190623/Lyudi-teatra-chi-byusty-ustanovleny-vdol-fasada-zdaniya-Abkhazdrama-1027710694.html>

³⁵⁵ **იური სართანია:** არქიტექტორი იური სართანია (1922-1990), ნეკროლოგი, თბილისი, 1990. 30 მაისი. ხელმოწერა: საქართველოს სსრ არქიტექტორთა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი; არქიტექტორთა კავშირი.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისიდან ეტაპობრივ აღმავლობას განიცდის აფხაზი ხალხის ნაციონალურ - კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბების პროცესი, რაც მთლიანად საქართველოს მეორე რესპუბლიკის (საქართველოს სსრ) ხელმძღვანელობის პოლიტიკასთან (1921-1991 წწ), ქართველი საზოგადო მოღვაწეების, განათლებისა და კულტურის დარგის სპეციალისტების მხარდაჭერასთან, ქართველთა და აფხაზთა ერთობლივ აღმშენებლობით საქმიანობასთან არის დაკავშირებული. რაოდენ სამწუხაროა, რომ თანამედროვე აფხაზი მეცნიერების მიერ სრულიად უგულვებელყოფილია ის ფასდაუდებელი დამსახურება, რომელიც ქართველმა ხალხმა შეიტანა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარების ისტორიაში.

დასკვნის მაგიერ

